




հմայր յարժնոյ

წიგნი გამოიცა იდეის ავტორის
ვახტანგ მუშხვაძის
თანადგომით

რედაქტორ - შემდგენელი
ვალერი ასათიანი

ფოტოსურათები მოამზადა
დემიკო ლოლაძემ

დიზაინერი
კახა ბახტაძე



ვახტანგ ვეფხვაძე, ემზარ კვიტაიშვილი, კახა ბახტაძე, დემიკო ლოლაძე,
ვალერი ასათიანი

კიდევ ერთი ნაბიჯი

ჩვენი სასიქადულო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გოგლა ლეონიძისადმი მიძღვნილი წიგნის წინათქმაში, მახსოვს, აღვნიშნე, რომ გასული საუკუნის არაერთ შესანიშნავ კალმოსანთან ურთერთობის ბედნიერებას, დეიდაჩემს, პროფესიით ექიმს, ლიტერატურის დიდ ტრფიალს ნინა წერეთელს ვუმაღლი. იგი მაჩაბლის ქუჩაზე საქართველოს მწერალთა კავშირის პოლიკლინიკაში მუშაობდა და მასთან ჩემი ხშირი სტუმრობისას, პატივი მქონდა არაერთი, შემდგომ დიდად სახელოვანი შემოქმედი გამეცნო, რომელთა შორის დიდებული პიროვნება, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ირაკლი აბაშიძე გახლდათ.

წლების წინ, მე და ჩემმა მეგობარმა დათო სალარიძემ ჩავიფიქრეთ, რომ შესაძლებლობისდაგვარად მონაწილეობა მიგველო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების, თვალსაჩინო მწერლებისა და პოეტების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემაში.

ამ ჯერზე ქართველი მკითხველის სამსჯავროზეა - ირაკლი აბაშიძისადმი მიძღვნილ წიგნი. მე არასდროს დამავიწყდება ის ეროვნული აღმაფრენა, რომელსაც მთელ ქართველ ხალხთან ერთად, იმხანად სულ

ახალგაზრდა კაცი განვიცდიდი იმ დღეებში, როცა სრულიად საქართველო დიდი შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს აღნიშნავდა. ეს იყო ჭეშმარიტად ქართული სულის ზეობის დრო და ამ ზეიმის ერთერთი მთავარი სულისჩამდგმელი სწორედ ბატონი ირაკლი აბაშიძე გახლდათ, რომელიც საიუბილეო კომისიას თავკაცობდა.

ფასდაუდებელია ბატონ ირაკლი აბაშიძის გულმხურვალე, მამული-შვილური სულისკვეთებით აღსავსე მოღვაწეობა, რომლის მაგალითზე არაერთი თაობა აღიზარდა. დაუვინყარია მისი არაჩვეულებრივი პატრიოტული, ლირიკული ლექსები და გულის სისხლით დანერილი პოემები - მარტო „რას გადაურჩა თბილისი“ რად ღირს!

ირაკლი აბაშიძის პოეზიის სიყვარული ყველას ახალგაზრდული ასაკიდან მოგვდგამს. ამდენად მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი ამ გულითადი დამოკიდებულების კიდევ ერთი მოკრძალებული გამოსატყვავა. მე კი ძველი ჩანაფიქრის განხორციელების გზაზე კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამ!

გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო ირაკლი აბაშიძის შესახებ წიგნში შესული ყველა წერილის ავტორს, ასევე მის შემდგენელსა და რედაქტორს, აკადემიკოს ვალერი ასათიანს, ცნობილ ჟურნალისტსა და ფოტოხელოვანს დემიკო ლოლაძეს, დიზაინერ კახა ბახტაძეს და თითოეულ ადამიანს, ვინც აღნიშნული წიგნების შექმნაზე მუშაობდა.

ვახტანგ ვეფხვაძე



შინაარსი

წინათქმა	6
ემზარ კვიტიშვილი - პოეტი, სამშობლოს ჭირისუფალი (ირაკლი აბაშიძის მცირე პორტრეტი).....	10
რუსთაველის ნაკვალევზე	71
მიახლოება	116
თუ ხარ ნამდვილი	119
პოეტი მაინც	124
მხოლოდ იმ ერთის	124
შერეული შხელდა	126
პაოლო იაშვილს	127
სული მდევარი	132
სული დამცველი	134
როცა მანქანა პირწმინდად შეგცვლის	137
სულ გროშის ფასად	139
მზე თვითმფრინავში	139
ღვინო ჩემი ხნის	140
ჩემო კოლხებო, მთებო, სვანებო!	141
საახალწლო	142
შენს მუზეუმთან რიონის პირას ბილიკი მღერის	143
მუზეუმები	147
ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს	157
გიორგი ლეონიძეს	163
კაპიტანი ბუხაიძე	167
მცხეთა	168
პირველი თოვლის სიმღერა	170
ირაკლი აბაშიძის წერილები და სიტყვები	171
პოეტის უკვდავება	172
კორნელი კეკელიძე - ქართული ფილოსოფიის მამა	187
საიათნოვა - ხალხთა ძმობის მომღერალი	191
გიორგი ლეონიძე	194
„მართვეს“ შესახებ	197
ვაზის დიდება	199
პალესტინის დღიური	206
ირაკლი აბაშიძის შესახებ	240
გრიგოლ რობაქიძე	240
კონსტანტინე გამსახურდია	242
შალვა ნუცუბიძე	253
ნოდარ დუმბაძე	255
ანა კალანდაძე	257
მუხრან მაჭავარიანი	259
გურამ ასათიანი	260
ბავრატ შინჭუბა	262
ჭაბუა ამირეჯიბი	266
მერაბ ბერძენიშვილი	268
ელგუჯა ამაშუკელი	270
ჯანსუღ კახიძე	273
ბიძინა კვერნაძე	276
ანზორ ერქომაიშვილი	277
ვანო ჩხიკვაძე	279
თამაზ ნატროშვილი	281
მინდია უგრეხელიძე	284
ნუგზარ ფოფხაძე	289
საბა მეტრეველი	300
როინ მეტრეველი	305
რეზო ამაშუკელი	331
ჯანსუღ ჩარკვიანი	333
ენვერ ნიჭარაძე	335
მიკოლა ბაჟანი	338
ფრიდონ ხალვაში	338
რასულ გამზათოვი	342
ილია II - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი	344

წინათქმა

**„გახსენებად ითქმის დავიწყებისაგან
ნაშლილი ხსოვნის კვლავ მოპოვება,
დავიწყება კი - ესაა მეხსიერების დაკარგვა“**

ნმ. იოანე დამასკელი

**საბედნიეროდ, მეც იმ თაობისა ვარ, ვინც იცნობდა დიდ მეოცე-
საუკუნელს - ბატონ ირაკლი აბაშიძეს და მას არაერთხელ
შეხვედრია.**

„ეს ფიქრი დიდი ხანია მანუხებს, ან რა გასაკვირია, ასეთი მოვლენა
ხომ გაოცებას იწვევს, გაოცება კი, ბუნებრივია, ბაღებს მრავალ,
მრავალ კითხვას...“

ვინ იყო ირაკლი აბაშიძე? პოეტი, დიპლომატი, საზოგადო მოღვაწე,
ენციკლოპედისტი, მკვლევარი, ერისკაცი... ვფიქრობ, ის რენესანსის
ეპოქიდან იყო ამოსული. სხვაგვარი ახსნა ვერ მოვუძებნე, ან ეს ჩემს
შესაძლებლობებს აღემატება.

ორი გაზაფხულის კაცი იყო ირაკლი აბაშიძე. იშვიათია ორი
აფეთქება პოეტის ცხოვრებაში. მან იგი ღვთისაგან მიიღო როგორც
საჩუქარი: ახალგაზრდობის წლების პოეზია – უბრწყინვალესი
ლექსებითა და სიჭარმაგე – ფილოსოფიური, ღრმად ჩაფიქრებული,
რალაც გასაოცარი მუხტით შემართული.

ღვთისაგან მიიღო, რომ ვამბობ, მაქვს ამის საფუძველი. ბატონი
ირაკლი მორწმუნე იყო, მას მუდამ სწამდა ზეციერი, დიდი
მოკრძალებითა და რიდით. ეს მას არ დაუმაღლავს და, დღემდე მიკვირს,
იმ მძიმე და სუსხიან წლებში როგორ გამოატარა შეუბღალავად ეს
სიყვარული.

გალაკტიონის ეპოქის პოეტია ირაკლი აბაშიძე, იმ პოეტისა, რო-
მელიც, რაც დრო გადის, თვალს გვჭრის თავისი დიდებული ბრწყინ-
ვალებით. მით უფრო საოცარია ბატონი ირაკლის მყარი სხეული,
ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, ხოლო მის მიერ მიძღვნილი ლექსი
მეფე-პოეტისადმი, ეს არის მოკრძალებისა და მოწინების გულწრფელი
ჰიმნი და, რაც მთავარია, საკუთარი ღირსების ამაღლებული შეგრძნება
იმის გამო, რომ გაქვს უფლება, შენი არსობით მოპოვებული იდგე მტრის
წინაშე, სიყვარულით გულანთებული.



1972 წლის 1 სექტემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
გიორგი ჯიბლაძე, ვალერი ასათიანი, დავით ჩხიკვიშვილი, ილია ვეკუა,
ირაკლი აბაშიძე, ნიკო კეცხოველი.

ირაკლი აბაშიძე უყვარდათ მეგობრებს, ამხანაგებს, უფროს და უმცროს კოლეგებს, ხალხს. უბრალო გამვლელი სიყვარულით გაა-ყოლებდა თვალს. რით მოიპოვა მან ეს სიყვარული? ზომიერებით ჩვეულებრივ ყოფაში და საჯარო, ოფიციალურ თავყრილობებზე, ზომიერებით პირად ცხოვრებაში და ბოლოს, რაც კიდევ მთავარზე მთავარია, საქმეებით, უამრავი კეთილი საქმით, რომელთა მოთავეც თვითონ იყო. აქ იმის თქმა შეიძლება, რომ შურიც დაჰყვებოდა მის ნაბიჯებს, ხშირად ძალზე მტკივნეული გამოვლინებებით, მაგრამ მოგზაურს ხომ მუდამ უნდა ახოსვდეს, თუ როგორია გზა, ფათერაკებით აღსავსე. ბევრჯერ ატკინეს გული უკეთილშობილესი გულის პატრონს. მან კარგად უნყოდა, რომ ასეთია რჩეულთა ხვედრი. ეს მის ლექსებში გაფანტულ დარდშიც შეიგრძნობა. რა იშვიათი სითამამე, როგორი დიადი ჰორიზონტი იშლება თვალწინ, როცა შეგიძლია გადანყვიტო, რომ შენს კულტურულ ერს, რომელსაც არაერთი სიკეთე მოუტანია მსოფლიო ცივილიზაციისათვის, ენციკლოპედია შეუქმნა. რა უბრალოდ, ნყნარად, მშვიდად წარიმართა ეს უდიდესი მოღვაწეობა! სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ – ჭეშმარიტად ბრძენი, შორსმჭვრეტი ადამიანი – აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე წარმართავდა ამ უკეთილშობილეს ნამოწყებას.

დროის გადასახედიდან, როცა მხოლოდ განვლილი გზა უნდა განჭვრიტო, რაღაც მარტივად და ადვილად გადასაწყვეტი მოჩანს ყოველივე. ტიტანური შრომით და მოთმინებით, სიბრძნით (და არა მხოლოდ ამით) გადაილახებოდა დღეისათვის წარმოდგენილი დაბრკოლებები. მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეს მართლაც ბრძენი კაცი აღწევდა სასურველს, რადგან მისი მიზანი იყო უმაღლესი ვნება, ხოლო სამშობლოს სიყვარული, მისი სამსახური – ღვთიური დავალება.



გადის წლები და რჩება ის ადამიანური სიკეთე, რაც ბატონ ირაკლის ახასიათებდა – ადამიანური მოვალეობა, კაცის დანიშნულება. მის პოეზიას აკრთობს ასეთი ფიქრები: „თუ ყველაფერი არის სიზმარი, თუ ბინდისფერი არის ყოველი, მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი, რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?!“

პოეტის სივრცეში გამოკიდებული „მე“ თითქმის ყოველთვის მომავლისკენ იყურება – რა იქნება, რა მოხდება მომავალში? აქ თავს იჩენს წამიერი სისუსტის წუთები, რაც პოეზიის თვისებაცაა და მისი სილამაზეც.

კრებული „პალესტინა, პალესტინა!..“ ბედის საჩუქარია, უკვე ასაკოვან დაღმართით მიმავალ მწერალს გზად რომ წამოეჩნია, პოეტური სიმალღეები რომ დაელაშქრა. ვინ არ დანერა მადლიერი სიტყვა ამ წიგნზე, ვინ არ შესწირა პოეტს მადლობა და შეუქო სტრიქონი. რა საოცარი აღსარებაა, რა სინათლეა, ჰიმნია შეუდარებელი!.. „ხმა კატამონთან“ – ისარი, ჩვენი გრძნობისკენ ნასროლი, რა ფიქრი და რა განსჯა-პასუხი... „შენ ყოვლის მთქმელო, ყოვლის არმთქმელო“ – რა მიგნებაა, რა დანახვაა! ხმამალალი სიმღერაა, კვლავაც ვიმეორებ – შეუდარებელი!

ერისკაცისა და დიპლომატის შეზავება იშვიათი რამ არის და აქაც ირაკლი აბაშიძე გვევლინება პირველთა შორის. რუსთაველის დღეები, მისი დიდი დღესასწაული, დიდი მასშტაბით წარმოდგენილი – რაოდენი ბრწყინვალეობითა და შინაარსით შემოსა, დიდ ზეიმად აქცია ირაკლი აბაშიძემ და, ღვთის წყალობით, სათქმელიც ბევრი ჰქონდა; მრავალრიცხოვან სტუმარს სანახავიც ბევრი დახვდა, მათ შორის – უპირველესი მასპინძელი, ტკბილმოუბარი, კეთილი ღიმილისა და თბილი საღმის პატრონი – ბატონი ირაკლი. ის მშვენიერი დღეები დაუვიწყარია ყველა მონაწილისათვის.

სამშობლოს სიყვარულის ერთი დიდი ნაწილი წარსულშია, მეორე კი თანამედროვეა, თავისი ლანდშაფტით, ბუნებრივი ზონებით და ადამიანებით. ასეთ ადამიანებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ისინი, ვინც განვიმტკიცებს შენი ერის სიძლიერის რწმენას. ასეთი იყო და რჩება ჩემთვის ბატონი ირაკლი აბაშიძე. ბედნიერი ვარ, რომ მისი კეთილი, სიყვარულიანი ღიმილის არეში ხშირად მოხვედრილვარ.“



ასე გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება ირაკლი აბაშიძის მიმართ 1999 წელს დიდი პოეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში. მას შემდეგ განვლილმა წლებმა მეტად წარმოაჩინა ირაკლი აბაშიძის პიროვნება, მისი გამორჩეული როლი ქართული კულტურის ისტორიაში, პოეტური შემოქმედების ძალმოსილება, მრავალმხრივი მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა...

რა სასიხარულოა, რომ მოვესწარი დიდ ადამიანებს, ერის მარადიულ თანამგზავრებს... და ჩვენ არა მარტო მოვესწარი, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათთან პირადი ურთიერთობის პატივიც გვხვდა წილად! „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ (გალაკტიონი)

ეს წიგნი გამოიცა ქართული ეროვნული კულტურისა და სპორტის ქომაგის, მრავალი სასიკეთო წამოწყების მხარდამჭერის ვახტანგ ვეფხვაძის თანადგომით. 2021 წელს მკითხველმა მიიღო მშვენიერი წიგნი – „გიორგი (გოგლა) ლეონიძე“.

იმედია, როგორც ეს, ასევე მომავალში გამოცემული წიგნები გლობალიზაციის პირობებში ხელს შეუწყობს ახალგაზრდობაში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას!

ბიბლიური წინასწარმეტყველის - იერემიას სიტყვებით, „ყოველი მოღუწანე შემდგომად ღუანლისა გარდასლვისა გვირგვინოსან იქმნების“ (აღდგ. 114).

ასეთია ჩემთვის და მრავალთათვის ირაკლი აბაშიძე!

ვალერი ასათიანი


ემზარ კვიტაიშვილი

პოეტი, სამშობლოს ჭირისუფალი (ირაკლი აბაშიძის მცირე პორტრეტი)

ვიდრე ირაკლი აბაშიძის ლექსების ერთ, გამორჩეულ ნაწილზე ვიტყვოდე ჩემს შთაბეჭდილებებს, ალბათ, საჭირო იქნება, ამ მეტად მნიშვნელოვან და ბევრის მომსწრე პიროვნებაზე ორიოდ სიტყვა ითქვას. ეს სხვა კუთხიდან, სხვა მხრიდან დაგვანახებს მის უაღრესად თავისებურ შემოქმედებას. მწერლის ცხოვრების წესი, ხასიათი სისხლხორცეულად უკავშირდება ყველაფერს, რაც მან დანერა და შთამომავლობას დაუტოვა. ლექსების სათავე, ძირი, პირველწყარო ცხოვრებაა. დიდმა გოეთემ მოგონებათა მარადსახსოვარ წიგნს ტყუილად როდი უწოდა „პოეზია და ცხოვრება“. ადამიანი, შემოქმედი გარესამყაროს ადრეული ყრმობიდან აკვირდება და მერე ყოველივე, ნანახი და განცდილი, მხატვრულ ნააზრევში აისახება.


ყველამ ვიცოდით, რამდენად სასიამოვნო იყო ირაკლი აბაშიძის გვერდით ყოფნა და მისი ნაუბარის მოსმენა. მახსოვს, თამაზ ჩხენკელი აღფრთოვანებული ყვებოდა უფროს კოლეგაზე – ახლობელთა ოჯახში დიდებული თამაძობა გასწია, ყურადღება არავისთვის დაუკლია, ზღაპრული დრო გაგვატარებინაო. მერე, გვიან ღამით, თამაზი ხილიანის ქუჩაზე თავისი მანქანით მიუცილებია. გამომშვიდობებისას მის ცნობილ განდევილობაზე, ცოლ-შვილისგან განმარტოებულად ცხოვრებაზე მოხდენილად უხუმრია, რა ჭკვიანი კაცი ყოფილხარო. ესეც არ დამავიწყდება – ჩემმა უახლოესმა მეგობარმა და იშვიათი სიკეთის ადამიანმა, ამირან წეროძემ მითხრა – ნუხელ უფროსი თაობის ხალხთან ვიყავი. ყველაზე საპატივცემულო და მთავარი ირაკლი აბაშიძე იყო და მოგეხსენება, ასეთ სერობაზე რა სიხალისეც იქნებოდა. ბევრი რამე გაიხსენა, მაგრამ ერთის გამო ყველაზე მეტი ვიცინეთ...

პოეტის ახალგაზრდობისდროინდელი, ოცდაათიანი წლების ამბავია, რამდენადმე სკაბირებული, მაგრამ არც ისეთი, განსაკუთრებული უხერხულობა ვიგრძნოთ. ირაკლი აბაშიძე, როგორც ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე მწერალი, მოსკოვში, ლიტერატორთა საკავშირო შეკრებაზე მიუწვევიათ. ყველაფერს კარგად ჩაუვლია და კმაყოფილი დელეგატი სამშობლოსკენ მატარებლით გამომგზავრებულა. დედაქალაქის საპატიო სტუმარს, ადგილი პრესტიჟულ საერთაშორისო ვაგონში კი ჰქონია, მაგრამ სახარჯო თანხის მხრივ ვერ ყოფილა მთლად წელგამართული. ის ფული, ჯიბეში რომ ედო, ამხელა გზაზე, მხოლოდ ჩაისა და ფუნთუშებს თუ გასწვდებოდა. საგონებელში ჩავარდნილა, ვინ



მშობლები - ლიზა მოდებაძე და ბესარიონ აბაშიძე.

დაემგზავრებოდა, მეორე ვინ იქნებოდა. მისდა ბედად, ორმოცდაათი წლის მხარბეჭიანი, სასიამოვნო გარეგნობის რიხიანი ქართველი კაცი შემოსულა კუბეში. ჩემოდნები შემოუტანია და მოზრდილი ყუთიც ფანჯრის ახლოს დაუდგამს. გაუცნიათ ერთმანეთი. მივლინებიდან დაბრუნებული, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ყოფილა (ალბათ სახელსა და გვარსაც ეტყოდა ახლადგაცნობილს). გაუხსნია ყუთი და ამოულაგებია ბლომად სასმელ-საჭმელი: რამდენიმე ბოთლი ძვირფასი კონიაკი, შებოლილი ძეხვები, „ბუჟენინა“, შავი ხიზილალა, თევზეული



ძმები - ანდრო და ირაკლი აბაშიძეები.

და სხვა დელიკატესები. ყველაფერზე ეტყობოდა, პირის გემო იცოდა. მარტოკას რა მაჭმევს და შემასმევს ამას, თბილისამდე ქე გვეყოფა, მერე, თუ სურვილი გექნა, გავაგრძელოთო, გაცინებულს უთქვამს და ახალგაზრდა თანამგზავრი განწყობილ მაგიდასთან მიუპატიჟნია. გახარებული ირაკლი აბაშიძე უკეთეს მენეჯერს ვერ ინატრებდა და კიდევაც მოუღებინათ ქართველურად. სამასლაათოს რა დაუღევდათ

და მალევე შეჭიკჭიკებულან. იმ დროს და მერეც, კარგა ხანს, „მოსკოვ-თბილისის“ მატარებლის მომსახურეთა მთელი შემადგენლობა ქართველები იყვნენ და ერთი საათის შემდეგ ვაგონის გამცილებელს შემოუყვია თავი – თქვენი ბილეთები წარმოადგინეთო. ირაკლი აბაშიძის მასპინძელი, შეჟინჟილებული და ეშხში შესული, თურმე მორიგ სადღეგრძელოს ამბობდა და გული მოსვლია, სიტყვა როგორ შემანყვეტინაო. ცოტა არ იყოს, უკმეხად უთქვამს, აქედან დაიკარგეო, გამცილებელი ვირის დედასთან გაუგზავნია. ის, დაბლვერილი, მატარებლის უფროსთან გავარდნილა, შეურაცხყოფა მომაცენესო და წაუყვანია დამნაშავესთან. იმას მაშინვე უცვნია სახეზე მთლად უფროსი და ელდა სცემია, მოუბოდიშებია, გაუგებრობა მოხდაო (ხელქვეითს რა დღესაც დააყრიდა მოფარებულში, იოლი წარმოსადგენია). რკინიგზელთა შეფს გასცინებია, დალევა შეუთავაზებია ორივესთვის, მაგრამ დაზაფრულები რაღას მოკიდებდნენ ჭიქას ხელს. მერე მოპატიჟეს გამცილებლისთვის უთქვამს: ბიჭო, რა მიგარბენინებდა უფროსთან საჩივლელად, მე ისე გითხარი, თორემ ბრძანება კი არ გამომიცია, თუ არ გინდა, არავინ გაძალებს, ვირის დედას მიაჯექიო. ფაცხა-ფუცხით გაშორებიან იმ ვაგონს ორივენი.

თანამეინახეებს გაუგრძელებიათ ქარვისფერი კონიაკის წრუპვა და ბორბლების რბილ დაგა-დუგში, ნებიერ რწევაში, სიამტკბილობით ჩასულან თბილისში. იქ ერთმანეთს გულთბილად გამომშვიდობებინ. ჩანს, ჭაბუკ ირაკლი აბაშიძეს სასიამოვნოდ ჩარჩენია ხსოვნაში მადლიანი ორი თუ სამი დღის ურთიერთობა და ათეული წლების შემდეგ, ახლობელთა წრეში, ის კურიოზული შემთხვევა ცოცხლად მოიგონა.

ირაკლი აბაშიძესა და ჯანსუღ ჩარკვიანს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ჯანსუღი ხშირად ამბობდა – პირველი ლექსი „მნათობში“ მან გამომიქვეყნა, ამას ვერასოდეს დავივიწყებ და ისიც მახსოვს, რომ იგი და მამაჩემი მეგობრები იყვნენო. ირაკლი აბაშიძესთან სიახლოვემ, სხვადასხვა დროს, ჯანსუღს უსიამოვნებაც შეამთხვია. ვერ ავხსნი, ამით ვის რა უშავდებოდა. ქართველებისას, ხშირად, ვერაფერს გაიგებ.

ერთხელ „ცისკრის“ რედაქციაში გაღალბებულ გუნებაზე მოვიდა ჩვენი რედაქტორი. გუშინ, რამდენიმე კაცთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, თბილისის ზღვაზე ვიყავი და თქვენგან მოწონებული დრო გავატარეთო. ექსპრომტიც დაეწერა იმ სუფრაზე ნასიამოვნებს. მის კრებულებში თუ ტომეულებში დაბეჭდილი არ შემხვედრია, ორი სტრიქონი კი დამახსოვდა:

აბაშიძემ თამაში ქნა,
ჭიქა წააკინკლავა...

იმხანად ირაკლი აბაშიძე და დევი სტურუა დაუბრებულები იყვნენ და სუფრასთან მსხდომები შეეცადნენ, ირაკლი როგორმე გაემხიარულებინათ. ასეთი კვიმატი ხუმრობა მოუფიქრებიათ – შეჯიბრი გაუმართავთ, იმნაირი სიტყვები ეთქვათ, რომელშიც „დევი“ იქნებოდა ჩართული. ჯანსული ყვებოდა – „მე, გურამ გომართელმა (კოიამ) და ლორთქიამ ვინვალეთ და თითებზე ჩამოსათვლელი ამნაირი სიტყვები გავიხსენეთ: „თანამდევი“, „დასამწყდევი“, „ნაჭდევი“, „ნაძალადევი“...

ირაკლიმ გვისმინა, ეშმაკურად შეგვათვალიერა, ახლა მე მაცადეთო და თავისი ბორძიკა ენით ამოთქვა: „ენაზე ცხელი ღომი დევიდევი“. ერთი სიტყვით, ნამდვილი ხონური გაგვიკეთა.


ამის გაგონებაზე სიცხლისაგან კინალამ ძირს გავეფინეთ. ყველას ერთბაშად მოგვაკეტილა. მეტყველებაშეზღუდვით, „ენაზე ცხელი ღომის დადება“ რაღად უნდოდა. ამან ისეთი კომიკური სურათი დახატა, მაშინვე ხელები ავნიეთ, უმჯობესს ველარაფერს მოვიფიქრებდით. ქეიფი უფრო გახურდა“...

ირაკლი აბაშიძე და დევი სტურუა რამდენიმე წლის შემდეგ პერიგდნენ, დარწმუნდნენ – მათი დაპირისპირება ქვეყნისთვის საზიანო იყო. დევი სტურუას მდივნობის პერიოდში (ამან თითქმის ცხრა წელი გასტანა), ბევრი საქილიკო, თავშესაქცევი ხუმრობა დაიწერა ლექსად. პატარა ტანის პროზაიკოსს სოლომონ დემურხანაშვილს, ვითომ მისი მწერლური კარიერა და მომავალი ენაღლებოდათ, ორ სტრიქონში მოუთავეს ხელი:

იდუღ დევურ ხანაში,
რა გაზრდის დემურხანაშვილს?!

როცა დევის ეს ფუნაგორია მოუსმენია, გაცინებია, ხელები გაუშლია; მიხვდა, მთავარი სამიზნე თვითონ რომ იყო და უთქვამს – რას მერჩიან, დემურხანაშვილის ნიჭს მე რანაირად შევაფერხებდიო.

რამდენად მომხიბლავი და გონებამახვილი იყო ირაკლი აბაშიძე ახლო ურთიერთობის დროს, რამდენჯერმე მე თვითონ გამოვცადე. ჩემმა სიდედრმა, გიორგი ლეონიძის უმცროსმა დამ ნინო ლეონიძემ, მეტისმეტად მიამიტმა, გულუბრყვილო ადამიანმა, ომის დროს შეიბრალა და ერთ ოთახში მდგმურად დააყენა ცოლ-ქმარი. რამდენიმე წლის მერე იმ ცოლ-ქმარმა (მათ შვილი ეყოლათ), ის ოთახი და ნახევარი სამზარეულო წაართვეს ჩემს სიდედრს და სიმამრს, სახლმმართველობაში გაიფორმეს და არაფრით არ მოხერხდა იმათი იქედან გაყვანა. ეს ვერ შეძლო გიორგი ლეონიძემაც. მისი გარდაცვალების მერე (შევარდნაძე ახალი დამდგარი იყო ცეკას პირველ მდივნად) სიდედრმა მთხოვა, ამ საქმეში ირაკლი აბაშიძე ჩავრიოთ, გავლენიანი პიროვნებაა და უსათუოდ დაგ-



ირაკლი აბაშიძე

ვეხმარებაო. დავურეკე ბატონ ირაკლის და ვთხოვე, შეერჩია რომელიმე დღე, ჩვენთან ცოტა ხნით მობრძანებულიყო. მაშინვე დამითქვა, როდის შეეძლო მოსვლა და თადარიგი დავიჭირე, რათა საპატიო სტუმარს შესაფერისად დავზვედროდით. აქ ჩემმა ცხონებულმა სიდედრმა, მისთვისვე დამაბრკოლებელი უჭკუო საქციელი ჩაიდინა. ჩემთვის არაფერი უთქვამს, იმავე დროს მოინვია თავისი ამხანაგი, დედა უსათნოესი ადამიანის, ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორის,



ხონი. ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი.

პროფესორ ჯემალ ციციშვილის მეუღლის, ქეთინო შარაშენიძისა. ჩვენთან მოსულ დარბაისლური გარეგნობის საქმიან ქალბატონს, რომელიღაც კომბინატის ხელმძღვანელს, მსჯელობისას ვერ შევატყვე, რომ მთლად დაღაგებული იყო. აეხირებინა, თითქოს მამამისის დამსახურება – დივიზიის უფროსობა და სამოქალაქო ომის გმირობა მიითვისა ვასილ კიკვიძემ და ირაკლი აბაშიძეს ხანგრძლივი ხვეწნა დაუწყო, მამაჩემის ღვაწლი წარმომაჩენინე და სამართლიანობის აღდგენაში შემეშველეო. ბატონი ირაკლი ხელად მიხვდა ასეთი გულისგამანვრილებელი თხოვნის აბსურდულობას, არაფერი შეიმჩნია, მოთმინებით უსმინა მოულოდნელად გამოჩენილი მოსარჩელის ქაქანს (შეიძლება ილფისა და პეტროვის რომანის კურიოზული პასაჟიც გაახსენდა ლეიტენანტ შმიდტის ვითომდა „შვილებზე“), მერე ფრთხილად შეაპარა, რომ ყმანვილობისას ქუთაისში თავისი თვალით ჰყავდა ნანახი ვასილ კიკვიძე და იგი რეალური პიროვნება იყო. პოეტის მორიდებულ შეპასუხებას იმან ირონიული ღიმილი შეაგება და ახლიდან

გაახურა თავის აკვიატებულ სიგიჟეზე აგებული აბდაუბდა. ვაცალეთ, სანამ დაიღლებოდა და დავაიმედეთ, რომ ეს იდუმალებით მოცული ამბავი გაურკვეველი არ დარჩებოდა.

ჩემი სიდედრის სათხოვარმა, უნებურად, უკანა პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ ირაკლი აბაშიძემ, შექმნილი ვითარების გამო, ბოდიში მოუხადა ნინო ლეონიძეს, უთხრა – რამდენიმე წლის წინ ამ საქმეს მოევლებოდა, მაგრამ ახალი ხელისუფლება, კერძოდ, ედუარდ შევარდნაძე, მას ნაკლებ სწყალობდა, იმდენად აღარ უწევდა ანგარიშს. ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, რამდენიმე სადღეგრძელო დავლიეთ და ძვირფასი სტუმარი სახლამდე მივააცილე, ჩვენგან ათიოდე წუთის სავალზე ცხოვრობდა. გზაში, შენუხებისთვის ბოდიში მოვუხადე და მერე ვუთხარი – ბატონო ირაკლი, რომ იცოდეთ, დიდ ხათაბალას ბენვზე გადავრჩით!

სახეზე გაოცება გამოეხატა, შემომხედა, ასეთს რას გადავრჩითო, შემეკითხა. ვიცოდი, როგორი დახვეწილი იუმორის გრძნობა ჰქონდა. მეც ჩემებურად გავიხუმრე: ხომ შეიძლებოდა, იმ ქალბატონს ვასილ კიკვიძის მაგივრად, იგივე სტალინზე ეთქვა, მაშინ ხომ უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით-მეთქი. ამაზე ბევრი იცინა, მართალი ხარ, გადარჩენილი ვართო. გამოვემშვიდობე, ჯანმრთელობა ვუსურვე. მაშინ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა.

მისი ოჯახის სმირი სტუმარი არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა კი ვენწვие, გაუმასპინძლებლად არასოდეს გამოვუშვივარ. რომელ მწერალზე, ხანდაზმულზე თუ ახალგაზრდაზე რა აზრისა იყო, არ მაღავდა. მაშინ, ორმოცდაათს გადაშორებულს, მესამე შვილი, ვატო რომ შეეძინა, დაიჩივლა – ცოდვა დავიდე, ამის გაზრდას ვერ მოვესწრებო. დავამშვიდე, მშვენივრადაც მოესწრებით და ნახავთ, რა სასახელო ვაჟკაცი დადგება-მეთქი. ღმერთმა გისმინოსო, გაიღიმა. მართლაც, თავის ნაბოლარას განსაკუთრებულად ეალერსებოდა ბავშვობაში და მერეც, შეჭხაროდა მის ახოვანებას, საზრიანობას. საერთოდ, ბატონ ირაკლის შვილებში ნამდვილად გაუმართლა. უფროსი ვაჟი, ზურაბ აბაშიძე, მეტად წარმატებული, დიდად ნაკითხი, ნიჭიერი დიპლომატია. წლობით მუშაობდა ესპანეთში, საბჭოთა საელჩოში და იქ ჩასული არცერთი ქართველი უყურადღებოდ არ დაუტოვებია, ბევრი ვინმე ემადლიერება. ქალიშვილი, ირინე, მშობლის კვალს გაჰყვა და მზრუნველობას არ აკლებს ქართულ ენციკლოპედიას. ასე მგონია, დედისა და მამის საუკეთესო თვისებები მემკვიდრეობით ერგო. ყველა ქართველ მწერალს ვუსურვებდი, მისნაირი ქალიშვილი დარჩენოდეს. ირინესაც ისეთი ღირსეული მეუღლე შეხვდა, ჩვენი დიდად განათლებული ხელოვნებათმცოდნე და უსპეტაკესი ვაჟკაცი, გია

მარსაგიშვილი, უკეთესს ვერც ინატრებდა აბაშიძეების სახელ-
განთქმული ოჯახი. ბატონ ირაკლის იგი შვილებში არ გამოერჩეოდა.

ერთ-ერთ მისვლაზე ლექსების კრებული და წიგნად გამოცემული
სადისერტაციო ნაშრომი – „ვაჟა-ფშაველას რითმა“ მივუტანე. ორივე
გადაფურცლა, ჩაათვალიერა და დაურიდებლად მითხრა – რამდენადაც
შეძლებ, ლექსებს მიხედე და ასეთ რამეებს (გამოკვლევას დაადო თითი)
შეეშვი, მაგაზე დროს ნუ კარგავო. შეხვედრაც სხვანაირი, თავისებური
იცოდა, ნიკაპს ქვემოთ ამოგდებდა შუათანა თითს და გალიმებული
შეგეკითხებოდა, როგორ ხარო. ეს მისი მოფერება იყო და ალბათ ბევრს
გამოუცდია.

ის დღე კი სულ მეხსომება. ჩემი ტრაგიკულად დაღუპული უფროსი
ვაჟი, დათუნა, წიგნის, ლიტერატურის დიდად მოყვარული, მთარგმნე-
ლობითი კოლეგიიდან წამოსვლის მერე, უსამსახუროდ იყო დარჩენილი;
ვიფიქრე, მისთვის ყველაზე შესაფერი ენციკლოპედიაში მუშაობა
იქნებოდა. ჩემს უსაყვარლეს და უერთგულეს მეგობარს თამაზ
წივწივაძეს ვთხოვე (არ ყოფილა შემთხვევა, რაიმეზე უარი ეთქვა), ჩემი
ბიჭის გამო უნდა შევანუხო და ირაკლი აბაშიძესთან მარტო ნუ
გამიშვებ-მეთქი. მაშინვე დაურეკა (ძალიან დაახლოვებულები იყვნენ)
და შეუთანხმდა, რომ მასთან მისვლას ვაპირებდით. ხვალვე მოდით
ჩემთან სამსახურშიო, უთხრა. მისულებს, როგორც ჩვეოდა, გულგახ-
სნილად შეგვხვდა, საუბარი გაგვიბა. მოკლედ მოვახსენე ჩემი გასაჭირი
და წუთითაც არ შეყოყმანებულა (ზაფხული იდგა), დამაიმედა –
სექტემბერში შენი ბიჭი უსათუოდ ჩემთან იქნებაო. მერე დაამატა:
იცოდე, რომ შემახსენო, ნამეტანი მანყენინებო. თავისი ახალი წიგნი
გვაჩუქა ორივეს და თბილად გამოგვაცლია. ჩემი შვილის ჯანმრთელობა
მკვეთრად გაუარესდა იმხანად, თორემ ირაკლი აბაშიძე სიტყვას
არაფრით არ გატეხდა. ბლოკნოტში ჩანერილი ჰქონია, რომ მისთვის
აუცილებლად უნდა მიეხედნა. ცხოვრებაში უამრავი სამადლო საქმე
ჰქონდა გაკეთებული და არც მე დამზარდებოდა. შეუძლებელია,
ამგვარი სიტბო და ყურადღება ადამიანს დაავინყდეს.

* * *

პოეტს მეორე პოეტისგან, უპირატესად, ხმა განარჩევს, რაც ისევე,
როგორც თითის ანაბეჭდები, თანდაყოლილი და განუმეორებელია.
მერე და მერე, ამის სრულყოფა ანუ ოსტატობის დახვეწა ხდება, რასაც
ბოლო, საზღვარი არ გააჩნია.

ირაკლი აბაშიძის ლექსს წაკითხვისთანავე იცნობ, არავისაში არ
აგერევა და შეგეშლება. უხინჯოდ გამოკვეთილია მეტყველების მანერა,



სანდრო ეული, შალვა დადიანი, ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი;
დგანან: შალვა რადიანი, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი.

ინტონაცია, თუმცა აქაც ზომიერებაა საჭირო, ვინაიდან, დროთა განმავლობაში, შეიძლება გაჩნდეს დაშტამპვის, საკუთარი თავის გადამღერების საშიშროება. ამის გამო, განუწყვეტლივ უნდა ამდიდრებდე გამოსახვის საშუალებებს, ლექსიკას, რაც განახლების აუცილებელი პირობაა.

არ დავმაღავ, როგორღაც გული მეთანაღრებოდა, რომ ირაკლი აბაშიძემ საჭიროზე მეტი ხარკი გადაუხადა არცთუ სიამოვნებით გასახსენებელი ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქას, მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან, წარსულისა და მაშინდელი მოვლენების განსჯა იოლია. ისიც არ უნდა დავივიწყოთ – ორმოცდაათთან მიახლოების ჟამს და შემდგომშიც პოეტმა ბევრი რამ გადაიაზრა, გადააფასა, თვისობრივად გადაახალისა თავისი შემოქმედება.

გამოყენებულ, ნაცად ხერხთაგან, ყველაზე ხშირად განმეორებას მიმართავს და ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია ათმარცვლიან საზომში. განმეორებები უჩვეულოდ აჩქარებს, ძაბავს, რიტმს, სტრიქონთა მდინარება გაცილებით დინამიურია. გავიხსენებ ხანდაზმულობის ჟამს გამოქვეყნებულ ლექსს, სადაც ირაკლი აბაშიძე



1939 წ. ალექსანდრე საჯავია, ლადო ავალიანი, ანდრო თევზაძე; მეორე რიგი:
რევაზ მარგიანი, ლადო ბალიაური, ირაკლი აბაშიძე, მირზა გელოვანი.

ადამიანთა ცხოვრების საზრისს, სამშობლოს ესიტყვება და თითქოს
ებოდიშება, რომ ყველაფერი ერთბაშად არ მოიტანა მის წმინდა-
თანმინდა საკურთხეველზე:

შენ მთხოვდი ერთად,
შენ მთხოვდი ერთად –
მეც ჩემმა ბედმა არ გამანზილა;
მაგრამ მე შენთვის,
მაგრამ მე შენთან
მომქონდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილად.

მეორე, ფინალურ სტროფშიც, ფორმაშეცვლილად, გადაყოლილია
იგივე განმეორების ხერხი და ისიც გაცხადებულია, რომ პოეტი
ბოლომდე არ გახარჯულა, მისი ძალ-ღონე, სულიერი ენერგია არ
დაშრეტილა, კვლავ მზად არის, მამულიშვილური ვალი გადაიხადოს:

შენ მხოლოდ ერთად,
შენ მხოლოდ ერთად –

არ გნამდა ჩემგან ნაწილ-ნაწილი...

მაცოცხლე შენთვის,

მამყოფე შენთან,

მე კიდევ დამრჩა შემოსანირი.

ეს რომ უნიადაგო, ფუჭი დაპირება არ ყოფილა, ამის შემდგომ განვლილმა წლებმაც დაგვარწმუნა და ისიც თვალნათლივ დავინახეთ – გულსავსე, ჭეშმარიტ შემოქმედს არასოდეს გამოელევა სათქმელი, რასაც ზღვარდაუდებელი სამყარო, ამქვეყნიური, სასწაულებრივი სილამაზე შთააგონებს.

ირაკლი აბაშიძე, თავისი ბუნებიდან და მოზღვავებული ტემპერამენტიდან გამომდინარე, არც საკუთარი მრწამსის ღიად, პირუთვნელად გამოხატვას ერიდებოდა. მინდა მისი საუკეთესო უსათაუროდან, რომელსაც ეპიგრაფად უზის ნიკოლოზ ბარათაშვილის წყაროსთვლივით კამკამა სტრიქონი („მშვენიერება ნათელია ციდან მოსული“) პირველი და ბოლო სტროფი მოვიხმო. წარმოუდგენელია, ადამიანმა მხოლოდ ლხინში განლიო ცხოვრების გზა და ტკივილი, მწუხარებანი არ იწვნო. სწორედ ამაზეა აშკარა მინიშნება პირველსავე სტრიქონებში და მერეც ნათქვამია, რომ ასეთად ყოფნას ვერავინ დააყვედრებს:

ვინ რას დამძრახავს,

დღეც არ გასულა,

მე არ მესუნთქოს მიწის სურნელით,

მე ვიყავ ქვეყნით სავსე, კაცურად,

ხან უამურით, ხან სასურველით.

იქვე გაცხადებულია, რომ არასოდეს გარიდება „ქვეყნის ხმაურს“ და „ხმა მიწიერი“ გულიდან არ განუშორებია. თუმცა არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ ორმოცდაათს გადაშორების მერე, ბუნებრივად მოეძალა განმარტოებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების სურვილი. სწორედ ეს არის დაუფარავად გამჟღავნებული ლექსის დასკვნით, ფინალურ სტროფში:

მაგრამ მსურს მოვკვდე, როგორც მთის კაცი

და სამარის წინ ვთქვა გატეხილად:

რომ ზოგჯერ

ჩემთვის გახსნილ ცისკარში

მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა.

ამ გულახდილობისთვის ზოგიერთებმა დაძრახეს იგი, ღმერთის ხსენება დააყვედრეს. აქ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო. როცა ეს ლექსი გამოქვეყნდა, ირაკლი აბაშიძე და ცეკას იდეოლოგიის მდივანი, ძალზე განათლებული და ბუნებით კეთილი პიროვნება, როგორც ზემოთ ვთქვი,

რალაც მიზეზთა გამო, წაკიდებულები იყვნენ. დევი სტურუასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა. მისი სიდედრი ანიკო ქორიძე და მამაჩემი სტუდენტობის დროიდან მეგობრობდნენ. ქალბატონი ანიკო და მისი ქალიშვილი მაყვალა ილურიძე მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენი ოჯახისადმი. დევის, როცა მასთან ვიმყოფებოდი, ხაზგასმული ჰქონდა ბოლო სტრიქონები და უკმაყოფილოდ ამბობდა, ირაკლი აბაშიძეს ღმერთის ძიება დაუწყიაო. მარქსისტული მოძღვრება მთლიანად ღმერთის წინააღმდეგ არის მიმართული და ცეკას მდივანიც ამ ხაზის გამტარებელი იყო. მე მაშინ ვუთხარი, რომ ეს მეტაფორულად არის ნათქვამი და საერთოდ, პოეტისგან ღმერთის ხსენება ჩვეულებრივი ამბავია.

ისედაც მგონია, რომ ამდენი სასწაულის შემყურე, პოეტი ათეისტი არ უნდა იყოს. მახსოვს, როგორ მეხამუშა, როცა ოთარ ჭილაძის მეტად ძლიერ, „გილგამეშის“ ეპოსის მოტივზე დაწერილ პოემაში – „თიხის სამი ფირფიტა“ – წავიკითხე რამდენადმე მკრეხელური სტროფი, ფინალურ სტრიქონებს რომ უსწრებს:

არც მონყალება და არც საშველი
არ ღირსებია ციდან არავის
და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე,
ან ვისთან რა გაქვს დასამალავი.

სწორედ „ციდან მოსული“ ზეგარდმო ნიჭის წყალობაა, რამაც ჩემს გარდაცვლილ მეგობარს, ოთარ ჭილაძეს, ვისთვისაც სიყვარული და ყურადღება სიცოცხლეშიც არ დამიკლია, ასეთი ღრმა ადამიანური ვნებებით აღსავსე, მრავალმხრივ მიმზიდველი პოემა დააწერინა. ოთარ ჭილაძისთანა დიდ შემოქმედს არ მართებდა და არც შეშვენოდა ცისადმი უმადურების გამოთქმა. ეს ღვთის გმობას წააგავს. ყოველ ქართველს და, მით უფრო, პოეტს, მუდამ უნდა ახსოვდეს რუსთაველის ბაგეთაგან ლოცვად, სასოებით ამოთქმული სამადლობელი: „მშობლიური, ტკბილი, მონყალე ცა, წყალობისა მთოველი“.

შთაგონების სიმბოლოდ შერაცხილ ღვთაებაზე, ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, იმდენია დაწერილი, რომ მის ხსენებას უკვე ტრივიალობის იერი დაჰკრავს, მოყირჩების საშიშროება ემუქრება. მაგრამ ირაკლი აბაშიძემ საკვირველი სითამამე გამოიჩინა და მას საუკუნეთა ჟანგი ჩამოაცილა, პირველქმნილი ელვარება დაუბრუნა, გაფერა. გუმანმაც არ უღალატა, სათქმელის გამოსაკვეთად პასუხის გაუცემელი შეკითხვის ინტონაციები ირჩია და ისეთ მარჯვე ეპითეტს მიაგნო, ყველაფერი გადაანათა. წინასწარ რაიმეს თქმას აჯობებს, წინა ორი სტროფი მოვიტანო:

მაშ, შენ ხარ მუზა?



ქართველ მწერალთა ჯგუფი

შენ – ცისკრის ბავშვი?

შაბაშ, შენს ღონეს,

შენს ძალას ვაშა!

მაშ, შენ მენყრავდი

ყველა გზას ფშავში,

რომ ზედ ბუხართან დაგება ვაჟა?

მაშ, შენ ჰქარგავდი

ხვატით და ყინვით,

ფიქრით და ცრემლით

იმ ჩარგლურ ხურჯინს?

შენ, შენ ავსებდი

სარდაფებს ღვინით,

რომ სულ ფიროსმანს

დაეშრო ფუნჯით?

ულამაზესმა და უზუსტესმა ეპითეტმა შვა იშვიათი სიძლიერის
მეტაფორა; ძნელია, იმაზე მოხდენილად შეამკო მუზა, ვიდრე არის
„ცისკრის ბავშვი“. ირაკლი აბაშიძეს, ცხადია, ახსოვდა ზვარაკად



1934 წ. მოსკოვი. ქართველი მწერლები საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობის მონაწილეთა შორის.

მიზანში ამოღებული ციტიან ტაბიძის წინასწარმეტყველური ლექსი, ჯალათებისგან მისაკლავებულ რუს ძმადნაფიცს, სერგეი ესენინს რომ დაადევნა. მუზებთან იქაც ცისკარია ნახსენები (ის უარსებითესი სტროფი ზოგიერთ საბჭოურ გამოცემაში ამოღებული იყო) და, ამდენად, ხაზი ესმება ერთნაირი ტკივილებით ნანამები პოეტების სულიერ ნათესაობას:

არ გამოცვლილა ხომ პოეზია,
მუზები ცისკრის კარებს ალებენ,
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძალღებენ.

უსაფლავოდ დარჩენილი ტიციან ტაბიძის მხარდამხარ დაღუპული, ჟაკანის ტყვიით ტვინაფეთქებული (გერონტი ქიქოძის გამოთქმავა) პაოლო იაშვილიც ლექსს დაბადებას ალიონს უკავშირებდა: „...მოსკდება კარს განთიადი“. გავიხსენოთ, როგორ იწყება ტრაგიკული ჟღერადობით დატენილი მისი შედეგური – „პოეზია“:

გაგიჟება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები...

ვინ დააცადა მენამული მნათობის შემართულად დახვედრა –

მწერალთა სასახლის კედლებს, სისხლთან ერთად, შეენთხა პოეტის „ტვინი, დასაქცევი ტვინი ვერანი“. აღნუსხვაც გვიჭირს, რამდენ ძვირფას პიროვნებას, რამდენ ჭაშმარიტ შემოქმედს დაუბნელდა მზე იმ ავადმოსაგონარ წლებში.

შემთხვევითი არ იყო, რომ ადრე ნახსენებ ლექსში ირაკლი აბაშიძემ მუზისგან დატყვევებულთა შორის „ბახტრიონის დევი“, ვაჟა-ფშაველა გამოაცალკევა და მას გენიალური მხატვარი, ფერთა განსაცვიფრებლად შემგრძნობი, ფიროსმანი დაუნყვილა. შემდგომ წარმოჩენილია უცხო მიწაზე გადახვეწილი და განჯაში ჯვარცმული ბარათაშვილი. პოეტს ეეჭვება, სიკვდილი კეტავდეს ყველაფერს და ეჩვენება, რომ გარდასულთა სულები აჩრდილთა საუფლოშიც განაგრძობენ შფოთვას. მისი წრიალი მხურვალე ვედრებით მთავრდება:

ვაჰ, თუ შავს მინას
არყევენ დღესაც
ვაჰ, თუ იქ თრთიან
ქვესკნელის ბჭენი;
თუ ეს გაქვს წესად,
თუ ეს გაქვს სჯულად,
მაშ, შემინყალე დღეს მონა შენი!

სიცოცხლის რა დაუცხრომელი ჟინი სძრავდა ირაკლი აბაშიძეს, მაგრამ ლამობდა, თავისი არსებობა და ხელი დაემჩნია ყველაფრისათვის, რაც ირგვლივ იყო, ეს მისი შემოქმედების თითქმის ყოველ მონაკვეთში ჩანს. ვიდრე ძალა ერჩოდა, ჩვეული ხალისით არ განელებია. განსაკუთრებული სიმძაფრით ამან მოზრდილ, ახლო მეგობრისადმი მიძღვნილ ლექსში იჩინა თავი. ავტორის მთელი სულისკვეთება პირველსავე სტროფში ამოიცნობა:

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა წამელო ყველა სიამე,
ყველა სიმწიფის მენახა გემო...
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო.

უამრავი რამეა ჩამოთვლილი, რაც არ ეთმობა და რისგანაც უზომოდ მოხიბლულია ამ ლექსის დამწერი. იგონებს ლამაზი აზრების ალერსს, საინგილოს ტყეებში ნადირობას, სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებს, წელიწადის დროთა ფერადოვნებას, თავის მხარგამლილობას („ყველა ვაჟკაცი მეგობრად მსურდა...“), მაგრამ თან ისიც იცის – სამზეოდან ვერაფერს წაიღებს, სიცოცხლით ტკბობას და თრობას, ამდენ სიამეს წერტილი დაესმება.

მოხდა ისე, რომ ეს ალაღად ნათქვამი აღსარება ერთმა ცუდად გადაკიდებულმა, მომდევნო თაობის პოეტმა სიხარბედ, გაუმაძღრობად ჩაუთვალა და ღვარძლიანი პაროდია ცამოაქვეყნა აღნიშნულ ლექსზე. არ გახლდათ მოსაწონი საქციელი, მაგრამ ასეთი რამეები, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია მწერალთა წრეებში.

პოეტის უმთავრესი მიზანი, საზრუნავი წუთისოფლის წარმავლობასთან შეურიგებელი ბრძოლაა და ეს ირაკლი აბაშიძეს არავისგან ესწავლებოდა. მის ლექსთა შორის ძვირფასი თვალივით ბრწყინავს შთაგონების ცეცხლით ანთებული „მცხეთა“, რომელიც რწმენას გვინერგავს, რათა ხილული მშვენიერებანი წამიერ ჩვენებებად, ეფემერულ მოლანდებებად არ ჩავთვალოთ. აქაც მომარჯვებულია შეკითხვის ინტონაციები, რაც ავტორის მეტყველებას ლაზათსა და დამაჯერებლობას მატებს:

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი, მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი.

ხუროთმოძღვრულ შედევერთა, არმაზის სარკოფაგთა, დიდებულ ნანგრევთა გვერდით დასახელებულია ჩვენი ძველი ოსტატების მიერ ნაირგვარად მოოჭვილი თასები და სხვა ხელთუქმნელი ნაკეთობანი, რითაც მთელ მსოფლიოში შეგვიძლია მოვინწონოთ თავი. ამ ფასდაუდებელ სიმდიდრეთა შემხედვარე, ამაყად აცხადებს:

და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს,
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,
რომ არც სიზმარი არის ყოველი.

ბევრმა იცოდა, რა მტკივნეულად განიცადა ირაკლი აბაშიძემ ესოდენ ძვირფასი და საყვარელი პაოლო იაშვილის (იგი ნათესავადაც ერგებოდა) დაღუპვა. ოც წელიწადს ატარა მოუშუშებელი იარა და გულის მწარე მდულარება ბოლოს ერთ, მოცულობითაც და მნიშვნელობითაც დიდ ლექსად გადმოიღვარა. მეტყველება თითქოს დინჯია, აწონილ-დანონილი, მაგრამ ალაგ-ალაგ მჟღავნდება ძლივს შეკავებული შინაგანი ღელვა. ესაა წერილის ფორმით მოფიქრებული გასაუბრება უფროსი მეგობრის მწუხარე აჩრდილთან. მისი ნატანჯი სულის გამოხმობა, ერთგან შეფარული საყვედურის კილოთია ნათქვამი:



გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე.

„შენ არ შეგეძლო და არც იყავ წინდახედული“. ყველაფერს მაინც პირველი სტროფი განსაზღვრავს, სათავეს უდებს წლობით დაგროვილი სათქმელის მდინარებას:

მსურდა ეს ხსოვნაც,
 ძველი დარდის ერთი ფურცელიც,
 უხმოდ წამელო,
 როგორც ვაჟკაცს მოეთხოვება,
 მაგრამ დავნებდი, –
 სათქმელს ძველების ვერ გავუძელი...
 ძნელი ყოფილა
 ორმოცდაათს მიახლოება.

ისინი სიტყვის უთქმელად, თვალთა გამომეტყველებითაც გაუგებდნენ ერთმანეთს და ამიტომაცაა, ირაკლი აბაშიძე ზოგჯერ მინიშნებებს ჯერდებოდა, მაგრამ იმ უმთავრეს ბოროტებაზე ახდილად, მოიარების გარეშე ამბობს. ერთ სტროფს კიდევ მოვიხმობ, რომლის ბოლო კარგა ხანია ფრთიან გამოთქმად იქცა და ჩვენი ხალხი ხშირად იმეორებს:



ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ ბერიძე.

ძველ სამშობლოზე შენ შეგეძლო
ლოცვით გელოცა,
ახალ მამულშიც
ვერცხლზე არა გაგიცვლია რა;
შენ,
შენ დაეცი იმ წელს,
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრიალა...

პაოლო იაშვილს განკერძოებულად ვერ დატოვებდა ირაკლი აბაშიძე
და მისი ტყუპისცალი, მასავით უღვთოდ გამეტებული ციტიან ტაბიძე
ამოუყენა გვერდით, ორიოდ შტრიხით სიზმრად მოლანდებულის
ცოცხალი პორტრეტი დახატა, სიცილისგან ათახთახებული მკერდითა
და წიგნების სამყაროთი; ოპერის ბალთან მისი ჩავლა აღუდგა თვალწინ.
ძნელი წარმოსადგენი არ არის, რაოდენ ტკივილს მიაყენებდა ეს
ზმანება, რომელიც, ეტყობა, ხშირად მეორდებოდა, თავს ახსენებდა
ახალ, წარსულიდან დიდად დაშორებულ დროში:

სიზმარში წუხელ
კვლავ ტიციანი –

ის ზამთრის კეპკა,
პალტო რეგლანი...
სიზმარი, როგორც ფერთა ციალი,
ნაბიჯით შემკრთალ ტელეეკრანის.

ასევე დაიტირა ორივენი წყნეთური ღამის მდუმარებაში გიორგი
ლეონიძემაც, გულმოკლულმა და თვალცრემლიანმა. სულისშემ-
ძვრელად მოეფერა იმათ აჩრდილებს:

უძოზე ისევ მღერის ბუღბული,
ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე...
თქვენ კი სადა ხართ გადაბუგულნი,
გადაფერფლილნი, ძმებო, ხმა გამეთ!

...

ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი
და რად ვანვეთებ მე პურზე ღვინოს,
ჰეი, ტიცვიან! სად ხარ მდუმარი,
ჰეი, პაოლო! რად ხარ ულხინოდ!

ახლა თვით პაოლო იაშვილის ალერსიან ხმას დავუგდოთ ყური,
მუხამბაზის კილოთი, როგორ სთავაზობს ძმობას იგი პოეზიის ასპა-
რეზზე გამოსასვლელად შედერებულ გიორგი ლეონიძეს, ვისაც მაშინ
თავი ლომის ბოკვერად ჰქონდა წარმოდგენილი და არც ცდებოდა (თვით
გვარი მეტყველებდა, რომ ლომის ძე იყო) და ვისი ნიჭის სიუხვე, კეთილი
ბუნება ცისფერყანწელთაგან პირველმა განჭვრიტა:

შენი ლექსი ნითელ ძროხის ჯოგია,
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული – აღდგომის ელოგია.
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა;

...

მოდ, ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,
ნინოს ხატი ჭრილობებით გამხდარი,
ვნახოთ მხარე, ერეკლეს ნატახტარი,
ძველი მადლი, ახალი უღმერთობა.

ბოლო სტრიქონი აშკარად მიგვახვედრებს, რომ დროება სავალა-
ლოდაა შეცვლილი, „ძველი მადლი“ აქა-იქ არის შემორჩენილი და
ურცხვად ფერს იკიდებს „ახალი უღმერთობა“, რამაც შემდგომ, ათეული
წლების განმავლობაში რაც დაგვმართა, იმას დღემდე ვიმკით, ზნეობის
უკიდურესმა დაცემამ, ღირსების გათელვამ, ურწმუნოებამ ერი
გადააგვარა.

ყველას გვახსოვს, როგორი დაჟინებითა და გატაცებით ეძებდა
ირაკლი აბაშიძე მთელ ქვეყნიერებაზე „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის

ნასიარულევს. საუკეთესო ციკლიც დანერა – „რუსთაველის ნაკვალევზე“, მოინახულა „არაბეთის ზღვის“ ნაპირები. „ცხელ ინდოეთის“ სტუმრობა განსაკუთრებულად ჩარჩა გულში და მოჰადოებელი, საკვირველებათა მხილველი სხვადასხვა ადგილას იმეორებდა: „არ იქნება, არ ენახოს რუსთაველს“. სიყვარულით შეჰყურებდა ჩვენს მამულში ნამყოფ, დანაბუდარ, ამბავთა წამლებ-წამომლებ, იმხანად კი ინდოეთის ცის ქვეშ მოფრიალე და მოჟღერტულე თეთრმკერდიან მერცხლებს, მშვენიერი ლექსიც დანერა მათზე:

ამ ზღაპრულ მხარის, ამ საოცრების
მე ვერ ავხსენი ერთი მეცხრედიც,
მხოლოდ მესმოდა ენა ფრთოსნების,
ჩვენი მერცხლების,
ჩვენი მერცხლების.

ინდოეთში მყოფს, დაუოკებლად მოუნდა, მთელი არსებით მოალერსებოდა დროებით დაშორებულ სამშობლოს და ეს არის ყველაზე მძაფრი და მგრძნობიარე, სიყვარულით ანთებული სტრიქონები რაც მას, მერიდიანებზე გადაუნვდენელ, „ორ ზღვას შუა“ მოქცეული საქართველოსთვის მიუძღვნია:

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა.

დარჩა ერთადერთი ადგილი, მაცხოვრის საფლავის შემნახველი, წმინდა ქალაქი იერუსალიმი, სადაც გადმოცემის თანახმად, შეიძლებაოდა რუსთაველი ჩასულიყო და იქვე აღსრულებულიყო. ამ ვარაუდს ზურგს უმაგრებდა მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწის, თეიმურაზ მეორისა და მისი ვაჟის, ერეკლე მეორის თანამედროვის, მღვდელ ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობათა წიგნი „მიმოსვლანი“. ტიმოთე გაბაშვილმა 1757-1758 წლებში მოიარა ათონის მთა, ხოლო მერე ჩავიდა იერუსალიმში, სადაც მოინახულა ჯვარის მონასტერი, რომელიც იმხანად ქართველებს აღარ ეკუთვნოდათ. „მიმოსვლანი“ (ელენე მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 80) გვაუწყებს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვევითა სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცეს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“. ისიც ცნობილია, რომ ნახატი ზეთის მწვანე საღებავით იყო დაფარული.

1960 წელს თბილისიდან იერუსალიმში სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრნენ აკადემიკოსები – აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძე. 20 ნოემბერს იქაურმა სასულიერო პირებმა ჩასულ



დელი. ინდირა განდი ირაკლი აბაშიძეს გადასცემს ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიას.

სტუმრებს დაათვალიერებინეს ჯვარის მონასტერი. მსოფლიოში ცნობილმა არაბისტმა, სემიტოლოგმა გიორგი წერეთელმა გამოიყენა საზღვარგარეთელ მეცნიერებთან თავისი უფართოესი კავშირები. გაიწმინდა და გამოანათა დიდი ხნით მიჩქმალულმა სანუკვარმა ფრესკამ. მოიწვიეს გამოჩენილი ფოტოხელოვანი (მას ეკუთვნის მსოფლიოს უდიდესი ადამიანების ფოტოპორტრეტები) ალფრედ ბერნჰაიმი, ვინაც გადაიღო სურათები, კედლის მოხატულობა. ფრესკაზე ეკლესიის უდიდეს მამებს, იოანე დამასკელსა და მაქსიმე აღმსაარებელს შორის, მავედრებელის პოზაში გამოსახულია მოხუცებული შოთა რუსთაველი (გავიხსენოთ გურამიშვილის ავტოპორტრეტი). მას ბაგრატიონთა ტანსაცმელს მიმსგავსებული, მენამული საერო სამოსელი აცვია. ამ ამბავმა, რომელშიც, სხვა სწავლულებთან ერთად, ჩართული იყო ებრაულ-ქართულ ურთიერთობათა მკვლევარი, ცნობილი ისტორიკოსი ხაიმ ვარდი, ყველგან დიდი გამოძახილი ჰპოვა და საქართველოდან წარგზავნილი სამეული სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნდა. ამან მძლავრი ბიძგი მისცა ახლო მომავალში ჩასატარებელი რუსთაველის დაბადების რვაასი წლის გრანდიოზულ იუბილეს, რომლის თავკაცობაც განსაცვიფრებელი შემართებით გასწია ირაკლი აბაშიძემ.




ირაკლი აბაშიძე, ბელა ახმადულინა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მსგავსი რამ, თუნდაც ოცდამეერთე საუკუნეში, ვინმემ შეძლოს.

ფრიად დასანანიია, რომ 2005 წელს ფანატიკოსმა, ჭკუიდან გადასულმა ბერძენმა ბერებმა რუსთაველის გამოსახულება ჯვარის მონასტერში წერაქვით დაჯილნეს, დაამახინჯეს, უპატიებელი მკრეხელობა ჩაიდინეს, რამაც მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია. ბერძენი სამღვდელოების ერთი, ტვინდაბნელებული ნაწილი ადრეულ საუკუნეებში შემჩნეული იყო ვერაგულ საქციელსა და სიბოროტეში ქართველების მიმართ და ეს არ ეკადრებოდა ისეთი უდიდესი კულტურული წარსულის მქონე ქვეყანას, როგორიც საბერძნეთია. რუსთაველის ფრესკა მაშინვე, დაუყოვნებლივ აღადგინეს, მაგრამ საეჭვოა, პირვანდელი იერი დაბრუნებოდა.

არ არის ძნელი წარმოსადგენი, რაოდენი მღელვარება შეიპყრობდა სუნთქვაშეკრულ ირაკლი აბაშიძეს, ჯვარის მონასტრის კედლებისა და იმ ლეგენდად გადაქცეული ფრესკის შემყურეს. არ შეგვიძლია არ ვერწმუნოთ, რომ მან მართლა გაიგონა საუკუნეთა სიღრმიდან დაძრული რუსთაველის ხმა და ეს მთელი ძალით აირეკლა მისი ლექსების საუკეთესო ციკლში – „პალესტინა, პალესტინა“ (განმეორების ჩვეულ ხერხს არც სათაურში უღალატა).

ამ ამბავიწმინდა რეალის მხოლოდ რამდენიმე ლექსს მინდა შევეხო,



კარლო კალაძე, ლადო ასათიანის მეუღლე - ანიკო ვაჩნაძე, ირაკლი აბაშიძე.

მაგრამ ვეცდები, მთავარი ნერვი დავიჭირო. თავიდანვე შეხმიანებაა გენიალური წინაპრის უკვდავ სულთან; დაბეჯითებით არის გაცხადებული, რომ იერუსალიმის ქართულ მონასტერში დამთავრდა მისი მინიერი ცხოვრების გზა. ყოველ სტრიქონში ფეთქავს ის თრთოლვა, იდუმალებასთან მიახლება, დაუჯერებლის ხილვა რომ ბადებს:

შენ აქ ხარ,
 აქ ხარ...
 მონასტრის კარებს –
 ათას წლის ლოცვებს,
 ლაღადისს,
 ქარებს
 ძაგძაგით, უხმოდ შევახეთ ხელი...
 გალავნის უკან
 ჯახანი ხმელი,
 გალავნის უკან
 ათასწლის ზარი –
 და ჩვენს წინ
 მძიმედ გაიღო კარი
 მონასტრის – არა,
 კლდეკარის ხვრელი.

ის, ვის ნათელ ნაკვალევსაც პოეტი წლების მანძილზე გაფაცი-
 ცებული დაეძებდა, თქმა არ უნდა, ყველაზე მეტად თავს მამულს
 ანაცვალებდა, რადგან მის გარეშე ყველაფერს, თვით მოპოვებულ

უკვდავებასაც, აზრი ეკარგება, ცაში გამოკიდული რჩება. თავისი ვეება, მზიური ნიჭი ერთ მიზანს მოახმარა – მშობელი ქვეყანა საუკუნეებში გაბრწყინებულიყო და ზეთისხილის გაუხუნარ ბაღში მოსმენილი ხმაც რუსთაველისა ამ ჭეშმარიტების მაუნყებელია:

ო, პალესტინავ,
პალესტინავ!
ყოვლის მომცველის
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენის
სიტყვის ცხოვლისა,
მაგრამ უადრეს,
უნინარეს,
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი.

მონასტრის სამრეკლოდან, საკრალური ადგილიდან გადმომდგარ-საც არ ასვენებს შორს დარჩენილ სამშობლოზე წუხილი. მან იცის, რჯულის დაკარგვა რასაც უქადის ქრისტეს მოძღვრების მიმდევარ ერს; სინათლისკენ, დასავლეთისკენ, დიდი ევროპული კულტურისკენ მისწრაფებას გზა დაეხშობა და ეს კიდევაც მოხდა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როცა თურქ-სელჯუკების შემოსევამ მოგვწყვიტა ელინურ სამყაროს, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ირგვლივ სიბნელემ დაისადგურა. ამიტომ შეჰღალადებს უზენაესს სამშობლოდან გადა-ხვენილი, რომ „პონტოს კარები“, რითაც ჩვენი ქვეყანა ათენსა და იერუსალიმს, სიბრძნის უმთავრეს კერებს უკავშირდებოდა და იქ თავისი ღირსეული წვლილიც შეჰქონდა (ამას განსაკუთრებულად უწყობდა ხელს ქართული ეკლესია-მონასტრები) ღიად დარჩენილიყო:

აკმარე ჭირი,
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი;
აშორე ცრემლი,
უსჯულობა,
წარღვნა, ქარაფი;
შენ გვედრები
შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტოს კარები.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე; სხედან: სანდრო შანშიაშვილი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე; დგანან: დავით სულთანიშვილი, იოსებ ტატიშვილი.

„ვეფხისტყაოსანი“, მსოფლიო პოეზიის უდიდესი ქმნილებათაგანი, თამარ მეფის საქებრად დაიწერა და შეუძლებელი იყო, ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონოლოგი „მეოთხე ჰიპოსტასად“ შერაცხილ დედოფალს არ დათმობოდა. საქართველოს არსებობის ოქროს ხანა და რუსთაველის სწორუპოვარი ნიჭის ამონათება სწორედ მის სახელთან არის გადანული. ციკლის ეს ნაკვეთი მთლიანად ღვთიური სიყვარულით არის გაწვრთნილი, რის სანაცვლოდაც უმადურმა თვისტომებმა სიმწარე



ნიკო მუსხელიშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი.


აგემეს, თვით პოეტს უღმერთობა დასწამეს. ამის წარმოსათქმელად ჯვარის მონასტერის თეთრი სენაკია შერჩეული. აქ რუსთაველმა უკვე იცის თამარის აღსრულება და მისი საფლავის გაუჩინარება; საკუთარ თავსაც ასეთივე ხვედრის მომლოდინედ წარმოგვიდგენს; ჩვენს ყურთასმენას სწვდება მისი ხელით შემოკრული ზარის გუგუნი:

დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
მოვკვდები, თამარ!
დე, გზამ იაროს
დე, თაობას
მოჰყვეს თაობა;
დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
გავქრები, თამარ!
საფლავიც ჩემი
იყოს ჩემი
უსაფლავობა.
თამარ გოდებავ
უნაპირო და უსასრულო,
თამარ ღვთაებავ,
თამარ მზეო,
მზეო ჩასულო!

საყოველთაოდ აღიარებულია და ამაზე არავინ დავობს, რომ „ხმა კატამონთან“ – ქებათა ქება ქართული ენისა – პალესტინური ციკლის უძლიერესი ამოფრქვევაა. მისი დაწერისას ავტორის წარმოსახვაში უთუოდ ჟღერდა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის მავედრებელი სტრიქონი: „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“. ზეშთაგონებამ მასაც მისცა „ძალი და შენევნა“, მძიმე ტვირთი აენია. გიორგი ლეონიძესა და ლადო ასათიანთან ერთად, ქართულ პოეზიაში ძნელად მოძებნით ვინმეს, ქართული ენის სადიდებლად ასეთი ჰიმნი აღევლინოს. აქ შეხვდებით საუკუნეებში გამოვლილი და გამოცდილი ხალხური სიბრძნის ანარეკლს, მასთან ნაზიარებ გონიერებას („შენ, ყოვლისმთქმელო, ყოვლის არმთქმელო...“), მაგრამ არის ერთი ცეცხლად დანთებული ადგილი, ამ ღვთიური განძის შეუმუსრაობაზე, უძლეველობაზე, რამაც შეუძლებელია ქართველ კაცს ასეთივე ერყვევი რწმენა არ ჩაუწერგოს:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა, ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

აქ უნდა დავიმონმო ჩვენი საუკეთესო ლექსმცოდნის თიმურაზ დოიაშვილის უღრმესი და უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა „ვარდი ნანვიმარ სილაში“, სადაც ყოველმხრივ არის განხილული გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლისტური შედევრი, „საუკუნის რითმის“ შემცველი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, დაძებნილია ყველა ძირითადი წყარო, რამაც ბიძგი მისცა მის დაწერას. ამჯერად ჩემთვის უფრო საყურადღებო ისაა, რომ ლექსი მოქცეულია „კომპოზიციური წრის ჩარჩოში“ ანუ პირველი სტროფი ბოლოს უცვლელად მეორდება. ლექსის მთლიანობის ხაზგასასმელი ეს ეფექტური ხერხი ევროპულ პოეზიაში მეცხრამეტე საუკუნიდან იჩენს თავს და განსაკუთრებით ხშირად მას სიმბოლისტები იყენებდნენ. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ და სხვა, ანალოგიურ შემთხვევებში აუცილებელია ზომიერების დაცვა, რათა შაბლონურობის შთაბეჭდილება არ შეიქმნას. გადამეტება იოლი გზაა; ამის მაგალითები უამრავია.



აღსანიშნავია – „ხმა კატამონთან“, ასევე, იმიტვე თავდება, რითაც იწყება – წრეს თითქოს უჟანგავი ფოლადის სალტეები კრავს, რასაც ვერაფერი გააქანებს. ეს ლექსიც იმის მაჩვენებელია, რომ ირაკლი აბაშიძე მომჭირნედ, ოსტატურად იყენებს განმეორების ხერხს; იგი მისი პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი, თვალსაჩინო ღირსებაა. ბოლოს იმაზეც არის აშკარა მინიშნება, რომ ენის დათმობა, დაკარგვა ყველაფრის დაღუპვის მომასწავებელია. ამის მერე ერი არსებობას წყვეტს, რაც ტრაგედიათა შორის ყველაზე უდიდესია, გამოუსწორებელი, სამუდამო უბედურებაა. რუსთაველის ბაგეს მოწყვეტილი სიტყვები წარუდინებელი მაღლით აღსავსე ლოცვას ჰგავს, ღმერთმა რომ უნდა შეისმინოს:

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

დაუღალავ მოგზაურს თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი ჰქონდა. ხან მატარებელი მიაქანებდა, ხანაც – თვითმფრინავი. გადასერა ზღვები, ოკეანეები, უამრავი ქვეყანა ნახა, ვილას არ შეხვედრია. ერთი პატარა ლექსი („ლამე ცაში“) სხარტად, უშუალოდ გვამცნობს, როგორ აიჭრა თვითმფრინავი და ღრუბლებს შეერია. მაღლიდან ყველაფერი სხვანაირად, დაცალკევებულ ფიგურებად ჩანს. შენობები სათამაშო კოლოფებს, ველ-მინდვრები, მთები და ტყეებიც ნახატებს მოგაგონებს. ამ ლექსშიც პოეტის მზერას დახატულ, სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ სურათებად ეჩვენება ძირს გადაშლილი პეიზაჟები. მგზავრი ოდნავადაც არ ღელავს, ილუმინატორიდან განჭვრეტილ ღრუბლებს „მასპინძლებად“ თვლის, იმდენად შეჩვეულია მათ დანახვას, სავარძელზე გადანოლილი, მალე უშფოთველად ჩათვლემს:

უხმარ ნოხების უხვად გაფენა,
აქეთ – ფანქარი, იქით – ოფორტი,
წყნარ ირლანდიას ასწყდა „საბენა“,
უკან გაფრინდა აეროპორტი.
ნუ. მაღალ ღრუბლებს, ნუმც რა ეწყინოთ,



ირაკლი აბაშიძე, შოთა ძიძიგური.

ღრუბლები ჩემი მასპინძლებია.
ამალამ უნდა მათთან მეძინოს,
როგორც ყრმობაში დამსიზმრებია.


ახლა ამასთან ამავე ხანებში და
ამავე თემაზე დანერილი, აგრეთვე
ორსტროფიანი (საზომიც იგივეა),
გიორგი ლეონიძის ლექსი „სევდა
მინისა“ დავანწყვილოთ, სადაც სრუ-
ლიად საწინააღმდეგო გუნება-გან-
წყობილებაა გადმოცემული. გიორგი
ლეონიძეს მატარებლით მგზავრო-
ბაც კი უხერხულობას უქმნიდა (სიბ-
ნელის დაუძლეველი შიში ჰქონდა,
გვირაბში გასვლისას, ჩირალდანი
უნდა სჭეროდა) და მითუმეტეს, კა-
რებდახმულ ლაინერში ჩამჯდარ,
ერთთავად აფორიაქებული იყო. მი-
წას მოწყვეტილი, იგი მითიურ ანთე-

ოსივით ძალაგამოცლილი გრძნობდა თავს. ტყუილად როდი დანერა:
„მშობელ მინაში მიდგას ფესვები...“, მინა ასაზრდოებდა, ამაგრებდა მის
ლექსს. ამდენად, მისი მღელვარება არ უნდა გვეხამუშოს. ალბათ შვებით
ამოისუნთქავდა, როცა ლითონის ვეება ფრინველი დაბლა შვებით
დაეშვებოდა, გადაჯვარედინებული შასები გაიხსნებოდა და შავი
ბორბლები ბეტონის ხორკლიან ბილიკზე გაგრილდებოდა, ბლუჯა-
ბლუჯა ნაპერწკლებს გაყრიდა. ეს ლექსი კი იმას გვატყობინებს, რამდენად
დანალღლიანებულია მაცოცხლებელ ნიადაგს მოწყვეტილი პოეტი:

მე თვითმფრინავში მომწყურდა წყარო,
ტყე მომენატრა, ტევნარის ჩრდილი...
ღრუბლების ზემოთ რამ გამახაროს,
შაშვის ჭახჭახი მომინდა დილით...
გული მომინდა... არ ჰქონდა გული!
იყო ჭენება, ქროლვა, კვეთება...
თან მიმყვებოდა სევდა მინისა,
წყარო მწყუროდა ალმასწვეთება...


ირაკლი აბაშიძეს უყვარდა ხოლმე სიჭაბუკის ლალი წლების
გახსენება, რაც, მეტწილად, ქუთაისს უკავშირდებოდა. ერთი ასეთი
ლექსია „ჭომა“, სადაც სახალხო ზეიმი, რიონჰესის გახსნის დღეა
გახსენებული. რიონჰესის მშენებლობას მწერლების გულითადი მეგო-
ბარი, დიდი ქართველი ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია უძღვებოდა. მან

საქმის სანაქებოდ მოთავეების შემდეგ, ახლობლები საქეიფო ადგილებით განთქმულ ქუთაისის გარეუბანში, ჭომაში მიიპატიჟა („და ალავიძის დუქნის კარებთან მიწას დააკვდა ავტომობილი“...). ნახსენებია მიშა მეარღნეც, დროის გამტარებელთა სუფრას ეშხი რომ შემატა. გათენებამდე ეფინებოდა იქაურობას „იაშვილის სიტყვა ფერადი“. გელათის დიდებულ ფონზე წამომართულა რიონჰესი, ძველი და ახალი ეპოქის ძეგლები ერთმანეთთან ჰარმონიულად არის დაწყვილებული. ლექსის ბოლოს ნაღვლიანი კილო შემოიჭრება, რადგან დაუვინყარი სერობის მონაწილენი ცოცხლები აღარ არიან, „კაენის სულის აღზევებას“, უკიდევანო ბოროტებას ემსხვერპლენ: და უსმენ...



მაგრამ დანატრებული
ხმები, ის ხმები აღარ მოგესმის...
მხოლოდ იმ ღამით განათებული,
ბებერ გელათთან დგას რიონჰესი.


ვლადიმერ ჯიქიას ქალიშვილების, ჩემს მეზობლად მცხოვრები ნანასა და მარინესგან გამიგია, რომ მათი მამა საქართველოს აუგს არავის პატიობდა. ჰიდროსადგურების მშენებლობამდე, იგი საქართველოს სამხედრო მინისტრი (კომისარი) ყოფილა, საარტილერიო განათლებაც ჰქონია მიღებული. მოსკოვიდან ჩამოსულა დიდი ჩინოსანი, ვისაც ოპერის თეატრში შეხვედრა გაუშვარეს. იმ შეხვედრაზე ვლადიმერ ჯიქიას განუცხადებია, საქართველოს თავისი ჯარი უნდა ჰყავდესო. შეხვედრის დასასრულს იმ ბობოლა მოხელეს ირონიულად უთქვამს, თქვენ დამოუკიდებელი ქვეყანა არა ხართ, საქართველო ერთი საკურორტო მხარეა და ჯარი არაფერში ესაჭიროებაო. ვლადიმერ ჯიქია მყისვე მივარდნილა ჩვენს დამამცირებელთან, ყბაში უხეთქია და იქვე, ტრიბუნასთან გაუგორებია. ამ აფეთქებას უთუოდ გადააყოლებდნენ, მაგრამ კიროვთან მეგობრობას, რომელიც მაშინ ცოცხალი იყო, დახვრეტისგან გადაურჩენია. რამდენიმე წლის შემდეგ ცეკაში მოტყუებით დაიბარეს, ვითომდა ახალ



პროექტზე მოსალაპარაკებლად, იქვე ვერაგულად დააპატიმრეს და მერე ცოცხალი აღარავის უნახავს.

ირაკლი აბაშიძის ადრინდელი ლექსებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა „მამა“, მოულოდნელად დაბრმავებული ახოვანი, ჩალისფერ ჩოხაში გამონყობილი, კეთილშობილი ვაჟკაცის დაუვინყარ პორტრეტს რომ გვიხატავს. თხუთმეტი წელი გამოკეტილი ყოფილა ოდაში. არავის შემანუხებელი, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თემშარაზე. უფაქიზესი

რეზო თაბუკაშვილი, ირაკლი აბაშიძე.



კონსტანტინე სიმონოვი, ირაკლი აბაშიძე.



დოდო ანთაძე, დევი სტურუა, ვასილ მჭავანაძე, ირაკლი აბაშიძე.

სურათოვნებით არის წარმოდგენილი მისი მორიდებული გავლა („და სიცოცხლის და სიკვდილის შუა გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით...“). საყვედური, ჩივილი არავისთან დასცდენია. ტრაგიკული, დამალონებელია ფინალური სტროფი, სასოწარკვეთილი შვილის მკერდიდან აღმოსკდარი ვაება:

არ დარჩენია ჯავრად მშვენება
ლურჯი ველების, ლურჯი ქედების...
მე კი, მე იმ დროს რა მეშველება,
ორივე თვალში რომ ვიხედები.

ხანგრძლივი წუხილი ამით არ თავდება. გადის წლები და უკვე ჭარმაგ პოეტს ისევ მოეძალება დამთრგუნველი სევდა, სიკვდილის აჩრდილის სიახლოვეს გრძნობს, აკრთობს მოლანდებული წკვარამი და ახსენდება მამა, ვინაც უშიშრად შეაბიჯა სულეთის მრუმე სამეფოში. მშობელი ახლა ზმანებაში თუ გამოეცხადება და მაშინაც სანუგეშოდ, გასამხნეველად მოვა. ასე იბადება ახალი ლექსი შუქნართმულ მამაზე („მე ველი სიზმარს“), მის შედევრებს რომ შეემატა, ერთ ამოსუნთქვაზე დაწერილი და სტრიქონებად დანაწევრებას ვერ იგუებს, მთლიანად მოსატანია:



ჰარი ბელაფონტე მეუღლესთან ერთად სტუმრად ირაკლი აბაშიძის ოჯახში.

ჯერ კიდევ სისხლი
 დულს ჯან-ლონეში,
 ღმერთს კი, ღმერთს თვისი
 აქვს განაჩენი –
 მე ველი სიზმარს,
 სიზმარს, რომელშიც
 კარს მომადგება ბრმა მამაჩემი.
 კვლავ იმ ჩექმებში,
 კვლავ იმ ჩოხაში,
 მამა ტანადი, მამა თვალადი;
 მამა,
 რომელსაც ჩემს ბავშვობაში
 მე ნათელ ცის ქვეშ გზას ვუკვალავდი.
 იმ ძველ ალერსით
 იმ ძველ ყავარჯნით,
 იმ ძველ საუბრით...
 ძველ შეკითხვებით...
 მეტყვის: დამიდექ ისევ მკვლავმარჯვნივ,
 დღეს ამ ბნელ გზებში მე შეგიძღვები.

მაგონდება ირაკლი აბაშიძეზე გადაღებული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (რეჟისორის გვარს ვერ ვიხსენებ), სადაც დასასრულს, წარმოსადგეი, მშობელივით ახოვანი პოეტი უფლისციხის კლდოვან, აკლდამასავით დადუმებულ ქალაქთან არის მიმდგარი, ჩალუსკუმებულ გამოქვაბულებს მიჩერებია, მათ შესასვლელთან გრძელ, ჯიშინ, აცახცახებულ თითებს აფათურებს, ვერ გადაუნყვებია, საით გაემართოს. მერე ერთ მათგანში შეიმალება. ეს გამაოგნებელი კადრები დამიდგა თვალწინ, როცა ამ გულში მოსახვედრი ლექსის ბოლო სტრიქონები წავიკითხე.

ორი, ერთმანეთთან დროით დიდად დაშორებული ლექსით პოეტმა მამის ხსოვნა უკვდავყო; იგი ასევე მუდამ სასოებით იგონებდა დედას, მაღლიან მანდილოსანს, მოდებაძის ქალს, ვინაც საქართველოს თერთმეტი შვილი გაუზარდა.

პოეტის რჩეულებში მუდამ თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი სიმბოლური იერისა და მხედრული სულის გამღვიძებელ ლექსს „სამი ციხე“, უდავო მხატვრული ძალით რომ გამოირჩევა. განუწყვეტილ საომარ მდგომარეობაში მყოფი საქართველო იძულებული იყო ყოველ სერსა თუ შემადღებაზე, მომხდურთა მოსაგერიებლად, ძნელად მისადგომი ციხე-კოშკები აეშენებინა. ეს ლექსიც დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილის, მდინარე ცხენისწყლის ვიწროებში აგებული ციხეების მდებარეობასა და დანიშნულებას გვაგებინებს. ადრინდელის ნაცვლად, იქ, ამჟამად რკინის ხიდია გადებული. ლექსი მოზრდილია და მისი პათოსის წარმოსაჩენად პირველი და ბოლო სტროფების მოხმობაც იკმარებს:

მურის ციხესთან, სადაც გორმახებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა,
სამი ციხე დგას: ციხე „დაუხვდი“,
ციხე – „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

მოულოდნელი და შთამბეჭდავი პოეტური სახე, რომლითაც მაღლობებით შემოზღუდული ხეობა, მზეზე ალაპლაპებული მდინარის გამო, დანით გასერილს გავს, მომხიბლავია და სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. ამის მერე თვითეული ციხე ცალ-ცალკეა დახასიათებული და ნაჩვენებია ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად მათ მიერ გაწეული თავგანწირვა. ეს ციხეები პერსონიფიცირებულია და სამ მეტრძოლ გოლიათთან არის შედარებული. პოეტი გმირ წინაპართა შთამომავალს თხოვს, „მურის ძველ ხიდთან“ ჩავლისას, შეჩერდეს და ქედი მოიხაროს, პატივი მიაგოს თავდაუზოგავად ნაბრძოლთა ხსოვნას, ეგებ დამინებულ ლომგულთა ხმა შემოესმას. ფინალურ სტროფში ფორმულის სიზუსტით არის ჩამოქნილი და შეკრული ამ ლექსის

დედაზრი – სამ სიტყვაშია ჩანწეხილი სამშობლოს ძნელად გამოსა-
ხატავი მცნება, ყველა ნამდვილი მამულიშვილი რომ ელოლიავება:

ყური დაუდგე: როგორ გადურჩა

მტრის ხმაღს ქვეყანა ცრემღდანამული...

„დაუხვდი“, „დაჰკარ“ და „არ გაუშვა“ –

აი, რა არის ჩვენი მამული.

ასეთივე შემართებითაა ანთებული მსოფლიოში უდიდესი, სისხლის
მდინარეებად გადავლილი ომის დროს დაწერილი და მაშინვე სიმღერად
ქცეული „კაპიტანი ბუხაიძე“, ერთ სუნთქვად გაბმული და ყოველგვარ
სამკაულს გარიდებული, თითქმის მთლიანად გაშიშვლებულ სიტყვებზე
დანდობილი ლექსი. ეს სისადავე და უშუაღობა დამაჯერებღობას
მატებს გმირულად დაცემუღის აღსარებას. იგი საქართვეღოს
კარიბჭესთან განგმირა მტრის ტყვიამ და სამარეში ჩასასვენებღსაც
ისეთი შეგრძნება აქვს, რომ მშობელ კუთხეს დარაჯღობს, მის საზღვარს
ამაგრებს:

მე ქართველი ბუხაიძე

ბაღყარეთის მთებში ვწევარ...

რომ შემეძღოს საფღავიდან,

ძმებო, მხრების ნამონევა,

მე სიცოცხღეს ხელმეორედ

შეწწირავდი მშობელ მხარეს,

შეწწირავდი იმავე მიწას,

დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ბოღო წერტილი ანდერძივით გაისმის. ჩრდიღოეთიდან შემოსა-
სვღელის შეკვრა ისეთივე სასიცოცხღო მწიშვნეღობისაა, როგორც შავ
ზღვასთან „ბონტოს კარები“ და გმირის ეს შემონათვალი, ამჟამინდელ
უმიძიმეს ვითარებაში, განსაკუთრებულ აზრს იძენს:

და ვუბარებს ყვეღა ქართვეღს:

მისი წმინდა ვალი არი –

მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას

დერბენტი და დარიაღი.

აქვე მიწდა ვთქვა (არ მაგონდება, ეს ვინმეს ჰქონდეს აღწიშნული),
რომ ირაკლი აბაშიძის „კაპიტან ბუხაიძეს“ საფანეღად, საძირკვღად
უდევს დუღუ მეგრეღის საყმანვიღო ლექსი, რომელსაც აღსაზ-
რდღეღებს, სამუდამოდ დასამახსოვრებღად, სასწავღებღში მიყვა-
ნისთანავე უკითხავენ, აზეპირებენ. ჩემი ვარაუდი სიმართღეს რომ არ
არის მოკღებული, ამას აშკარად მიანიშნებს პირვეღივე სტროფი:

მე პატარა ქართვეღი ვარ,

კავკასიის მთების შვიღი



ქართველ მწერალთა ჯგუფი

და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.

გარდა ტონალობის, ჟღერადობის ნათესაობისა, შეუძლებელია არ დავინახოთ სიტყვიერი დამთხვევები. „ბალყარეთის მთები“ იგივე ჩვენი ბუნებრივი ზღუდის, კავკასიონის მთებია. სწორედ ამ ლექსზე გაზრდილი „პატარა ქართველი“ იქცა შეუდრეკელ მეომრად, ვინაც სიცოცხლის ფასად დაიცვა სამშობლოს ღირსება, კავკასიის მისადგომები და მამულისადმი მიცემულ ფიცს ემსხვერპლა. დუტუ მეგრელის ხსენებული ლექსი დედის რძესავით აქვს შეთვისებული „ყველა ქართველს“, რადგან იგი კრავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ერთ აუღებელ სიმაგრედ, რომელსაც არასოდეს გაუჩნდება ბზარი, არ დაიშლება.

„სამასი სპარტელი“, „სამასი არაგველი“ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით რომ არ გაზრდილიყვნენ, ისინი მშობელი მიწისთვის თავს არ განირავდნენ. არსებობს ძველ ბერძენთა ურყევი, ყველა დროისთვის ეჭვმიუტანელი სიბრძნე: „ჭეშმარიტების ენა მარტივია“. ამ ლექსებს თვალისმომჭრელი სამკაული, ბრჭყვიალა სამოსელი არ მოუხდებოდა –



სერგი ჭილაია, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, სტუმრებთან ერთად.

ორივეგან ჭეშმარიტების ღალადია, რისი ყველაზე გულისშემზარავად გამოხატვა მხოლოდ „შიშველი სიტყვებით“ არის შესაძლებელი. ამასვე უერთდება, ისევ და ისევ, „კავკასიის ქედების“ დაძახილზე წამო-მართული გალაკტიონ ტაბიძის მძლავრი ხმა – სადა და ალესილი ხმალივით ბასრი, თერგივით მოგუგუნე, რომლითაც ყველაფერი პირდაპირ არის ნათქვამი:

სანამ გმირმა შენტვის სული დალია,
თქვა: სამშობლო უპირველეს ყოვლისა!

ირაკლი აბაშიძეს არასოდეს განელება სევდა ძველი, ფართოდ გადაჭიმული საქართველოს ხვედრზე, გამუდმებული შემოსევებისაგან თანდათან რომ დადნა, დაპატარავდა. ეს ყველაზე სრულად, დამაღონებლად გამოჩნდა გამამხნეველ, მეტად ღონიერ ლექსში „რა დაგავინყებს“, რომელიც ყველა ჩვენგანს ზეპირად უნდა ახსოვდეს, როგორც მშობლიური ფესვების გამუდმებული ძახილი, დაკარგული სიძლიერის დაბრუნების მოწოდება. იგი სანახევროდ მაინც უნდა მოვიტანო, რათა პოეტის სულის შფოთვა და ტკივილი ნაწილობრივ მაინც შევიგრძნოთ:


ქართველო, სანამ გქვია ქართველი
და ტკბილი ენა იცი ქართული,



ირაკლი აბაშიძე, სოფიკო ჭიაურელი.

სანამ გინთია თვალში ნათელი
და სადმე გიდგას ოდა-ქართული;
სანამდე ალებ კარს სტუმრისათვის,
გიყვარს შეხვედრა წელგამართული,
სანამდე ზიზლი იცი მტრისადმი,
ხოლო მოყვრისთვის ჰანგი ქართული,
რა დაგავიწყებს შენს ძველ ნააკვნარს,
რა დაგავიწყებს იმ ძველ საბუდრებს,
ზედ რომ წინაპრის სუნთქვა დააკვდა
და მტრებმა ცეცხლით დაისაკუთრეს.
იქ შენი მზეა, შენი თოვლია,
შენი გვარტომის გასახარები;
ევფრატის წყლამდე გაფანტულია
ჩვენი ქვიტკირის ნასახლარები.

გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას ირაკლი აბაშიძემ ოცამდე ლექსი მიუძღვნა, სადაც შესაშურად, სრულყოფილად გამოავლინა გენიალური ლირიკოსის შინაგანი ბუნების წვდომა, „ეფემერის“ ავტორის მიერ სამყაროს ხედვის ნაირგვარ თავისებურებათა ჩვენება. ამ ლექსთაგან უძლიერესია და თავად მისი შემოქმედების მშვენიერებაა „ბილიკი მღერის“.



გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე.

მიძღვნის ადრესატი არაა მითითებული, მაგრამ გალაკტიონის შედეგითა ისეთი დახვეწილი მინიშნებებია, ვისი პორტრეტიც იხატება, ისედაც მისახვედრია. სხვას ვერავის მიუყენებ თუნდაც ამ სტრიქონებს: „ო, ყველაფერი მას ესმოდა მუსიკის ენად“... „საგანი თავად იქცეოდა მის წინ ბგერებად...“ აქ მეტაფორულად არის დანახული და გადმოცემული გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ძნელად მოსახელთებელი საიდუმლოებანი, რაც ბევრ რამეში ქართული ლექსის მკვლევარებსაც დააკვალიანებს, უტყუარ გეზს მისცემს:

და იგიც, იგიც
 ხმებს უყვარდათ
 ვით მოსვლა წვიმის,
 უყვარდათ ბგერებს
 როგორც ბაღებს,
 მშვიდრებს და შიშვლებს;
 მშობლიურ ენას
 მან უპოვა
 თვისება სიმის,
 მშობლიურ სიტყვებს
 კვეთდა, როგორც
 მუსიკის ნიშნებს.



ოთარ ჯაფარიძე, კიაზო ფიცხელაური,
 ირაკლი აბაშიძე.

მიჯრით მიწყობილი, სამეულებად
 ჩამომკნრიეებული განმეორებანი (ამ
 ხერხს, როგორ ადრე აღვნიშნეთ, ირაკლი აბაშიძე დიდოსტატურად
 ფლობს), მისი ერთი, უმთავრესი, ჭვირნიშანივით გამოკვეთილი
 ღირსებაა და ფინალურ სტროფს განსაცვიფრებელ ნაჭედობას ანიჭებს;
 ბოლოს თავმოყრილი და ერთ სადინარშია მიშვებული წვრილ-წვრილი,
 ესოდენ მომხიბლავი ნაკადები, რითაც ეს სიუხვით გამორჩეული
 მიძღვნა ძვირფას ხალიჩასავით იქსოვება; ისეთ, ციური ჰარმონიით,
 გასხვიოსნებულ, კრიალა ხმებს მართლაც უნდა შენატროდეს:

ნეტავ მის სმენას,
 ნეტავ იმ ხმებს,
 ნეტავ მის ლელვას,
 ის იყო ღვიძლი
 დღეთა მისთა
 აზრის და ფერის...
 არის დრო ქვეყნად,
 როცა მღერის საგანი ყველა –
 ყვავილი მღერის,
 ცრემლი მღერის,
 ბილიკი მღერის.


გასაგებ მიზეზთა გამო, ირაკლი აბაშიძეს გაცილებით ახლო
 ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ლეონიძესთან; მწერალთა კავშირში,
 ოჯახურ წვეულებებზე თუ სხვადასხვა დროს გამართულ მეგობრულ
 ნადიმებზე ხშირად ხვდებოდა. ამიტომაც, შეუძლებელია, მწვავედ არ
 განეცადა მისი უეცარი მოცელება, მოულოდნელი დაღუპვა. უპირველეს
 ყოვლისა, მას უყურებდა, როგორც პაოლო იაშვილისა და ტიცუან
 ტაბიძის დამწერებულ ძმადნაფიცს. იმ ავბედითი, 1966 წლის შემო-

დგომაზევე ლექსად ამოთქვა ათეული წლობით დაგროვილი, რათა წარსულისთვის გული გადაეხსნა, აღსარებასავით გადაეშალა დიდი ხნის ნაფიქრი. კვირა დღით, რამდენიმე თანამეინახესთან ერთად, „სამადლოს“ აივანზე, ხორაგითა და სასმელით დაზვინულთ სუფრა ძველებურად გაუწყვიათ. ფერდობები თრიმლისა და მაყვლის ბუჩქებითაა გადანითლებული, მაგრამ ლხინს ადრინდელი ხალისი არ ახლავს, უკმარისობას გრძნობს, რადგან ლომური ბუხუნის აღარ ისმის, ფერი დაკლებია შემოგარენს, მონყენილი მთებიც გასუდრულან. დამდგარა ყოველივეს განსჯის ჟამი და მარტოდ დარჩენილი თითქოს რაღაცას ნანობს, ხინჯად ჩარჩენილს, ლამობს, შემანუხებელი ნალექისგან განთავისუფლდეს:

ტრფიალის ღმერთი
შენ იწამე
შენს კეთილ ღმერთად,
ამ მიწის ღვიძლი
ცად ასული,
ცად ანაფრენი;
იქნებ შენ იყავ ჩვენში სწორი
ყველაზე მეტად,
იქნებ ეს არის მგოსნის ხარჯი,
სხვა არაფერი.

განდობის ტონი, სასაუბრო კილო თავიდანვე შეუმცდარად არის შერჩეული და ლექსი ისევე ნაღვლიანად მთავრდება, როგორც დაიწყო. დასაწყისი და ბოლო შეიკრა და მიწიერი ცხოვრების დასრულებამ დაბადებისა და გარდაცვალების უღმობელ რკალში მოაქცია ადამიანი, ვისაც ალაზნთან აფრენილი ხოხბის ბოლოსავით აფრიალებული ერთი მზიანი დღე მთელი ქვეყნის აურაცხელ სიმდიდრეს ერჩივნა.

პოეტის ქალიშვილმა, ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა და უკიდურესად გულწრფელმა ადამიანმა ირინე აბაშიძემ მითხრა: მამაჩემისთვის გიორგი ლეონიძე ჭეშმარიტი პოეზიის შეცნობის საზომი, ეტალონი იყო; როცა რამე ახალს წაიკითხავდა და გახარებული დარჩებოდა, ამ ლექსს მე მგონი, გიორგი ლეონიძეც მოიწონებდაო და ეს უმაღლეს შეფასებას ნიშნავდა. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს – ირაკლი აბაშიძემ მთელი სიღრმით, ზედმიწევნით კარგად იცოდა გალაკტიონ ტაბიძის და გიორგი ლეონიძის სიდიადე, მაგრამ ეს უფრო მათი გარდაცვალების შემდეგ გამოამჟღავნა, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე და ასეთი რამ მარტო მას არ დამართნია. დიდი პიროვნებანი ამ ქვეყნიდან როცა მიდიან, მხოლოდ მას მერე შევიმეცნებთ, ვაცნობიერებთ, გავისიგრძეგანებთ, ვინ და რა დავკარგეთ. ისინი ვეებერთელა, ამოუვსებელ სიცარიელეს ტოვებენ და მათი სიკვდილი მიგვახვედრებს, რაოდენ აუნაზღაურებელია დანაკლისი.



ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში.
ცისანა კვეზერელი, ალექსი არდიშვილი, ავთანდილ საყვარელიძე, ირაკლი აბაშიძე,
სიმონ კინწურაშვილი.

ირაკლი აბაშიძეს ემარჯვება ბოჭემის გამაბრუებელ ტალღებს მიცემული, შეზარხოშებული პოეტების ხატვა და საამისოდ ოციანი, ოცდაათიანი წლების თბილისის უბნებსა და სურათებს იშველიებს, გაუხუნარ მოგონებებში ჩარჩენილს. ყველაფერი ეს დრომ წარხოცა, მაგრამ ოსტატურად მოქნეულ სიტყვას ძალუძს გარდასულის გაცოცხლება, გაცრეცილი ფერების პირვანდელი სხივმოსილობით აღდგენა. „ძველი ზაფხული“ სულ სხვა, ბევრისათვის მოსანატრებელ, ოდენ ფოტოებზე აღბეჭდილ სინამდვილეში გადაგვიყვანს:

ზაფხულის „არტო“ და ქუჩა „კირკის“,
ეტლების წყვეტა და ცა მტვრიანი;
ვერის დაღმართზე ქალაქის ცირკი –
ლამპიონების ორომტრიალი.
„ედემის ბალთან“ მცხეთის ურმები,
მტკვარზე, დუქნის წინ,
კერძის შიშინი
და ვერის ხიდზე „ნაბახუსები“,
გალაკტიონი და ქუჩიშვილი.

გაგონილი კი მქონდა, რომ თბილისში ჩამოსული იყო სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლი, უნიჭიერესი სომეხი პოეტი ელიშე ჩარენცი



როინ მეტრეველი, რეზო ამაშუკელი, გურამ გვერდნითელი, ირაკლი აბაშიძე, ევგენი ხარაძე, გიორგი ჯიბლაძე.

(ამაში ალბათ ტიცციანის ხელი ერია, ის მეგობრობდა მასთან და ავეტიქ ისააკიანთან), მაგრამ ირაკლი აბაშიძეს სასურველი სტუმარი ნანახი ჰყავს და ისე აღწერს მის გარეგნობას, გეგონება სარიანის დახატულ იშვიათ პორტრეტს უყურებდე. უცნაური ხილვები და უჩვეულო პოეტური სახეები მის ნოვატორულ პოეზიას ისედაც არ აკლდა, მაგრამ ჰაშიშსაც იყო მიძალეული, რაც მის წარმოსახვას უფრო ძაბავდა, ალაგზნებდა. სწორედ ასეთად მოჩანს სამშობლოს ძნელბედობით დანაღვლიანებული დიდი შემოქმედი ამ აჩქარებული, მღელვარე რიტმით დატენილ ლექსში:

სცენის კიბესთან – მთვრალი ჩარენცი,

სულ სხვა ნაძერწი, სულ სხვანაირი;

ათას უძილო ღამით ჩალენილ

თვალის გუგებში სევდა ნაირის.

ათას უძილო ღამის თვალეებში

მშობელ ნაირის ზეცის ხატება...

სცენის კიბესთან – მთვრალი ჩარენცი

გასცქერის რალაც გამოცხადებას.

ნადირობაზე დაწერილი ლექსები განსაკუთრებულად მიყვარს და საინგილოს ტყეებში, შეიარაღებულ მეგობრებთან ნახეტიანობა

ირაკლი აბაშიძის „მონადირის ღამის“ ნაკითხვაც მუდამ მოუბეზრებელ სიამოვნებას მგვრის. თუმცა ისიც უნდა ვთქვა – ამასთანავე, შინაგანად, ტკივილს ვგრძნობ, მოღალატურად გასხვისებული ჩვენი ულამაზესი კუთხის გამო. აქ ნადირ-ფრინველთა ხოცვა მომთავრებულია და, დაქანცულები, მეძებრებითურთ, აბრიალებულ კოცონს მიუსხდებიან, რათა პურობა გააჩაღონ. ერთმანეთზე უფრო წარმტაცი და ღამის იდუმალებით შეფერილი სურათები ტრიალებს ჩვენს თვალწინ. კვამლი და გალუმპულ ნაბდებზე ადენილი ორთქლი ჰაერში ირევა. ლექსი საკმაოდ მოზრდილია და, საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, სამი სტროფი შევარჩიე. თავიდანვე ჩანს, რომ თოფების დამქუხებლები ამ ადგილებში პირველად არ იმყოფებიან და მეგზურებად ქართველები, მათივე სისხლის ზიარი ინგილოები ხლავან. ადგილიც ზუსტად არის დასახელებული, სადაც შებინდებისას ღამის გასათევად ჩერდებიან:

შემოგვალამდა. ალიაბადთან
ულრან ტყის პირად გავკვესეთ ტალი,
ნიფლის ტოტები წითლად განათდა,
ცაში ბუბუნით ავარდა ალი.

ყველა თვალისმომჭრელი სურათის მოტანა გამიძნელებდა, მაგრამ ეს შემაშინებელი სილამაზე, იდუმალ ხმებს რომ გამოსცემს და დაგაფრთხობს, გულს შეგიქანებს, უთუოდ უნდა ამოვწერო, ძალზე მძაფრად არის დანახული, განცდილი:

ტყეში კი ისევ ტკაცუნით ჭამდა
ნადირი ნადირს, რკოსა და ხეხილს;
ბერმუხის უკან მგლის თავი ჩანდა,
მურყანის უკან – ფოცხვერის ფეხი.

„საქართველოს მიწის და მზისთვის“ სიყვარულის გამოსაცხადებლად, მოსაფერებლად ჩასულები კახური ღვინით სავსე ყანწს პირველად, როგორც მამა-პაპური წესი გვასწავლის, ინგილოს შეასმევენ. გვიანობამდე გრძელდება ღრეობა; ბოლო, ფინალურ სტროფში გამხელილია, რომ სანადიროდ მყოფებს მიტაცებული ქართული სოფლები ელანდებათ და სიმშვიდე აქვთ დაკარგული. ეს სანუხარი ალბათ არასოდეს განელდება:

ღამით, მთელ ღამით შფოთიან ძილში
დაგვდევდა სიზმრად ყუმი და კასი
და თასმალუსთან ბერმუხის ძირში
ხმელს ფესვებს გლეჯდა დაჭრილი ტახი.

ქართულ სატრფიალო ლირიკაში თითო-ორიოდა თუ მოიძებნება ისეთი ნატიფი, დახვეწილი ლექსი, როგორიცაა „პირველი თოვლის სიმღერა“. მართლაც, სული უნდა გიმღეროდეს, სისხლი ჭაბუკურად

გიდულდეს, რომ საყვარელ არსებას, შორიდან, ეგზომ სათუთად მოეფერო და მისი სიახლოვე ინატრო. სხვა ნიჭი და რაინდული თავდაჭერილობაა საჭირო, რათა ყველაზე ძლიერი, ამამალლებელი და წმინდა გრძნობა ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობის გარეშე გამოხატო:

წუხელ თოვდა...

ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,

გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...

მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში

და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

გაბურული ციდან ტაატით დაშვებული, უსპეტაკესი ფანტელების ფარფატი გაზაფხულის პირველ, ქათქათა ყვავილებთან ბუნებრივად, მოხდენილად არის შედარებული და თავიდანვე შექმნილი ფერიული განწყობილება უფრო და უფრო ნარნარი, მიმზიდველი ხდება:

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე

თოვლი, თეთრად დასახული,

ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყავის ასე,

იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

პოეტი ერთმანეთს ადარებს და აჯიბრებს წელიწადის მარადიულ წრეში მბრუნავ დროებს, რომელია მეტად მშვენიერი, მაგრამ არცერთს არ იწუნებს, დასაჩაგრავად არც ერთი არ ემეტება, თუმცა ყოველივეს, რაც ირგვლივ განფენილა, ის სანუკვარი, შველივით უცოდველი სულდგმული ჩრდილავს ეშხითა და სილამაზით, ვის გამოც ზამთრის გრძელი ღამე ფორიაქში გაატაროს, ძილი გაუკრთა:

მიხარია

ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,

წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...

ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,

მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

ძალზე მესიამოვნა, როცა ახლახან, დეკემბრის დილას, შობის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც სუსხდაკრულ ჰაერში თოვლის ფაფუკი ფანტელები ირეოდა, ტელევიზიით მოვისმინე გიტარაზე აჟღერებული „პირველი თოვლის სიმღერა“. ლაღად, მისებური გერგილიანობით ასრულებდა ხალხური გონებამახვილობითაც განთქმული, მეტად ნიჭიერი მუსიკოსი, ბატონ გია ბალაშვილის ესოდენ მიმზიდველი და კარგ გუნებაზე დამყენებელი „ჩვენ შოუს“, ყველაზე ხშირი სტუმარი. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების აღმზრდელი, დაუდგრომელი მაცეტრო, გარეგნულადაც სხვანაირია – ქართულ ხასიათში პანურგისა და სანჩო პანსას უცნაური ნაზავი, საცრისტოლა თვალებს კეთილად რომ აბრიალებს და ოქროსფერი თმა,



შეხვედრა ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულებაში.
ვახტანგ ბერიძე, შალვა ნუცუბიძე, ირაკლი აბაშიძე, სერგი წულაძე.

განიერ მხრებზე, ლომის ფაფარივით აყრია. „პირველი თოვლის სიმღერის“ ბოლო აკორდები, მის მოღუღუნე ხმასთან ერთად, ისე დადნა ელევანტურად ამოძრავებულ თითებს შორის, როგორც იმ დილით თოვლის ფიფქები მიწასთან შეხებისას დნებოდა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ უაღრესად მელოდიური ლექსის გამოცხილი ნათლად ისმის ჩვენს ზოგიერთ პოეტთან და ეს მოხდა არა მხოლოდ საზომის ერთგვარობის, არამედ გულში ჩამწვდომი ინტიმურობის, უშუალოების გამო. დავაკვირდეთ ალექო შენგელიას ყველაზე ცნობილი, სიმღერად ქცეული ლექსის („ანდერძი“) სტრიქონებს:

საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

ახლა თვალი გავადევნოთ ასევე მუსიკის ჰანგებზე გადატანილი, ღირსეული ქალბატონის, მარიკა ბარათაშვილის, აგრეთვე მეტად პოპულარული ლექსის – „საპოვნელას“ – შინაგან წყობას, სიყვარულად რომ არის დაღვრილი. უმჯობესი იქნება, პირველი სტროფი მთლიანად მოვიტანოთ, რათა სიახლოვე უფრო ცხადი გახდეს:

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდით მიმოზნეულს მინდორ-ველად,



უჩა ჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე, ევგენი ხარაძე, დამიანე გოგოხია,
მიხეილ დავითაშვილი.

პანანინა მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან საპოვნელას.

პატარა, ბალახში ამონვერილი ყვავილი, თავის სახელწოდებას
სავსებით ამართლებს და პოეტი ქალი, ვინაც საბედოს მიაგნო,
მადლიერებას გამოთქვამს მის მიმართ, შეყვარებულ ვაჟსაც ატყო-
ბინებს აღტაცების მიზეზს:

მოვნყვიტე და მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩინე მყუდრო ბინა,
გენაცვალე, სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

ფინალური სტრიქონები კიდევ უფრო ათვალსაჩინოებს ლექსების
ნათესაობას, მაგრამ ეს სიახლოვე საძრახისი სულაც არ არის, პირიქით,
გასახარებელია. ასეთი რამ პოეზიაში ხშირად ხდება და ამაზე
საყვედურს არავინ გამოთქვამს, ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ.

სხვაგვარი იერისაა და მომწონს ირაკლი აბაშიძის კიდევ ერთი
ამღერებულ-აცეკვებული ლექსი (გვიანდელ პერიოდში უნდა იყოს

დანერილი); „ქრისტეშობის ღამეს“ მრავლისმთქმელი სათაური აქვს – „გუშინდელნი“, რაც მიგვანიშნებს – იგი წარსულის გახსენება და მონატრებაა, ტექსტში უხვად არის ჩართული ლიხთიქითური საქართველოს სახალისო სიმღერები, რაც მხიარულ გუნებაზე დაგაყენებს. გახურებული ქეიფია დასურათხატებული. პირველსავე სტროფში, სხვებთან ერთად, ნახსენებია კულაშელი თავადი მიქელაძე და მთელ საქართველოში მადლიანი სიმღერებით განთქმული დანიელა ურია. დარწმუნებული ვარ, ეს ადგილი უსათუოდ მოხიბლავდა სიკეთით, ვაჟკაცობით ცნობილ და თვითონაც კარგ მომღერალ, განსვენებულ ჯიმი მიქელაძეს, ვინაც თავის მოგონებათა მშვენიერ დოკუმენტურ წიგნში დანიელ ჯანაშვილზე შექმნილი სასიამოვნოდ საკითხავი ნარკვევი შეიტანა. „დანიელა ურიას“ მოტივი თავიდან ბოლომდე მიჰყვება პოეტის სათქმელს და სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენს. პირველი სტროფი ტონის მიმცემია და მთელი ლექსის მდინარებას განსაზღვრავს:

შუალამე ზენიტშია
ქუხს სიმღერა სიმღერაზე,
ღვინოს ღვინო წყურია –
მუმლაძე და დგებუაძე,
ბაქრაძე და მიქელაძე,
დანიელა ურია.

აქ, გარეგნულად ლალ სტრიქონებში, შეპარებულია ოდესღაც უმშვენიერესი, მერე გაუბედურებული ცოლ-ქმარი, კოკინია დგებუაძე და ვარინკა მიქელაძე, რომელთაც ოთხი ვაჟიდან ერთიც არ შერჩათ. უფროსი პირველ მსოფლიო ომში დაელუპათ, შუათანები ოცდაოთხი წლის განწირული აჯანყების დროს დახვრიტეს. სულ უმცროსიც, ბოლშევიკებმა, მიგზავნილი მკვლელის ხელით, მუხანათურად გამო-ასალმეს წუთისოფელს.

ამას მოსდევს მთელი წყება ჩვენი ლალი ხალხური სატრფიალო სიმღერებისა: „ქალო, ქალო, რას მიყურებ, რას მანონებ მაგ შავ თვალებს...“, „ჩიქვანის ქალს შენ ჯობიხარ, თვალები გაქვს მშვენიერი...“, „ქალო, ქალო შავთვალაო, ბიჭმა შემოგითვალაო...“ თვითეულს რეფრენად გასდევს: „ქალო, ქალო კისკისა!“ აქედან სხვა მიმოხრაზეა გადართული, ტექსტი ოდნავ შესამჩნევად არის გადასხვაფერებული, შიგადაშიგ ჩამოთვლილია დროის სატარებელი, საქეიფო ადგილები:

ტანად მზე და ფერად შინდი,
წამწამები ინდი-მინდი,

მკერდზე ოქროს ჯაგანი...
დღეს ჭომა და ჯაჭვის ხიდი,
ხვალ ხონი და ივანდიდი,
ხვალზეგ ღანი-ჩაგანი.


აქ ისევ ღვთიური მადლით ცხებული კულაშელი სახალხო მომღერალი წამოყოფს თავს, ვინაც გასულ საუკუნეში თვით ვანო სარაჯიშვილი განაცვიფრა; მან ქართულ მწერლობაშიც დაიმკვიდრა ადგილი (მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცციან ტაბიძე, რეზო ჭეიშვილი და სხვები) და რა გასაკვირია, სიმღერისა და სიცოცხლის ისეთმა ჟინდაუმცხრალმა სიყვარულმა, როგორიც ირაკლი გახლდათ, მისებური პატივი რომ მიაგოს:

– შემოგველოს იმერეთი
ოდიში და გურიო,
დარჩელი და ჭურია.
დანიეოა ურიაო
ჩვენში რამ გაურიო,
დანიელა ურია.

გურიის ხსენება შემთხვევითი არ არის და მან უნდა მოიყოლოს: „ვაი, ვუი ნატანებს!“ დანარჩენი ისედაც გაიხმიანებს ჩვენს გამახვილებულ ყურთასმენაში. ამას დაერთვის ჩვენი ხალხის საუკუნეებში გამოტარებული ცხოვრებისეული გამოცდილება, რასაც, გვინდა თუ არა, უნდა შევურიგდეთ: „წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...“ მოახლოებულია შობის ბრწყინვალე დღესასწაული და ყველაფერი იქეთკენ მიემართება, ყინვისგან აჭახჭახებულ ჰაერში გაისმას ანგელოსთა ბაგეებიდან ამოთქმული საგალობელი: „ოცდახუთსა ამ თვესაო ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“ ლხინის სუფრაზე გაჟღერებულმა, აწყვეტილმა სიმღერებმა სახლს ჭერი უნდა ახადოს...

უცნაური, სისხლის ამფორიაქებული, თავისებური პოპური იმავე სახელით მთავრდება, რითაც დაიწყო და უკეთესი წერტილი ალბათ ვერც მოიძებნებოდა. ბოლო სტროფში რუსთველისეული მწუხარე სიბრძნის („სადაურსა სად წაიყვან...“) ანარეკლი გამოსჭვივის, ხოლო დანიელა ურია ჩვენი ხალხების ოცდაექვსსაუკუნიანი (თუ მეტის არა) სიახლოვის განზოგადებულ სახე-სიმბოლოდ იქცევა:

– ხვალ ვინ იცის, ვინ სადა ვართ,
ხვალ ვინ იცის, ვის რა ელის.
ღვინოს ღვინო წყურია.
ქრისტეშობას,
ქრისტეშობას მოგილოცავთ ისრაელი –
დანიელა ურია!



დევი სტურუა, უჩა ჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე.

სიცოცხლის მიმწუხრზე დაწერილი ლექსებიდან, ბრძნული განსჯითა და მასთან დიდოსტატურად შერწყმული სურათოვნებით, უთუოდ გამოირჩევა „ფერადი შემოდგომა“. სიღინჯე, სიტყვის ფრთხილად აწონ-დანონვა და სათქმელის მოზომვა ირაკლი აბაშიძეს არც ადრე აკლდა, მაგრამ ამ ლექსში გარესამყაროს იდუმალებისადმი ტიუტჩევის მსგავსი მისწერი მიდგომა (ამაზე ეპიგრაფიც მიგვანიშნებს) და საკუთარ თავში ჩაღრმავება, გარინდება, უკიდურეს ზღვარს აღწევს. უღვთოდ დაძაბული, ნერვების დამფლეთი ცხოვრების შემდეგ, უამრავი შეუხორცებელი ჭრილობის მატარებელ შემოქმედს, სულის მოსათქმელად, სალბუნი, მყუდროება ესაჭიროება და ამ დროს ერთადერთი წამალი განმარტოებაა. მან უნდა გაუწიოს თანადგომა, ოდესღაც მედიდური, „ამაყი ახალგაზრდობით“, კარს მომდგარ სიბერეს შეარიგოს. მთავარი სათქმელი პირველ ორ სტროფშია გაცხადებული:

ახლა დამშვიდდი,
 ახლა დამშვიდდი,
 სადმე სამგორის,
 სადმე სამშვილდის
 მთებში მონახე პატარა ქოხი...
 და შენი წილი ორი დღე-ღამე



იყალთო. გიორგი შათირიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, მიხეილ მრევლიშვილი, შოთა ძიძიგური, ვასო გოძიაშვილი.

შენც შემოდგომის ფერს შეეხამე
ჩალისფერ ჩოხით,
ბამბუკის ჯოხით.
მარტოობისკენ გიხმობენ წლები
დამცხრალი მთები,
დამნდარი წყლები;
ჭალების, დაცლილ ბაღების ფერი,
აღებულ ჩალის ჩამხმარი ღერი,
წვიმებით,
ავდრით დამზრალი ძნები,
მარტოობისკენ გიხმობენ წლები.

ადვილი შესამჩნევია, რომ ხანდაზმულობაში პროეტს ბრმა მამის იერი დასდებია და ამის მისანიშნებლად არის ნახსენები – „ჩალისფერი ჩოხა“, „ბამბუკის ჯოხი“. ეს თავისთავად ბადებს ნაღვლიან განწყობილებას.

ფინალურ სტროფში ირაკლი აბაშიძე კვლავ მრავალგზის ნაცად, კომპოზიციის მჭიდროდ შემკრავ განმეორების ხერხს იყენებს, მაგრამ სახეცვლილად, ადრე ნათქვამი გამდიდრებულია; შემატებული პირველი სტრიქონი ტიუტჩევის გენიალური „სილენციუმის“ ბოლოს ეხმიანება („Внимай их пению и молчи“) და ეს ისე მარჯვედ, ბუნებრივად არის გაკეთებული, სიუცხოვის არანაირი კვალი არ რჩება, სრული ჰარმონია მყარდება:

უსმინე, როგორ გალობენ მთები,
დამცხრალი მთები,

დამნდარი წყლები,
იხილე ფერთა გამქრალი ფრთები...
მარტოობისკენ გიხმოვენ წლები.

ახლა უნდა გავიხსენოთ ისევ სიჭარმაგეში დაწერილი მშვენიერი უსათაურო, რომლის თავი და ბოლო, აგრეთვე, მსგავსია და რამდენამდე განსხვავებულიც, მაგრამ არა აზრობრივად; ეს უკვე ნათქვამის ხაზგასასმელად, გასამძაფრებლად არის გამიზნული და ორსავე შემთხვევაში სანუთროდან ნასვლის გულდანყვეტას უკავშირდება. ქვეყნისთვის საჭირო თავდადებული ადამიანისა და შემოქმედის გარდაცვალებაზე, თუნდაც საუკუნე ჰქონდეს ზურგს უკან მოგდებული, ყოველთვის იტვიან, რომ მისი სიკვდილი უდროო იყო. შეუძლებელია, ასეთმა პიროვნებამ ღრმა, წარუშლელი კვალი არ დაატყოს აქაურობას და შთამომავალთა მეხსიერებაში არ დარჩეს, როგორც განუმეორებელი მოვლენა. კაცის მთელი ცხოვრება დაბადებასა და გარდაცვალებას შორის არის მოქცეული და, შესაბამისად, დასახელებული ლექსის პირველსა და უკანასკნელ, თითქმის ერთი და იგივე შედგენილობის სტროფებს მიჯრით, მიყოლებით მოვიტან:

სამასი წელიც მოგცეს გამჩენმა,
შენ არ ჩათვალო
წუთის ოდენად, –
უნდა ნახვიდე გულის დამჭრელად,
უნდა ნახვიდე მოულოდნელად.

* * *

წლებზე მეფობაც,
წლების დაძლევაც
შენ არ ჩათვალო
წუთის ოდენად –
უნდა ნახვიდე სულ ნაადრევად,
უნდა ნახვიდე მოულოდნელად.

სწორედ ასე მოულოდნელად, „გულის დამჭრელად“ წავიდა იგი, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვიტყვი. ერთხელ, როცა სახლში ვინახულე, უგუნებოდ იყო. მითხრა – მინდა იცოდე, აქაურობასთან აღარაფერი მაკავშირებს, დღე და ღამე ჩემს ძველ, ადრინდელ, წასულ მეგობრებთან ვიმყოფებიო. ეს არ გავდა წუთიერი დანაღვლიანების გამომჟღავნებას ანდა გულგარეთ ნათქვამს, რადგან იგივე განწყობილება ერთ გამჭოლ რითმაზე აწყობილ ლექსად გამოსახა:



რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატები -
ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, კონსტანტინე გამსახურდია,
ირაკლი აბაშიძე. ლადო გუდიაშვილთან.



* * *

ელენე ახვლედიანი, ირაკლი აბაშიძე.

ვინც მე მხიბლავდა
ყველა მკვდარია,
მათი შორი ხმა – მწუხრის ზარია.

ვინც მე მხიბლავდა,
ყველა მკვდარია,
მათი ალერსი – ქვენა ქარია.


ვინც მე მხიბლავდა,
ყველა მკვდარია,
მათი ღიმილი – ცისკრის კარია.

მათი მზის სხივი

კელაპტარია...

ვინც მე მხიბლავდა, ყველა მკვდარია.

წინასწარმეტყველებად იქცა მისი პატარა, ყველა ლექსიდან განსხვავებული, თითქოსდა ძლივს გასაგონი ჩურჩულით ნათქვამი უსათაურო, სადაც სიკვდილი ნახსენები არაა, ტაბუდადებულია, მაგრამ ყოველი ბნეკარის მიღმა იგულისხმება და ჩასაფრებულია. ისურვა, მაშინ გასცლოდა მისგან ათასგზის შექებულ მიწიერ სილამაზეს, როცა თვით ბუნებაც ძილს ეძლევა და ირგვლივ ყველაფერი გულსაკლავად განძარცულია. ამ უცნაური ლექსის რიტმიც, შესამჩნევად აჩქარებულია და ისე გავს, მისი დამწერიც აქედან ოტებას, სწრაფად წასვლას ელტვის.



გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი ინდოელ სტუმართან ერთად.

პირველი და ბოლო სტროფი აქაც მცირეოდნად არის განსხვავებული, რათა სიცოცხლის წრე დასრულდეს და თვით მასაც სუნთქვა შეეკრას. ეს უსათაუროც მთლიანად ამოსაწერია:

* * *

ო, არა გაზაფხულზე,
 ამ მზეში, ამ დარში,
 ო, არა გაზაფხულზე,
 ზამთარში... ზამთარში!
 როცა კვდება მიწაც,
 კვდება ნელა, ნელა;
 როცა გარეთ ბნელა,
 როცა შიგაც ბნელა.
 როცა სუსხი მეფობს
 ამ ბარში, ამ მთაში...
 ო, არა გაზაფხულზე –
 ზამთარში... ზამთარში!..

აუხდა, რასაც ამ ლექსში ნატრობდა, თუკი ეს მართლა სანატრელია. დადგა ქაოსისა და განუკითხაობის გაუსაძლისი წლები. გადაკრულად

ნახსენები სიბნელეც მოეძალა საქართველოს. ირაკლი აბაშიძე, ასეთი ჯოჯოხეთის შემხედვარე, როგორღა იგრძნობდა თავს მშვიდად. მანამდე, უამრავ შეჭირვებას ხორხის ურთულესი ოპერაცია დაემატა. ყელის იოგები მთლიანად ამოკვეთეს და ხმა დაკარგა. ამასაც შეურიგდებოდა, რომ არა აუტანელი საერთო ძნელბედობა. ატყდა ბოროტი ძალების მიერ დაგეგმილი სამოქალაქო ომი. რუსთაველის გამზირი და სოლოლაკის უბანი ხანძარში გაეხვია. ქალაქს, მთელ სიგრძეზე, შავი ფერფლის ნაფლეთები ათოვდა. ვითომდა „ეროვნული მოძრაობის“ სამარცხვინო არაკაცები პოეტს სახლში ურეკავდნენ, აქამდე ცოცხალი რატომ ხარო. ყოველივე ამის წარმოდგენა და დაჯერება ახალ თაობებს ალბათ გაუძნელდებოდა...

1992 წლის 14 იანვარს ირაკლი აბაშიძე გარდაიცვალა, რამაც ქართულ მწერლობასა და მთელ ჩვენს საზოგადოებას დიდად დასწყვიტა გული. იმხანად დასაკრძალავი რიტუალების ჩატარება თითქმის შეუძლებელი იყო. გაისმოდა ავტომატების კაკანი და ადამიანებს სახლებიდან გამოსვლა ეშინოდათ. რამდენიმე მეგობართან ერთად მივედი პანაშვიდზე, რათა ოჯახისთვის სამძიმარი გვეთქვა. ირაკლი აბაშიძე დაძინებულს გავდა. უფრო ლამაზი მიცვალებული იშვიათად მენახა. სანამდი პირში სული ედგა, თავდაუზოგავად ემსახურა საქართველოს – პოეტი, სამშობლოს ჭირისუფალი. გულზე ხელებდაკრეფილს, თვალებდახუჭულს, გარეგნობაც, ჩაცმულობაც მეფური ჰქონდა. გასაოცრად უხდებოდა გრძელი, მოყავისფრო პიჯაკი, მთელ თბილისში ყველას მჯობნი თერძის შეკერილი. მასზეც შეიძლებოდა თქმულიყო, რაც თვითონ, პალესტინაში მყოფმა, შოთა რუსთაველზე დანერა:

უხმოდ დასტოვა ესე მთა-ბარი,
შებინდების ჟამს მოკვდა მეფურად.

* * *

მე შევეცადე ირაკლი აბაშიძის პოეზიის ერთ ძლიერ, უმაღლესი ოსტატობით განხორციელებულ ნაწილზე მოკლედ გადმომეცა ჩემი უშუალო შთაბეჭდილებანი. ვერ ვიტყვი, რომ განაზრახი მთლად წარმატებული გამომივიდა. მით უმეტეს, საუკეთესო ლექსთა საკმაოდ მოზრდილი რაოდენობა ჩემი დაკვირვების მიღმა დარჩა. შემიძლია, გულის მოსაოხებლად (ასე ბევრს მოუხდია ბოდიში) ჩამოვთვალო ეს ლექსები: „თუ ხან ნამდვილი“, „პოეტის გული – ხან შმაგი ლომი...“, „მხოლოდ იმ ერთს“, „...პოეტს ვინ აცლის ღრმად მოხუცებას“, „გამოუთქმელი ლექსების ხსოვნას“, „მიახლოება“, „ხან წუთი, ხან

საუკუნე“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „ხმა გოლგოთასთან“, „ქარები რიონის ხეობაში“, „როგორც დათბება“, „...რად არ გაიხარე ცით“, „ყველა სიმღერა“, „...გამოჩნდა ისევ ცა ამეთვისტოს“, „ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს“, „თეთრი მარტივილი“, „ალაზნთან“, „თბილისს“, „ცა აფხაზური“, „მალხა“, „ნუშის ყვავილები ბაბილონის ნანგრევებზე“, „იქნებ ეს ლექსი“, „აგერ ლამანჩა“, „მშვიდობით! ვინძლო ხელახლა გნახოთ...“, „იქნება ჯობდა...“, „...თუ არის ლხინი...“, „დაგვტოვეთ მარტო“ და სხვები.

ირაკლი აბაშიძე არ გახლდათ მარტივი, იოლად შესაცნობელი პიროვნება. უძნელეს, უთვალავი ლაბირინთებით დახლართულ დროში იცხოვრა და ხანდახან ისეთი რამის გაკეთებაც უზღებოდა, რაც მის ბუნებას არ ეთავსებოდა. ამას კიდევაც ნანობდა და ყოველთვის ლამობდა, შეცდომები გამოესწორებინა. უცოდველი ამ ქვეყანაზე არავინ არის; არც მოჰქონდა თავი ფრთებგამოსხმულ ანგელოზად, მაგრამ ბევრ დაჩაგრულს და სუსტს გამოქომაგებია. მთავარია, მაღლმა დასანანი და შემთხვევითი გადასწონოს. ნაკითხული მაქვს, როგორ დაიცვა ირაკლი აბაშიძემ უკეთურთა შეტევებისაგან გასაცოდავებული და უკომპრომისო ტერენტი გრანელი მაშინ, როცა დაქირავებული კრიტიკოსები უნიჭიერეს პოეტს მინაში დებდნენ, ცოცხლად ასამართებდნენ. სამშობლოს, საქართველოს სამსახური და მისი სახელის ღირსეულად საზღვრებს გარეთ გატანა არასოდეს დავინწყებია და საამისოდ, ყველაფერს შესაძლებელს აკეთებდა.

აქ ერთი მცირე, მაგრამ აუცილებელი გადახვევა დამჭირდება. პოეზიასა და ცალკეულ პოეტებზე მრავალი ლექსი აქვს. რამდენიმე გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრეც დანერა. ერთში („ეს დღე ჩემია!“) თავის ღირსეულ წინაპრებს იხსენებს და ამაყად აცხადებს: „გული მათ გულზე მიმიბჯენია, გავრთულვარ ლექსის გამოჩარხვაში“. მისი გული პაოლო იაშვილს „ოქროს მორგვად“ ჰქონდა წარმოდგენილი და ამით ყველაფერია ნათქვამი. მეორე ლექსი ზოგადად არის დასათაურებული – „პოეტები“. იგი მუდამ აღტაცებული იხსენებდა ძველ საქართველოში გამართულ პოეტურ ტურნირებს და ამ ჟინს თანამედროვეთა მიმართაც ამჟღავნებდა. აქაც დიდ-პატარა კალმოსანთა ფიცხელ პაექრობას აკვირდება და ღიმილს ვერ იკავებს – პირველ სტროფში მსუბუქი, კეთილი ირონია გამოკრთის:

მე პოეტების მიყვარს ქიშპობა,
კუნთების გლეჯა, სიდიდის ნდომა,
ზოგის ლექსები დღესვე ისპობა,
სხვამ საუკუნე კიდევ გაზომა!..

მიუხედავად იმისა, სიცოცხლის დაუცხრომელი მეხოტბე, მოთაყვანე იყო, გიორგი ლეონიძეს ყოველთვის ახსოვდა ძველ რომაელთა მკაცრად გამაფრთხილებელი, ორსიტყვიანი შეგონება და „ვეფხვის პოემის“ დამწერის ასეთივე შეუვალი დანაბარები სიკვდილზე: „მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი...“ საბოლოოდ, ყველანი იქ მოვიყრიტ თავს, სადაც მეფე და მონა გათანაბრებულია. ამიტომაც, აპოთეოზად აჟღერებულ ფინალურ სტროფში, ბევრი რამის მიმტევებელი გიორგი ლეონიძე საყოველთაო თანხმობას აცხადებს, ღმობიერად უყურებს ერთმანეთთან მოძიძგილავე პოეტებს – „საქართველოს ლექსის მეხანძრეებს“ და შეახსენებს მათ, რომ განუჩეველად სიდიდისა, ყველანი ერთ, მამულიშვილურ მიზანს ვემსახურებით:

მე ყველა მიყვარს,
მე ყველას ვკოცნი,
ცრემლის და მელნის დამანთხეველთა!
და მჯერა, ყველას ერთად მოგვიყვანს
სამშობლოს ცეცხლი საკურთხეველთან.

ცხადად ვხედავ, წარმომიდგენია, რარიგად გაახარებდა ირაკლი აბაშიძეს ამ ნაპერწკლიანი სტრიქონების წაკითხვა. სხვა აზრი, განსხვავებული შეხედულება პოეტის წმინდა, უმაღლეს დანიშნულებაზე, ილიას, აკაკის და ვაჟას კეთილშობილურ ტრადიციებზე გაზრდილს, არასოდეს ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა.

ღირსეულმა ოჯახიშვილმა იმთავითვე შეისისხლხორცა წუთისოფლის განუხრელი წესი; იგი მთელი არსებით გრძნობდა – მამულთან გამოთხოვების ჟამი ახლოვდებოდა, სიცოცხლეს ახალი თაობები გააგრძელებდნენ და ერთ-ერთ ბოლო ლექსში ირაკლი აბაშიძე მაღლიერებას გამოთქვამს, რომ ამ კურთხეულ მიწაზე ქართველად დაბადება ერგო:

როცა შენ დამთბობ
უმაღლეს ძალით,
რომ შენი მოდგმა კვლავაც განახლდეს –
მაღლობას ვეტიყვი საკუთარ თვალებს,
რომელთაც შენი ზეცა მანახვეს.

27 დეკემბერი, 2021.

ბმე შორეული *

„მამული, ენა, სანაშენოება“.
მკვრამ მათ შორის რომ ენა მთა, ვინ იტყვის,
ვინ იქნას და მოუვიდოდა მამულსა და სანაშენოებას
საუკუნეთის უკიდურესი იქნებოდა.

ენა, დამხრელობა, მხრელობა — აი, არსებობდა
უკვდავების წამალი, რამეთუ ზვინი ერი ღვთისმეტყველებას
ბოლო და აქამდე იმ ბნელში, როგორც კანკალი იყო
ამ ქვეყანაზე დასუსტებული წყლის ყარა.

ღიქვამ ზვინს ენას!
ამოძრავებს ზვინს სხვა სურათს და ყვანის ბზისა
შესის იტყვისა მკაცრებაში, კაცობრივ ვაგონ-
ნილი შორეული ბმე:

„ო, ენა ზვინი,
ღვთის ენა,
შენ ზვინი ნიჭი,
სიბოლო და ვნება,
შენ, ზვინი სუნთქვის ღირს აღაშენო,
შენ, ზვინი ზვინი სუნთქვის ღირს,
შენ, ზვინი ზვინი ქვამ და კირამ
შენ ენას,
შენ ვერ გიბოძ
სამართლის პირად.“


ილია ჭავჭავაძე
14 აპრილი. 1990.

* აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის პირადი არქივიდან.
ქვეყნდება პირველად.



რუსთაველის ნაკვალევზე

... აღარც აქ ჩანს
შვიდასი წლის
შემდეგ



ლადო გუდიაშვილი, დოდო ანთაძე, ირაკლი აბაშიძე, ურია ჯაფარიძე.

მწველ ინდოეთში ფესვები

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...
ჯერ ალიზისფრად,
ნაცრისფრად,
ერთფრად
მოსდევდა ქვემოთ ტრამალს ტრამალი,
თითქოს სიცოცხლის ფესვ-ნატამალი
მოესპო ხვატის მახვილს მძვინვარეს...
მერე უეცრად
შუამდინარეთს
გადეკრა ფარჩა დილის მზისებრი...
გამოჩნდა ლურჯი ოაზისები,



აკაკი ვასაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, აკაკი ხორავა, პეტრე ამირანაშვილი,
ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე.

გამოჩნდა გზები,
ზღაპრად ქცეულის
ძველის, უხსოვარ ათასწლეულის.

გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...
და ძირს,
ქცეული ნაცრად და ფერფლად,
განათდნენ უცხო ფოლიანტები —
ურარტუს თეთრი გოლიათები,
ციხე-კოშკები ძველსამხრეთული,
ძველშუმერული, ძველი ხეთური:
დალაგდა თეთრად,
ზღაპრად დალაგდა
კედლები ქალდეს გამქრალ ქალაქთა.
გადავუფრინეთ ტიგროსს და ევფრატს...



ყაისინ ყულიევი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ირაკლი აბაშიძე და სხვ.

რუსთაგელის ნაკვალევზე

ნახე ეს ცა...
 ამ არწივის წამოფრენა,
 ამ ტყის ცეცხლი...
 ჰორიზონტი მკრთალი
 არა, შორით
 ამ სამყაროს წარმოდგენა
 ჯერ არ ძალუძს
 კაცს გონების თვალთ.
 წარმოიდგენ
 თეირანის მტვრიან ბინდებს,
 მაგრამ ვერა
 ფენჯაბსა და ლაჰორს,
 უნდა ნახო,
 უნდა ერთხელ ჩამოფრინდე,
 უნდა ნახო,
 შენი თვალთ ნახო.

ნახო ამ გზებს,
ჯერ უხილავს, ჯერ უხსოვარს,
რა მზე აჭერს,
რა ბუღბუღი უსტვენს...
ეს ქვეყანა
თვით გენიოსს, სწორუპოვარს,
არ იქნება,
არ ენახოს რუსთველს.

არ შეჰყროდეს
აქ ლხინსა თუ ომის გრიალს,
არ ეხილოს
ეს ბიბინი სერთა,
არ ენახოს
„სმენად მხეცნი მოვიდიან,“
არ ეგემოს
„ვა, სოფელოს“ სევდა.

და მეც დავალ,
ვინძლო მის კვალს ვინიშნებდე
ინდოეთის
გადაკარგულ გზებზე;
შვიდასი წლის,
შვიდიათას წვიმის შემდეგ
მის ნაფეხურს,
მის ნაკვალევს ვეძებ.


სად იარა,
სად უცქირა ცრემლთა ფრქვევას,
სად მიუსწრო
ძმას შეფიცულს ძმასთან?..
არაბეთის ზღვასთან იდგა?
მეც აქ ვდგავარ,
მეც აქ მოველ,
არაბეთის ზღვასთან.
სად ჩამოჯდა,
სად გარინდდა,
სად შეჩერდა,
სად აღმოხდა

მშობელ ქვეყნის ჰანგი?
განგის პირას
მწირთა ლოცვას
თუ შესცქერდა —
მეც მათ შევცქერ,
აი, ჩემს წინ განგი.

თითქოს ვხედავ,
თითქოს მართლაც
ნათლად ვხედავ
ჩუმს და ფერმკრთალს,
ჯანმრთელსა და სულმრთელს...
არა, ეს გზა,
როგორც მგოსანს,
როგორც მხედარს,
არ იქნება,
არ ენახოს რუსთველს.

რა იშოვა,
რა წააგო, რა მოიგო,
რა დაკარგა,
ქვეყნად არვინ იცის,
მხოლოდ მესხეთს
უცხო განძად წამოიღო
სიყვარული
ინდოეთის მიწის.

რა ცაც წვავდა —
ვმლერი მეც იმ ვარსკვლავებზე,
სადაც შედგა,
მეც იმ ზღურბლზე შევდექი...
ინდოეთში
რუსთაველის კვალს დავეძებ —
ალარც აქ ჩანს
შვიდასი წლის შემდეგ.



რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში

— რამ გადმოგხვეწა
ამ მწველ აღმურში,
რამ აგიყარა მესხეთს კარავი?!
მტრობამ?
მტრად ვინმე გყავდა მამულში?
რუსთაველის ხმა:
— არა, არავინ.


— მაშ, იქნებ შურმა,
შენგვარ მოყმეთა
შურს არ ძალუძდა შუქი შეეცნო;
შურს, შურს შეეძლო შენი მოკვეთა...
რუსთაველის ხმა:
— შურს არ შეეძლო.
— იქნებ ღალატმა,

მოულოდნელმა
ღალატმა, შავმა და მუხანათმა
გდევნა, განამა, შორს გადმოგდევნა...
რუსთაველის ხმა:
— არა ღალატმა.

— მაშ ცბიერებამ?
ჭირმა, რომელსაც
ქვეყნად ყოველი ძაგს ძლიერება,
რაც ძლევს თვით გმირის გულს და
ღონესაც...
რუსთაველის ხმა:
— არც ცბიერებამ.

— მაშ, სიძულვილმა?
უსინანულო
მოთხრის, მოსპობის, აღგვის წყურვილმა?
მაშ, სიძულვილმა?
ვაი, მამულო!..
რუსთაველის ხმა:
— არც სიძულვილმა.

— მაშ, რამ?
შენს ფრენას ფრთა რამ მოკვეცა,
რა წვამ აშკარამ,
რა წვამ ფარულმა?
რამ დაგამარცხა, რამ გადმოგხვეწა?!
რუსთაველის ხმა:
— რამ?
სიყვარულმა.



პალესტინა, პალესტინა ...

გულით წყუროდა შენს შორეულ შთა-
მომავალს წარმოედგინა, რას განიცდიდი
და ფიქრობდი შენ სიცოცხლის უკა-
ნასკნელ დღეებში.

მაშ, ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას,
თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალე-
სტინის ქართულ ჯვარის მონასტერში,
შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი
დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ.

შენ აქ ხარ

შენ აქ ხარ,

აქ ხარ...

მონასტრის კარებს —

ათასწლის ლოცვებს,

ღალადისს,


ქარებს

დაგდაგით, უხმოდ შევახეთ ხელი...

გალავნის უკან
ჯახანი ხმელი,
გალავნის უკან
ათასწლის ზარი —
და ჩვენს წინ
მძიმედ გაიღო კარი
მონასტრის —
არა,
კლდეკარის ხვრელი.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
შენს კვალზე მავალს,
ამ ზღაპრულ კართან
ახლა რომ ვდგავარ,
მშობელი მინის
ეს მედო ვალი...
მორჩა!
აქ შენი დასრულდა კვალი,
აქ შენი ჩუმი
ფეხის ხმა შეწყდა;
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან.

სად,
სად არ გძებნე —
მესხეთს
თუ სამცხეს;
მე გული ჩემი
შენს მონად ვრაცხე,
კვალდაკვალ მოგყევ
კლდეში თუ ღრეში,
მაგრამ ზედ მტკვართან,
მაგრამ ზედ
თმოგვთან
ნავალი შენი
ბილიკიც მოკვდა
და საზღვრის ხაზთან
დავკარგე გეში.




ინდთან და განგთან,
ფენჯაბს და ლაჰორს,
შორს, სულ შორს,
მაგრამ
 ახლოს, სულ ახლოს
შენი ხმა მონვდა
ჩემს მგოსნურ გუმანს,

მეც სმენა ჩემი
დავძაბე უმაღ
და მგოსნის გზნებით,
და მღევრის გზნებით
ვკეცე და ვთელე
მაშრიყის გზები,
მაგრამ ის გზებიც
სდუმან და სდუმან.

სადაც არ მიველ,
სადაც არ წაველ,
მე ნატვრა ერთი
დამღევდა მწვავე,
ერთ უთქმელ სიზმარს
ვწერდი და ვხევდი,
ერთ უქმნელ სურათს
ვემნიდი და ვშლიდი,
მე შენს თეთრ აჩრდილს
კვალდაკვალ ვდევედი —
მესმოდა შენი
ფეხის ხმა მშვიდი.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
დასრულდა კვალი,
მშობელი მიწის
ეს მედო ვალი;
აქ შენი მშვიდი
ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა,
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.



ნოდარ დუმბაძის დასაფლავების დღე -
მამია ახოზაძე, გურამ ფანჯიკიძე, ირაკლი აბაშიძე,


ვინ იცის როგორ მელის ვარძია

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია...
რა დიდ ფიქრშია,
რა მწველ დარდზეა;
როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...
ვინ იცის,
როგორ მელის ვარძია!
როგორ მელიან თმოგვის კედლები.

უთქმელ ღალადით,
უთქმელ ვედრებით,
როგორ ამღერდნენ
მაღალ ღმერთისთვის...
როგორ მელიან თმოგვის კედლები,
ვინ იცის, როგორ მელის
ხერთვისი...

იმ ძველ მოძღვრისთვის,
იმ ძველ მხედრისთვის,
სიცოცხლეს მხოლოდ ერთი აზრი აქვს...
ვინ იცის,
როგორ მელის ხერთვისი!

როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები,
ნამი,
რომელიც ველის ვარდზეა...
ვინ იცის,
როგორ მელის მესხეთი
ვინ იცის,
როგორ მელის ვარდია!...





ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან

„— შენგან განდგომა,
ო, ჯვარცმულო,
მე რად დამბრალდა,
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპრალთა,
ძლეულთ ნუგეშო,
დავრდომილთა თავშესაფარო,
მაშვრალთ იმედო,
ანთებულო ბნელში ლამპარო,
არას მქონეთა საგანძურო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმაღლესო,
რწმენით ნახულო.

მე შენის მცნების
აღსარება
ვარ თვით აკვნადან,



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
სტუმრად ენციკლოპედიაში.

შენია ჩემი
გულიც,
 ცნობაც,
 ხმაც საკუთარი,
მე სიყრმის დღიდან
არ მექონია
სხვა საყუდარი,
შენგან არს
ჩემში რაც ამაღლდა,
რაც რამ დაკნინდა.


შენით, მე შენით
ათას გზაში
გზა არ შემშლია,
შენმა განგებამ,
შენმა მცნებამ
მართლად წარმართა,
შენ ამაშორე

ბინიერი
წარყვანა წარმართთა,
შენ ჩამაგონე ზეციური:
„ღმერთი შენშია“.

და თუ რამ შევცდი,
რამ შეგცოდე,
რამ შემოგბედე,
გულთამხილავო,
ეს შენ უნყი
უმაღ ყოველი;
მაღალ მსაჯულად,
მაღალ მონმედ
მყავს შემოქმედი —
შენგან შენდობას,
სულგრძელობას
შენგან მოველი.

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემს დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძველი,
შენ მთხოვდი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

თუ განმაკაცე,
თუ დამადგი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების —
მე მსურდა შენგან
სიტკბოც
ცნობის თავისუფლების,




მე მნაღდა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების.

მე ამ წადილით,
მე ამ ლოცვით
ვიყავ დამწვარი;
ხამს ლოცვა ჩემი
არ მემწუხროს,
ხამს, არ წამმწარდეს
და თუ შენ მაინც
ცოდვად მითვლი
ამ ჩემს სანადელს —
ცოდვა, არცოდვის
ჭეშმარიტი
სად ძევს სამძღვარი?!
ნუ, ნუ შემრისხავ —
მე აქ ვდგავარ,
მე აქ მოველი,

სადაც გიზგიზებს
სუნთქვა შენი
და შენეული
იმ ჩემი სევდის,
იმ წადილის
კვალად მთხოველი,
ან გარდასული,
მე სიბერის
ჭირით სნეული.

შენგან განდგომა
ო, ჯვარცმულო,
მე რად დამბრალდა,
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპრალთა,
შენ უპოვართა საგანძურო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმაღლესო,
რწმენით ნახულო“.



ქართული ენციკლოპედიის თორმეტტომეული.



როინ მეტრეველი, ირაკლი აბაშიძე, ავთანდილ საყვარელიძე.

ხმა ჯვარის მონასტერში

„— მე დავიკარგე...
 დავიკარგე
 თუ დღეს გადავრჩი?
 დავთრგუნე სული,
 თუ ეს სული
 მე დღეს გავწმინდე?
 ვარ სამშვიდობოს,
 ვარ აღმართზე
 თუ თავდაღმართში?
 რა უნდა ერქვას
 ჩემს აქ ყოფნას,
 სუნთქვას აწინდელს?
 მე გარდვისახე?

ძველი ჩემი
გახმა ყვავილი?
კვლავ ახალ ვარდთა,
უფრო კარგთა
დღეს ვარ მფლობელი?
კვლავ ვფარავ სულში,
თუ გულმართლად
დავთმე ყოველი?
დავთმე?
და, იქნებ,
არც რამ მქონდა დასათმობელი?

მე შენს დიდ კანონს,
დიდ განგებას
როდის გარდაველ,
როდის დავაკელ
სითბო ლოცვას,
ლოცვას მონებრივს,
მაგრამ თუ ზოგჯერ
ვერ ვუჭერდი ფიქრსაც სადავეს —
რად მომეც ნიჭი,
გულისყური,
თვალი გონების.

ან იქნებ ცოდვად
არც მეთვლება
ეს მკრეხელობა
და შენ, პირიქით,
მცირედ მითვლი
ჩემს შემართებას;
იქნებ ამაოდ
შენთან ვინყებ
თავის მართლებას,
მე — სხვა ბუნების მონოდება,
მე — სხვა ხელობა.

გარნა ვინ ვიყავ?
რა ხმა მქონდა,
რა საკუთრება?

ვიყავ მმართველი,
 ხმელთა რისხვა,
 ზღვათა მპყრობელი?
 მე მეპყრა სკიპტრა?
 მბრძანებლობის
 მქონდა უფლება?
 ვიყავ ქალაქთა
 აღმმართველი,
 დამამხობელი?

მე აზრი ვიყავ...
 ბედი კაცთა
 მე არ მეზარა,
 ჩემად ნუგეშად,
 ჩემად ტანჯვად
 მე ეს მეყოფის...
 მე კაციც ვიყავ,
 მეც ამ მიწის
 მედო ბეგარა: —

მე ვიყავ მონა
 სიყვარულის
 და ერთმეფობის.
 თუ ეს მღევს ცოდვად,


თუ მაინც მთვლი
 სულად ცოდვილად,
 თუ მიხმობს შენი
 ხმა დამსჯელი,
 მაღალ-მეფური —
 ჰა, მოველ შენთან
 გულგახსნილად,
 დედიშობილად,
 უკვე სამარის
 კარს მიმდგარი,
 დაღამებული.

მარქვი, სად ვტყუი,
 სად ვარ მცდარი,




ირაკლი აბაშიძე, თამაზ გამყრელიძე, შოთა ძიძიგური, ილია ვეკუა.

სად ვარ მართალი?
დღეს მარტვილი ვარ,
ყარიბი ვარ,
ვარ განდეგილი;
მარქვი, მე ჩემი გაზაფხული,
ჩემი ზამთარი...
პანტოკრატორო,
შენს წინ ვდგავარ
მუხლმოდრეკილი“.



ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე.



ირაკლი აბაშიძე,
ვალერიან გაფრინდაშვილი.

ხმა ზეთისხილის ბაღში

„— სხვა რამ არ მწამდა,
სამშობლოზე წმიდათა წმიდა,
შემინდე, ღმერთო,
მამულისთვის ყოვლის დათმობა;
მნათობი შენი,
საქართველოს მწამდა მნათობად,
თოვდა თუ წვიმდა —
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.

ო, პალესტინავ,
პალესტინავ!
ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის
მწამდა შენის
სიტყვის, ცხოვლისა,

მაგრამ უადრეს,
უწინარეს,
 უმაღ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი.

ნექტრით ის მწვავდა,
მწარე მისგან გამმწარებია,
მის ცის ქვეშ
ყმობაც
 ჩემთვის იყო ალამდარობა;
მე უკვდავება
მამულს გარეთ არ მწამებია,
არ მიძებნია
მამულს გარეთ მამამთავრობა.

თუ ღირს ვარ მისი,
მისთა სერთა,
 მისთა ტყე-ველთა,
მისი სიმაღლის,
მისი სიღრმის,
 მისი განვრცობის —
გულიც და სუნთქვაც,
ყველა ნიჭი
 ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე
საქართველოს
 საკურთხეველთან.

იქ მივეც მამულს,
შემოქმედო,
შენის განგებით
რაც მოვიხვეჭე,
რაც დავკარგე,
 რაც განვიცადე;
იქ ჩაიბარე,
საქართველოს მართალ მიწაზე,
ის ჩემი სუნთქვაც,


ჩემი ცრემლიც,
ჩემი ჰანგებიც.

შემინდე შენს შვილს,
თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე.
მაგრამ ვარ ცოცხალ
იმავე სუნთქვით,
იმავე ნალველით,
კვლავ მიწა ჩემი
შეგავედრო
ცრემლით მდაგველით —
ამად აღვიძარ,
ამად მოველ პალესტინაშიც“.

ხმა სამრეკლოსთან

„— შენ გეაჯები,
შენს ვედრებას,
გულით ნათმენი,
სად წამოსული
მონა შენი,
მონა ყარიბი:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები,
არ მომიკვეთო
შენს ჯვარს
მიწა, შენით ნათელი.

რად მეჩვენება
ჟამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების,
შემონყრომა მაღალ სამართლის;
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის;
რად მესმის გლოვა
შორი ქართლის სამრეკლოების.



გიორგი ჯიბლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, სერგი დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე.

რად მესიზმრება
 ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
 ტანჯვა, გოდება,
 ბედშავობა, ცრემლი მალული
 რად დამდეგს ლანდად
 ბედწამხდარი ჩემი მამული.
 მამული, შენს ჯვარს მოწყვეტილი
 და დამწყვდეული.

აკმარე ჭირი,
 მტრის მონობა,
 სპარსი, არაბი;
 აშორე ცრემლი,
 უსჯულობა,
 წარღვნა, ქარაფი;
 შენ გევედრები,
 შენს დიდ გზაზე
 ლოცვით მარები:
 არ დაუკეტო საქართველოს
 პონტის კარები“.

ხმა თეთრ სენაკში

„— თამარ, გოდებავ
უნაპირო და უსასრულო,
თამარ, ღვთაებავ,
თამარ, მზეო,
მზეო ჩასულო!

იქნებ, არც იყავ
მზე ნამდვილი,
ღმერთი ნამდვილი,
იქნებ, ხმა იყავ
სულის წენვის,
გულის ფრიალის...
მე იქ გავთავდი,
სადაც ჩაჰქრა
შენი სანთელი,
შენს გარდასახვას
ნიჭიც ნაჰყვა
ჩემის ტრფიალის.

თუ ცოცხალ ვიყავ,
თუ რამ ძალი
მწამდა მონყალის,
თუ მწამდა ლხინი,
მწამდა ცრემლი
ნიაღვარული —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა
სიყვარული,
გულს — სიყვარული.

თუ მქონდა ფიქრი,
თუ მიზანი
მქონდა კაცური,
თუ აზრი წმიდა

გულს მენერა
ასოთ, მთავრულით —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ ალღრული,
ჩემს მიზანს ერქვა
სიყვარული,
აზრს — სიყვარული.

თუ რამ გზა ვკაფე,
თუ ვაშენე რამ სალოცავი,
თუ საქმედ დავდე
ღონე ჩემი,
მკლავში ფარული —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყავ მოძრავი,
ჩემს საქმეს ერქვა
სიყვარული,
ცდას — სიყვარული.

ჭეშმარიტების
არვინ უწყის
ნავთსაყუდარი,
მისი მიწური,
სრა-სასახლე,
ოდა ყავრული,
ჭეშმარიტების
დასაფრენი,
დასაბუდარი,
ჩემთვის სულ იყო
სიყვარული,
კვლავ სიყვარული.


ახლა რაღა ვარ?
ხე დამზრალი
გაბმულ ქარებით,
ვარ კლდე დაშლილი,
მე დაცლილი

ვარ სანყაული;
რითა სცემს მაჯა,
რა განგებით,
რა მანქანებით,
რით სუნთქავს სული,
რა ბუნებით,
რა სასნაულით?

ვდგავარ უგულოდ,
მე უგულოდ
ვდგავარ საფლავთან;
უგულოდ ბნელა,
ცა უტყვია,
მინა ბრმა არი...
მე თვისტომთაგან
ულმერთობა
სოფლად დამბრალდა,
ო, უგულობავ,
ულმერთობა
შენთან რა არი!

დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
მოვკვდები, თამარ!
დე, გზამ იაროს,
დე, თაობას
მოჰყვეს თაობა;
დავკარგავ საფლავს,
მეც შენგვარად
გავქრები, თამარ!
საფლავიც ჩემიც
იყოს ჩემი
უსაფლავობა...

თამარ, გოდებავ
უნაპირო და უსასრულო,
თამარ, ღვთაებავ,
თამარ, მზეო,
მზეო ჩასულო!“



ხმა კატამონთან

„— ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
ნარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეტელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის,
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა, ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უტყნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან“.



ირაკლი აბაშიძე მეუღლესთან, ნელი ჟორდანიასთან ერთად.

ხმა გოლგოთასთან

„— ვაი, გოლგოთა,
ჩემო ღმერთო,
ვაი, გოლგოთა!..
ვაი, სად შენად დღე დაღამდა,
ჩემად გათენდა...
ვდგავარ შენს ფერხთან
წმინდა, როგორც
ლოცვა ქართველთა,
წყევლა ქართველთა
უსჯულთ მიმართ,
მიმართ ორგულთა.

მე — ხე დამზრალი,
ხე გამხმარი,
ხე გაძარცული;
შენ — მარად ნორჩი ყვავილობა,
ფურჩქენა უცვლელი;
შენ — წამებული მზის ამოსვლა,

შუქი ჯვარცმული,
მე — მზის ჩაქრობა,
მწუხრის ბინდი
ჯვარზე უცმელი.

არავინ იცის,
არავინ უწყის
მე და შენს გარდა,
ო, ქრისტევ, ქრისტევ,
ჯვარზე გაკვრის ბედნიერება,
რაც დიდ წამებად მოუნათლავთ
ტომთა და გვართა
რასაც წვალებას,
ტანჯვას ეტყვის ქვეყნიერება.

ვარ მხოლოდ მღილი,
ვარ ცოდვილი,
ვარ სამოწყალო,
მაგრამ ხმა შენი
ჩემებრ ქვეყნად
სხვას ვის უგრძნია?
შენ გულთა ხილვის
მეუფე ხარ
მაგრამ მოძღვარო,
ჩემებრ შენს გულშიც ჩაიხედოს
ვის შეუძლია?

ვის შეუძლია
შენი სულის
იგრძნოს წამება,
ჩემებრ უსაზღვროდ,
ჩემებრ მაღლად,
ჩემებრ უბრალოდ?
ვის შეუძლია
ჩემებრ ცნას თუ
შენ — უკვდავება,
რისთვის ეძებდი,
რად ეძებდი
სიკვდილს, უფალო!

ვის ძალუძს, ღმერთო,
ჩემებრ ჩასწვდეს
შენს ნება-სურვილს,
სურვილს,
რომელმაც მზე ჩაგიქრო,
 ჯვარს დაგაკონა?..
ო, ბაღლო, ბაღლო,
ეგ სიმნიფე,
ეგ სიბრძნე სრული,
ეგ ცისკრის გახსნა
შემოქმედმა ვით ჩაგაგონა.


რაი არს ჯვარცმა?
გინდ სიცოცხლის
გაყრის ძიება?
ძიება მინად დამინების,
ზეცად შეფრენის?
რაი არს ჯვარცმა,
თუ არ ჯილდო და პატიება —
ვისაც ეკუთვნის,
ვისაც შვენის,
 ვისაც შეჰფერის.

ჭეშმარიტების ძიებისთვის
ჩვენ ორთავ ერთი
შმაგი წყურვილით
შიგ შევალეთ
წუთის სოფელი...
ჭეშმარიტების გზას შევევით
შენ კაცი — ღმერთი,
მე მიწის კაცი,
მე ცოდვილი,
 შენ უცოდველი.

და თუ შენ დაგცეს,
ჯერ კვლავ ნერგი
ახლად აშლილი,
დაგცეს, რამეთუ
არვინ დადგა



ნელი ჟორდანია, ვახტანგ, ირაკლი, ირინე, ზურაბ აბაშიძეები.



ზურაბ, ირაკლი, ვახტანგ აბაშიძეები.

შენად დამცველად —
მე სიბერემდე,
ვით მიჯნური
 ველად გაჭრილი,
ჭეშმარიტების გზა-კვალს ვდევი
დაუქანცველად.

ვნახე? ვიპოვე?
რითაც სიყრმით
ვიყავ აღძრული,
რასაც მოკვდავის გატაცებით
მნამდა, ვნახავდი?
ვნახე? ვიპოვე?
ჰა, სიბერეც,
ჰა, დასასრულიც,
აჰა, გარდაველ...
ის დღე გრძელი
 უკვე დავლამდი.

ბედით ნაგვემი,
უნაპიროდ და უსასრულოდ,
მოველ დღეს შენთან
კვლავ ის სული
 სული უცვლელი —
ჭეშმარიტების ძიებაში
დიდო ჯვარცმულო,
ჭეშმარიტების ძიებაში
ჯვარზე უცმელი.


მითხარ, სანამ ვარ,
სანამ აქვე
მიწვეს უკვალოდ
შენს ამ მხარეში,
შენი მიწის ქვეშ გარინდება:
რაი არს იგი,
რასაც ვდიეთ, ჩემო უფალო,
ო, ჩემო ღმერთო,
სთქვი, რა არს ჭეშმარიტება?“

ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში

„— დამამხობელმან
მე სანუთრომ
დამამხო, თამარ!
დიდება ღვთის მადლს —
ჩემს ჭირს
წამლით არ ეწამლება;
გასრულდა ჩემი
უდაბური სულის წამება,
გასრულდა ჩემი ხეტიალი
ტრამალ და ტრამალ.
მეფეო ჩემო,
მზეო ჩემო,
ხმელთა გამთბობო!
ვაი, ცრუ სოფელს —
აღარც მეფევ,
აღარც მნათობო,
არღარას შევეტრფი,
არას ვეძებ,
არას მოველი,
დავთმე სოფელი,
აქ აღვსრულდი
შენზე მგლოველი —
გამომეღვიძა
და სიზმარი იყო ყოველი.
მხოლოდ მას მარადს
ღმერთს ვავედრებ
სამარის კარად —
ჩვენს მართალ მამულს,
მის კლდეთა დგმას,
მის წყალთა დენას:
ეს ლოცვა ჩემი
ათას წლებში
ფარვიდეს ფარად
მის უკვდავ მთა-ბარს,
უკვდავ მაჯას, მის უკვდავ ენას“.



ირაკლი, ირაკლი, ლევან, ვახტანგ, ანდრო აბაშიძეები.



ტატა, ირაკლი აბაშიძეები, ვახტანგ მარსაგიშვილი.

უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე

„დღეს აღესრულა შოთა რუსთველი,
კვალად ზვიადი,
კვალად უცვლელი,
ათი დღე-ღამე უჭმელ-უსმელი
სენაკის თვისის ქერს შესცქეროდა;
სწამდა, სჯეროდა...
სწამდა, სჯეროდა...

ვისთან დავობდა...
ვისთან მსჯელობდა...
ათი დღე-ღამე ცას შესცქეროდა;
სწამდა, სჯეროდა...
სწამდა, სჯეროდა...

ღრმად დათოვლილი ლომის ფაფარი
თეთრ საბურველად პირზედ ებურა;
უხმოდ დასტოვა ესე მთა-ბარი,
შებინდების ჟამს მოკვდა მეფურად.

სარეცლის თავთან,
სიკვდილის წინ
ვუდექით დიდხანს:
— უკანასკნელი აღსარება
შენს მოძმეთ გვითხარ,
იქნებ აღმოთქმა
გულს გეამოს,
სულს არ ეწყინოს —
მშობელ მხარიდან
ამ შორეთში გადმოხვენილო!

არა ინდომა,
ოდნავ სველი
მილულა თვალი.
ღანვზე ეფინა
ჩამავალ მზის
ნათელი მკრთალი.

შემოვუტანეთ ზეთისხილის
ტოტები ლურჯი: —
— ჰა, შენი ქართლი,
შენი სამცხე
და არტანუჯი —
ნამლად დაგედოს,
ვითარ შენი
მინა და წყალი...

არა ინდომა,
ოდნავ სველი
მილულა თვალი.
გადავუფურცლეთ დამასკელი,
მისგან რჩეული:
— იქნებ, განგიქრეს
სევდა ძველი,
გულს დაჩნეული,
უსმინე შენებრ,
კვლავ აღგანთებს
მის ცეცხლის ალი...

არა ინდომა,
ოდნავ სველი
მილულა თვალი.


მზის დაწურვამდე
ვუგალობეთ ჰანგი მრავალი
და როს მოიღო
ჯვარისმამამ
ჯვარი მთავარი:
— „ღმერთმან შეგინდოს,
აღასრულე შენ შენი ვალი...“
ოხვრა აღმოხდა,
საუკუნოდ
დახუჭა თვალი.

დღეს გარდიცვალა შოთა რუსთველი,
კვალად ზვიადი,
კვალად უცვლელი,



ნელი ჟორდანია, ირინე აბაშიძე.

ათი დღე-ღამე
უჭმელ-უსმელი
სენაკის თვისის ცას შესცქეროდა;
ვისთან დავობდა,
ვისთან მსჯელობდა?
სწამდა... სჯეროდა...
სწამდა... სჯეროდა“...



ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ მარსაგიშვილი.

მიახლოება

შენ მთხოვდი ერთად,
შენ მთხოვდი ერთად —
მეც ჩემმა ბედმა არ გამანზილა;
მაგრამ მე შენთვის,
მაგრამ მე შენთან
მომქონდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილად.

შენ მხოლოდ ერთად,
შენ მხოლოდ ერთად —
არ გწამდა ჩემგან ნაწილ-ნაწილი...
მაცოცხლე შენთვის,
მამყოფე შენთან,
მე კიდევ დამრჩა შემოსანირი.

პოეტის გული –
ხან შმაგი ლომი,
ხან ბენვის ხიდზე ეტლის ტარება;
პოეტის გული – ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ერქარება.

რა უნვავ მადნით,
რა ბროლ-ალმასით,
რით ქსოვეს მისი კედლის ძარღვები,
რომ არ დანაცრდა,
როგორც არმაზი,
როგორც ხორეზმის
თეთრი თაღები,

რომ სულ ამაღლდა,
რომ სულ გადარჩა
სვეტები მისი, უცხოოდ ნაგები,
რომ არ დაინგრა,
როგორც ვარახშა,
როგორც მესხეთის
ვანის ქვაბები.

არ იყო ღმერთი –
ის რომ დაეცვა,
საყდარი –
ერთხელ მისთვის ელოცოს;
არ იყო ცეცხლი, –
ის არ დაენვას,
მიწისძვრა,
რასაც ის არ ელენოს.

რით კვებეს იგი,
რა დიდ სისხლითა,
მჩქეფარით,
როგორც ფშავის არაგვი,
რომ არ გამოშრა, არ დაიშრიტა,
როგორც აქბარის მკვდარი ქალაქი.

პოეტის გული – ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება;
პოეტის გული – მსოფლიო ომი –
სისხლისღვრა, ცეცხლი და მდულარება.


*მშენიერება ნათელია ზეცით მოსული
ნ. ბარათაშვილი.*

ვინ რას დამძრახავს,
დღეც არ გასულა,
მე არ მესუნთქოს
მინის სურნელით;
მე ვიყავ
ქვეყნით სავსე, კაცურად,
ხან უამურიტ, ხან სასურველიტ.

ის ხან მანთებდა
სხივით, ნათელიტ,
ხან ჩემს სულს გლეჯდა
აფთრის კბილებიტ;
ქვეყნის სატკივრით
მე ვარ ჯანმრთელი,
მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებიტ.

ვინ რას დამყვედრის,
დღეც არ გასულა
მე არ მეცოცხლოს ქვეყნის ხმაურით;
მე გულში მედო
მთელ საგანძურად
ხმა მინიური, ხმა აქაური.

მაგრამ მსურს მოვკვდე,
როგორც მთის კაცი
და სამარის წინ
ვთქვა გატეხილად:
რომ ზოგჯერ
ჩემთვის გახსნილ ცისკარში
მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა.



ვახტანგ მარსაგიშვილი, ირაკლი, ტატა აბაშიძეები, ნინო ფალიაშვილი,
ზურაბ აბაშიძე; დგანან: ნელი ჟორდანი, ირინე აბაშიძე.

თუ ხარ ნამდვილი

ბოლოს და ბოლოს,
თუ ხარ ნაღდი,
თუ ხარ ნამდვილი,
თუ ხარ პოეტი,
ხარ და ცისკრის
კარი გელეზა, —
შენ შიში ნუ გაქვს,
სამთავ ჭირის,
სამთავ ნადირის —
არც დრო, არც სივრცე,
არც ასაკი შენ არ გეხება.


ჩამოჰკრავს ზარი,
ფეხაკრეფით მოდის ასაკი,
მოდის ასაკი,

შენს თმებს ბარდნის,
შენს თმებს აობებს,
ჩამოჰკრავს ზარი,
მუხლებს გართმევს ეს ავაზაკი,
შენ კი ლილინით
თაობიდან მისდევ თაობებს,

ჩამოჰკრავს ზარი,
უკვე ქრება შენი ეკრანიც,
ქრება შენი დროც,
შენ კი ისევ ახლად იწყები —
შენ კვლავ გამზირზე
დგახარ, როგორც
ლოდი ეკლარის,
ის კი ღამურებს ფრთებით მიაქვთ —
დრო დავიწყების.

ჩამოჰკრავს ზარი,
(შენ ძლივს ასწრებ
სათქმელს მეასედს)
და ჰა, სივრცეებს
ფესვი მიაქვთ
ცვლაში ახალში;
ახლა სხვა ვინმე
იმ შენს არჩევ
სივრცეს შეავსებს,
მაგრამ, ამბობენ, იქ შენი ხმის
ჩანს მონახაზიც.

თუ ხარ მაღალი,
თუ ხარ ნაღდი,
თუ ხარ ნამდვილი,
თუ ხარ პოეტი,
ხარ და ცისკრის კარი გელემა,
ბოლოს და ბოლოს,
შენ თვით იცი შენი ადგილი —
არც დრო, არც სივრცე,
არც ასაკი შენ არ გეხება.




ირინე აბაშიძე, ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე.

სტრიქონში სიტყვა
 სულ არ დასწურო,
 გულს არ აჰხადო
 ყველა სარქველი,
 ლექსი ბოლომდე არ დაასრულო,
 არ დაამთავრო ყველა სათქმელი;

ხომ სულ ერთია —
 შენს ღალადებას
 გასცრის, გაცხრილავს
 იმ ღვთის საცერი;
 ღმერთი იქ იწყებს, სადაც თავდება
 სტრიქონი, მგოსნის ხელით ნაწერი.

სულ ნუ ამოთქვამ
 შენს დიდ ზღვის ლელვას,
 მშვიდად ითმინე მგოსნის სათმენი,
 რომ თავის სულშიც
 შენმა მკითხველმა
 ეძებოს სანთლით შენი სათქმელი.



ზურაბ, ირაკლი, ირაკლი აბაშიძეები.

*«Ей говорю: «Ты ль Данту диктовала
страницы Ада? » Отвечает: «Я».
А. Ахматова.*

მაშ, შენ ხარ მუზა?
შენ – ცისკრის ბავშვი?
შაბაშ, შენს ღონეს,
შენს ძალას ვაშა!
მაშ, შენ მენყრავდი
ყველა გზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან დაგება ვაჟა?

მაშ, შენ ჰქარგავდი
ხვატით და ყინვით,
ფიქრით და ცრემლით
იმ ჩარგლურ ხურჯინს?
შენ, შენ ავსებდი
სარდაფებს ღვინით,

რომ სულ ფიროსმანს
დაეშრო ფუნჯით?

მაშ, შენ თესავდი
იჭვსა და განსჯას,
ცის ფერს შენ სდებდი
ჩვენს ზეცის ტატნობს?
მაშ, შენ ახშობდი
შორეულ განჯას,
რომ იქ თვით ჯვარცმა
მიელო ტატოს?

შაბაშ, შენს საქმეს!..
მაგრამ დღეს მითხარ,
თუ დასდე ბოლო
მათს ჟინს და წყურვილს?
თუ დასნვი ყველა
ფერად და სიტყვად,
თუ ამოჰხაპე
ყველა მსხვერპლს სული?

ვაჰ, თუ რამ ცოდვა
შენს ღმერთსაც სცოდე,
ვაჰ, თუ რამ ნაჰყვათ
ფერი და ჰანგი;
ვაჰ, თუ სჭამს დღემდე
იმ ოქროს ზოდებს
სამარის ჭია, მინა და ჟანგი!

ვაჰ, თუ შავს მიწას
არყევენ დღესაც,
ვაჰ, თუ იქ თრთიან
ქვესკნელის ბჭენი!..
თუ ეს გაქვს სჯულად –
თუ ეს გაქვს წესად,
მაშ, შემინყალე დღეს მონა შენი!

პოეტი მაინც

გინდ ღარიბობდეს,
გინდ მათხოვრობდეს,
გინდ ბროლის ედგას
ნინ მთა-გორებიც —
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.


გინდ ხალიფობდეს,
გინდ ბატონობდეს,
გინდ დღეებს წვაფდეს
გულის სწორებით —
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

უნდა ცხოვრობდეს,
უნდა ცხოვრობდეს,
უნდა სუნთქავდეს
მგოსნის ცხოვრებით —
ნიკორწმინდობდეს, სვეტიცხოვლობდეს
ფიქრით, ლოცვებით და ამბორებით.

ქვეყანა მიაქვს შურს უბოროტესს,
მინა სავესა
ქვეყნის ჭორებით...
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

მხოლოდ იმ ერთის...

პოეტს ყველაფრის,
პოეტს ყველაფრის,
ზეცამ ყველაფრის მისცა უფლება:
კრივში დანდობის,
თასზე ხელ-აკვრის...
პოეტი - ფრენა და ჩამუხლება.



ტოლედო. ირაკლი, ზურაბ აბაშიძეები.

პოეტს ყველაფრის,
 პოეტს ყველაფრის,
 ზეცამ ყველაფრის მისცა უფლება:
 ლოცვა ხელადის,
 კიცხვა კელაპტრის...
 პოეტი — ხოტბა და დაუბრება.
 უფლება რისხვის, დაუზოგავის,
 უფლება ხვევნის,
 შეშლილ ამბორის;
 სამეფო ენის თუ კილოკავის,
 აშკარა სიტყვის თუ მეტაფორის,

ცრემლის, გოდების
 დარდის, იმედის,
 თმენის, ხილვების,
 წლობით ნანატრის...
 მხოლოდ იმ ერთის,
 მხოლოდ იმ ერთის,
 პოეტს უფლება არ აქვს ღალატის.



ტოლედო. ირაკლი, ტატა აბაშიძეები.

შორეული შხელდა

ის თოვლი ახალ თოვლს უცდის
შხელდის მწვერვალის,
იმ გასულ ზამთრის,
იმ გასულ წლის,
იმ თებერვალის.

ის თოვლი ახალ თოვლს უცდის
შხელდის მწვერვალის,
იმ გარდასულ მთის,
იმ მოხუცის,
იმ მთის, ელვარის;

იმ სულის,
მარად მლოცველის,
მარად მღელვარის...
ის თოვლი ახალ თოვლს ელის
შხელდის მწვერვალის.

ბაოლო იაშვილს

მსურდა ეს ხსოვნაც,
ძველი დარდის ერთი ფურცელიც,
უხმოდ წამელო,
როგორც ვაჟკაცს მოეთხოვება,
მაგრამ დავნებდი, —
სათქმელს ძველებზე ვერ გავუძელი...
ძნელი ყოფილა
ორმოცდაათს მიახლოება.

ვწერ ამ სტრიქონებს,
იქნებ სულმა იგრძნოს დაცხრომა,
იქნებ გათავდეს,
შენზე ფიქრი აღარ მომინდეს;
ყურში არ რეკდეს
იმ დღეს ჩვენზე ზეცის განყრომა,
ზაფრას გავექცე იმ დასანვაზე სალამოინდელს.

ახლა რად გვინდა
განსჯა,
ყოვლის ამრევ-დამრევი;
სჯობდა, არ სჯობდა
შენგან შენზევ
თოფის განყოფა?
იყო ნაბიჯი
გარდუვალი თუ ნაჩქარევი,
იყო გაქცევა ის გასროლა
თუ ვაჟკაცობა?

შენ კაცი იყავ,
გქონდა კაცის
ყველა თვისება,
წლობით შეგეძლო
გემიჯნურა,
გეგრძნო,
გელოთა,
მაგრამ იმ ნაბიჯს
(დღეს რად გვინდა ამის მტკიცება),



ირაკლი, ვახტანგ აბაშიძეები, ნატაშა ხომერიკი, ირაკლი აბაშიძე, ირინე აბაშიძე, ვახტანგ მარსაგიშვილი, ანდრო აბაშიძე, ტატა აბაშიძე, ლევან აბაშიძე, ირინე აბაშიძე; დგანან: ნინო ფალიაშვილი, ნელი ჟორდანი, ირაკლი აბაშიძე.

იქნებ ყველასგან,
მაგრამ შენგან
არვინ ელოდა.

კეთილ ვარსკვლავზე,
ბედნიერ დღეს დაბადებული,
ყველა სიკეთის მომხვეჭელი,
ცაში დამჭერი,
მუდამ ზეიმად,
მუდამ ლხინად
გამზადებული,
ძმობის შემკვრელი,
სუფრის თავი,
ბეჭის დამჭრელი;

შეყვარებული მოქნილ სიტყვას,
მოდმის ქებასა,
სულ უზრუნველი,
სულ ჰარალი,

სულ უდარდელი,
გადაყოლილი მრუდს და მართალს...
ჰაი, დედასა!
ასე გიცნობდა, თუ გიცნობდა
სადმე ქართველი.

შენ არ მიგაჩნდა ეს არც ქებად,
არც რამ გინებად;
არცთუ სჩიოდი —
სად შენა და
სად საყვედური,
მაგრამ დღეს გეტყვი,
და ეს ჩემგან ნუ გეწყინება:
შენ არ შეგეძლო
და არც იყავ წინდახედული.

ვიცი, ჰო, ვიცი,
დღეს ამის თქმა არის იოლი,
ოცი წლის შემდეგ,
დროის წამლით განკურნებისას,
მაგრამ შენ მაშინ
იყავ მხოლოდ კაცი ტრფიალი,
იყავ ამტყდარი,
მონავარდე,
ბალღურ ნებისა.

ყველას უყოფდი შენს სიხარულს,
რაც გაგეხარდა,
გრძნობებს მისდევდი
უაღვიროდ და უსადავოდ,
და რადგან მგოსნის სიყვარულით
ყველა გიყვარდა,
გეგონა, არცვის
არც რამ ჰქონდა შენთან სადავო.

სიცოცხლის ეშხით,
ამქვეყნიურ ნექტრით დამთვრალი
შენი გონება
შთაგონების ღმერთთან ომობდა


და თუ წესია,
თუ კაცსა აქვს რამ სამართალი —
შენთან სადავო
მართლაც ვის რა უნდა ჰქონოდა!

ორ საქართველოს
დაჯახების მოხვდი მიჯნაზე,
ბრძოლა ფიცხელი
ნახე ძველზე ახლის ჯობნების,
შენ ორთავ ქვეყნის
ტრფობა გეკრა გულისფიცარზე,
როგორც ყმანვილ კაცს
სიყვარული გაყრილ მშობლების.

და როცა ნაღდად
ორი ქვეყნის გზა გაიყარა,
იშვა ახალი
ძველი მიწის სიმყუდროეზე,
შენ ვაჟკაცურად,
არა გულქვად
და ჰაიჰარად,
მგოსნის გულშივე
ჰკლავდი დარდებს
წარსულ დროებზე.

მაგრამ მოვეშვათ,
აქ ახალი არაფერია,
ეს მხოლოდ მისთვის
მივაშველე
ლექსს იარაღად,
რომ მეთქვა შენთვის
და ჰა, კალმით დამიწერია:
შენ იმ ბრძოლების,
იმ ჭიდილის,
მსხვერპლი არა ხარ.



ძველ სამშობლოზე
შენ შეგეძლო
ლოცვით გელოცა,



ირაკლი აბაშიძე შვილიშვილ ირინესთან ერთად.

ახალ მამულშიც
ვერცხლზე არა გაგიცვლია რა;
შენ,
შენ დაეცი იმ წელს,
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრიალა.

თვითონ მტერთაგან
საქართველოს მტრებზე მითვლილი
სწუხდი, მეძახდი,
თან დამდეგდი ოცი წელია,
რომ გეთქვა ჩემთვის
მაგ ოცი წლის შენი სიკვდილით,
მგოსანს ჭეშმარიტს
რომ სიკვდილი არ უწერია.



ზურაბ აბაშიძე წარმატებით აგრძელებს ბატონი ირაკლის მიერ დაწყებულ
საპასუხისმგებლო საქმეს.

სული მდევარი

იყო საჭირო?
იყო საჭირო?
სულო მდევარო, სულო აჩრდილო,
რად არ ასვენებს მგოსნის გონებას
ამ საფიქრალით, ამ საკითხავით
ეგ ხმა გაბმული,
ხმა გამკიცხავი,
ო, ამ სატკივარს, ამ დაღონებას.

იყო საჭირო?
 იყო საჭირო?
 სულო ნაწვიმო, სულო ნაწილო,
 ხმა გააგონე მგოსნის გონებას,
 ხმა ან დასტურის
 ან ხმა უარის, —
 იყო საჭირო და გარდუვალი?
 ო, ამ სიჩუმეს, ამ დაყოვნებას.

სულო აჩრდილო,
 სულო ნაწვიმო,
 სულო ნაწილო,
 სულო დაჭრილო,
 იყო საჭირო?
 იყო საჭირო?



ტატა აბაშიძე, ნინო ფალიაშვილი, ზურაბ, ირინე აბაშიძეები.



ტატა ჭიჭინაძე, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი კახიანი, ნანუკა ჭიჭინაძე, ილია კახიანი;
დგანან: ზუკა კახიანი, ნინო ფალიაშვილი.

სული დამცველი

მაშ, ვერ ამჩნევდი?
მაშ, ვერ წვდებოდი?..
მაშ, ვერ ჰხედავდი?..
მაშ, ვერ ატყობდი?..
მშვიდად დგებოდი,
მშვიდად წვებოდი?
შენ იხაროდი, შენ ამაყობდი?
მაშ,
არ დაჭრილხარ იჭვის მახვილით,
არ დაღვრემილხარ

შენს ტკბილ წამებში?
არ უთრევიათ ფიქრს თავდახრილი
ყინვით გათოშილ შუალამეში?
არ უნატრია შენს ჩუმ ხეტიას
დღე დამშვიდების, დღე გარინდების?
კითხვის ნიშნებით არ დაგჩხვლეტია
რწმენა სანუკვარ ჭეშმარიტების?
ნუ,
ნუ სდევ ფიქრებს დავინწყებულებს,
დღეს იმ ხმებს,
ძველ ხმებს ნუ აყურადებ;
ნუ არხევ გულზე ძველ ნაწიბურებს,
ნუ ეძებ თვალში წაშლილ სურათებს.
შენ არსებობდი,
შენ არ ცდებოდი,
შენ არ ანგრევდი,
შენ არ აწყობდი;
შენ ვერ ამჩნევდი...
შენ ვერ წვდებოდი...
შენ ვერ ჰხედავდი...
შენ ვერ ატყობდი.

ნიკო ალხაზაშვილს

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა, წამელო ყველა სიამე,
ყველა სიმწიფის მენახა გემო...
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო...

ვერ შეველიე აპრილის დილეებს,
ლურჯ კოინდარზე ტყემლების ფთილეებს,
მეძახდა ჩემი ლიხთიმერეთი,
ჩემი პირველი ზღვა და ხმელეთი,
ჩემი ბავშვობის გამშრალი ნამი,
მეც ბალდადისკენ მივქროდი ღამით.

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,
ყველა ვაჟკაცი მეგობრად მსურდა,
სამ ადლზე მქონდა გაშლილი მკლავი,
მე ვიყავ ძმობის გული და თავი,
ხან წინაველი, ხან ბალი დიღმის...
ვერ შეველიე ტოლებთან ღიღინს.

ვერ შეველიე ალაზნის ნაპირს,
საინგილოში ავარდნილ ნადირს,
— ჭახ! – გუგუნებდა გაღმიდან გაღმით,
და რომ მეგონა, გათავდა ექო,
ერთს კიდევ სადღაც დაჰკვნესდა ნაღვლით,
ალბათ სიცოცხლე არც იმ ხმას ეყო.

ვერ შეველიე ლამაზის ალერსს,
ნადილით ავსილ ნამიან თვალებს
ვეძებდი, როგორც ფრინველი ბაღნარს,
მივდევდი, როგორც მდინარე დაღმართს
და მხოლოდ ცისკრის იგებდა ჟამი,
სად, რომელ ჭერქვეშ მეძინა ღამით.

ვერ შეველიე თბილისის კარებს,
თბილ შემოდგომის ქარვისფერ დარებს.
კრწანისში ძველთა ტკბილ გახსენებას.
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას,
და როგორც ზეცას მზე ჰკრავდა ისრებს,
მივდევდი ქუჩებს ისევ და ისევ.

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა ნამელო ყველა სიამე...
ნაგყვება რამე!?



სამი ირაკლი აბაშიძე

როცა მანქანა პირწმინდად შეგცვლის

როცა ყველაფერს გადასცემ რკინას,
 როცა მანქანა პირწმინდად შეგცვლის,
 როცა ფოლადად,
 თუჯად და ტინად
 იქცევა შენი ჯიშიც და ფესვიც;

როცა ცივ რიცხვად,
 კოლბად და მინად
 გექცევა სუნთქვაც,
 ტრფობაც და
 გესლიც —
 შენს სულში წუთით დამითმე ბინა,
 შენს ბედზე მტირალ ამ წმინდა ლექსით.



კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია, ირაკლი აბაშიძე სტუმრებთან ერთად.

ქეზაც, ყვედრებაც, კიცხვაც, მაღლობაც,
 წყრომაც, ვარამიც —
 სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
 სხვას
 აღარავის.

გმობაც, დანდობაც, ლოცვაც, გალობაც
 ქირდვაც მზარავიც —
 სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
 სხვას
 აღარავის.

ძეგლად სასახლეც, ოქროს წყალობაც,
 ისლის კარავიც —
 სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
 სხვას
 აღარავის.

მშვიდად, გულმშვიდად, მტრობაც, ნამლობაც,
 ღირსიც, არამიც! —
 სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
 სხვას აღარავის.

სულ გროშის ფასად


შენ, რა თქმა უნდა,
მხარს უჭერ კეთილს,
ბოროტისა და კეთილის ომში;
შენ, რა თქმა უნდა,
ძლევა გსურს ერთის,
ამ, გაჩენიდან მტრად შებმულ ორში;

მაგრამ აქ ფრთხილად —
 დღეს ქვეყნად არსად
 ეს არ ჰგავს ქიდილს
 ლუწის და კენტიის
 დღეს ადგილს უცვლის,
 სულ გროშის ფასად,
 კეთილი ბოროტს, ბოროტი კეთილს.

მზე თვითმზრუნავში

ო, რა ამინდია ღრუბლების ზემოთ —
მზე ელავს,
 მზე ელავს
სულ საზეიმოდ.
დარი და მშვიდობა ღრუბლების ზემოთ
ზეიმობს, ზეიმობს, ზეიმობს...

ადამის ძენო, ადამის ძენო
აფრინდით, აფრინდით ღრუბლების
ზემოთ!



ჰამლეთ გონაშვილი, ირაკლი აბაშიძე.

ღვინო ჩემი ხნის

მადლობელი ვარ —
დაბადების დღეს
მომართვი ღვინო ჩემი ასაკის;
მე ერთი სიტყვაც არ შეგეკითხე —
მეც ცოტა რაღაც მესმის ამ საქმის.

ძველ ღვინოს ვაშა!
მკერდს რომ შეგიხსნის —
ჰარალი, ჰარი,
ჰარი, ჰარალი!..
ო, გმადლობ, მაგრამ
ღვინოც ჩემი ხნის,
ღვინოც ჩემი ხნის ის აღარ არი.

ჩემო კოლხებო, მთებო, სვანებო!

მე დღეს დავეძებ
სიტყვას ნუგეშის,
ნუგეშზე მეტს და
უფრო უმაღლესს,
გულს რომ აბრუნებს კვლავ საგულეში,
კაცს ჭირვარამში სულს რომ უმაგრებს.

არ მოგვდგომია
კარზე მტრის ჯარი —
ჩვენზე ამხედრდა
ზეცის სამეფო;
ზვავმა დალენა თქვენი ბჭისკარი,
ჩემო კოლხებო, ჩემო სვანებო!

ცამ გადმოლაზა
ყველა სამანი,
მოდის უდაფოდ
და უნაღაროდ,
ჩემო ლიხო და ჩემო სავანე,
ჩემო ღებო და გუდამაყარო!

მოდის, ვით წინათ
მტერი მშიერი,
ლამობს, ქვეყანა
ფეხქვეშ გათელოს,
მაგრამ დღეს ჩვენ ვართ უფრო ძლიერნი —
დღეს თქვენს სახსნელად დგას საქართველო.

დგას საქართველო,
დგას საქართველო
ყველა ავდრის და
აბჯრის მსხვრეველად...
„დექით მტკიცედ და შეურყეველად,
დექით მტკიცედ და შეურყეველად!“



გიორგი ლეონიძე, ზურაბ ლეჟავა, ირაკლი აბაშიძე, ბაგრატ შინქუბა,
რევაზ ლალიძე, ალექსი მაჭავარიანი.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო!

გილოცავთ ყველას, გილოცავთ ყველას!
ნელს ყველა სევდის დღე დათვლილია;
როცა მე ვატყობ,
როცა მე მჯერა,
როცა მე ვამბობ –
ეს ნამდვილია.

ნელს ყველა წინსვლის იხარებს კერა,
ნელს ჩვენთვის ყველგან მზე და ღვინია;
როცა მე ვატყობ,
როცა მე მჯერა,
როცა მე ვამბობ –
ეს ნამდვილია.

ნელს ვერრა ჭირი ვერ გვავნებს, ვერა,
ეს არც რამ ქება, არც ქადილია;
როცა მე ვატყობ,
როცა მე მჯერა,
როცა მე ვამბობ –
ეს ნამდვილია.

წელს მოდის, მოდის მშვიდობის ერა,
ქვეყანა ერთხანს რომ გადირია;
როცა მე ვატყობ,
როცა მე მჯერა,
როცა მე ვამბობ —
ეს ნამდვილია.

ბილიკი მღერის

ციკლიდან „20 ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“

იისფერ თოვლის
ვნებიანად
ხიდიდან ცვენა,
შუქი და ბინდი,
ცა დამდნარი
 რთვილად და ნამად...
ო, ყველაფერი მას ესმოდა
მუსიკის ენად,
ო, ყველაფერი მას ესმოდა
ერთ გაბმულ გამმად.
ან იქნებ არა,
იქნებ არა,
იქნებ, პირიქით,
საგანი თავად იქცეოდა მის წინ ბგერებად
და ყველა ვარდი,
 ყველა ღამე,
ყველა ბილიკი
თვით იყო ჰანგი,
იყო ჟღერა, ასიმღერება.

ის კი,
უტყუარ ყურთასმენით, გაუგონარით,
ამ ჟღერის ტალღებს,
ჟღერის წვეთებს;
ჟღერის ცვარ-ნამებს
იჭერდა, რაღაც

მიმღეობის უცნობ უნარით,
როგორც დღის პეპლებს,
ვარდის ფურცლებს,
ლამის ფარვანებს.

ო, ბედნიერი,
ბედნიერი,
ნეტავ მის ღელვას, —
ის იყო ღვიძლი
დღეთა მისთა
აზრის და ფერის;
არის დრო ქვეყნად,
როცა მღერის საგანი ყველა —
ყვავილი მღერის,
ლამე მღერის,
ბილიკი მღერის.


არის დრო, არის,
დრო ეკუთვნის
სიმღერის წყურვილს,
ბუნების ჟღერას,
მინის ჟღერას,
ორფეის სმენას;
არის დრო, როცა
თავს დამალავს
ჰამლეტის წყლული,
ფაუსტის ტანჯვა,
ურწმუნობა,
ფაუსტის რწმენა.

და იგიც, იგიც
ხმებს უყვარდათ,
ვით მოსვლა წვიმის,
უყვარდათ ბგერებს,
როგორც ბაღლებს,
მშვიერებს და შიშვლებს;
მშობლიურ ენას
მან უპოვა
თვისება სიმის,
მშობლიურ სიტყვებს
კვეთდა, როგორც
მუსიკის ნიშნებს.



ირაკლი აბაშიძე, სერგეი მიხალკოვი, გალაკტიონ ტაბიძე.

ნეტავ მის სმენას,
ნეტავ იმ ხმებს,
ნეტავ მის ლელვას,
ის იყო ღვიძლი
დღეთა მისთა
აზრის და ფერის...
არის დრო ქვეყნად,
როცა მღერის საგანი ყველა –
ყვავილი მღერის,
ცრემლი მღერის,
ბილიკი მღერის.



ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე.



ლადო გუდიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ირაკლი აბაშიძე, დავით ანდლულაძე.

მ უ ზ ე უ მ ე ბ ი

ცოცხლებს ეკუთვნით ყველაფერი,
ხმაც და უფლებაც
მზეც და ქვეყნებიც,
 მზიურები, უმზეურები;
წასულებს მხოლოდ
ერთადერთი აქვთ საკუთრება
— მუზეუმები.

მუზეუმები – ტკბილ ოცნების,
მაღალ ლოცვების,
მუზეუმები – სადაც სხედან
ისევ ცოცხლები.



ნელი ჟორდანია, ირინე, ირაკლი აბაშიძეები, გივი მეფისაშვილი, ბ. ჯაფარიძე,
გია მარსაგიშვილი.

მაშ, მუზეუმი...

მაშ, მუზეუმი...
 ერთი სიტყვით, მაშ, დასასრული.
 მაშ, მუზეუმი –
 შთაგონება ფარხმალდაყრილი.
 რაგინდ მაღალიც, რაგინდ მწველიც
 და ვაჟკაცურიც —
 აღარც ოცნება,
 აღარც დაფი, აღარც საყვირი.

მაშ, მუზეუმი...
 არა, ვინ თქვა, რომ ეს მცდარია –
 ძეგლი ამ მთებში,
 როგორც გულზე მედალიონი.
 შენ ეს გეკუთვნის
 მაგრამ მაინც საოცარია
 გვერდით ერთურთთან
 მუზეუმი, შენ და რიონი.

შენ და რიონი –
სიამაყით, სიმწრით, სილალით
შენს ქოხს, შენს მინდვრებს,
შენს მშობლიურ
მთებს რომ ჩაუდის.
მაშ, მუზეუმი?
მუზეუმი ყველა სიმაღლის
პოეტის გზაზე არის თვლემა
ტაიმ-აუტის.

ო, არა თვლემა, არა დაღლა,
არა საზღვარი,
ეს შენს დიდ გზაზე
შენ არ გწამდა ერთი წამითაც;
შენ თვით ძილითაც არ გეძინა,
ძილით მაძლარით,
ეს დღეს ბევრს უკვე აღარ ახსოვს, –
ყველა წავიდა.

შენ იმ მუსიკის,
შენ იმ ხმების სმენით მხილველი,
იმ დიდ გუგუნის
იმ დიდ ჰიმნის,
იმ დიდ ურმულის;
შენს სამშობლოში
შენ იყავი მტერი პირველი
ყველა ჩათვლემის, ყველა ძილის
მუზეუმურის.

მაშ, მუზეუმი?
მუზეუმი დღეს და შემდეგაც
არის დიდება,
იგი ხოტბა, იგი ძეგლია.
მაშ, მუზეუმი...
მუზეუმი მათთვის შენდება,
ვისაც ის ძეგნით
სიცოცხლეში არ უძებნია.

მოგონებების აურზაური

მაშ, მუზეუმი –
ხელით მეფურით,
რაღაც მანქანით,
რაღაც სიმძლავრით
სიზმარი, წამით შეჩერებული
და ალბეჭდილი ფირზე სიზმარი.

დაკარგვის,
გზების, ეკლით სავალის,
ნადირის, ხანძრის, სეტყვის დაშენის —
მე ერთი შიში დამყვა მთავარი,
მე დამყვა შიში მარტოდ დარჩენის.

მაშ, მუზეუმი...
ყველა აქ არის,
სად მოყვანილი და სადაური!
ჩვენი დრო, ჩვენი ძველი ლაშქარი —
მოგონებების აურზაური:

***** ასევე ციკლიდან „20 ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“**

მუდამ ფხიზელი, ნამთვრალევი,
მუდამ მბორგავი;
სავსე ყელამდე ათას რიტმით,
ათას სიკეთით,
პოეტურ გზაზე, შენ იყავი დაუზოგავი,
პოეტურ ძმებთან უმკაცრესი,
უსასტიკესი.

ყველა პირობის, ყველა მიჯნის
საზღვრის გარეშე
შენ, დიდოსტატი გულის დანვის,
სულის დამდუღვრის,
პოეტთა შორის დიდჭიდილში,
დიდ ანგარიშში
შენ გწამდა ერთი ანგარიში —
მხოლოდ „ჰამბურგის“.
არის ფარული,



ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომი საჩუქრად გადაეცა ვასილ მჭავანაძეს.

არის ომი დაუფარავი,
არ ინდობს ღმერთი
არც წვრილ მონას,
არც დიდ გვარიშვილს...
არ მოიტყუოს ფუჭად თავი
ცის ქვეშ არავინ —
პოეტურ გზაზე არ არსებობს
სხვა ანგარიში.

შენ ის სიმაღლე,
შენ ის სინაზე,
ფიქრი, ათასჯერ ღამენათევი,
ამ მიწისა და ზეცის წინაშე
შენ ერთნაირად ხარ პირნათელი,



1982 წელი. გურამ გომართელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ირაკლი აბაშიძე, ბორის სალარიძე, ომარ მხეიძე.

იყო მოქცევა ტალღის, მგოსნურის,
 ამ საუკუნის გრძნობა-გონების,
 მაგრამ შენ
 სხვა ხმით იყავ მოსული,
 სული ავსილი ობერტონებით.

შენ ამ ცხოვრების ღერძზე მიკრული,
 ხან მინიერიც, ხან ზეციერიც,
 იყავ ოსტატი ალოგიკურის,
 იყავ ოსტატი ქვეცნობიერის.

აზრთან ყოველთან,
 კაცთან ყოველთან,
 ჩვენ დიდ მომავლის გზებს გავყურებდით...
 ჩვენ ჩვენი ღმერთიც გვყავდა
 რომელსაც
 ჩვენი სინდისით ჩვენ ვმსახურებდით.

შენ, დიდმსახური მაღალ მიზანთა,
ლექსის სხვა ნირი,
სიტყვის სხვა ტონი,
ხარ ვალმოხდილი ცა და მიწასთან
როგორც მონა და როგორც ბატონი.

აქ, ზღვის დონიდან,
წინაპრების ხელით ნაგები
მეტად დაბლა დგას
მივარდნილი შენი სახლ-კარი,
მაგრამ ზღვის დონით ქვეყანაზე,
უფლის განგებით,
არ იზომება ყველა სახლი,
ყველა საყდარი.

იქნებ კი სჯობდა, ამ მეტრითაც,
ამ საზომითაც
ჩვენც ჩვენს საზომზეც,
ჩვენს ჭირზედაც შური გვეძია –
ჩვენც, ჩვენც გვეზომა
ამ საზღვრიდან, ამ „ზღვის დონიდან“
რა დონეზე დგას სამშობლოში,
ვთქვათ –
პოეზია.

არა. ზღვის დონით, ზღვის საზომით
(სხვა რა დონეა)
ვზომოთ ქვეყანა როგორც გვსურდეს,
როგორც გვანყობდეს...
თავის დონე აქვს პოეზიას,
თავის დონე აქვს —
ეს კი პოეტებს,
თვითონ მგოსნებს უნდა გვახსოვდეს.

შენ ის ხარ მხოლოდ

ხომ მორჩა უკვე ჭორი,
ზოგჯერ ღალატისანი.
არა. ყოველთვის ჭორი თბილი,
ჭორი ფრთიანი:
— დღეს ასე ვნახეთ რუსთაველზე
გალაქტიონი,
წუხელ იქ ვნახეთ სასახლესთან
„მერის“ ტრფიალი.

გათავდა. მორჩა.
ყველა აქ ჟღერს, ყველა აქვეა
ის ხეტიალიც,
ის სიფხიზლაც,
ის სიმარტოვეც;
ახლა შენს დღესთან, შენს ღამესთან
ვის რა საქმე აქვს –
შენ ის ხარ მხოლოდ,
შავით თეთრზე რაც აქ დატოვე.

უმუსიკოდ ...

ახლა შენს სახლთან მღერის მინაც,
მზე და დარია.
მინა ქართული უმუსიკოდ
ცოცხალ–მკვდარია.

ახლა შენს სახლთან მღერის სიტყვა,
ვით ნაკადული.
ცას ვერ იხილავს უმუსიკოდ
სიტყვა ქართული.

არის უკვდავი ეს სიმართლე,
ეს სიქადული:
ცოცხალ–მკვდარია უმუსიკოდ
ლექსი ქართული.



ედუარდ შევარდნაძე, დავით ჩხიკვიშვილი, ირაკლი აბაშიძე.

ახლის ძიების ...

ვხატოთ და ვხაზოთ
 მამა-პაპის ნახმარ ფერებით?
 ვქსოვოთ და ვქარგოთ
 მამა-პაპის აცმულ მძივებით?
 ეს ღმერთმაც ნუ ქნას, –
 ყველა ნიჭის გაცამტვერებით,
 პოეტის გულში
 ჩაქრეს ცეცხლი ახლის ძიების.

მაგრამ აქ ფრთხილად ...
 ჩვენი დაფით, ჩვენი ნალარით
 ჩვენც არ დავარქვათ მედიდურად
 ნამჯას ჯეჯილი
 რომ ხელთ არ შეგვრჩეს,
 რაც ქრისტეს წინ
 იყო ახალი
 და მერეც, ჩვენს დროს,
 კიდევ ასჯერ გადაღეჭილი.



გიორგი ციციშვილი, თინა ელბაქიძე, თემურ, მალხაზ რადიანები, ირაკლი აბაშიძე, ?
ზაალ ბოტკოველი.

გამბედაობა ახალ თაობებს

გამბედაობა!
და არა თვლემა,
თვლემა, რომელიც სულს აჭაობებს;
ახალი ფორმა, ახალი თემა;
გამბედაობა ახალ თაობებს!

გამბედაობა, როგორც ჰაერი,
გამბედაობა მილენ-მოლენვის...
მაგრამ
არ არის სულ ერთნაირი
გამბედაობა ყველა მოლექსის;

ზოგი ფუჭად და განგებ პრიალებს,
ზოგიც უცხოა
მშობელ მხარისთვის;
ლექსში ეპოქებს არ ატრიალებს
გამბედაობა ყველა ხარისხის.

ყველა თავისი
სიტყვით, მჭექარით,
ყველა თავისი ფოლიანტებით!
ჩვენ კი ჩვენი ვთქვათ:
ვაშა, ჭეშმარიტ
გამბედაობას გოლიათების!

ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს

ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს,

მეც

შენც და

ისიც;

ჩვენც,

თქვენც და

ვილაც,

ცოტად თუ მეტად; კარგად თუ ავად,

მხოლოდ ჩვენ ხშირად ვერც ვხედავთ თავად

მის ფერს და ნიშანს,

მის აზრს და გზა-კვალს,

როცა კაცურად ფულიმით მზაკვარს,

როცა ვარიგებთ ხიბლსა და სითბოს,

როცა სიმრუდეს ვერც ვამჩნევთ თითქოს;

როცა გულს ვუხსნით ცრუსა და მლიქვნელს,

როცა სიყალბეს არ ვქოლავთ იქვე,

როცა თვალს არ გვჭრის ძარცვა და ხვეჭა,

როცა ხმელ აზრებს ვღეჭავთ და ვღეჭავთ,

როცა თავგასვლას ვფარავთ და ვთაფლავთ;

როცა სიმდაბლეს სიმაღლედ ვნათლავთ,

როცა ცხელ ომშიც ხმაღს ვიქნევთ ყუით,

როცა ჩვენს სულთან, ჩვენს სულთან ვტყუით

მეც,

შენც და

ისიც;

ჩვენც,

თქვენც და

ვილაც –

ყველა ვატარებთ საკუთარ ნილაბს...

ვერ წარმოიდგენ,
რა საოცრებით
გამოჩნდა მინა ძველი თბილისის,
როგორც ამოხსნა ძველი მოძღვრების,
როგორც მზადება ზღაპრულ ფილმისთვის.

გინდა ლომებით, გინდაც მონებით,
გინდა ცრემლებით, გინდაც მძევლებით –
რა გემოვნებით,
რა გემოვნებით
სჭედდნენ, აგებდნენ ჩვენი ძველები.

შემდეგ კი, შემდეგ
როგორც ეკლებით,
როგორც ლოცვებით
წვრილ-წვრილ ჭორებით
დაფარეს წლებმა ჩვენი ძეგლები
დახლით, დუქნებით, სავაჭროებით.

მუზეუმის ნაცვლად — ოქროს თაყვანი,
ხელობის ნაცვლად — დახლის მონობა;
გალობის ნაცვლად — ბაზრის ყაყანი,
სიმაღლის ნაცვლად —
უგემოვნობა.

მორჩა. დღეს ნიჭმა
ეს გზა დასძლია,
მაგრამ ხამს გვწამდეს
ერთი გაგებაც —
უგემოვნობა უფრო გამძლეა,
ვიდრე ძეგლიდან დუქნის აღება.
უგემოვნობა — მტერი ნამდვილი,
უგემოვნობა — ჭირი ბებერი;
უგემოვნობა –
მგლურის ნადიმი,
ავადმყოფობა უკუჩვენებელი.




ჯუმბერ პატიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, სერგეი კუპრეევი მეუღლესთან ერთად.

როგორც სიმდაბლე,
 როგორც ცხოვლობა,
 როგორც საპყრობა,
 როგორც მონობა,
 შორს, პოეტური უგემოვნობა,
 — შორს, პოეტური უგემოვნობა!

ჯერ ჩემს ძველ ხმაში

ო, გამარჯობა,
 ანგარიშის ბედთან სწორებაე!
 აქეთ ვჩქარობდით,
 აქეთ ვქროდით,
 აქეთ მოვრბოდით...
 გაფრინდა, გაქრა,
 ჩემი წლებიც, ჩემი ცხოვრებაც,
 იქ დარჩა სადღაც,
 როგორც ნისლში აეროპორტი.
 მაგრამ რადგანაც



ირაკლი აბაშიძე, ჩინგიზ აიტმატოვი.

ღვთის განგებით,
 ზეცის წყალობით
 ამ მაღალ მზის ქვეშ
 ჩემებრ ძველი
 ბევრი სხვაც არი —
 ჯერ კიდევ სულში სადღაც ნედლობს
 სიმი გალობის;
 ჯერ კიდევ ქსანზე
 ნათლად არ ჩანს მცხეთის საზღვარი.

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
 ლექსიც ცოცხლობს

იმ ძველ ყაიდის,
კვლავაც მაღალი, კვლავაც მკვიდრი
და მუყაითიც;
ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ეს თბილისიც ცოტა სხვა არი —
ქვემოთ იქ, სადღაც
ჯერაც ისმის დილის საარი.

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ძველ სურნელით
თაფლის სანთლების
ხვდება თბილისი
პოეტების იმ ძველ განთიადს.
ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ქარიც ცოცხლობს ოციან წლების
და მიაქვს სული
რწმენით სავსე ოცდაათიანს.

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ისევ ისმენთ იმ ძველ ნაბიჯებს:
გესმით ხმაური
იმ ძველ შფოთის,
იმ ძველ რიალის;
ჯერაც რუსთველზე
სიზმრად ჰხედავთ ორთავ ტაბიძეს
და მაჩაბელზე ისმის სროლა
ორლულიანის.

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
იმ მწველ კვნესით
ქართველ მეომრის
შფოთავს ყირიმი,
შფოთავს ქერჩი,
შფოთავს იალტა;
ჯერ ჩემს ძველ ხმაში —
სივრცეებში გაბმულ ხმაურით
გმინავს მოზდოკი,
ომის ცეცხლი ქუხს დარიალთან.
ჯერ ჩემს ძველ ხმაში

იმ იმედით დაუცხრომელით
ძმობის, მოყვრობის
ინერება ერთი ფურცელიც;

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ძალას იკრებს
სიტყვა ყოველი,
რომ ერთხელ კვლავაც
ეამბოროს სახელს რუსთველის.

ჯერ ჩემს ძველ ხმაში
ეს თბილისიც ცოტა სხვა არი -
იქ ქვემოთ, სადღაც
ჯერაც ისმის დილის საარი.



ირაკლი აბაშიძე, ევგენი ევტუშენკო.




ირაკლი აბაშიძე, სერგი ჭილაია, გიორგი ლეონიძე და სხვ.

გიორგი ლეონიძეს

როგორ ატყვია უშენობა
 ამ შემოდგომას,
 ამ ზეცის შეცვლას,
 დღის მოკლებას,
 მზის შემოკვდომას.
 თითქოს ჩვენს მთებში
 პასტერნაკის ეფრინოს დემონს —
 მცხეთის, ავჭალის,
 ტაბახმელის წაელოს გემოც.

თუმც ისევ ყინჩად
 უყვიან ფერები ფერებს,
 ზედ ხოხბის გუნდი დასახდომია
 წყნეთსა და ვერეს;
 უძო, კვლავ უძო



ელგუჯა მალრაძე, ირაკლი აბაშიძე.

საიდუმლოს ღამობს შეცნობას
და ზამთრის პირზეც
ასფრად ღუის,
როგორც შენსობას.

როგორც შენსობას,
შემოდგომის უხილავ ნამგლის
ტრიალი ჩუმი
აჩანაგებს ორბეთს და მანგლისს,
მოჰყვება ქვემოთ
მთის ბილიკებს
ძველსა და ახალს,
ფოთოლი ცვივა სამადლოზე
თრიმლსა და მაყვალს.

მე ვტოვებ თბილისს,
ძველებურად მე ვტოვებ თბილისს,
ასფალტზე ჟღერენ ნამსხვრევები
ჭირხლის და რთვილის;

ო, როგორ გვიცდის,
მთაზე ნისლი — ხარი და ფური,
რომ სამადლოზე შემოდგომის გავტეხოთ
პური.

შემოაქვთ ბევრი,
ძველებურად შემოაქვთ ბევრი,
კვირადღის სუფრას
შემოდგომა უხვად შემოაქვს,
მაგრამ როგორც მთებს,
სადღაც ერთი აკლიათ ფერი
ამ ლხინის პურსაც
უშენობით დღეს სხვა გემო აქვს.

ჩვენ ერთურთს მისვლად,
ჩვენ ზმად ქცევა
გვიყვარდა სუფრის,
იმ მართალ ლექსთან
ჭეშმარიტი გზა რომ გვეპოვნა;
ჩვენ ჩვენს ჭედილეებს
ვაჯახებდით ერთმანეთს შუბლით, —
რაც ზოგ უსახურს
პოეტების შულლიც ეგონა.

შენ თავად ჰანგი,
შენ ნაწილი იყავ ბუნების,
ამ ლხინის სუფრის,
ამ სიცოცხლის,
ამ ფუფუნების;
შენ ამ მთა-ბარის ხოტბა იყავ,
ამ ოქროს ტბაში
სულ სიყვარული, აღტაცება,
ვაშა და ტაში.

ტრფიალის ღმერთი
შენ ინამე
შენს კეთილ ღმერთად,
ამ მიწის ღვიძლი,
ცად ასული,

ცად ანაფრენი;
იქნებ შენ იყავ ჩვენში სწორი
ყველაზე მეტად,
იქნებ ეს არის მგოსნის ხარკი,
სხვა არაფერი.

ჩვენ კაცთა მოდგმის
მსაჯულებად
მოვდივართ ქვეყნად,
მის კეთილ გზათა დასალოცად,
დასანათლავად,
მაგრამ ვინ ხელჰყო ტრფიალებაც,
რომელმა ღმერთმა,
ვინ დასდო ბრალი
ანაკრეონტს და საათნავას?

ვინ ხელჰყო მგოსნის გაგიჟება
ამ დამწველ ზეცით,
ამ დამწველ მთებში
ხმად ჩანყოზა,
ხმად ჩალაგება?
ამ წუთის სოფლით,
წუთის სუნთქვით,
სულ ერთი ბენვით,
ამ მზით და მიწით,
ელდის ცემა, გაჩანაგება.

შენ ეს ქვეყანა
სულ იწამე შენს კეთილ ხვედრად,
შენს პირად ჯილდოდ,
ღვთის წყალობად,
შენს საკუთრებად —
მაშ, ვის ეკუთვნის,
ვის ეკუთვნის სხვას ჩვენზე მეტად?
შენ, როგორც მგოსანს,
ამ ქონების გქონდა უფლება.

როგორ ატყვია უშენობა
ამ შემოდგომას,

ამ ზეცის შეცვლას,
დღის მოკლებას,
მზის შემოკვდომას,
თითქოს ჩვენს მთებში
პასტერნაკის ეფრინოს დემონს —
მცხეთის, ავჭალის,
ტაბახმელის წაელოს გემოც.

კაპიტანი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავე მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვჟღეტდი სისხლის მსმელებს;

არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს.

და ვუბარებ ყოველ ქართველს;
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

*მოქმედი არმია
ჩრდილოეთ კავკასია 1942 წ.*

მცხეთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი, მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?

მე დაგანახებ არმაზის მხარეს, —
კედლებს ნანგრევებს, მკვდარ ნაქალაქებს,
სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს
სძინავთ — ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.

და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ მოსვლა,
აღსდგნენ არმაზის სარკოფაგები.

ჩვენ აღტაცებით დავცქერით განძებს,
აკლდამის ქვებში მარჯვედ ჩასმულებს:
საოცარ თვლებით მოჭედილ თასებს,
საოცარ თვლებით ნაჭედ სასმურებს,

სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,
კვლავ ცოცხლებს, რაღაც უცნობ ნამალით...
(თუმცა ამაოდ ვეძებდით ჩონჩხებს —
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც).

და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს,
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,
რომ არც სიზმარი არის ყოველი;



სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ირაკლი აბაშიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი.

რომ იქნებ მათაც,
მიწიდან ახლა
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.

ჩვენ კი დღეს სწორედ,
ჩვენ კი დღეს სწორედ,
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს,
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს, მათგან მოწოდებულებს.

არა, არ წაგყვეს
არ წაგყვეს ჯავრი, —
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ, დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!

პირველი თოვლის სიმღერა

ნუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თერთად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.


დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!



ჩაკლი აბაშიძის
წერილები
და
სიტყვები



ცენტრში შალვა ნუცუბიძე, ირაკლი აბაშიძე, ვატანგ ბერიძე, სერგი წულაძე.

პოეტის უკვდავება

რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე

წარმოთქმული სიტყვა (1966)

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!.. პატივცემულო სტუმრებო!

რა იქნებოდა ცივილიზაციის, კულტურის ისტორია, რომ ეს ისტორია უსასრულოდ სწორ, ზომიერად გაშლილ ტრამალს ჰგავდეს და ამ სწორი უსასრულობის ზედაპირზე აქა-იქ ცად აზიდულნი, ცაში ავარდნილნი არ იყვნენ მწვერვალები, რომელნიც ჩვენი დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩანან. ეს მწვერვალები მუდამ გვტაცებენ თვალსა და გონებას, განუწყვეტლივ გვიხმობენ თავისკენ, როგორც თქვა კავკასიონის ქედების მიმართ ჩვენგან ამ რამდენიმე წლის წინ წასულმა მშვენიერმა

ქართველმა პოეტმა: „მსდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები...“.

მწვერვალები...

მაგრამ ამ ცადაზიდულ, დიდებულ მწვერვალთაგან ზოგნი, მარადიული თოვლით დაფარულნი, მეფური სიმშვიდით დგანან, გვაოცებენ და არ გვაშფოთებენ, თვალს გვჭრიან და ძილს არ გვიკრთობენ, ზოგნი კი უხსოვარი დროიდან აქამდე არ დამცხრალან, აქამდე არ დამშვიდებულან და თავისი ვულკანური მოუსვენრობით დღესაც შფოთავენ, დღესაც არ გვასვენებენ, ძილს არ გვანებებენ.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენო ძვირფასო სტუმრებო! თუ ჩვენ ოდესმე დედამიწის რომელსამე კუთხეში ამგვარი მწვერვალების ძირას ერთმანეთს შევხვედრივართ, იცოდეთ, საქართველომ დღეს თქვენ გისტუმრათ არა ცადაზიდული, მარადთოვლიანი, მეფურად მშვიდი მისი მყინვარის, უშბას ან თეთნულდის ძირას, საქართველომ თქვენ მოგიხმოთ ჯერაც დაუმცხრალ, ჯერაც ბობოქარ მწვერვალთან, მოგიხმოთ მე-12 საუკუნის მარად ცოცხალი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეზე. მან, სწორედ მან, პოეტმა შოთა რუსთაველმა არ დააძინა ქართველი კაცი 700 წელიწადს.

მადლობა ღმერთს!

მაგრამ საქართველომ თქვენ იმიტომ როდი მოგიხმოთ, რომ მხოლოდ ამ უძილობის ამბავი მოგიყვებოდა.

მართალია, მას სურს კიდევ დაწვრილებით მოგიტხროთ მისი დრამატიზმით აღსავსე წარსულის ამბავი, ის ამბავი, თუ როგორ გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას ეს პატარა ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში, ქვეყანა, რომელმაც პირველი რომანი მეხუთე საუკუნეში შექმნა საკუთარ ალფაბეტზე და ამავე საუკუნეში თარგმნა ბიბლია.


არც მხოლოდ იმიტომ შევყრილვართ აქ, რომ ჩვენ, ქართველებმა, კანონიერი სიამაყის სიტყვები მოგასმენინოთ რუსთაველის გამო, იმის გამო, რომ შვიდასი წელიწადია, რაც ქართველი კაცი ამ დღეზე ოცნებობს, ოცნებობს მადლობა უთხრას თავის დიდ წინაპარს შოთა რუსთაველს, საქვეყნოდ, მთელი დედამიწის გასაგონად, რადგანაც ქართველ კაცს, ისტორიის მრავალ პარადოქსთაგან ერთ უდიდეს პარადოქსად მუდამ ის ამბავიც მიაჩნდა, რომ ამ შვიდასი წლის მანძილზე მსოფლიო მნათობთა თანავარსკვლავედში შოთა რუსთაველს მისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდა მიჩენილი. ჩვენ კი მუდამ გვჯეროდა: ქართველ ერს, რომ სხვა მისია არც ჰქონოდა ამქვეყნად, რუსთაველის წარმოშობით მოიხდოდა თავის ვალს კაცობრიობის წინაშე.

დიახ, ეს ასეა, მაგრამ საქართველომ თქვენ დღეს მოგიხმით და გისტუმრათ ცოცხალ ფორუმზე, ცოცხალ ზეიმზე, იმ პოეტის იუბილეზე, ვინც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წყვდიადში ყველაზე მაღალ კვარცლბეკზე დააყენა ადამიანი, დაიცვა და აღიდა ადამიანი, ვინც დიდებული ჰიმნი უძღვნა გონების განთავისუფლებას და მებრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებით შვიდასი წლის შემდეგაც ჩვენს გვერდით დადგა ჩვენს მრისხანე ეპოქაში.

და რა დიდი სიხარულის მომგვრელია იმის შეგნება, რომ ეს დღე, ჩვენგან ამდენი ხნის ნაოცნებარი და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გათენებული დღე, ქართველთა დიდი წინაპრით — შოთა რუსთაველით შთაგონებული დღე, გადაქცეულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმად, მშვიდობისა და პროგრესის იდეების, ჰუმანიზმის მაღალი პრინციპების ზეიმად. აქ, ამ დარბაზში, დღეს შეყრილნი ვართ დედამიწის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელნი, რომელთაც გვსურს გულახდილად ვისაუბროთ დღევანდელი ჩვენი კაცობრიობის ბედ-ილბლის, მისი კულტურის არსებითი საკითხების გამო. გავიაზროთ, რას გვიქადის ხვალინდელი დღე — იმ ძალების ზეიმს, ვისთვისაც თანაბრად ძვირფასია ეგვიპტის მიწაზე ნაპოვნი სამი ათასი წლის წინანდელი პაპირუსიც და ტიარ დე-შარდენის ნააზრევიც, ინკების ტაძართა ნაშთებიც და პიკასოს ტილოებიც, — თუ იმ ძალების გამრავლებას, ვინც ახლა ბომბებს აყრის ვიეტნამის უძველეს მიწაზე მლოცველ ბუდისტებს, ვინც ოცნებობს ფაშიზმის ხელახალ აღორძინებაზე, ან კიდევ... ვისაც მშრომელი ხალხისთვის მავნედ და უსარგებლოდ მიაჩნია წარსულის მიერ კაცთა მოდგმის სადიდებლად შექმნილი უძვირფასესი სულიერი ფასეულობანი, ვინც ველურად წიხლავს კულტურის მონაპოვრებს და დღეს, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ჩვენდა სავალალოდ, ინკვიზიციის შემადრწუნებელ დღეებს გვახსენებს.

ჩვენს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს პოლიტიკის სფეროში შეჭრა. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება კაცობრიობის არსებობის უმაღლესი აზრის, ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრის — მისი სულისა და გონების, მისი კულტურის ხელყოფას, — მაშინ გაჩუმება უთუოდ დანაშაულია. მართალია, რუსთველმა გვასწავლა, რომ მხოლოდ კეთილის არსებაა გრძელი, რომ ბოროტებას არ უნერია გამარჯვება, რომ „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, მაგრამ რუსთველმა, სწორედ რუსთაველმა გვასწავლა ისიც, რომ, ვიდრე კაცს კაცი ეთქმის, ბოროტებას ქედი კი არ უნდა მოუდრიკოს, არამედ მთელი არსებით წინ აღუდგეს მას და მის დამხობამდე ვერ მოისვენოს.

ამიტომ არის ჩვენთვის ძვირფასი და შეუღწეველი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, პოეტი, რომელმაც უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანს, უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანის გონებასა და გონიერებას.



ამიტომ არის ძვირფასი და შეუღწეველი რუსთველის სახელი ჩვენს ეპოქაში, ჩვენს მრისხანე საუკუნეში, როცა ისტორიის ბედუკულ-მართობით, ქვეყნების სათავეში ზოგჯერ საბედისწეროდ აღზევებულია ხელში ადამიანის ფასი ისე ხშირად მერყეობს რიცხვებსა და ნულს შორის, როგორც აქციების კურსი ბირჟებზე.

გავხადოთ ადამიანის ფასი სტაბილური — აი, რუსთველის იდეალი. აი, მთავარი ღოზუნგი, რაც უნდა ეწეროს ჩვენი ეპოქის პროგრესის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მეტრძოლი ძალების მაღალ დროშაზე.

ადამიანი!

ადამიანისა და ადამიანობის უპირველეს ნიშნად კი რუსთველს სიყვარული მიაჩნდა, მისი უკვდავი პოემა სიყვარულის ჰიმნია, ხოლო ამ ჰიმნის ლეიტმოტივი რუსთველურად თქმული უკვდავი მარადიული ჭეშმარიტებაა: სიყვარული „ავგამაღლებსო“.

მამ ჩავიხედოთ თვით „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რა საფუძველზე, რა სულიერ სამყაროში აღმოცენდა ეს დიდებული პოემა.

რუსთველის დროინდელი საქართველო იყო სახელმწიფო, რომელიც ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარებოდა და რომლის კულტურულ საფუძველსაც ჰუმანისტური სულისკვეთება შეადგენდა. ამას რომ

ვამბობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ საქმე შეეხება ერთობ ადრეულ ხანას, მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც დღევანდელ ევროპაში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა და ამ სახელმწიფოთა კულტურა ძალიან შორს იდგა თავისი განვითარების მწვერვალისაგან.

ქართველთა ამ სახელმწიფოს შექმნას შეუჩერებელი აღმასვლის ხანგრძლივი ეპოქა უსწრებს წინ. და როდესაც ამ აღმასვლის ეპოქას თვალს გადაავლებთ, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დაგერჩეთ, რომ თითქოს ის ძალები, რომლებიც რუსთველის წინა საუკუნეებში ქმნიდნენ ქართულ კულტურას, რალაცნაირად ჩქარობდნენ ამ კულტურის ზვიადი შენობის კედლების ამოყვანას, რათა ბოლოს შოთა რუსთაველს საშუალება მისცემოდა სწორედ მეცამეტე საუკუნეში მომხდარი საბედისწერო კატასტროფისთვის სულ რაღაც ორი-სამი ათეული წლით დაესწრო და ეს შენობა დიდებულად მოეგუმბათებინა.


ცხადია, ეს „სიჩქარე“ თვით კულტურის შინაარსს როდი გული-სხმობს. ლაპარაკია კულტურული აღმშენებლობის საოცარი ინტენსივობის ხარისხზე. ყოველ შემთხვევაში ის, რაც ქართველობამ მოასწრო ქრისტიანობის მიღების შემდეგ მე-4—12 საუკუნეთა მანძილზე, მუდმივი თავდაცვითი ომების, მტერთაგან რბევისა და ნგრევა-განადგურების ვითარებაში, გაცილებით მეტ დროს საჭიროებდა.

ინტენსიურმა კულტურულმა საქმიანობამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ეს თანაბრად ითქმის როგორც საგანმანათლებლო საქმის, ისე ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგების შესახებ, აგრეთვე ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის, განსაკუთრებით მხატვრული მწერლობის შესახებ.

უკვე პირველსავე ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, ხოლო შემდეგ სასულიერო პოეზიაშიც და საისტორიო თუ ფილოსოფიურ მწერლობაშიც აშკარა გამოკვეთილობით იჩინა თავი ისეთმა ასპექტებმა, რომლებიც გულისხმობდნენ სწორედ ადამიანს, ადამიანის განხილვას მის მთლიანობაში — როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღნაგობის თვალსაზრისით, ტკობას ადამიანის სიმშვენიერით, სიყვარულის მოტივებს, აგრეთვე ჭეშმარიტების დაურიდებელი ძიებისა და დაეჭვების მომენტებს.

აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, როგორი შეუფარავი აღტაცებით აგვინერს მეთათე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის — ბერისა და ასკეტის ფიზიკურ სრულყოფილებას:

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორციითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვამითა მრთელ და სულითა უბინო“.



ხოლო ბუდას ცხოვრების ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ვერსია — ქართული „სიბრძნე ბალაჰვარისი“ წმინდანად შერაცხილ აბენეს მეფეს სიკვდილის წინ ამგვარ გულის შემძვრელ აღსარებას აღმო-ათქმევინებს:

„ბუნებით თანაც ყოველსა სულსა მწუხარება განშორებისათვის ხორცთასა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსვლი-სათვის უცხოებად, სადა იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“.

არც კონფესიური წრეების მიერ ხშირად სატანის განსახიერებად მიჩნეული ქალის ქართველთა განმანათლებლად მოვლენა ყოფილა შემთხვევითი ქართული ქრისტიანული კულტურისათვის. არც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, საერთოდ, ნეოპლატონიზმის იდეებით გატა-ცება, პლატონისა და არისტოტელეს დაუცადებელი შესწავლა, ბოლოს — იმავე სასულიერო მწერლობის წიაღიდან მაღალგანვითარებული საერო მწერლობის ამოზრდა და ქართული ენის მესიანისტური სულის-კვეთებით გამსჭვალული სადიდებლის შექმნა ყოფილა შემთხვევითი ქართული კულტურისათვის.

თუ დავუმატებთ ყოველივე ამას, რომ საქართველოში მისი გეოგრა-ფიული მდებარეობისა და აქ მცხოვრები ხალხის ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების მეოხებით იმთავითვე ხდებოდა უმაღლესი ხასიათის სინთეზი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა (ხაზს ვუსვამ —



სანდრო შანშიაშვილი, ირაკლი აბაშიძე.

სინთეზი და არა მექანიკური შერწყმა), მაშინ ჩვენ მიახლოებით მაინც მონიშნული გვექნება რუსთაველის წინა საუკუნეების და თვით რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის, მისი იდეალების კონტურები.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ყოველივე იყო ზვიადი შენობის მხოლოდ საძირკველი და კედლები, რომელიც მოუგუმბათებელი დარჩებოდა, საქართველოს შოთა რუსთაველი რომ არ მოვლენოდა.

რუსთაველმა დაასრულა, საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ადამიანობის ის უმაღლესი იდეალი, რომელზეც კი საერთოდ შეეძლო ეოცნება შუა საუკუნეების მსოფლიოს, და ვაი, რომ არა მარტო შუა საუკუნეებისას. მან მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ადამიანი. ამით მან დიდი ხნის წინ უსწრო ევროპის რენესანსს.

მაშ ასე! ყველაფერი გამზადებულია რთული ქიმიური რეაქციისათვის, ახალი უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტის მოსაპოვებლად, რეაქციაში შემავალი ყველა ელემენტი მოცემულია, აკლია მხოლოდ ერთი რამ — ამ შემთხვევაში უმთავრესი — ელექტრული დენის ნაპერწკალი.

ეს ღვთაებრივი ნაპერწკალია რუსთველის გენია. მხოლოდ და მხოლოდ ამ გენიალობის მეოხებით გახდა შესაძლო, წარმოქმნილიყო ის უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტი, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“.


აქ დამსწრეთა უმრავლესობას ჩემზე უკეთ მოეხსენება, რა იყო ის გორდიასეული კვანძი, რომლის გახსნა ვერა და ვერ მოახერხა შუა საუკუნეთა აზროვნებამ — რელიგიურმა, ფილოსოფიურმა, რელიგიურ-ფილოსოფიურმა თუ მხატვრულმა. ეს გახლდათ შემეცნებაში გაჩენილი უფსკრული ღმერთსა და გამოვლენილ სამყაროს, შემოქმედსა და შექმნილს შორის. შედეგი მუდამ ერთი იყო: ჭეშმარიტია მხოლოდ ღმერთი, ხოლო გამოვლენილი სამყარო, მატერიალური ქვეყანა ანუ სოფელი, როგორც ძველ საქართველოში უწოდებდნენ — მხოლოდ მოჩვენებაა, სიზმარია, არარსებულია, ბოროტების, სატანის საუფლოა.

დაჰიპნოზებული, მოჯადოებული შესჩერებოდა კაცობრიობა ამ გათიშულ სამყაროს, უფსკრულის ამ ორ ნაპირს, და გამოსავალი ვერსად ეპოვნა. და თუ ფილოსოფოსნი და ასკეტნი ნუგეშს მასში ჰპოვებდნენ, რომ აქეთ, გამოღმა ნაპირს საერთოდ ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე და მხოლოდ მიღმა მხარეს მიაპყრობდნენ მზერას, მწერალთა და ხელოვანთა ხვედრი უფრო ძნელი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ისინი მთელი არსებით აქ იყვნენ, ამ სამყაროში, გამოღმა ნაპირას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასალა, რომლისგანაც მათ თავიანთი ქმნილებანი უნდა გამოეძერნათ, წმინდა ცნებებისგან კი არ შედგებოდა, არამედ სწორედ ამ გამოღმა სამყაროს უკავშირდებოდა, — მათთვის ეს იყო კონკრეტული ჭეშმარიტება; მეორე მხრივ, რელიგია და ფილოსოფია მათ ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტია მხოლოდ მიღმა ნაპირი, უფსკრულს გაღმაარსებობა, ხოლო გარემომცველი სინამდვილე დასაგმობია და ზურგშესაქცევი. და ასე, მათ შეგნებაში გაჩენილი გამოუვალობის შინაგანი განცდა მძიმე დაღად აჩნდა მათსავე შემოქმედებას.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე.

ასეთად გვესახება ჩვენ ვითარება იმ ეპოქისა, რომელშიაც ქვეყანას მოვევლინა ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

აქ წინასწარ უნდა შევნიშნოთ: ერთი ნუთით დავუშვათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ, ამ თვალსაზრისით არ შეგვისწავლია „ვეფხისტყაოსანი“. ვინც ამ პოემას



ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე.

თითქოს კლდის ვეება ნატეხებისაგან არიან გამოძერწილნი. ტარიელი არ არის გათიშული, გაორებული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ნესტანის პოვნის იმედი გადაიწურა და მანაც უდაბნოს შეაფარა თავი, ცხოვრებას განუდგა. შექმნილ სიტუაციაში მთლიანი პიროვნება სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ეს, სხვათაშორის, კარგად დაამტკიცეს ჩვენმა ფსიქოლოგებმა.

ზემოთქმულიდან თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ მონისტურ თვალსაზრისს ვეძებთ. მაგრამ რა ხასიათისა უნდა იყოს ეს მონიზმი? შეიძლება დავუშვათ, რომ თავისი ეპოქის დუალიზმი რუსთაველმა იმით დაძლია, რომ საერთოდ მოხსნა გაღმა ნაპირის პრობლემა? ჩვენს მეცნიერებაში ამგვარი აზრიც გამოითქვა — რუსთველი მხოლოდ ამქვეყნიურობითაა დაინტერესებული, მისი ინტერესების სფერო ამქვეყნიურობის საზღვრებს პრინციპულად არ სცილდებაო. ჩემი აზრით, საკითხის ამგვარად დაყენება, საკითხის გამარტივებაა. მოდი, ნუ უგულვებელყოფთ ისტორიულ თვალსაზრისს და ნუ მივანერთ რუსთველს იმას, რაც სულ უკანასკნელ ხანს, აგერ სულ ერთი საუკუნის მანძილზე იქნა მოპოვებული: ნუ ავურევთ ერთმანეთში აზროვნების შეუზღუდველობასა და თავისუფლებას, ერთი მხრივ და ათეიზმისა და მატერიალიზმის მიჯნებამდე მისვლას, მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი მომენტი, რამდენადაც საქმე მე-12 საუკუნეს ეხება, საერთოდ გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. მოვლენები მათივე მოცემული კანონებით უნდა ავხსნათ და არა ჩვენს მიერ მათთვის თავსმოხვეულით.

ერთხელ მაინც წაიკითხავს, მისთვის ისედაც ნათელი უნდა შეიქნეს, რომ ავტორი ამ პოემისა, როგორადაც იგი წარმოგვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიდან, წმინდა ფსიქოლოგიური მხრივ არასგზით არ შეიძლება იყოს მიმდევარი რაიმე დუალისტური კონცეფციისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ისევე არ შეიძლება არსებობდეს გათიშული სამყარო, როგორც არ არსებობენ მისთვის ბუნებაგათიშული, გაორებული გმირები. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მონოლითურნი არიან. ისინი

წინააღმდეგ გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაში გამოთქმული თვალსაზრისისა, რუსთველს არ მოუხსნია გაღმა ნაპირის პრობლემა, მაგრამ, წინააღმდეგ მისივე ეპოქის გაბატონებული ტრადიციისა, ზურგი არ შეუქცევია გამოღმა ნაპირის სინამდვილისათვის თეორიულადაც კი. და, მიუხედავად ამ ორი წინააღმდეგობისა, უფსკრული მაინც დაძლეულია.

უფსკრული იმით დაიძლია, რომ თვით იგი, ეს უფსკრული იქნა გამოცხადებული ბოროტებად და არა მოვლენათა სამყარო. ხოლო რუსთველის მიხედვით, ბოროტება არაა რისა, იგი მხოლოდ მოჩვენებაა, ილუზია — ღმერთსა და ქმნილებას შორის უფსკრულად განოლილი. ვისაც სურს ღმერთს ეზიაროს, მან ბოროტება უნდა დაამარცხოვოს, უნდა დაამტკიცოს მისი არაარსობა, დარწმუნდეს გამთიველი უფსკრულის არარსებობაში. ამ გზის გავლაა სწორედ სატანის დათრგუნვა და უზენაესთან მიახლოება.

ღმერთმა იმიტომ როდი შექმნა ქვეყანა, რომ ბოროტების საუფლოდ ექცია იგი. ან, როგორც რუსთველი ამბობს, „ბოროტიმცა ვით შექმნა კეთილისა შემოქმედსა!“ „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს!“ უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყანა ღმერთის მიერ არის შექმნილი და შექმნილია სწორედ კაცთათვის, ადამიანისთვის, რადგან ადამიანი ღმერთის წილია. უიმისოდ სამყაროს მთლიანობა ვერ იარსებებს და ადამიანი ახორციელებს სწორედ გამოვლენილი სამყაროს კვლავ ღმერთთან დაბრუნების, მასთან შერთვის აღმავალ ხაზს.

საამისოდ ორი გზა არსებობს — სიყვარული და სიბრძნე.

რუსთველის გაგებით, სიყვარულს მინიერ არსებობაშივე შეუძლია გვაზიაროს უმაღლეს ჰარმონიას და ამგვარად მიგვაახლოვოს უზენაესს. რაც შეეხება სიბრძნეს, იგი გონების გზით ხორციელდება, ხოლო გონების შესაძლებლობანი რუსთველისათვის უსაზღვროა. ადამიანს გონება იმიტომ აქვს ბოძებული, რომ მისთვის შექმნილი ქვეყანა შეიმცნოს, აქვე ამოიკითხოს არსებობის უღრმესი საიდუმლოებანი და უზენაესი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ეს ცოდნა: „არავიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ წყობრთა წყობისა“. ბრძენისთვის არ არსებობს გამთიველი უფსკრული. მან იცის, რომ ეს უფსკრულია ილუზია და არა ქვეყანა. ხოლო ილუზიას, ბოროტებას არცოდნა ბადებს.

აქ არის პრინციპული სხვაობა რუსთველსა და შუა საუკუნეთა ტრადიციულ აზროვნებას შორის.


შუასაუკუნეთა მოაზროვნე იტყვის: ჭეშმარიტება ამქვეყნად არ იპოება, ეს ქვეყანა მხოლოდ ბოროტების საუფლოა, მოჩვენებაა, ილუზიაა. ეს ქვეყანა ისევე არ ჰგავს ღმერთს, როგორც წყვდიადი არა ჰგავს მზეს.

რუსთველი იტყვის: ეს ქვეყანაც ღმერთის მიერ არის შექმნილი, და, შექმნილია კაცთათვის, ხოლო კაცი ღმერთის წილია; მაშასადამე, ამქვეყნად კაცის მოქმედება კაცის პირდაპირი დანიშნულებაა და არა ბოროტების ტყვეობაში ყოფნა. მხოლოდ კაცის აქტიური მოქმედებით დაითრგუნება ბოროტება და გამოამკარავდება მისი არაარსობა. ეს ქვეყანა მზით არის განათებული, ხოლო მზე ხატია ღმერთისა, ქვეყნიური სინათლეს ღვთაებრივი სინათლეა და არა ბნელი, წყვდიადი.

რუსთველი იტყვის: უზენაესი ჭეშმარიტების სანვდომად ადამიანს არ სჭირდება მისტიკური ექსტაზის გზით მიიღოს გამოცხადების სიბრძნე. ღმერთმა ადამიანს გონება მიანიჭა მისივე — ღმერთის ბუნების განსასახიერებლად ადამიანში, ღმერთი და ადამიანი სწორედ გონების მეოხებით არიან ერთიანი, და ამდენად ადამიანის გონების შესაძლებლობებიც უსაზღვროა.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ ფუძემდებლური იდეების დასამკვიდრებლად სულაც არ იყო აუცილებელი ქრისტიანული ფილოსოფიის, კონფესიონალური ცრურწმენებით შეურყვნელი ქრისტიანული მოძღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა. მიუკერძოებელი ადამიანი ყოველივე ამის საკმაო საფუძველს სახარებაშიც იპოვის, მოგვიანო ხანის ქრისტიან ფილოსოფოსებზე რომ არაფერი ვთქვათ. მით უფრო მიაკვლევდა ამას გენიალური პოეტის ინტუიცია. ისიც შესაძლოა, რუსთველმა გაცილებით მეტი დაინახა ქრისტიანობაში, ვიდრე ამას სპეკულატური ფილოსოფია ახერხებდა. რალა თქმა უნდა, როგორც ჩვენმა მეცნიერებმა ცხადყვეს, ეს ყოველივე ესოდენ ნათლად ვერ გამოიკვეთებოდა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური ღვაწლი რომ არა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია ამა თუ იმ იდეის გამოსამუშავებლად არსებულ საკმაო საფუძველზე და არა იდეათა უშუალო სესხებაზე.

რაკი გამოირიცხა შემქმნელსა და შექმნილს შორის გავლებული უფსკრული და დაისახა ადამიანის ღმერთამდე ამაღლების უშუალო გზები (სიყვარული და სიბრძნე), ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანის მოქმედებას ფასი უნდა ჰქონდეს არსებობის ორივე პლანისთვის — საღმრთო და საამქვეყნო პლანებისათვის. აქედან კი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნა გამომდინარეობს: ღმერთთან შესარწყმელად მსწრაფი ადამიანის ამქვეყნიური საქმიანობა ფუჭად და ამაოდ დაშვრომა კი არ არის ამაოებისავე ასპარეზზე (როგორც მიღებული იყო შუა საუკუნეთა ტრადიციისამებრ), არამედ მთლიანი სამყაროს განვითარების პროცესის უცილობელი ნაწილია, საბოლოოდ ისევ და ისევ საღმრთო საქმეა. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ ისეთი ადამიანის მოქმედების სფეროს, ვინც სიყვარულის თუ სიბრძნის



მეოხებით თავისი სწრაფვა უკვე მიმართა უზენაესისკენ. რაც შეეხება სიყვარულით ან სიბრძნით გაუსხივოსნებელ არსებობას, იგი განწირულია ბოროტების ილუზორული ბატონობის ბორკილებში იტანჯებოდეს, ხოლო ამ სფეროში მარადიული არა არის რა: „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“. აქ სრული ძალით მოქმედებს „სოფლისთვის“ დადგენილი მსწრაფლწარმავლობისა და ამაოების კანონები.



ნაზიმ ჰიქმეტი, ირაკლი აბაშიძე.

აი, რატომ არის, რომ როდესაც ვამბობთ — რუსთველმა ადამიანი მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმალლეზე აიყვანაო, ვგულისხმობთ ადამიანობის იდეას და არა უბრალოდ ადამიანს. ტარიელი მთელი კაცობრიობის, მომავლის ადამიანის განსახიერებაა და არა უბრალოდ ინდოთ მეფე. იგივე ითქმის ავთანდილის, ნესტანის, თინათინისა და ფრიდონის შესახებ. იმიტომ არიან ისინი მეფენი, რომ რეალურმა ვითარებამაც ხაზი გაუსვას მათს გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას ყოველდღიურზე, ჩვეულებრივზე ამაღლებას.

ამიტომ არის, რომ ამ პერსონაჟთა მიმართ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახმარი ეპითეტი — „მზე“, უბრალო სამკაული ან სიტყვის მასალა როდია. აქ მზესთან შედარებასაც ღრმა ფილოსოფიური საფუძველი აქვს, რადგან მზე ღვთაების ხატია და, ამდენად, ადამიანის მზეობა მის ღვთაებრიობას ადასტურებს.

აქ ერთ საგულისხმო გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა მეტად და მეტად რთულია. პოემა რამდენიმე პლანში მოაზრებული ნაწარმოებია. ოღონდ ნიშანდობლივია, რომ ყოველი პლანი თანაბარი გულმოდგინებით არის

დამუშავებული უმცირეს დეტალებამდე. ეს პლანები ერთიმეორეზე კი არ დევს ნიადაგის შრეებივით და ამით განცალკევებულობის შთაბეჭდილებას კი არ ქმნის: ყველა ეს პლანი ურთიერთგამჭოლი და ურთიერთშემავსებელია, მხოლოდ სკრუპულოზური ანალიზის მეოხებით შეიძლება მათი გამოყოფა.

მგონი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარ ნაწარმოებთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამგვარად გააზრებული და აგებული ნაწარმოები მკითხველთა უჩვეულოდ ფართო წრეს გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ თანაბრად სასუკვარი წიგნი იყო ბრძენკაცისთვისაც და უბრალო მინის მუშისთვისაც, ამათ შუა მოქცეული სულ სხვადასხვა ფენის, გონებისა და განსწავლის ხარისხის ადამიანთთვისაც. ყოველი მათგანი სწორედ მისთვის შესატყვის აზრს პოულობდა ამ პოემაში.

რაკი ასეა, ისიც უნდა გამოვიძიოთ, რას გვეუბნება „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ, მკითხველებს, რომელთა რიცხვი მილიონებს მოიცავს. რას გვეუბნება ჩვენ რუსთველი ამქვეყნიური ცხოვრების თაობაზე?

კვლავ და კვლავ ვიმეორებთ: რუსთველი გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად უდიდესი ღირებულებაა ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, რომ ადამიანი უნდა იყოს ჰარმონიულად მშვენიერი — მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედება, რომ ადამიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისკენ მიმართოს აზრიც და საქმეც.

მაგრამ, რაც მთავარია, რუსთველი გვეუბნება, რომ ადამიანის განდიდებისათვის, შესატყვის სიმაღლეზე დაყენებისათვის არას გვარგებს მჭვრეტელობითი, პასიური ჰუმანიზმი; რომ საჭიროა აქტივობა და აქტივობა, მუდმივი დაუცხრომელი ქმედება და ამით ბოროტების დათრგუნვა. აი, რა აქცევს ადამიანს ადამიანად, აი, რა შეამუსვრინებს ყოფას, რომ თხა და მგელი ერთად სძოვდეს, — ე. ი. ყოფას, როდესაც განხორციელდა ჰუმანიზმის უმაღლესი და უკეთილშობილესი იდეალები.

ბოროტების ტყვეობაში მყოფი ნესტანის გამოსახსნელად აუცილებელი იყო ჭირთა გაძლება, აუტანელი ტანჯვის მოთმენა, გადაულახავ დაბრკოლებათა გადალახვა და აქტივობის ისეთი უნარის გამოვლინება, რომელიც თითქმის წარმოუდგენელია უბრალო მოკვდავთათვის. ამჯერად დავეხსნათ ნესტანის ქაჯეთში ტყვეობისა და მისი გამოსხნის უღრმეს რელიგიურ-ფილოსოფიურ სიმბოლიკას და ჩვენთვის მისანვდომ პლანში წავიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პლანშიც იმას გვასწავლის რუსთველი, რასაც უღრმეს პლანში: ბრძოლა მარადი და შეუპოვარი, აქტივობა,

მოქმედება და კიდევ ერთხელ მოქმედება, წარბშეუხრელი შერკინება ბოროტების აღმოსაფხვრელად.

აი, რატომ იქცა „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად ქართველ-თათვის, რატომ არ დააძინა მან ქართველი კაცი შვიდას წელიწადს, არ დააძინა, თავისი თავის რწმენა არ დააკარგვინა და შეაძლებინა ჩვენს დრომდე, ჩვენს ეპოქამდე მოეტანა თავისი ნატანჯი და ნაგვემი, ლამის სისხლისგან დაწრეტილი და მაინც მშვენიერი სხეული, თავისი განაწამები, მაგრამ მაინც მოუღლეელი, უდრეკი და მშვენიერის მისაღებად კვლავაც მზადყოფი სული.

და ჩვენ გვახარებს ეს დღე, როდესაც რუსთაველის ქმნილება ქართველ ხალხთან ერთად მთელი კაცობრიობის ორგანული კუთვნილება ხდება. როდესაც ევროპელი თუ ამერიკელი, აზიელი თუ აფრიკელი შეეცადა ამ პოემაში, ისე როგორც ქართველმა კაცმა საუკუნეების განმავლობაში, ამოიკითხოს უფრო მეტი, ვიდრე სარაინდო რომანს, თუნდაც ლამაზად გალექსილს, შეუძლია დაიტიოს. მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით ყველას გასაგონად „რომელთა ასხენან ყურნი სმენად, ისმინენ!“ მოისმინეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული და სამარადჟამო იგავი. ტარიელი — ზოგადი ადამიანის, კაცობრიობის სახე, განწირულებას მისცემია, რადგან ბოროტების დათრგუნვის, ჭეშმარიტების მიკვლევის ყველა იმედი გადანურული აქვს. და სწორედ ამ დროს, ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოევლინება ტარიელს მისივე მეორე არსება — გონების განსახიერება ავთანდილი. მოევლინება, რათა დაუბრუნოს მას რწმენა, რათა კვლავ აგრძნობინოს საკუთარი ძალმოსილება და მოაგონოს: „არავიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

აი ეს არის ჩვენი უმთავრესი სათქმელი დღეს, ამიტომ წარმოვდექით თქვენს წინაშე ამ მოხსენებით, ამ დიდებულ ფორუმზე. ძვირფასო სტუმრებო! დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად, ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დღეს დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად. ჩვენო ძვირფასო სტუმრებო,

- მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი!
- დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!



კორნელი კეკელიძე ქართული ფილოლოგიის მამა

თავისი გონების ძლევამოსილებით, ქვეყნისა და ხალხის საქმისათვის თავდადებით, თავისი ნათელი შთაგონებით კორნელი კეკელიძე თავად ჰგავდა იმ დიდებულ შემოქმედთ, რომლებიც თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე თავიანთი ხელით ქმნიდნენ ქართული კულტურის ისტორიას. ბუმბერაზული იყო მათი შრომა, ფასდაუდებელი იყო მათი უძილო ღამეები; ეს უძილო ღამეები რომ არა, ჩვენ არ გვექნებოდა ახლა არც ჩვენი კულტურა, არც ჩვენი ისტორია. დიახ, კორნელი კეკელიძე თავად იყო შემოქმედი ამ კულტურისა და ამ ისტორიისა ისევე, როგორც ის წინაპრები, რომელთა ღვაწლის კვლევას მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეაღია.

ისინი, ის ჩვენი წინაპრები იმ დროის, ძველი საქართველოს კორნელი კეკელიძეები და ივანე ჯავახიშვილები იყვნენ და სავსებით ბუნებრივია გრძნობა იმისა, რომ ჩვენ მათ ნაწარმოებებში, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ვხედავთ, როგორ დარწმუნებით გულისხმობენ და ხშირად შორიდან, საუკუნეების სიღრმიდან ელაპარაკებიან კიდეც თავიანთი საქმის განმგრძობთ, თავიანთ მომავალს, ღრმად დარწმუნებულნი, რომ მემკვიდრენი ყოველ სიტყვას გაუგებენ მათ და საკაცობრიო სარბიელზე გამოსულ ქართულ აზრს კიდეც უფრო ფართო სარბიელზე გაიტანენ, უფრო გააბრწყინებენ და აამაღლებენ.



1931წ. კალე ბობოხიძე, ალიო მირცხულავა, ალექსანდრე სულავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვალერიან ლურსამიძე, გიორგი ნატროშვილი; სხედან: აგასი ვართანიანი, სევასტი თალაკვაძე, იაკინთე ლისაშვილი, ივანე ვაშაყმაძე, ბენიკო ბუაჩიძე, სოლომონ დოლიძე, შალვა რადიანი, კარლო კალაძე, ელიზბარ ზედგინიძე; დგანან: დიმიტრი გრებენშიკოვი, ირაკლი აბაშიძე, შალვა ნავთლულელი, გიორგი კაჭახიძე, გიგო ხეჩუაშვილი, დავით რონდელი, სიმონ წვერავა, გიორგი ქუჩიშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ნიკო ასლამაზიშვილი.

და ეს ასეც მოხდა. ამაზე მეტყველებენ ვეებერთელა წიგნები კორნელი კეკელიძისა. ეს წიგნები თავად არის ჩვენი ქართული უნივერსიტეტი, ჩვენი ქართული აკადემია, ქართული ფილოლოგია.

ჰეროდოტეს ძველმა ბერძნებმა ისტორიის მამა უწოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდოტემდე მათ არაერთი ისტორიკოსი ჰყავდათ. კორნელი კეკელიძე არის მამა ქართული ფილოლოგიისა, მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთი წინამორბედი ჰყავდა, რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეს. კორნელი კეკელიძემ დააგვირგვინა წინა თაობათა დაწყებული საქმე და მთლიან სისტემაში მოიყვანა ქართული ლიტერატურის ისტორია; და განა ეს მარტო ჩვენი მხატვრული მწერლობის ისტორიაა? იგი მოიცავს ერის სულიერი ცხოვრების ყველა დარგს, არამარტო მხატვრულ, არამედ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, იურიდიულ ძეგლებსაც; იგი ისევ, როგორც ივანე ჯავახიშვილი, მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც კარგი, ლამაზი შეუქმნია ქართველ კაცს, მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც ქართველს მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში შეუტანია.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ლიტერატურის ისტორიის მეცნიერებას კორნელი კეკელიძემ ასე უნივერსალური და ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა. სულ ახლახან გამოცემული თავისი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა:

„თუ სხვა, უცხო ერისა და ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ეპიგრაფიკულ მასალებსაც კი ეთმობა ადგილი, რატომ ჩვენ არ უნდა აღვნიშნოთ ისეთი ძეგლები მაინც, რომელნიც მაჩვენებელნი არიან ჩვენი წინაპრების ინტელექტუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებებისა, საზოგადოდ, ჩვენი კულტურული წარსულისა? ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობით კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს, რომელნიც კულტურტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასოდეს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას, რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში.“

ოთხმოც წელს გადაცილებული იყო კორნელი კეკელიძე, როცა ამ სტრიქონებს წერდა. და საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს დიდი დედაპირი, ეს კეთილშობილური მიზანი მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობისა მას ნათლად ედგა თვალწინ, როცა ჯერ კიდევ ოცდაექვსი წლის ჭაბუკი იყო და აქვეყნებდა თავის პირველ სამეცნიერო შრომას „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“. იმ დღეებიდან დაწყებული მისი ყოველი ახალი შრომა ნათელყოფდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა ქართული წყაროები არა მარტო ჩვენი, არამედ მეზობელ ხალხთა ისტორიის შესწავლისთვისაც. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა მეცნიერის ერთ-ერთ შრომას მსოფლიო მეცნიერების საყოველთაოდ აღიარებულმა ავტორიტეტებმა უწოდეს სენსაციური აღმოჩენა ბიზანტიოლოგიაში.

ქართული წყაროების შესწავლის გზით მან შუქი მოჰფინა არაერთ საკითხს, რომლებიც მანამდე ბნელით მოცული და გაურკვეველი იყო დასავლეთეუროპული, საერთოდ, მსოფლიო ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიისათვის.

ასე გაუთქვა მან სახელი ქართულ წყაროებს, ქართულ მეცნიერებას მსოფლიო ასპარეზზე.

კორნელი კეკელიძემ მთელი კაცობრიობის წინაშე გამოაჩინა ბრწყინვალემა ქართული ლიტერატურისა. მან მსოფლიოს დაანახვა სიდიადე რუსთაველის მზიური გენიისა, სიდიადე ძველი ქართული დიდოსტა-

ტების ქმნილებებისა, რომლებიც ნათელი აზრით ჩაუქრობელ შუქურებად დგანან საუკუნეებში.

როგორც შეჭფერის დიდ და ნამდვილ მეცნიერს, რომლის თვალსა და გონებას შეუძლია ჩასწვდეს ისტორიის ყოველ საიდუმლოებას, ის ყველა საუკუნეში, მეხუთეშიც და მეათეშიც, მეთორმეტეშიც და მეთვრამეტეშიც — ისე გრძნობდა თავს, თითქოს შინ თავის სახლში, თავის ეპოქაში ყოფილიყო; ის თავის სახლში იყო ზედაზენისა თუ გარეჯის მეუდაბნოეთა მღვიმეებშიც, გელათისა თუ იყალთოს აკადემიებშიც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაშიც, ყველგან, სადაც ქართული აზრი ანთია და ბრწყინავს.

კორნელი კეკელიძე დიდი მშენებელი იყო ქართული კულტურისა და ამიტომ ასე სათუთად უვლიდა, ასე მზრუნველად დახაროდა მის შორეულ, საუკუნეების სიღრმეში წასულ ფესვებსაც და ახლის ყლორტებსაც.


მადლიერმა სამშობლომ ჩვენი ღვანლმოსილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით ღირსეულად მიაბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწას, უნივერსიტეტისა, რომლის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელთაგანიც თავად იყო.

1962 წ.



1985 წ. შალვა რადიანი-80. გიორგი ჯიბლაძე, ირაკლი აბაშიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ თენგიშვილი, გრიგოლ აბაშიძე.

საიათნოვა ხალხთა ძმობის მოძღვრალი



ჭეშმარიტად დიდებული ზეიმი გვაქვს დღეს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის პოეტებს, არა მარტო პოეტებს, არამედ ყოველ ქართველს, ყოველ სომეხს, ყოველ აზერბაიჯანელს.

დღეს სამივე ქვეყნის ხალხები საერთო წინაპრის, დიდი სახალხო აშულისა და პოეტის საიათნოვას დღეობას ვიხდით ჩვენს ენებზე, სამი რესპუბლიკის სამ სახელმწიფო ენაზე.

საიათნოვა ჩვენი სამივე ქვეყნის პოეტია, ცალ-ცალკე და ერთად. მას სამი მშობლიური ენა ჰქონდა, იგი სამ მშობლიურ ენაზე ქმნიდა. იგი ამ სამ ენათაგან ვერც ერთს ვერ ელეოდა, სამივე ერთგვარად უყვარდა, სამივეს ერთგვარად პატივს სცემდა და ღრმად სწამდა სამივე მათგანის ანმყო და მომავალი, სამივე ერთგვარად მიაჩნდა მოძმე ხალხთა ენებად და სამთავე ამ ენის უჭკნობ ბალებში თავის ყვავილებს რგავდა, უვლიდა და ახარებდა.

საიათნოვა, როგორც პოეტი, ერთი კი არა, სამი პოეტია. მას თითქოს ერთი ენა არ ჰყოფნიდა და ერთბაშად სამ ენაზე წერდა. გულს მოწოლილი სევდა თუ სიხარული თითქოს ენის შერჩევას არ აცლიდა და ამ სამთაგან, რომელზეც პირველად მოუბრუნდებოდა ენა, სასწრაფოდ იმ ენაზე მღეროდა, რომ ის სევდა და სიხარული ალალმართალი, სპეტაკი და უშუალო ყოფილიყო. თავის სევდას და სიხარულს იმ ენაზე გადმოსცემდა, რომელიც იმ დღეს, იმ წუთსა და იმ განწყობილებაზე გულს უფრო მეტად მოეფონებოდა და დაუამებდა.

სამივე ენაზე ერთნაირი „ხმის ძალით“ მღეროდა და ამიტომაც არ ვდავობთ ჩვენ, მისი შთამომავლები, სამივე მოძმე ქვეყნის შვილები იმას, თუ რომელ ენაზე უფრო დიდი და ძლიერი პოეტია საიათნოვა, ჩვენ არ შეგვიჯობრებია და არც შევაჯობრებთ ერთმანეთს საიათნოვას უკვდავ ქმნილებებს ჩვენს ენებზე, რადგან საიათნოვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითონ აჯობრებდა თავის თავში სამ პოეტს: ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ საიათნოვას და ისე მოკვდა, რომ ვერც ერთმა ამ საიათნოვამ ერთმანეთს ვერ აჯობა, ან უკეთ, ყოველი მათგანი ერთნაირად ძლიერი გამოდგა.



კონსტანტინე გამსახურდია, ?, გორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ?, სერგი ჭილაია.

დიახ, საიათნოვას სამი მშობლიური ენა ჰქონდა, როგორც პოეტს, სამი ერთნაირად საყვარელი მშობელი ჰყავდა — ამიერკავკასიის სამი ერი. ამიტომაც ვეძახით ჩვენ დღეს მას ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის შთაგონებულ მომღერალს. ვეძახით და სამართლიანად, კანონიერად ვამაყობთ კიდევ.

სომხებსა და ქართველებს საუკუნეების მანძილზე ნაწერი ჩვენი ისტორიის წიგნები გვაქვს შავით თეთრზე დაწერილი, ან როგორც ჩვენ ისტორიებს შეეფერება — წითლით თეთრზე დაწერილი, სადაც დასაწყისში წერია: იყო ორი ძმა ქართლოსი და ჰაოსიო და მერე მთელ ჩვენს ისტორიაში არავის უფიქრია გაბმულად შეესხა ხოტბა ამ ორი ძმის ძმობისათვის, ჩვენი ხალხების ძმობისათვის, რადგან ეს ძმობა ყოველთვის იგულისხმებოდა, როგორც ბუნებრივი და დადგენილი. ეს ძმობა ჩვენი საკუთარი სახლების საერთო საძირკველი იყო და არავის მოსვლია აზრად გაჰკვირვებოდა, რომ ამ სახლებს საძირკველი ჰქონდა. საიათნოვა ამ სახლების მკვიდრი იყო, ამ სახლების საერთო საძირკველზე ედგა ფეხი და მისი არსებობა არც მას უკვირდა.

მაშ, რად გალობენ ჩვენი ხალხების ძმობაზე XIX საუკუნის ჩვენი დიდებული კლასიკოსები, რად უმღერიან ჩვენი ხალხების ძმობას ჩვენი დღევანდელი მგოსნები? ეს იმიტომ, რომ ამ ჩვენმა საერთო საძირ-კველმა საუკუნეებში ათას ქარიშხალს გაუძლო, ათას განსაცდელს, ათასგვარ მტრის გარემოცვაში გაიარა და, როგორც დიდებული სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი ამბობს, მტრის შხამმა ჩვენი ხალხების სულის სიღრმემდე ვერ ჩააღწია და ეს ხალხები დარჩნენ „ურყევად დაკავ-შირებულნი თავის მშფოთვარე ისტორიული ბედ-იღბლით და თავისი დიდი მოგონებებით“. ოვანეს თუმანიანი საშვილიშვილოდ, სამახ-სოვროდ დაასკვნის: „ის სომეხი ან ქართველი, რომელიც კარგად იცნობდა და რომელსაც ესმოდა თავისი ხალხის ბედ-იღბალი და ხასიათი, მისი უმაღლესი ინტერესები, ყოველთვის იცავდა თავის მეზობელს, როგორც თავის თავს“. და შემდეგ: „როცა სომეხი ან ქარ-თველი ასცდება ამ გზას, იგი ღალატობს თავისი ტომის სულსა და აზრს“. თუმანიანის მიერ დიდებულად გამოთქმული ეს აზრი არის აზრი ჩვენი ილია ჭავჭავაძისა და ჩვენი აკაკი წერეთლისაც, ჩვენი ყოველი გონიერი კაცისა.

ხოლო ჩვენ — დღევანდელი მგოსნები ვუმღერით და ვუმღერებთ, კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენი ხალხების საუკუნოვან ძმობას. ვუმღერებთ, და განვამტკიცებთ მას, რომ მტრის შხამის უხილავმა წვეთებმა ვერასოდეს ვერ ჩააღწიოს ჩვენი ხალხების, ჩვენი ადამიანების სულის სიღრმემდე.

რაც შეეხება საიათნოვას, მან არა მარტო თავისი მშვენიერი სიცო-ცხლით, არამედ თავისი სიკვდილითაც დაამტკიცა, რომ ღირსეულად იდგა თავისი ტომის „სულისა და აზრის“ სიმაღლეზე.

ლეგენდა გვიაშობს: საიათნოვა ალა-მაჰმად-ხანის თბილისზე ზედმოსვლის დროს მტერთან ბრძოლაში დაიღუპაო. ეს ლეგენდა თბილისმა შექმნა და, როგორც ყველა ლეგენდა, ხალხს ეკუთვნის. ეს მხოლოდ ლეგენდაა, მაგრამ ჩვენი ხალხის ხსოვნაში, მის ღრმა რწმენაში საიათნოვა საქართველოსთვის მოკვდა, საქართველოს მტრის მახვი-ლით; ხალხის რწმენით, საიათნოვას მხოლოდ ასეთი სიკვდილი შეშვენოდა და ჩვენ არ გვინდა წარმოვიდგინოთ მისი სიკვდილის სხვა სურათი.

1963 წ.



გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე.

გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძეზე მოგონებები იწერება. მოგონებები... მე, პირადად, ჯერ კიდევ არამცთუ არ მიფიქრია რაიმე ამის მსგავსი ვუძღვნა მის ხსოვნას, არამედ სხვისი მოგონებებისათვისაც დღემდე ვერ შემეგუებია თვალი.

ამ მოგონებების კითხვის დროს მე სულ ერთი რამ მინდა ვუთხრა მათ ავტორებს: მეგობრებო, ეს კაცი რომ ჯერ კიდევ არ წასულა, როგორც პოეტი კი არა, — ჭეშმარიტი პოეტი ხომ, ისეთი პოეტი, როგორიც გიორგი ლეონიძეა, არასდროსაც არ მიდის, — არ წასულა ფიზიკურადაც, როგორც ადამიანი; ჯერ ხომ ჩვენში, და არა მარტო ჩვენში, ბევრზე ბევრი კაცი დადის, რომელთაც ძალიან კარგად ახსოვთ და თვალწინ უდგათ პოეტის თითქმის ყოველი ნაბიჯი, სულ რომ თავი დავანებოთ პოეტის თანამოკალმეებს, იმ ლიტერატურული პროცესის მონაწილეებს, რომელთა წრეში ტრიალებდა იგი. ამათ ხომ ყველაზე მეტი იციან ერთურობზე.

მოგონებებს ნამდვილი ფასი, ლიტერატურული წონა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მაშინ აქვს, როცა არამცთუ ამ პროცესის

ცოცხალი მონანილე, არამედ თვით მომგონებლებიც კი აქა-იქ შემორჩებიან საზოგადოებას. გიორგი ლეონიძე გუშინ წავიდა ჩვენგან, იგი ფიზიკურადაც ცოცხალია ჯერ კიდევ.

გარდა ამისა, მოგონებების მწერლობა, თუ მათ სერიოზულად შეხედავ, უბრალო მწერლობა არ არის. იგი ხელოვნებაა, ისევე როგორც საერთოდ ლიტერატურა, მას თავისი მხატვრული ფორმაც აქვს და მით უფრო ვერ ითმენს ნაუცბათევობას.

გიორგი ლეონიძე მე იმ პოეტად მიმაჩნია, რომელიც ჩვენგან, პირველ ყოვლისა და დაუყოვნებლივ, მოგონებებს კი არ მოითხოვს, მოგონებებისაკენ კი არ გვეძახის, არამედ ჯერ კიდევ გვინვეს ცოცხალი დიდი საუბრისკენ. ლიტერატურის, პოეზიის, ხელოვნების საკითხებზე, დიდი საუბრისაკენ ცხოვრებისეულ საკითხებზე, ჩვენი დროის ადამიანთა ცოცხალი ურთიერთობების საკითხებზე.

სამწუხაროდ, საიუბილეო ტრიბუნა ამ დიდი, გაშლილი მსჯელობის საშუალებას ნაკლებად იძლევა, მაგრამ მე მაინც თავს არ შევიკავებ, თუნდაც ორიოდე სიტყვით გამოვესაუბრო გიორგი ლეონიძის ხსოვნას, ისე როგორც მას პირადად, მის და ჩვენს სიცოცხლეში.

პოეზია... რა დიდად და ლამაზ ქათინაურებსაც უნდა ეუბნებოდნენ პოეზიას, იგი ჯერ კიდევ არაა საჭიროდ და ღირსეულად დაფასებული, მით უფრო — პოეზია მეოცე საუკუნისა. ჩვენი ეპოქის პოეზია ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი იყო და არის, უდიდესი მნიშვნელობის ძალა იყო და არის, ჩვენი დროის ადამიანთა ჯერ გაუგონარი წინააღმდეგობებით სავსე, სულის წონასწორობის შენარჩუნების საქმეში. ეს კი, ეს თანადგომა, ეს მხარდაჭერა ისე სჭირდებოდა ჩვენი ურთულესი და მრისხანე დროის ადამიანს, როგორც არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში.

მას, პოეზიას, აღმოაჩნდა ეს ძალა, ეს თანადგომის ძალა.

ჭეშმარიტი პოეზია, ჭეშმარიტი პოეტი, მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, — ჩემს მეგობრებს, ალბათ, გაელიმებათ ამ მარტივ, მოძველებულ შედარებაზე, — მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომელიც უამრავი ბაგირით ეზიდება ზემოთ, სწევს და ამაღლებს ადამიანის სულს; მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომლის ამწეობის უნარისა და სიძლიერის მთელი საიდუმლო მხოლოდ მის სიდიდეშია, მხოლოდ მის სიდიდეში, მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომლის მოქმედებაც, და, მით უმეტეს, ამ მოქმედების გაძლიერება ჩვენს საუკუნეში გაოცებასაც კი უნდა იწვევდეს, როცა ასე მეტისმეტად დიდი იყო და დიდია გარეგანი, ატმოსფერული დანოლა პოეტის სულზე.

და ხომ ნამდვილად იყო მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, ქართველი კაცის ჭეშმარიტი სულიერი მეგობარი? ხომ ნამდვილად ედგა

და დღესაც უდგას იგი მხარში ჩვენი დროის ადამიანებს, როგორც იტყვიან, ჭირსა თუ ლხინში? ხომ ნამდვილად ღირსეული და დამსახურებულია ის მაღალი შეფასება, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის მრავალ ენაზე მოლაპარაკე, მრავალმილიონი მკითხველისგან მიიღო მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომელსაც წინ შემოუძღვა და ღირსეული მამამთავრობა გაუწია გალაკტიონ ტაბიძემ, მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლავთ გიორგი ლეონიძე.

გიორგი ლეონიძე აქტიური მოქმედების პოეტი, რომელსაც გული არ აძლევს არ ჩაერიოს საქმეში, და არამარტო ლიტერატურის საქმეში, და არამც თუ ჩაერიოს, არამედ იქონიოს კიდეც თავისი საკუთარი აზრი და ეცადოს, შეძლებისდაგვარად სხვასაც მოახვიოს იგი თავს. ამ აქტიური პოეტური სულის დაუცხრომლობამ მიიყვანა იგი, ოდესღაც არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდით“ ყმანვილკაცურად გატაცებული ახალგაზრდა პოეტი, თავის უკანასკნელ პოემამდე იოსებ სტალინზე. ამ აქტიურმა, თანდაყოლილმა სულმა თუ განაპირობა და გახადა იგი, როგორც ადამიანი, აქტიური მოქმედების კაცად. ხომ დღესაც გიდგათ თვალწინ იგი ტრიბუნებზე და არამარტო პოეტურ შეჯიბრებებსა და ლიტერატურულ კამათებში.

ამ აქტიური მოქმედების ნიჭმა, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად და გასაკვირველად, უკარნახა მას დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში პირადი გამბედაობაც. ჩემს თვალწინ დგას გიორგი ლეონიძე, უკვე ჭარმაგი კაცი, სამხედრო ფორმაში უხერხულად, შეუჩვევლად გამონყობილი. მე ჩრდილო-კავკასიისაკენ მივემართები, იგი — ტამანისაკენ. იქიდან ჩამოიტანს იგი თავის უბრწყინვალეს ლექსს „არ დაიდარდო, დედაო“.

ღიახ, ლიტერატურა, პოეზია, მხოლოდ მაშინაა ცოცხალი, როცა იგი აქტიურია და მოქმედი, საზოგადოებრივად აქტიური. პოეზიის სიცოცხლე მის საზოგადოებრივ აქტივობაშია. ასეთია მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარების საერთო პროცესიც, რევოლუციურ ქარიშხალთა ეპოქის პოეტური სიტყვის განვითარების საერთო პროცესი.


დღეს ყოველი ერის პოეზიაა ჩაბმული ამ საერთო განვითარების პროცესში.

მაგრამ ყოველი ერის ჭეშმარიტ პოეზიას, ჭეშმარიტ პოეტს საკუთარი ელსადგურიც აქვს, საიდანაც იგი თავის ეროვნულ ფერადოვნებას ჰმატებს ამ განათებას.

ამ მხრივ გიორგი ლეონიძე ნამდვილად სამაგალითო პოეტი.

ჩვენ, მისი მეგობრები, ვამაყობთ მისი მაგალითით.

1969 წ.




ჯუმბერ პატიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, აკაკი ძიძიგური.

„მართვეს“ შესახებ

ამ 10 წლის წინათ ანზორ ერქომაიშვილმა მთხოვა, პირველს მე დამელოცა ეს ანსამბლი. მთხოვა, ალბათ, როგორც მელომანს, მე მელომანი ვარ და ძალიან მიყვარს მუსიკა. მთხოვა და მივედი, დავლოცე და მონაწილეობა მივიღე „მართვეს“ პირველ ტელეგადაცემაში. 10 წელი გავიდა მას შემდეგ და რამოდენები გახდნენ ეს ბავშვები, ამას წინათ ვუყურებდი ესტრადაზე, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა.

არ შეიძლება, რომ არ ითქვას ანზორ ერქომაიშვილზე – დიდ საქმეს აკეთებს, ძალიან დიდ საქმეს: მუსიკალური ფოლკლორი, მისი შენახვა, მისი აღდგენა – ეს ერთგვარი მუსიკალური არქეოლოგიაა, ეძებ, მოგაქვს და მოგაქვს ძირიდან, ფესვებამდე შესანიშნავი ქართული სიმღერები და ამას აკეთებს დღეს პირველ ყოვლისა ანზორ ერქომაიშვილი. რასაკვირველია, ჩვენი კომპოზიტორებიც სარგებლობენ ჩვენი მუსიკალური ფოლკლორით, მაგრამ ისინი თავიანთ შემოქმედებაში იყენებენ, როგორც ჩვენ – მწერლები და პოეტები ვიყენებთ ჩვენს ფოლკლორს.



მუსიკალური ფოლკლორის აღ-
დგენა, იმის გამოტანა, იმის ამო-
წვეა ზევით და მისი შენახვა სა-
შვილიშვილო საქმეა და ანზორმაც
სწორედ ბავშვებს მიმართ. ეს
ბავშვები მერე შემდეგ თაობებს
გადასცემენ და ასე გადაეცემა
საუკუნეებს ანზორის მიერ დან-
ყებული ეს საქმე.


მშვენიერი საბავშვო ანსამბლი
შეიქმნა, – „მართვე“. ჩვენ ამ ანსამ-
ბლით დღეს ყველანი ვამაყობთ.
როცა ჩამოდიან უცხოელი სტუ-
მრები, პატივსაცემი ხალხი, ჩვენ
სანიშნოდ ვაჩვენებთ „მართვეს“
კონცერტს და ისინიც აღტაცე-
ბული უსმენენ ქართულ სიმღე-
რებს ბავშვთა ანსამბლის შესრუ-
ლებით. ძალიან კარგი საქმეა.

ჩვენ ყველანი დიდად მადლო-
ბელი ვართ ამ საქმეებისთვის. სა-
ბავშვო ანსამბლ „მართვეს“ გუ-
სურვებ დიდ წარმატებებს და

დავლოცავ ისე, როგორ პირველ დღეს დავლოცე ეს ბიჭუნები, ეს
ბავშვები, ეს ანსამბლი. ახლაც სულით და გულით ვლოცავ ამ 10 წლის-
თავზე და მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომეცა დალოცვის საშუალება.
მაშინ არ მეგონა, თუ 10 წლისთავზე კიდევ დავლოცავდი, თუმცა
შეიძლება მოხდეს, რომ 10 წლის შემდეგ კიდევ დავლოცო.

მე ერთი ლექსი მაქვს დანერილი, რომელიც მიესადაგება ამ ანსამბლს
და ქართულ სიმღერას:

„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,
ეს სიმღერები მაღალ მთებს გვანან,
ჩვენი სიმღერები პირამიდებია,
მათ უკან საუკუნეები დგანან“.



ირაკლი აბაშიძე, ზურაბ წერეთლი.


ვაზის დიდება

ეს სტრიქონები უცხოურ გამოცემისთვის იწერება.

იქნებ ზოგიერთ უცხოელ მკითხველს კიდეც გაუკვირდეს, ამ წერილს რომ პოეტი წერს, საქართველოში კი ეს ბევრს არავის გააოცებს, არა მარტო იმიტომ, რომ პოეტები მგონი მთელ ქვეყანაზე საერთოდ „ინ ვინო ვერიტას“-ს ვაღიარებთ, არამედ იმიტომაც, რომ პოეტს და მით უმეტეს პატარა ქვეყნის შვილს, არ შეიძლება უსაზღვროდ არ უყვარდეს თავისი სამშობლოს ისტორიული ფესვები, ეს ფესვები კი საუკუნეების გრძელ მანძილზე უმჭიდროესად არის გადახლართული სწორედ ვაზის ფესვებთან.

„ვაზის ფესვები ჩემი ფესვია“ — არის კიდეც ასეთი სიმღერა საქართველოში.

ქართველთა განმანათლებელს IV საუკუნეში „ნინოს ხელს ეპყრა ჯვარი ვაზისა“. გადმოცემათა მიხედვით, მან საქართველოს სამხრეთ საზღვარზე თავისივე თმებით შეჰკრა ეს ჯვარი და ასე შემოვიდა ივერიაში.



ირაკლი აბაშიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი.

„ჯვარი ვაზისა“...

მგონი, არც ერთ ქვეყანას მთელ ქრისტიანულ სამყაროში არა აქვს რწმენისა და ვაზის ასეთი საკვირველი სიმბოლიკა.

უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ახალი თუ ძველი ნელთაღრიცხვის ნაგებობათა ნანგრევებზე, რომლითაც უხვადაა მოფენილი საქართველოს მთა და ბარი, სამშენებლო ქვები, პირველ ყოვლისა, სწორედ მსხმოიარე ვაზითაა დაჩუქურთმებული. მნახველის აღტაცებას დღესაც იწვევს სვეტიცხოველის, სამთავისის, იყალთოს, ზარზმის, ბედიის, გელათის, ნიკორწმინდის, ვარძიის და უთვლელი ჩვენი ძველი ტაძრების ზვიადად აღმართულ კედლებზე ელვარე ქვაში აყვავებული უკვდავი ვაზის ყლორტები.

ხოლო ქართული პოეტური და მუსიკალური ფოლკლორი? არა მგონია, რომელიმე სხვა ქვეყანას გააჩნდეს ვაზის სადიდებელი ისეთი მდიდარი ხალხური სიტყვიერება, როგორც საქართველოს: „ვაზის-ჭირიმე ვაზისა, უფლისგან კურთხეულისაო“, „ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხიაო“... დღესაც მსმენელთა გულის

ძარღვებს ათრთოლებს ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი მუსიკალური ჰიმნი „შენ ხარ ვენახი“.

ვაზისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მართლაც რომ უნიკალურია საქართველოში: ჩვენი ქვეყნის მთიულეთში სტუმარი ჯერ „ცხორი როგორ გყავსო“, ხოლო ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას ამის შემდეგ მოიკითხავდა ხოლმე. ბარში კი, ჯერ: „ვაზს ხომ არაფერი გასჭირვებიაო“.

აღბათ, ვაზისადმი ამ უსაზღვრო სიყვარულმა შექმნა ჩვენს პატარა მიწაზე ამ დალოცვილი კულტურის ხუთასი სხვადასხვა სახეობა, სხვადასხვა ჯიში, ხუთასი!..

საუკუნეების გრძელ მანძილზე ვერაფერმა გაჰყარა ვაზი და ქართველი კაცი. ეს გაყრა და გათიშვა კი ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში ყველა მტერს სურდა. ჩვენი ისტორიკოსები, ძველი მემკვიდრეები, თვით მეხუთე საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ქართული ანბანი შეიქმნა და ამ ანბანით საქართველოს ისტორია იწერება, მწუხარებით გადმოგვცემენ თუ რა სისასტიკით ებრძოდნენ ქართულ ვაზს ჩვენს მიწაზე შემოსული აღმოსავლეთის დესპოტები. მათთვის ამ ვაზის მოსპობა ხალხის რწმენისა და თვით ჩვენი ხალხის მოსპობასაც ნიშნავდა. მეცნიერებს დღეს ხელთ აქვთ ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ძველი ნელთალრიცხვის პირველ ათასწლეულში ასურებმა, თავისი ლაშქრობის დროს, კოლხეთსა და იბერიაში ვაზი ერთიანად გაანადგურესო. იქედან მოყოლებული არცერთ დამპყრობელს არ დაუკლია თავისი მრისხანე ხელი ჩვენი ვაზისთვის მთელი საუკუნეების მანძილზე. ხოლო თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ XIV საუკუნეში, მისი თარეშის გზაზე ვაზის აღდგენას საუკუნეები დასჭირდა აღმოსავლეთ საქართველოში. ასევე ცეცხლითა და მახვილით მოსპო ვაზი საქართველოს ყველაზე ბარაქიანი მევენახეობის მიწაზე, კახეთში, ირანის მრისხანე ლომმა შაჰ-აბასმა, რომელმაც ამავე დროს ამ მიწებიდან ასი ათასობით ქართველი გადაასახლა თავისი ქვეყნის შორეულ რაიონებში. თუმც თვითონ ირანის ეს მრისხანე მბრძანებელი ღვინის დიდი მოყვარულიც იყო და, ასე გასინჯეთ, ლექსებსაც კი უძღვნიდა მას: „თუ არის ღვინო ტკბილ სასმელი, ჰეი,მერიქიფევ, არ დავრჩეთ ერთი დღითაც უსმელი, ჰეი, მერიქიფევ“. ომარ ხაიამისა და საადის ქვეყნის მბრძანებლის ეს ლექსი მე აქ მხოლოდ მისი შინაარსის გამო მოვიყვანე. იგი სხვა მხრივ აღნიშვნას არაფრით არ იმსახურებს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ვაზმა ისეთივე ჯოჯოხეთი გამოიარა თავისი არსებობის გრძელ გზაზე, როგორიც თვით ქართველმა ხალხმა თავის ტრაგიკულ ისტორიაში. მაგრამ ამ ხალხმა ძლევამოსილად უპატრონა მას, ათასჯერ ხელახლა ახარა იგი და

შთამომავლობას სამარადჟამოდ უანდერძა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩვენი ხალხი ვაზში თავის ვაჟკაცურ სულსაც ინახავდა, თავის პატრიოტულ, ამაღლებულ სულს.

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა სამი ძირითადი კულტურითაა ქვეყანაზე ცნობილი: ვაზით, ჩაით, ციტრუსებით. ეს უკანასკნელი ორი კულტურა არის სულ ახალი საქართველოში და მე თვითონ კარგად მახსოვს მათ ვაჟკაცები ქალების საქმედ რომ თვლიდნენ, ჩვენი საქმე ზვარშიაო.

ვაზისადმი ასე უსაზღვრო სიყვარულმა თავისი სამეურნეო — მორფოლოგიური მაჩვენებლებით ვაზის ასეთმა მრავალფეროვნებამ, ვაზის კულტურის ასეთმა ძველისძველმა ტრადიციებმა (როცა ქართულ ვაზს ჯერ კიდევ ჰომეროსი იცნობდა და ასევე კარგად იცნობდნენ მას ანტიკური სამყაროს სხვა დიდი ადამიანები აპოლონიოს როდოსელი და ქსენოფონტე, სტრაბონი და პროკოპი კესარიელი) მისცა საფუძველი მსოფლიოს ბევრ გამოჩენილ მეცნიერს ჩვენს დროში ამტკიცონ, რომ კულტურული ვაზის ჯიშების პირველი სამშობლო სწორედ ამიერ-კავკასია, საქართველოა და აქედან მოედო იგი შემდეგ ევროპის ქვეყნებს; მისცა საფუძველი ამტკიცოს, რომ თვით სიტყვაც „ღვინო“ („ВИНО“, „ვეინ“, „ვინ“, „ვინე“ და სხვ.) ქართული წარმოშობისაა.

ყოველ შემთხვევაში, ქართული ვაზის უძველესი ჯიშების ადგილობრივი წარმოშობის საკითხი დღეს მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს. ბევრს რამეზე მეტყველებენ აგრეთვე არქეოლოგიური გათხრები საქართველოს მევენახეობის რაიონებში, ძველი იბერიის, კოლხეთის, მესხეთის მიწებზე. II, III ათასეული წლების ვეებერთელა ქვევრები, მაღალი ხელოვნებით შესრულებული საღვინე ჭურჭლები. ამ მხრივ ქართულ ხელოვნებას მხოლოდ ხეთური თუ შეედრება — ასე დარწმუნდა ამ სტრიქონების ავტორი თურქეთის დედაქალაქში, ანკარაში, ხეთების საოცარი მუზეუმის ნახვის დროს. და დარწმუნდა იმაშიც, რომ არსებობს ნამდვილად დიდი მსგავსება და ნათესაობა ქართველებსა და იმ ძველ ხეთებს შორის ვაზთან და ღვინოსთან დამოკიდებულებაში, ლხინისა და ჭირის რიტუალში; მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი მხოლოდ პოეტია.

ლხინისა და ჭირის რიტუალით, როგორც ფოლკლორიდან და ისტორიიდან ჩანს, საქართველო ყოველთვის თავისებური ქვეყანა იყო. საქართველოში ღვინოს ყოველთვის ბლომად იყენებდნენ, ანტიკურ ქვეყნებში ისიც აკვირვებდათ, რომ ამ რიტუალების შესრულების დროს ქართველები წყალნარევ ღვინოს არ სვამდნენ, სვამდნენ იმ ღვინოს, რომელიც გენიალურ „ოდისეაში“ „სურნელოვან“ ღვინოდაა ხსენებული. ხოლო XVII საუკუნეში ფრანგი მოგზაური შარდენი წერდა — არც ერთ



რევაზ ლალიძე, ირაკლი აბაშიძე.

ქვეყანაში იმდენი რაოდენობითა და ისეთ დიდებულ ღვინოს არა სვამენ, რამდენსაც საქართველოშიო.

მე-17 საუკუნეზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ დღესდღეობით რომ თვით საფრანგეთში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი „დიდებული“ ღვინო იხარჯება ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში, ეს ცნობილი ამბავია.

შეარგოთ ღმერთმა!

ხოლო ღვინის დიდი რაოდენობით გამოწვეული მემთვრალეობა, როგორც დღეს საფრანგეთში, ასევე საქართველოს არც წარსულ ისტორიაში, არც დღევანდელ სინამდვილეში ჯერ არავის დაუჩივლია.

ალექსანდრე პუშკინი თბილისში ქართული ლხინით აღტაცებული ამბობდა — ასეთი მხიარული მე არასდროს ვყოფილვარო. თქმა არ უნდა, ყველაფერთან ერთად ამ მხიარულებას ხელს შეუწყობდა ქართული ღვინოც, რომელსაც იგი ბურგუნდიულ ღვინოებს ადარებდა და მას საუკეთესო შეფასებას აძლევდა.



რობერტ სტურუა, ირაკლი აბაშიძე.

ეს „დიდებული“ ღვინოები საქართველოში დღეს სულ უფრო გამრავლდა და გაღამაზდა. იან გოლდჰაიმერს, ჩეხოსლოვაკელ სპეციალისტს, თავის წიგნში — „სასმელების მცირე ლექსიკონი“ — ორმოცამდე სხვადასხვა ქართული ღვინის სახელწოდება მოჰყავს, საქვეყნოდ ცნობილ — „წინანდალსა“, „გურჯაანსა“, „მუკუზანსა“, „ნაფარეულსა“, „რქანიტელსა“, „ხვანჭკარასა“, „ქინძმარაულსა“ და „საფერავთან“ ერთად. ქართული ღვინოების მრავალსახეობიდან მას ბევრი სახელწოდება გამოჩენია, მათი ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლებოდა.

დღეს საქვეყნოდ ცნობილია სიმპოზიუმის შედეგები, რომელიც სწორედ საქართველოში ჩატარდა ამ რამდენიმე წლის წინ, ევროპის გამოჩენილ სპეციალისტთა მონაწილეობით, სადაც ქართულმა ღვინოებმა, კიდევ ერთხელ, საუკეთესო შეფასება მიიღეს. ეს, ასე ვთქვათ, „ოფიციალურმა“ ღვინოებმა; ხოლო საქართველოს მევენახეობის რაიონებში თითქმის ყველა გლეხს თავისი საკუთარი „დიდებული“ ღვინო აქვს, რომელიც ხშირად იმ „ოფიციალურ“ ღვინოებსაც კი სჯობია; სტუმრისთვის კი მით უფრო — სულ განსაკუთრებული ღვინო. ამ განსაკუთრებულით უმასპინძლებდა იგი გზად ჩამვლელ უცხო კაცსაც, რომელიც მის ჭიშკართან შედგა და ჭიქა წყალი მოითხოვა. ოჯახში სტუმრობისას კი ამგვარს მასპინძელს ოჯახში შეიძლება ყველაფერი დაუწუნოთ, მაგრამ ღვინის აუგი არ უნდა ჰკადროთ. ღვინო კი მას აუცილებლად უნდა დაუღლიოთ, ეს მისი წმინდა ტრადიციაა, ეს მისი ქართული სტუმარ-მასპინძლური წმინდა ვალია, საუკუნეებში განმტკიცებული:

„კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი,
ზაფხულის შენახულისა.
დასწვას ფინალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა.
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას, სპილოსა,
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა“.

ვინ იცის, რამდენი საუკუნისაა ეს ქართული ხალხური ლექსი.
და თქვენ ამ ოჯახში ერთი სადღეგრძელოც ასეთი უნდა ასწიოთ: ეს
იმ მარჯვენას გაუმარჯოს, ვინც ეს ღვინო დასწუროს.
ჭეშმარიტად. იმ მარჯვენას გაუმარჯოს!

1984 წ.

პალესტინის დღიური

იბეჭდება შემოკლებით

24 ოქტომბერი

ისრაელში 24 ოქტომბერს დავეშვით ღამით.

აქეთ, მოსკოვიდან, ამ დილით გამოვფრინდით. ორ აეროდრომზე შევჩერდით მხოლოდ: ვენა, ათენი.

მალლიდან: გრაცი, ბელგრადი, სალონიკი...

„საბენას“ ათიათასცხენისძალიანი ოთხი უძლიერესი მოტორი მიაქანებდა შედარებით მცირე მოცულობის ფუზელაჟს ჰაერში ისე, როგორც ოთხმამაშვრალმა კამეჩმა გასწიოს პატარა ურმის უღელი.

ეს შორეული და დამქანცველი ფრენა ჩვენმა მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა — მშვენივრად აიტანეს. მეც — როგორც ყოველთვის...

აეროდრომი ლუდა (ლიდდა).

ეს ის ისტორიული ადგილია, სადაც ქრისტიანებს თავისი პირველი ისტორიული სალოცავი, პირველი ქრისტიანული ტაძარი აუგიათ. თვითმფრინავიდან ჩამოვედით თუ არა, ჩვენკენ პირდაპირ წამოვიდა ორმოციოდე წლის კაცი და რუსულად მოგვმართა: „გამარჯობათ, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება პალესტინაში, გრიგოლ პეტრეს ძე კაპუსტინი — ისრაელის საბჭოთა კონსული... აქეთ მობრძანდით“.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაპირებისამებრ ყველაფერი თავის დროზე უცნობებია ისრაელის საბჭოთა საელჩოსათვის, მასპინძლები აეროდრომზე დაგვხვდნენ.

საბაჟოს მუშაკები ზორბა, ათლეტური აგებულების შავგვრემანი ვაჟკაცები, ისრაელის სამხედრო პირები, დაბეჯითებით სინჯავენ ჩამოსულ მოქალაქეთა ბარგს, ჩემოდნებს ხსნიან, შიგ ხელებს აფათურებენ, ალაგებენ, აწყობენ, შემდეგ კონვეიერს უდებენ და გასასვლელისაკენ გზავნიან.

ჩვენი ბარგიდან პირველი ყურადღება ჩემმა დიდმა ხის ყუთმა მიიქცია:

— რა გაქვთ შიგ?



1961 წ. 24 ოქტომბერი. ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი.

— საჩუქრები.

— ვისთვის?

— ვინც ჩვენს საქმეში დაგვეხმარება.

საბაჟოს მუშაკმა ვერაფერი გაიგო.

— გახსენით თქვენი ბარგი.

დიპლომატიურმა პასპორტმა მიშველა.

— მობრძანდით.

გასასვლელშივე გვიცდიდა მეორე საბჭოთა მოქალაქე. მხიარულად შემოგვეგება იგი: არმანდ ბორისის ძე ვოლკოვი — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პალესტინაში, მეცნიერი, ორიენტალისტი. თავად დაჯდა მანქანის საჭესთან და დაუყოვნებლივ დავიძარიტ.

აეროდრომი ლუდა თელ-ავივსა და იერუსალიმს შორის მდებარეობს. ჩვენ თელ-ავივში აღარ შეგვიხვევია, პირდაპირ იერუსალიმისკენ გავწიეთ. სასტუმროში დავბინავდეთ, დავლაგდეთ და თელ-ავივში, ჩვენს საბჭოთა საელჩოში — შემდეგ გამოვცხადდეთ.

უბრალო გუდრონის და არა ბეტონის გზა, როგორც სხვაგან, მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბევრს ვერაფერს ვხედავთ ღამეში, მაგრამ გზისპირები ეტყობა ხრიოკია, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანან კვიპაროსები და ზეთისხილის ხეები.

გადავიარეთ რამდენიმე ზომიერი უღელტეხილი, ჩვენი ყურადღება გზის პირებზე დამტვრეულმა, დამწვარმა ჯავშნიანმა ავტომანქანებმა მიიქცის. ეს პალესტინის უკანასკნელი ომის ნამუსრევია. ისრაელებს ეს გზა ერთგვარ მუზეუმად უქცევიათ ამ ათიოდე წლის წინანდელი ომის სამახსოვროდ. მტრის მანქანების ნაღენები გზის პირებზე გამოუფენიათ.

შევუდექით კიდეც ერთ შეღმართს და ჩვენი მანქანაც „აღვიდა ქალაქსა იერუსალიმს“.

იერუსალიმის გარეუბანი...

ვინრო ქუჩები, ნახევრად ბნელი.

ჩვენი მანქანა შეჩერდა სასტუმრო „ორ-გილის“ წინ.

ვინრო, ძლიერ ვინრო კიბით ავედით სასტუმროს მეორე სართულზე. დაბალჭერიანი ოთახები. დაბალჭერიანი ისე როგორც ჩვეულებრივად, უცხოეთის სასტუმროებში. შესვლისთანავე მოგვართვეს მშვენიერი ცივი ორანჟი, რომელმაც ამ სიცხეში სული მოგვათქმევინა. უძილო ღამე. მხოლოდ დილის ოთხ საათზე ჩაგვთვლიმა.

25 ოქტომბერი

სასტუმროს ფანჯრიდან — ძველი და ახალი სინაგოგები... საყდრები და მიზგიტები. ცაში ატყორცნილი ელენი... სიონი... სიონი.

ერთ საათში უკვე გამელვიძა. გაღვიძებია აკაკი შანიძესაც, გიორგი წერეთელსაც. მთელი დღის ფრენის შემდეგ სამივე მშვენივრად ვგრძნობთ თავს.

ცხელა, ცხელა. როგორც ამბობენ, ამჟამად იერუსალიმში ისე ცხელა, როგორც ჩვენში ივლის-აგვისტოში.

ქალაქი ადრე იღვიძებს. იგი ცოცხალი ჩანს, მოქმედი, მოძრავი, საქმიანი.



იერუსალიმი ჩვეულებრივი აზიური ქალაქია, მიწისფერი, თითქმის ტალახისფერი სახლებით, ვიწრო ქუჩებით, რომელნიც ყველგან ჯერ კიდევ როდია მოასფალტებული, აქა-იქ მანქანა მტვრის ბულსაც აყენებს. პალმები, ალვის ხეები, ბაღებსა და სკვერებში ზეთისხილის ხეები.

ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან სკოლებში მოსწავლეები. ზოგ მათგანს გრძელი კულულები ჰკიდია ყურის ძირებთან. საქმეზე მიიჩქარიან გრძელ-კულულებიანი მამაკაცებიც. ებრაული „პეისე“, გამახსენდა, ძველად ბავშვობაში მინახავს, მერე ამდენი ერთად აღარსად შემხვედრია. ბავშვობაში „კიკინებს“ ვეძახდით. კულულებიანი ებრაელები გრძელ შავ ფრაკებს ატარებენ, ორთოდოქსალური იუდაიზმის მიმდევრები.

ჩვენ დაუყოვნებლივ ამ დილიდანვე უნდა შევუდგეთ საქმეს. საბჭოთა კავშირის აკადემიის წარმომადგენლის არმანდ ბორისის ძე ვოლკოვის საშუალებით ადრიანადვე ვუკავშირდებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პალესტინის მისიას (ძველად „პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებელი საზოგადოება“).



გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე,

მისიაშიც, რასაკვირველია, იციან, რომ ჩვენ წუხელ ჩამოვიდოდით იერუსალიმში.

ვსხდებით ვოლკოვის მანქანაში და მივდივართ მისიისკენ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ძველად ბევრი საყდარი და სასტუმრო ჰქონია პალესტინაში მლოცველთათვის. ერთ-ერთი მონასტრის საცხოვრებელ სახლში, ზედ ქალაქის ცენტრშია მოთავსებული დღეს პალესტინის რუსეთის სასულიერო მისია. ახლა მისიას ემსახურება რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის — არქიმანდრიტი ავგუსტინე — მისიის მეთაური, ორი ახალგაზრდა მღვდელი და ერთიც დიაკვანი.

შეჩერდა თუ არა ჩვენი მანქანა, მისიის კარი გაიღო და დაბალ კიბეებზე ჩამოგვეგება მისიის მთელი შემადგენლობა სრული სასულიერო ჩაცმულობით, მისიის მეთაურის არქიმანდრიტ ავგუსტინეს წინამძღოლობით. ავგუსტინე მაღალ-მაღალი, შავწვერიანი ლამაზი კაცია. იგი ხელებგაშლილი შემოგვხვდა, მხიარული სახით, და მისიაში შეგვიძღვა.

ავგუსტინემ თავისი მისიის გარდა ჩვენი ექსპედიციის მისიაც — ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანიც უკვე კარგად იცოდა, იცოდა ისიც, რომ

ჩვენ მისი საშუალებით ბერძნების პატრიარქ ბენედიქტესთან შეხვედრას ვესწრაფოდით, ბენედიქტესთან, რომლის ხელშიც არის დღეს იერუსალიმის ქართველთა ძველი ჯვარის მონასტერი.

მოვახსენეთ ავგუსტინეს, რომ ჩვენ თანა გვაქვს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის პირადი წერილი ბერძნების პატრიარქთან და, აგრეთვე, ქართული საჩუქრებიც.

ეს ყველაფერი ავგუსტინემ საქმისთვის საჭიროდ და სასარგებლოდ ჩათვალა.

საუზმის სუფრაზე მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა.

ბერძნების მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი პალესტინაში, იერუსალიმის პატრიარქი ბენედიქტე მეორე იერუსალიმში, იორდანის იერუსალიმში ზის, სადაც, რელიგიური გადმოცემით, ქრისტეს საფლავია. როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ქალაქი იერუსალიმი დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი; ერთ ნაწილს, ახალ იერუსალიმს, ფლობს ისრაელი, ხოლო მეორეს, ძველ ქალაქს, ძველ იერუსალიმს — იორდანის მეფე. იერუსალიმის ახალი ნაწილი ისრაელს არაბებთან უკანასკნელ ომში ჩაუგდია ხელში და სატახტო ქალაქიც თელ-ავივიდან აქ გადმოუტანია, მაგრამ, რადგანაც ეს აქტი რომელიღაც საერთაშორისო კანონების დარღვევა ყოფილა, ოფიციალურად ახალი იერუსალიმი ისრაელის სატახტო ქალაქად დღესაც არაა აღიარებული სხვა სახელმწიფოთა მიერ და უცხოეთის საელჩოები, მათ შორის საბჭოთა კავშირის საელჩოც, დღემდე თელ-ავივში იმყოფება.

ისრაელი დიდი მონდომებით აშენებს და აფართოებს თავის სატახტო ქალაქს — ახალ იერუსალიმს, ძველი იერუსალიმი კი, ეტყობა, ასეთი ჩქარი ტემპით როდი შენდება.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ემიგრანტული ნაწილიც ძველ იერუსალიმს შეჰკედლებია, იქაურ რეაქციულ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას (რომელსაც „Русская миссия карловицкой ориентации“ ეწოდება) მიაჩნია, ავგუსტინეს მისიაში კომუნისტების კაცები სხედანო და ამიტომაც მისიის წინააღმდეგ განუწყვეტლად აწარმოებენ შავრაზმულ აგიტაციას. იქაური მისიის უფროსი მოხუცებული არქიმანდრიტი ბიკაი, როგორც ავგუსტინე ამბობს, წარმოშობით რუსის თათარი ყოფილა, 19 წლის მონათლულა და კიევ-პეჩერის ლავრაში შემდგარა მღვდლად. თავის დროზე იგი თავრიდის ეპისკოპოსის — დიმიტრი აბაშიძის მოსენაკე ყოფილა. ეს ის დიმიტრი (დავით) აბაშიძეა, — ამბობს ავგუსტინე, რომელიც ერთ დროს თბილისის სემინარიას რექტორობდაო. ეს აბაშიძე 30-იან წლებში მომკვდარა და ყოვლისაგან „განწმენდილ“ ანტონად დაუსაფლავებიათ კიევ-პეჩერის ლავრაში.

შევთანხმდით: ავგუსტინე დაუყოვნებლივ აცნობებს იორდანის იერუსალიმში პატრიარქ ბენედიქტეს, მისი აქაური წარმომადგენლის ქსანტოპულოსის საშუალებით, ჩვენს აქ ყოფნას, და სთხოვს ჩვენთან აუდიენციას.

ავგუსტინეს ვთხოვეთ, აგრეთვე, ისრაელის გამოჩენილ მეცნიერთან — პროფესორ ვარდისტან დაკავშირება, მანაც იქვე ტელეფონით დაურეკა მას და ხვალისათვის თავმდაბლად მისიაში მოიწვია.

ავგუსტინე დიდი სამამულო ომის დროს საქართველოშიც ყოფილა. დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით იგონებს ჩვენს რესპუბლიკას და ოცნებობს კვლავ ჩვენში ჩამოსვლაზე.

სწორედ ამ დროს რადიომ, ჩვენთვის მოულოდნელად წინასწარ შეკვეთილივით, გადმოსცა თელ-ავივიდან მშვენიერი ქართული სიმღერები, ჩვენი ცეკვების მუსიკა, ჩვენი მელოდიები. ამან მეტად გვასიამოვნა და კიდევ უფრო კეთილად განგვანყო ერთმანეთისადმი.

— თქვენ ჯერ ქალაქში არაფერი გინახავთ, გვეუბნება არქიმანდრიტი, — ნავიდეთ.

ჩავსხედით ავგუსტინეს მშვენიერ, კომფორტულ მანქანაში და გავწიეთ ქალაქის დასათვალიერებლად.

ჯერ ერთ მაღალ შენობასთან შევჩერდით. ეს ფრანცისკელთა მონასტერი ყოფილა, ავედით მის მაღალ, ფართო ვერანდაზე, აქედან ხელისგულივით ჩანს მთელი იერუსალიმი, განსაკუთრებით — მისი ძველი ნაწილი, იორდანის მხარე.

აგერ თვალწინ ცნობილი ისტორიული იერუსალიმის კედელი ძველ იერუსალიმში. დაინახავ და მაშინვე მოგაგონდება ცნობილი სურათი: „იუდეველთა გოდება იერუსალიმის კედელთან“. დღეს ეს სურათი მეტად გავრცელებულია პალესტინაში. აკაკი შანიძეს ახსენდება სიტყვები ბიბლიიდან: „უკეთუ დაგივინყო შენ, იერუსალემ, დავინწყებულ იქნეს მარჯვენა ჩემი“.

აგერ სიონი... ჩვენს მეცნიერებს ისევ ახსენდებათ ბიბლიიდან: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით და ვსტიროდეთ, ოდეს მოგიხსენეთ, შენ, სიონ!“

და შემდეგ:

„არ დავდუმდები შენთვის, სიონ და არ დავმშვიდდები შენთვის, იერუსალემ“.

მრავალი საუკუნის განმავლობაში გულით დაჰქონდათ ბიბლიის ეს სიტყვები სამშობლოდან ცეცხლითა და მახვილით აყრილ, დედამიწის ყოველ კუთხეში გაფანტულ იუდეველებს, როგორც ლოზუნგები კვლავ სამშობლოს მოპოვებისათვის. და აგერ, ჩვენს დროში, ჩვენ თვალწინ, ორი ათასი წლის შემდეგ, მოუპოვებიათ კიდევ იგი, დაკარგული



გოგი დოლიძე, ირაკლი აბაშიძე, თამაზ ტყემალაძე.

სამშობლო მათ და, წარმოიდგინეთ, რაც ყველაფერზე მეტად გასაკვირველია, ამ ათიოდე წლის მანძილზე აღუდგენიათ

თავისი ძველი ენა, ბიბლიის ებრაული ენა — ივრითი და დღეს მთელი ისრაელი ამ ენაზე ლაპარაკობს.

მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ისრაელზე არაფერი ვიცით. ჯერ ჩვენ ვდგავართ ფრანცისკელთა კათოლიკური მონასტრის სახურავზე, მის ფართო ვერანდაზე, და გადავცქერით ძველსა და ახალ იერუსალიმს.

აგერ გოლგოთა...

აგერ აღდგომის ტაძარი...

ქრისტეს საფლავი...

ომარის მიზგიტი...

ელეონის მაღალი კოშკი... სიონი...

გეთსამანიის ბაღი... ზეთისხილის მთა... შორს, შორს, მთის ძირში „მკვდარი ზღვა“.

გეთსამანიის ბაღი, ალბათ თავის დროზე, როცა აქ, გადმოცემის მიხედვით მაგდალინელი დადიოდა, უფრო დიდი იყო, ახლა იგი პატარა სკვერსა ჰგავს მთის ფერდობზე, შიგ თეთრი მონასტრით. სულ ჩვენს ბოდბეს მოგაგონებთ, კახეთში.

გოლგოთა მე მთაზე მეგულებოდა. პირიქით, იგი დაბლა ჩანს. გოლგოთა, ქრისტეს საფლავი და აღდგომის ტაძარი ერთად დგანან ძველ იერუსალიმში.

უკანასკნელი ომის დროს დანგრეული შენობები ერთ ხაზზე აღდგენილი არ არის, ეს ორ მეომარ სახელმწიფოთაშორის დაზავების პერიოდის სადემარკაციო ხაზია.

გაყოფილი იერუსალიმის ორივე მხარეს, სახლის სახურავებზე, სილით სავსე ტომრებზე, სათვალთვალ პუნქტებია. ჯარისკაცები უსხედან ტყვიამფრქვევებს. ამ ორ ქვეყანას შორის საომარი მდგომარეობა ასე გრძელდება. დურბინდებით გვიცქერენ და გვზომავენ სამხედრო პირები ფრანცისკელთა მონასტრის ნეიტრალურ სახურავზე, იქიდანაც და აქედანაც. ჩვენც დიდხანს აღარ ვანერვიულებთ მათ. ვეშვებით ქალაქში, შემდეგ მივდივართ ქალაქგარეთ.

რამათ-რაჰელის სიმაღლიდან ბეთლემი... ჰეროდიონი, იუდას უდაბნო, სადაც უძველესი ქართული წარწერები აღმოჩნდა ახლახან, ამ ადგილის გათხრებისას. ამ წარწერების შესახებ შესანიშნავი გამოკვლევა დაწერა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

სალამომდე ვდგავართ გორაკზე და გავცქერით ამ ბიბლიური ქალაქის სანახებს.

აგერ, ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე პატარა სოფელი, თუ ნასოფლარი.

— რა ჰქვია ამ სოფელს?

— „მალხა“.

რაღაც ქართულ სიტყვას გაგონებს ეს სახელი, მაგრამ თითქოს არც ქართულია.

— ვინ ცხოვრობს ამ სოფელში?

— ახლა თითქმის, როგორც გვითხრეს, არავინ. აქაური მცხოვრებნი პალესტინის ამ უკანასკნელი ომის დროს სადღაც შორს გადაუსახლებიათ. ცხოვრობდნენ კი არაბები, რომელნიც რატომღაც თავიანთ თავს „გურჯებს“ ეძახდნენ. ეს უკანასკნელი თაობაც ამ სოფლიდან ისე გაფანტულა და დაკარგულა, ნამდვილად არც კი გაუგიათ, რომ მათი შორეული წინაპრები მართლაც „გურჯები“, ქართველები იყვნენ და რომ ისინი, გადმოცემით, მრავალი საუკუნის წინ, ქართველმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა დატოვა აქ, პატარა გარნიზონად, ჯვარის მონასტრის მტერთაგან დასაცავად.

დეკანოზი კონჭოშვილი, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულში იმოგზაურა პალესტინაში, და თავის მოგზაურობაზე გამოაქვეყნა წიგნი, ასე წერს: „მახლობლად ჯვარის მონასტრისა ესრედ წოდებულ „ვარდის ლელესა“ არის დაბა „მალხა“, სადაც ცხოვრობს ექვსასი სული

ორივე სქესისა; ამბობენ, ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცავად ჯვარის მონასტრისა, მტერთა დაცემისაგან, მათ დაუვინწყნიათ მშობლიური ენა და სარწმუნოება მამა-პაპათა, მაგრამ გადმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა და უწოდებენ თავისა თავსა „გურჯებად“, ქართველებად და გარეშე მცხოვრებნი არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომსა. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რამდენადმე თათრულად და ბერძნულადაც, იგინი იცავენ ჯვარის მონასტერს და ემსახურებიან მას. იგინი სარგებლობენ საკუთრისუფლებითა შეიმუშაონ მონასტრის მიწებები და ვენახები. დააძლევენ მონასტერს მხოლოდ მესამედ ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლია ეს საქმე გადასცეს სხვათა, რომ უსიამოვნება არ გამოიწვიოს მალხას მცხოვრებთა შორის. სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა ისინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან“.

მალხა... მალხა... მშვიდობით, „სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა“ უცნაურო არაბებო... აგერ გუშინ, თითქმის ჩვენს თვალწინ, დასრულებულა თქვენი სევდიანი ისტორია.

სადღაც თითქოს გაიელვა მაიუმის, ლაზის დიდი მოაზროვნის — პეტრე იბერის სახემაც...

სალამოს ისევ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერუსალიმის მისიაში ვართ. დანიშნული გვაქვს შეხვედრა ბერძნების მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ბენედიქტეს წარმომადგენელ ქსანტოპულოსთან. იგი ავგუსტინემ მოიპატიჟა.

ქსანტოპულოსი, ბერძნულის გარდა, არაბულადაც ლაპარაკობს. იგი ხანშიშესული, მომცრო ტანის უღვაშებაპრეხილი კაცია. პირველივე გასაუბრებიდან ჩანს, კულტურას და განათლებას ემდურის, ცოდნა არაფრისა გააჩნია, რელიგიის საკითხებისაც კი. ეტყობა, არც მაინცა-დამაინც ანუხებს ეს უვიცობა. ყველაზე დიდ ღმერთად და საქმედ, ესეც ეტყობა, ამქვეყნიურ ცხოვრებას თვლის. კარგი გამოქეჩილი კაცი ჩანს. ასეც დაგვიხასიათა იგი ავგუსტინემ.

ქსანტოპულოსმა დაბეჯითებით გვითხრა, რომ ჯვარის მონასტერში ახლაც არის ძველი ხელნაწერების ბიბლიოთეკა, და რომ ამ ბიბლიოთეკის გამგეს, რომელიც იორდანის იერუსალიმში ცხოვრობს, იგი გადმოიყვანს თავისი გასაღებით და საშუალებას მოგვცემს გავსინჯოთ ეს ძველი წიგნთსაცავი.

მე მეტად აღმაფრთოვანა ამ ცნობამ და დაპირებამ. ჩვენს მეცნიერებს — აკაკი შანიძეს და გიორგი წერეთელს კი მხოლოდ ღიმილი მოჰგვარა. მართლაც, მალე გამოიკვია, რომ ქსანტოპულოსს ამ საქმისა არაფერი სცოდნია და არავითარი ძველი ქართული ხელნაწერები ჯვარის მონასტერში არ არის

6 ნოემბერი

კვირაა. ჯერ კიდევ მთვარით გაქათქათებულ ღამეში გაგვეღვიძა. რა გრძელი დილაა!

ადრინად მივდივართ საქმეზე.

მონასტრის კარებს გვიღებს ბიკენტიუსი. დღეს მისი უქმე დღეა.

ვეკვეთეთ რუსთველის შავ საღებავს ახალი საშუალებებით, რომლითაც დღეს უკვე აღჭურვილები ვართ ფრესკების წმენდის სპეციალისტებისაგან.

გამოდის, გამოდის... მოჰკიდა ხელი შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა ძლევს. სულ უფრო და უფრო ინმინდება რუსთველის წითელი ტანსაცმელი. მაგონდება სტრიქონები: „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“... მივყვებით მალლა, სულ მალლა, გამოჩნდა თეთრი წვერი. ერთმანეთს ვენაცვლებით. ვღელავთ, ვფუსფუსებთ. სიხარულისგან ვკრთით. სახეს რომ მივუახლოვდით, ვცდილობთ ზედმეტი ძალა არ დავატანოთ მარჯვენას. ერთმანეთს ვაფრთხილებთ, ალერსივით მსუბუქად ვწმენდთ. გვეშინია, თვით რუსთველის პორტრეტზეც არ ვიმოქმედოთ. სასწაულია. რუსთველის სურათის ფერებს არაფერი ეკარება, თუ რუსთველის სურათის ფერები არ იკარებენ არაფერს. სურათი ინმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესღაც უნათებია.

ნაშუადღევი, 6 ნოემბერი

ვაშა, გამოჩნდა, გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაემნიანი... თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე.



მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი ხელაპყრობილი.

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდევს ღმერთმან ამინ.“ხოლო ქვემოთ პორტრეტზე — „რუ-სთვლი“. თეთრად გამოანათა მსხვილმა ქართულმა ასომთავრულმა.


„ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუ-ახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთაბოროტთასა, რომელმაც ასწავა ქართველთა სინმიდისა წაბილწება და განრყვნა ქრისტიანობა... შოთას ვიტყვი რუსთველსა, მეჭურჭლეთ უხუცესს თითონაც შიგ ხატია მოხუცებული.“

აგერ „ბოროტთა ლექსთა მთქმელი შოთა რუსთველი მეჭურ-ჭლეთუხუცესი“ — როგორც ტიმოთე გაბაშვილი ამბობდა.

ჩვენ გადავხვიეთ ერთმანეთს.

რა დიდებული მხატვრობაა.

ვოლკოვი თავისი მანქანით გაფრინდა ბერნჰაიმთან. ბერნჰაიმი, რადგან დროზე არ მივაკითხეთ, შინ არ დაგვხვდა. რუსთაველის სურათს ხვალ გადავიღებთ. ახლა უკვე ნამდვილ, განმეზღილ, აღდგენილ ფერად სურათს. ნამდვილ ფერად სურათს, რა დიდებულია!..



რუსთაველის ფრესკასთან -
გიორგი ნერეთელი, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე.

7 ნოემბერი

იერუსალიმის ოცნებით სავსე მთვარიანი ღამე...

წუხელ ასეთი ტექსტი შევადგინეთ თბილისში გამოსაგზავნად: „საბჭოთა კავშირი, საქართველო, თბილისი: შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმში, რომელიც უკვე დაკარგულად ითვლებოდა, აღმოჩენილია, განმედილია და აღდგენილია მთლიანად. იგი ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებია. მოგვაქვს მისი ჩვეულებრივი და ფერადი ფოტოგამოსახულებანი.“ ჩვენი ხელის მოწერა.

არ ავჩქარდით. დეპეშის გაგზავნა დღეისთვის გადმოვდეთ.

დეპეშის ტექსტი მგონი უპრეტენზიოა. ჩვენ აქ ჯერ არავითარ მეცნიერულ დასკვნებს არ ვაკეთებთ. მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ. ფაქტს, რომ იგი აღმოჩენილი და აღდგენილია. ფაქტს, რომ იგი ხელოვნების დიდებულ ნიმუშს წარმოადგენს.

მეცნიერული დასკვნები საქართველოში.

ფაცაფუცით ვისაუზმეთ. ცხრა საათსა და 30 წუთზე უნდა ბერნჰაიმი ნავიყვანოთ მონასტერში.

გულში ცოტა შიში გვაქვს შეპარებული. რა მდგომარეობაშია ამ დილით რუსთველის პორტრეტი. წუხელ მისი ფერებიც ხომ არ შეილახა?

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ადრინადად მიდის ბერნჰაიმის ლაბორატორიისაკენ ბერნჰაიმის წამოსაყვანად ჯვრის მონასტერში. მე და აკადემიკოსი აკაკი შანიძე ფეხით მივუყვებით ჯვარის მონასტრისაკენ იერუსალიმის ქუჩებს.

აკაკი შანიძე მშვენივრად მღერის. ჩვენ კარგა ხანია შევუწყვეთ ხმები ერთმანეთს. მივდივართ ნელ-ნელა და აგერ ინგლისის მეფე გიორგის სახელობის ბაღში ამ დილაადრინადად მხიარულად მივიმღერით. „დილა-დილა“. მშვენიერი დილაა. დიდებულია ამ დილით იერუსალიმის ქუჩებსა და ბაღებში ფეხით გასეირნება ჯვარის მონასტრისაკენ. ჯერ გიორგი წერეთელი და ბერნჰაიმი მისული არ იქნებიან. ნელა ვიაროთ.

როგორ ესიამოვნებათ ეს ამბავი ჩვენს მეგობრებს, ქართული კულტურის მეგობრებს, პირველ რიგში რუსთველის მოძმე და უცხო ენებზე მთარგმნელებს. გამახსენდა, რა აღტაცებით გამოგვაცვილა წამოსვლის წინა დღით მოსკოვში მიკოლა ბაჟანმა, რომელიც ის-ის იყო იტალიიდან ჩამოსულიყო და იმავე საღამოს კიევიში ბრუნდებოდა. შემთხვევით შეგვხვდა სასტუმრო „მოსკვაში“. უსაზღვროდ გაეხარდა, თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ უსათუოდ დღეს ვყოფილიყავ მოსკოვში და იერუსალიმს გამგზავრების წინ აქ შეგხვედროდითო. ოთხივემ ერთად ვისადილეთ და მიკოლამ გზა დაგვილოცა.

როგორ გაეხარდება ეს ამბავი რუსთველის გერმანულად მთარგმნელს ჰუგო ჰუპერტს — ავსტრიაში, კერნბახს — რუმინეთში, იგორ სიკორიციკის — პოლონეთში, იედლიჩკას — ჩეხოსლოვაკიაში.

რასულ ჰამზათოვი ჯერ კიდევ ამ ზაფხულს, როცა ერთ საღამოს მოსკოვში ჩუმად გავანდე ჩემი გადანყვეტილება, ხუმრობით მთხოვდა, მართალია ქრისტიანი არა ვარ, მაგრამ მუსულმანების მეტი რაა პალესტინაში, მეც ჩამრიცხე თქვენს ექსპედიციაშიო.

ჩვენც მივედით ჯვარის მონასტერში და ისინიც მოვიდნენ, — გიორგი ნერეთელი და ალფრედ ბერნჰაიმი, თავისი ასისტენტებით, აპარატით, მონყოილობით.

რუსთველის პორტრეტი ისევ გუშინდელივით ელავს, ელავს ძველებურად.

სახტად დარჩა, მეტად გაოცდა ალფრედ ბერნჰაიმი: ეს როგორ? რა საშუალებებით, რა ხერხით?

სიამოვნებით გაამზადეს და სურათისკენ მიმართეს მძლავრი ფოტო-აპარატი. მიაშუქეს რუსთველის პორტრეტს მძლავრი ელექტროფარები და ერთ საათში ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის დიდებული გამოსახულება უკვე პალესტინელი სპეციალისტის ფოტოაპარატში იყო.

ან ველარსად დაგვეკარგება. ვერვინ ნაშლის ჯვარის მონასტრის შოთა რუსთაველს. იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს ეკუთვნის!

დღეს 7 ნოემბრის საღამოს ჩვენმა ელჩმა მიგვინვია თელ-ავივში საბჭოთა საელჩოს საოქტომბრო მიღებაზე. ყველას დიდად გაეხარდა ჩვენი ამბავი საელჩოში.

მიღებაზე ჩვენს ელჩს მონვეული ჰყავდა, ყველა უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური მისიების გარდა, თელ-ავივის თითქმის მთელი ინტელიგენცია. მთელმა ინტელიგენციამ გაიგო იმ საღამოს ჩვენი ამბავი. საელჩოს ეზოში ჩვენს გარშემო იკრიბებოდნენ და დეტალურად გვეკითხებოდნენ ყველაფერს ჩვენი მუშაობის შესახებ. ჩვენც სიამოვნებით ვუამბობდით. განსაკუთრებით ესიამოვნა ეს ამბავი გამოჩენილ ებრაელ პოეტს ალექსანდრე პენს, რომელსაც განზრახული აქვს ებრაულ ენაზე თარგმნოს შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება.

შუალამისას მშვენიერ ხასიათზე დავბრუნდით თელ-ავივიდან იერუსალიმში.

8 ნოემბერი

რუსთაველის პორტრეტი დღეს მხოლოდ სალამოს იქნება მზად.

დღისით სხვა არაფერი გვახსოვს.

სალამოს აღფრედ ბერნჰაიმის ლაბორატორიაში.

ლაბორატორია ნახევრად სარდაფშია.

მხიარული სახით შემოგვეგება მოხუცი ბერნჰაიმი. ეს კარგი ნიშანია.

სავარძლებზე აუჩქარებლად დაგვსხა. ჯერ მისი ძველი, აქამდე გადაღებული სურათები გვაჩვენა. მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე გადაუღია მას თავისი ფოტოაპარატით. მეტად მდიდარი ალბომი შეუკრავს მათგან. ამ ფოტოსურათებიდან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ალბერტ აინშტაინმა... აინშტაინი ღრმა მოხუცებულობაში... მას თითქოს ისევ ბავშვობის სახე, გულუბრყვილო სახე დაბრუნებია. მარცხენა თვალში ცრემლის გამჭვირვალე კურცხალი ნამდვილ კურცხალივით უკრიალებს და ეს კურცხალი საკვირველად აცოცხლებს ამ პორტრეტს. თითქოს ეს კაცი აგერ ცხვირსახოცით შეიშრობს ცრემლსაო... ხომ არ უბრუნდებათ სიბერეში ბავშვური სახის გამომეტყველება დიდ მოაზროვნე ადამიანებს? ადამიანებს, რომელთა ტვინსაც მოხუცებულობის სკლეროზის მსახვრალი ხელი არ შეხებია?

ჯვარის მონასტრის შოთა რუსთაველის პორტრეტსაც სადღაც ბავშვის გამომეტყველება დაჰკრავს. დააკვირდით, ეს ახლა მომაგონდა ბერნჰაიმის ლაბორატორიაში.

მძიმე-მძიმედ, ფუსფუსით, როდის-როდის, გამოიტანა ბერნჰაიმმა რუსთაველის პორტრეტის ანაბეჭდი. შავ-თეთრი ანაბეჭდი.

კარგია, ნამდვილად კარგია!

მეტად ნასიამოვნები დარჩა სპეციალისტი, ხელობა რომ მოვუწონეთ.

ახლა ფერადი ანაბეჭდი...

ბერნჰაიმმა მსხვილი ელექტროშუქურა გაანათა და ზედ ახლოს მიიტანა, რუსთაველის ფერადი ფოტოსურათი დააპოზიტივა.


მშვენიერია... ნამდვილად მშვენიერია!

საჭიროა ეს ფერადი დიაპოზიტივი სასწრაფოდ დაიბეჭდოს აქვე.

სამწუხაროდ ისრაელს არა ჰქონია დიაპოზიტივების ბეჭდვის სათანადო მოწყობილობა. იგი შვეიცარიაში უნდა გაიგზავნოს, საიდანაც უკან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ. ჩვენი დრო კი ნელ-ნელა უკვე იწურება. სხვა გზა არ არის, რუსთაველის პორტრეტის ფერადი დიაპოზიტივი ასევე უნდა წამოვიღოთ საბჭოთა კავშირში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინელი წარმომადგენლის ვოლკოვის მიერ შერჩეული ფოტოგრაფის დამზადებულ ჯვარის მონასტრის ფრესკების დიაპოზიტივებსაც, აგრეთვე მივიღებთ საბჭოთა კავშირში, საქართველოში. ამ დიაპოზიტივებსაც გულმოდგინედ ამზადებს ვოლკოვის ფოტოგრაფი ბორის გრიგოლის ძე კორში.

სამუშაოს ჰონორარის შესახებ ბერნჰაიმმა მხოლოდ მაშინ დაგვინყო ლაპარაკი, როცა მისი ხელობა ჩვენ მოვიწონეთ. ჩვენ უკვე მის ხელთ ვიყავით, გადავუხადეთ, ჩავიდეთ პორტფელში რუსთველის პორტრეტის ორგვარი გამოსახულება: თეთრ-შავი და ფერადი დიაპოზიტივები. ახლა ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ საქართველოში, შეგვიძლია.



9 ნოემბერი

იქნებ ჩვენს მკითხველს ჩვენი დღიურები ამის შემდეგ აღარც კი აინტერესებს.

ბუნებრივია.


მაგრამ ორიოდ სიტყვაც:

დღეს უკანასკნელად ვართ ჯვარის მონასტერში. იქნებ სულ უკანასკნელად.

თავზე გვადგას დამიანე და იუვენალი.

კიდევ ბევრი რამ არის აქ შესასწავლი.

ამ დილით, როცა ჩვენ მონასტერს მივუახლოვდით, აქედან



გიგლა ფირცხალავას შარჟი

დაბრუნებული ქალაქისაკენ ტაქსით მოჰქროდა ქსანტოპულოსი. არ გვესიამოვნა, ეს გაიძვერა ტყუილ-უბრალოდ არ იქნებოდა მონასტერში.

და მართლაც, ჩვეულებრივზე ცივად შეგვხვდნენ ჩვენი მასპინძლები — დამიანე და იუვენალი.

ნუთუ რამე გაიგო ბერძენმა პატრიარქმა?

მივადექით მონასტრის წინა სვეტის მეორე მხარეს. დავინწყეთ შავი საღებავისაგან მისი განმენდა. აქაც მშვენივრად გამოდის საქმე. გამოჩნდა სახე დრანდელი ეპისკოპოსისა.

უცებ აენტო იუვენალი, მოგვვარდა და სასტიკად აგვიკრძალა სვეტის შეხება. თითქოს ახლა გაახსენდა, რომ პატრიარქმა დაავალა თვალყური ედევნებინა ჩვენთვის. აფეთქებული პირდაპირ ეკვეთა ჯერ აკადემიკოს აკაკი შანიძეს, მერე აკადემიკოს გიორგი წერეთელს, რომლებიც ახლად გამოვლენილ წარწერაზე მუშაობდნენ. — რა ვქნა, ეს კაცი მთვრალი ხომ არ არის, გავიფიქრე მე და ხელი მაგრად ჩავჭიდე ხელზე. ეტყობა, ცოტა მეტი მომივიდა და იუვენალიც გონს მოეგო.

აგვიჯანყდა დამიანეც...

ეტყობა, ყველაფერი გათავდა. საოცარია. ჩვენი „ჯიბის ენაც“ აღარ ესმით. ეტყობა, მეტს ველარაფერს გავხდებით. თვალწინ გამიელვა გაიძვერა ქსანტოპოლოსის უჟმურმა სახემ.

კედლის მხატვრობა და ფრესკები, ძველი ქართული წარწერები სულ გადავიღეთ?

გადავიღეთ რისი გადაღებაც შეიძლებოდა.

შოთა რუსთველის პორტრეტი ხელთა გვაქვს?

ხელთა გვაქვს.

შაბაშ, დავბრუნდეთ საქართველოში!

1961 წ.

... და ისევ პალესტინა

|

უცხოეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ-დიპლომატიური ურთიერთობის გლობალური გამოცოცხლება, ჩვენი პლანეტის უდიდეს სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საგრძნობი გაუმჯობესება, ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური გარდაქმნებისა და ახალი აზროვნების საფუძველზე, უცხოეთის ბევრ სახელმწიფოსთან დღეისათვის უკვე მიღწეული კონტაქტებისა და კავშირურობის გაღრმავება ყველა ჩვენგანის გულში ბადებს დიდ იმედებსა და სურვილებს, თანამედროვეობის საჭირობოტო პრობლემებთან ერთად მივხედოთ ჩვენ ისტორიულ წარსულსაც, რომელიც ამ ქვეყნებთან საუკუნეების გრძელ მანძილზე გვაკავშირებდა. მივხედოთ, უპირველესად საზღვარგარეთულ ცენტრებს, რომელთა ბედიც დღემდე განუკურნავ ტკივილად რჩება ჩვენი ხალხის გულში.

ამ მხრივ უსაზღვრო კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობას იწვევს საქართველოს ხელისუფალთა დროული ნაბიჯი პალესტინის ქართული ჯვრის მონასტრის საუკუნოვანი პრობლემის ხელახლა გასარკვევად.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სახელმწიფოებრივი საგარეო საქმეთა ორგანოების გადაწყვეტილებით, ისრაელის საბჭოთა საკონსულოს მუშაკებს ამ რამდენიმე ხნის წინ დაევაღათ, დააზუსტონ იურიდიული სტატუსი პალესტინის ჯვრის მონასტრის მიმართ ჩვენი შესაძლო უფლებების შესახებ; ამასთანავე, დაამუშაონ პროექტი, საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხის სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ არხებში ჩართვის თაობაზე.

თქმა არ უნდა, ამ საქმის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო პალესტინაში ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ წარსულში ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის დღევანდელი და სამომავლო ურთიერთობის ახლებური გააზრებისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საშვილიშვილო საქმეშიც.

პალესტინის ქართული ჯვრის მონასტრის ბედის საკითხის ამგვარ გაცოცხლებას წინ უძღოდა დიდ სასულიერო პირთა შეხვედრაც.

1981 წელს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის იერუსალიმელი პატრიარქი. საერთო

მოლაპარაკების დროს წამოიჭრა ჯვრის მონასტრის საკითხიც (როგორც ცნობილია, ჯვრის მონასტერი დღესდღეობით იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში შედის). პატრიარქმა მაშინ შესაძლოდ ჩათვალა ამ საქმეში შეთანხმების მიღწევა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, ილია II-ის, იერუსალიმში საპასუხო ვიზიტის დროს ბერძენთა პატრიარქი დიოდოროსი, როგორც გავიგეთ, დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია ამ საქმეს, მაგრამ მაინც მზად არის საკითხი განიხილონ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდზე.

II

იმ უსაზღვრო, უკიდევანო სიყვარულით, რომლითაც ქართველებს თავიანთი წარსული ძეგლები უყვართ, განსაკუთრებული რომანტიზმის შორეული ნათელით და რაღაც გაუცნობიერებელი ნოსტალგიის მხურვალეებით მოცულია იერუსალიმის ქართველთა „ჯვრის მონასტერი“. ეს საუკუნოვანი გრძნობა ხშირად მაგონებს ბიბლიურ ძახილს — „უკეთუ დაგივინყო შენ, იერუსალემ, დავიწყებული იქნეს მარჯვენა ჩემი“, ან: „არ დავდუმდები შენთვის, სიონ, და არ დავმშვიდდები შენთვის იერუსალემ“. ასე ორგანულად თავისი სულისა და გულის ყველა ნაკვთით უყვარდა ქართველს სამშობლოს მთები და შორს, ძალიან შორს დროთა ბინდებუნდში მიმქრალი თავისი კულტურის უძველესი კერა მანამდეც და უყვარს მით უფრო მას შემდეგ, რაც იქ თავისი დიდი წინაპრები შოთა რუსთაველისა და მეფე თამარის საფლავებს იგულებს.

ამ დიდი, ერთსულოვანი, საერთო-სახალხო სიყვარულით იყო აღძრული და დიდი იმედებით წარგზავნილი 1960 წელს ქართველ მოღვაწეთა სამეცნიერო ექსპედიციაც პალესტინაში, იერუსალიმში. ამ ექსპედიციის შედეგები შინ დაბრუნებისთანავე გახდა ცნობილი ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის.

ერთობ დიდი იყო გამოძახილი ჩვენი პალესტინური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებზე საქართველოში, და არამარტო საქართველოში. არა მარტო ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა, არამედ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მკვლევარებმა და მწერლებმაც უძღვნეს მრავალი სტრიქონი ჯვრის მონასტრის ეპოპეას. დიდი ინტერესი გამოიჩინეს უცხოელმა მწერლებმა და მეცნიერებმა; განსაკუთრებით ქართველოლოგებმა, იმათ, ვისაც ქართული კულტურისა და ენის შესწავლის საქმესთან მრავალწლოვანი კავშირი ჰქონდა და აქვს; მით უფრო რუსთაველის უკვდავი პოემის თავიანთ ენაზე მთარგმნელებმა.



ჩარგალი. ნიკოლაი ტიხონოვი, სანდრო შანშიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ირაკლი ანდრონიკოვი, ბაგრატ შინქუბა, ბესარიონ ჟღენტი, ალექსანდრე ქუთათელი.

მე ჩემს არქივში ვინახავ სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ მრავალ წერილს.

მას შემდეგ განვლილმა თითქმის სამმა ათეულმა წელმა ერთი დღითაც კი არ შეანელა ჩვენი ხალხის ჭეშმარიტად ცხოველი ინტერესი და ყურადღება ამ შორეული ქართული ძეგლის მიმართ. მალე იგი აღიბეჭდა კინოფირზე, შესწავლილ და მოძიებულ იქნა მასზე ახალ-ახალი ცნობები ჩვენს ქვეყანაში.

პალესტინიდან პირველი საყურადღებო ცნობა ჩვენი ექსპედიციის შინ დაბრუნების თოთხმეტი წლის შემდეგ მივიღეთ.

1974 წლის ზაფხულის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა იერუსალიმის ქნესეტის (პარლამენტის) დეპუტატი თაურიგ თოუბი. მან, იცოდა რა ქართველ მოღვაწეთა პალესტინური ექსპედიციის საქმიანობის ამბავი, თვითონ მოინდომა ჩვენთან შეხვედრა, ჩვენ სიამოვნებით მოვინვიეთ იგი. გამოთხოვებისას ვთხოვეთ ეცნობინებინა ჩვენთვის პალესტინის ქართული მონასტრისა და შოთა რუსთაველის ფრესკის იმჟამინდელი მდგომარეობა, და აი, მისი წერილიც იმავე წლის ნოემბრის თვით დათარიღებული (მომყავს ეს წერილი მთლიანად):



ალექსანდრე ქუთათელი, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ალიო მირცხულავა; დგანან: მიხეილ მრევლიშვილი, ლავროსი კალანდაძე, სერგი ჭილაია, გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ჭელიძე, ალექო შენგელაია.

„ძვირფასო ბატონო ირაკლი!

ისრაელში დაბრუნებისთანავე წერილი ვერ მოგწერეთ, რისთვისაც მინდოდა თქვენთვის ბოდიში მომეხადა, მაგრამ რასაც შეგპირდით, თბილისში ჩვენი შეხვედრის დროს, მე შევასრულე და მინდოდა თქვენთვის მეცნობებინა შემდეგი: (ოთხშაბათს, 1974 წლის 30 ოქტომბერს იერუსალიმში მე ვინახულე ქრისტიანული მონასტერი (როგორც ადრე მოგახსენეთ, ქნესეტის — ისრაელის პარლამენტის ახალი შენობა მდებარეობს მის მეზობელ ბორცვზე).

მონასტერში მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები და მიღებულ იქნა ყველა ზომები მონასტრის თავდაპირველი სახით შესანარჩუნებლად. გარე კედლები განმინდეს და დაფარეს დუღაბის ხსნარით. მონასტერს აკეთებენ ბერძნულ-მართლმადიდებელი პატრიარქის სასულიერო სემინარიისათვის. მე შევხვდი არქიმანდრიტ ევდემონს, რომელიც შემდეგ მეგზურობას მიწევდა. კარგად დავათვალიერე ეკლესია, რომელშიც მიმდინარეობდა სამღებრო სამუშაოები. ფრესკა ორი ანგელოზის ფიგურით (იგულისხმება იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი, ი. ა.) და მათ შორის მოთავსებული შოთა რუსთაველი ჯერ ისევ ადგილზეა, კარგადაა შენახული და მის დაცვაზე ზრუნავენ.

მე ვნახე ეკლესიაში მთავარი შესასვლელის თავზე, შიდა მხრიდან, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა. ამას გიყვებით დეტალურად, ვასრულებ ჩემს დაპირებას და, დარწმუნებული ვარ, თქვენ დაინტერესდებით ამ ინფორმაციით.

იერუსალიმში არაბებისგან მივიღე ცნობა სოფელ „მალხას“ მცხოვრებთა შესახებ და გავიგე — ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ სახლობს იერუსალიმის მახლობლად. შევეცდები ვინახულო ისინი, ვესაუბრო და მიღებული ინფორმაცია მათი ისტორიის შესახებ თქვენ გადმოგიგზავნოთ.

მე და ჩემი მეუღლე გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ჩვენ მუდამ გვემახსოვრება სასიამოვნო შეხვედრა თქვენთან და თქვენს მეგობრებთან.

თაურიგ თოუბი“

III

უძველესი ისტორიული წყაროები გვიდასტურებენ, რომ პალესტინის ჯვრის მონასტერი ქართველებმა დააარსეს ქრისტეს ქალაქში — იერუსალიმში. და არამარტო ეს ძეგლი — აქ ქართველებს ოდესღაც მრავალრიცხოვანი ეკლესია და სასტუმრო სახლი ჰქონდათ. ჯვრის მონასტრის ადგილზე, იქ, სადაც, რელიგიური გადმოცემით, მოიჭრა ხე, რომელზეც ქრისტე ჯვარს აცვეს, ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, IV საუკუნეში, ქართველებმა ჯერ პატარა სალოცავი ააგეს ქართველთა მეფე მირიანის დროს, შემდეგ კი იგი თანდათან იქცა საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქართულ სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად. ვახტანგ გორგასლის დროიდან აგერ ჩვენს საუკუნემდე აქ, სოფელ მალხაში, პატარა გარნიზონიც იდგა, ამ ძეგლის დასაცავად.

— სამწუხაროა, რომ ქართველთა უდიდესი კულტურული და პოლიტიკური როლი პალესტინის ისტორიაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია, — გვითხრა დიდმა იერუსალიმელმა მეცნიერმა ხაიმ ვარდიმ ქართველ მოღვაწეთა პალესტინური სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს 1960 წელს (ამის შესახებ მე უფრო ვრცლად ვწერდი ჩემს პატარა წიგნში „პალესტინის დღიური“).

ეს პატარა სალოცავი XI საუკუნის I ნახევარში დიდ სამონასტრო კომპლექსად იქცა. იგი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და შემწეობა-დახმარებით დააარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი პროხორე შავთელმა.

ჩვენი და უცხოური ისტორიული წყაროების საფუძველზე ასე ჩავწერეთ ქართულ ენციკლოპედიაში: ჯვრის მონასტერი იერუსალიმში — შუა საუკუნეების ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ, პალესტინაში (ახლანდელ იერუსალიმში). დაარსებისთანავე ააწიოკეს იგი 1071 წელს თურქ-სელჩუკებმა იერუსალიმის ალების დროს და ამ დროიდან მას მშვიდობა აღარ ჰქონია, მაგრამ ყოველთვის აღადგენდა და იცავდა ამ დიდებულ სავანეს ქართველთა მტკიცე ნება და მარჯვენა. „დექით მტკიცედ და შეურყეველად“ — ასე აწერია, ვინ იცის რა დროიდან, მისი მოზაიკური იატაკის ცენტრში ლითონის სისხლისფერ, ოვალურ ფირფიტას. როცა ეგვიპტის სულთანი სალადინი (სალაჰ ალ-დინი) იერუსალიმს შემოესია, ეს სავანე ჩვენთვის კვლავ დაიკარგა. თამარ მეფემ კვლავ იხსნა, არაბული ფულით გამოისყიდა იგი და წარგზავნა იქ თავისი ელჩობა. ქართველის გულსა და გონებას დღესაც სჯერა, რომ ელჩობას მეთაურობდა თამარის ფინანსთა მინისტრი, მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველი. მან აღადგინა იავარქმნილი მონასტრის კედლები და ხელახლა მოახატინა იგი; ამიტომაც სავანის მადლიერმა მამებმა მუქაფად ისიც იქ დახატეს, მონასტრის სვეტზე, წმინდანების, მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის შუა.

ქართული ენციკლოპედია ისტორიულ წყაროთა საფუძველზე გვაცნობებს: „ჯვრის მონასტერში დაარსებისთანავე გაიშალა ლიტ. საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი-პროხორემ წამოიწყო. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: მიქაელ დვალი, იოანე დვალი, შავი იოანე, გაბრიელ საყვარელი (XII ს.). ტრადიციული გადმოცემებით, აქ ყოფილა არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ I გულაბერის ძე, ერთხანს თითქოს აქ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი XII—XIII სს. მიჯნა). ჯვრის მონასტერში შეიქმნა უცნობ ავტორთა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი „პროხორეს ცხოვრება“, „ლუკას წამება“ (XIV ს.), „ნიკოლოზ დვალის მარტვილობა“ და სხვა. „ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების დიდი ნაწილი ახლა იერუსალიმის ბიბლიოთეკაშია დაცული, ხოლო ზოგიერთი — სინას მთაზე, თბილისში, ქუთაისში, ლენინგრადში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში და სხვაგან“. იერუსალიმის ხელნაწერთა ნაწილი, XIII საუკუნის ჩათვლით, მიკროფილმზეა გადაღებული და თბილისში ინახება.


გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის პირველ წლებში დაიწყო ამ დიდი ქართული სავანის სიძველეების მეცნიერული შესწავლა (ა. ცაგარელი, ნ. მარი, რ. ბლეიკი) XVIII საუკუნის სასულიერო პირის ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ მეგზურობით. მონასტერი



ჟიული შარტავა, ირაკლი აბაშიძე.

ჯერ კიდევ მოელის თავის მეცნიერს; შესწავლილია მისი ფრესკული მხატვრობა, მოზაიკა, სხვა ძველი ქართული რელიქვიები სწორედ ქართული მეცნიერების თვალსაზრისით“.

გასული საუკუნის ბოლოს პალესტინაში ქართველი მოგზაური პ. კონჭოშვილი ასე აგვიწერდა ჯვრის მონასტერს (ეს ამონაწერი მომყავს ჩემი „პალესტინის დღიურიდან“): „...ამ დღეს ვნახე და მოვილოცე ჯვარის მონასტერი, რომელიც შორავს იერუსალიმს 3 ანუ 4 ვერსით. თითონ ბერძენნი უწოდებენ ამ სავანეს ქართველთა მონასტრად. ამის ხილვამ ამიშალა სულის დიდი მწუხარება. ოდესმე სახელოვან დიდებულ ქართველთა ერს იერუსალიმში ჰქონიათ 18 მონასტერი და აწ არცა ერთილა მოგვეპოება. ვაი ჩვენს დაკნინებასა! ამ მონასტერში ეხლა სასულიერო სემინარიაა, სადაც იღებს განათლებას ბევრს ენაზედ ბერძენთა და არაბთა ახალგაზრდობა. ვისისა და რა საშუალებით ინახება ეს სასწავლებელი? ამ მონასტერს ქართველ მეფეთაგან აღშენებულს მეხუთე საუკუნეში მათგანვე აქვს შეწირული ქ. ტფილისში მამული, წოდებული „ჯვარის მამისად“. აქ, ტფილისში, არის ეკლესია, გარშემო სახლები და დუქნები, მისი კუთვნილი; აი ამ დუქნების და ეკლესიის შემოსავლით უცხოეთში ინახება სემინარია უცხო ტომთა აღსაზრდელად და გასანათლებლად“.



ალექსანდრე
ტვარდოვსკი,
ირაკლი აბაშიძე.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ სხვა ადგილზეც არსებობდა ჯვარისად წოდებული „მისი კუთვნილი“ მამულები, მისი შემოსავლით ინახებოდა საუკუნეების მანძილზე შორეული ქართული სავანე. იგზავნებოდა პალესტინის ქართული ჯვრის ეს შემოსავალი პალესტინისაკენ, რომლის მხოლოდ ნაწილი აღწევდა დანიშნულების ადგილამდე, მთავარი ნაწილი გზადაგზა ათასგვარი ფათერაკის ალაფი ხდებოდა.

საბოლოოდ, უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, საქართველოს დაუძღურებისა და ქართველთა დაუდევრობის მეოხებით პალესტინის ყველა ქართული სავანე, მათ შორის ჯვრის მონასტერიც, დიდ ვალებში ჩავარდნილა. ამ სიძნელეთა ფინანსური დახმარების მისაღებად XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსულა სამი იერუსალიმელი პატრიარქი; ისტორია გვამცნობს მათ სახელებს: თეოფანე, პაისიუსი, დოსითეოსი. დოსითეოსის მეცადინეობით 1659 წელს დიდი თანხა გაგზავნილია იერუსალიმისაკენ თბილისის ეპისკოპოსის იესეს ხელით, მაგრამ გზაში ეს ქონება ყაჩაღად მუსლიმანებს ჩავარდნიათ ხელში. სხვა დროს იოსებ ქართველს დიდი სიმდიდრე — 40 000 პიასტი, 50 ოქროს ძეწკვი და სხვა ქონება გაუგზავნია იერუსალიმში, მაგრამ გზაში გემი დაღუპულა და ეს

ქონება წყალს წაუღია: ქართლის კათალიკოს დომენტის დიდი სიმდიდრე შეუგროვებია იერუსალიმს წასაღებად, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა. იქ კი პალესტინაში თავისი უფლებების დასაცავად დაუსრულებელი დავა იყო ბერძნებთან, ლათინებთან, სომხებთან. უკანასკნელი დიდი მატერიალური დახმარება ჯვრის მონასტრისათვის, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ვახტანგ მეექვსეს გაუწევია. ასევე მანამდე დიდია ღვაწლი ამ სავანის მიმართ ლევან დადიანისა და ნიკიფორე ირბახისა.

ასე ცოცხლდებოდა ეს პატარა საქართველო შორეული პალესტინის მრავალტანჯულ მიწაზე, ვიდრე საქართველოს დაუძღურების ჟამს და ქართველთა დაუდევრობის მეოხებით საბოლოოდ არ აღმოჩნდა იგი ერთმორწმუნე ბერძნების ეკლესიის იერუსალიმის საპატრიარქოს მფლობელობაში.

ამ მფლობელობაში დარჩა იგი ჩვენს დრომდე.

მოგზაური კონჭოშვილი განაგრძობს (ისევ, მორიდებულად, ჩემი პატარა წიგნიდან):

„მე-18 საუკუნის ნახევრამდის ყოფილან ამ ჯვარის მონასტერში ქართველნი წინამძღვარნი და მამანიცა. მე ვნახე ერთი საბუთის ქალაღი ათონის ქართველთა სავანეში, რომელთაგანაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გადაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილან ამ სავანეზედ. გარდაუხდიათ შემოწირულებითა, რომელიც საქართველოს მეფისა, პატრიარქისა და ერისგან მიუღიათ და დანაშთენიც ვითომც თითონ დაუმატებიათ და აცხადებენ ამ ქალაღით, რომ შეუძლიათ ქართველთა მიიღონ თავის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს გადანწყვეტილების პირი გადმოღებულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დადგენილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი. და ეხლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ იმ მამულიდან“.

ამ დროიდან ნელ-ნელა ქრება ქართულის ნაკვაღევი ჯვრის მონასტრის კედლებსა და შემოგარენში.

ისევ კონჭოშვილი: „საკურთხეველში ორსავე მხარეს კედლები ახლად შელესილია თეთრად. ცხადია აქ ქართველთა წმინდანების სახენი წაშლილი და დაფარულია. მე რომ გულმწუხარედ ვუყურებდი ეგე-ვითარს მტარვალობასა გავუზიარე ჩემის სულის მჭმუნვარება რუსეთის დეკანოზს, მან ჰკითხა ეკლესიის მოსამსახურე ბერძენს: ეს კედლები ნახევრად რად არის გაათეთრებულიო? უგუნურმა მოგვიგო: ეს ოსმალთ გაათეთრესო, თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იყოს ბერძენთა და ქართველთა წმინდანები“.

საბედნიეროდ, ამ შეთეთრება-შეფერადებისა თუ გადაკეთება-გადმოკეთების მიუხედავად საღებავთა ქვემოთ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კედლებზე მაინც დარჩენილა ბევრი რამ. მათ შორის, პირველად, როგორც ცობილია, ამ „საფარველიდან“ შოთა რუსთაველის დიადმა სახემ გამოანათა ამ სამიოდე ათეული წლის წინ.

დიდად სასიამოვნოა ინგლისში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის რ. კლიმიაშვილის ცნობა, რომელიც ამა წლის 12 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა: „ამ რამდენიმე წლის წინათ მონასტერში 5 ბერძენი ბერი ჩასახლდა; მათ კედლები სულ გაასუფთავეს, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თვალთაგან დაფარული ქართული ფრესკები მთელი ბრწყინვალეობით გამოჩნდა. ეს ფრესკები ასახავს ქრისტეს ჯვარცმის ისტორიას და XII საუკუნეში უნდა იყოს დახატული, თუ მათ სტილზე ვიმსჯელებთ“ მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ამ ფრესკებს ახლავს ძველი ქართული წარწერები, რომლებიც აქამდე დაფარული იყო და ამიტომაც შეუსწავლელი გახლავთ, სამწუხაროდ ბერძენმა ბერებმა ამ წარწერების ფოტოგრაფირების უფლება კი არა, მათი გადახატვის ნებაც არ დამრთეს. ამის მიზეზიც მალე გახდა ჩემთვის თვალსაჩინო: მონასტრის ახლანდელი პატრონები უხსნიან მნახველებს, თითქოს ტაძარიც, ფრესკებიც და წარწერებიც XVII—XVIII საუკუნეების ბერძნული კულტურის ნიმუშებს წარმოადგენენ. თან მათ ბილეთებიც დაანესეს — მოქმედ ეკლესიაში შესასვლელად. დღეს ის ბერძენები ძალიან მონდომებულნი არიან, რომ ფრესკების წარწერები გაიშიფროს, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ მოინდომებენ კი ქართული წარწერების შენახვას, როცა ძეგლის ავტორობას თავად ჩემულობენ?“

IV

დაე, ეს ქვემოთ სტრიქონები მე პოეტურ გადაჭარბებად ჩამეთვალოს:

XIII საუკუნის ჯვაროსანთა ომების ფრანგ რაინდს გ. დე-ბუას ეკუთვნის ცნობა ქართველთა მეფე-ქალის ნემტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ; იგი, დე-ბუას სიტყვით, რაინდთა თანხლებით მიჰქონდა პალესტინისაკენ ქართველთა ჭაბუკ მეფეს. ქართველმა მეცნიერებმა დღეს კარგად იციან ამ ცნობის არსებობა.

ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ჩვენში და ბევრჯერ ჩვენგანაც, არაერთხელ დასმული კითხვა: როგორ შეიძლება, არ დავეთანხმეთ ამ



ირაკლი აბაშიძე, ნიტა ტაბიძე.

ცნობას? საიდან დაესიზმრებოდა ფრანგ ოფიცერს, ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, ქართველთა მეფე-ქალის ნეშტი ან ქართველი რაინდები, როცა დღესაც ამ განათლებულ საფრანგეთშიც ბევრმა არაფერი იცის თვით საქართველოს შესახებაც კი.

მხოლოდ ეს ერთადერთი ცნობაც საკმარისია, თამარის საფლავი პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერში გვეგულებოდეს. ისრაელის „გაპონოვის სახელობის სამეცნიერო კავკასიოლოგიური კომიტეტის“ მეცნიერ მუშაკთა შეხვედრისას ჯვრის მონასტერში 1976 წლის 24 დეკემბერს, როგორც გადმოგვცემენ, რომელიღაც ბერ ნარკისს უთქვამს — აქაა დედოფალ მარიამის (!) და რუსთაველის საფლავებიო. იქნებ მან მხოლოდ ლეგენდა გაიმეორა, მაგრამ საიდან გაჩნდა იქ ეს თუნდაც ლეგენდა? ხომ ლეგენდად დადიოდა საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და პალესტინაში რუსთაველის საფლავის ამბავიც და ხომ მეცნიერულად დამტკიცდა იგი ჩვენს დროს?

ხოლო, შოთა რუსთაველისაგან განსხვავებით, თამარის საფლავი, თურქ-სელჯუკთაგან არაერთხელ ნაწიოკარი ჯვრის მონასტრის „აღაპებში“ რომ არაფრით არ არის მინიშნებული, ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. თამარის საფლავი განსაკუთრებულად იყო



მორის ფოცხიშვილი, გიორგი შატერაშვილი, შოთა ნიშნიანიძე,
რევაზ მარგიანი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი.

გასაიდუმლოებული, როგორც აღმოსავლეთში 1941 წლამდე ტამერ-ლანის (თემურ-ლენგის) საფლავი და იქნებ აქაც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე. იქნებ არის რაღაც ჭეშმარიტება, „გაპონოვის სახელობის სამეცნიერო კავკასიოლოგიის კომიტეტისა“ და ჯვრის მონასტრის წარმომადგენელთა 1976 წლის 24 დეკემბრის შეხვედრისას ერთ-ერთი მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში: შესაძლოა ბირ-ელ-ყუტის და სხვა ქართული ეკლესია-მონასტრების ანალოგიით, ჯვრის მონასტრის ეკლესიის ქვედა სივარდილის დანიშნულება თავდაპირველად სამაროვანი ნეკროპოლი იყო.

და შეიძლება ეს ნეკროპოლი თამარისგან თავის დროზე ერთხელ სასტიკად დამარცხებულ თურქ-სელჯუკთა თვალის ასახვევად შეიქმნა, სწორედ თამარის ნეშტის განსაკუთრებულად გასაიდუმლოების მიზნით. მანამდე დიდ ქართველ მეფეთა, მათ შორის ვახტანგ გორგასალისა და დავით IV აღმაშენებლის, საფლავები ხომ საქართველოშია.

1960 წლის ქართველ მოღვაწეთა პალესტინურ სამეცნიერო ექსპედიციას არ გააჩნდა არავითარი საშუალება და არავითარი უფლება ეწარმოებინა ჯვრის მონასტრის შიდა ეკლესიასა და გინდაც მთელ მის ტერიტორიაზე რაიმე არქეოლოგიური საქმიანობა. ასეთი საშუალება და უფლება არც ახლა გააჩნია ვისმე, ბერძენ მეცნიერთა გარდა. ბერძნებმა კი, საბედნიეროდ, 70-იანი წლებიდან, როგორც შვეიცრეთ, მართლაც, დაიწყეს აქ ძეგლის ნესრიგში მოყვანა, რესტავრაცია, კედლების

განმენდა, ნაწილობრივი არქეოლოგიური გათხრებიც კი. ეს ჭეშმარიტად მისასალმებელია.

ერთ-ერთი ბერძენი მეცნიერი ა. იკონომოპულოსი ძალიანაც გაუტაცნია ჯვრის მონასტრის სწორედ იმ „სიცარიელეს“.

თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა ავთანდილ მიქაბერიძემ, რომელიც საფუძვლიანად იკვლევს ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ქართულ რელიგიებს და რომელსაც ორგზის ჰქონდა საშუალება უშუალოდ დაჰყვირებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სიძველეებს, საბერძნეთიდან გამოგზავნილ ბარათში მიაბმო:

„1980 წელს ათენში გავიცანი ბერძენი არქეოლოგი ათანასიოს იკონომოპულოსი, რომელიც ჯვრის მონასტერში 1976 წლამდე არქეოლოგიურ და სარესტავრაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მისი მტკიცებით, ჯვრის მონასტრის მოზაიკური იატაკის ქვეშ, მიწის ზედაპირისა და საკუთრივ იატაკს შორის დატოვებულ დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის სივრცეში გამოვლინდა ძველი ნეკროპოლი რამდენიმე სამარხით. ორი საფლავი უჩვეულოდ ზედ საკურთხევის ქვეშ მდებარეობს, რომლებშიც დახოცილი ბერებია ჩამარხული. აქ გვახსენდება ჯვრის მონასტერში გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, თითქოს დღესაც მოზაიკურ იატაკს მტერთაგან მოკლული ქართველი ბერების სისხლის კვალი აჩნდა.

ა. იკონომოპულოსის გადმოცემით, ერთ დიდ საფლავში, რომელიც წინა, მარცხენა სვეტის ქვეშ არის მოთავსებული, დასაფლავებულია ორი დიდებული ქალი. ბერძენ არქეოლოგს ხელთ ჰქონია ძვირფასი ქსოვილის ფრაგმენტი, რომელიც მიცვალებულთა სასთუმალიდან გადარჩენილა. დიდ გაკვირვებას იწვევს საერთოდ მამაკაცი ბერების მონასტერში დიდგვაროვან მანდილოსანთა დასაფლავების ფაქტი, რომლის პარალელი არცთუ ისე ადვილი მოსაძებნია შუა საუკუნეების არქეოლოგიაში.

ამჟამად ნეკროპოლში ჩასვლა თითქოს გაძნელებულია — მოზაიკური იატაკის გამაგრების მიზნით იქ ქვისა და ბეტონის საყრდენები გაუკეთებიათ.

რაც შეეხება მოზაიკური იატაკის ცენტრში ჩატანებულ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახი) ცნობილ ქტიტორულ წარწერას, ის რესტავრატორებს ამოუღიათ და ცალკე შეუნახავთ. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, როგორც ჯვრის მონასტერი, ისევე ბევრი პალესტინური, ძველქართული რელიქვია (ხელნაწერები, ქარგულობები, ჭედური ხატები, ბირ-ელკუტის ცნობილი მოზაიკები და სხვ.) კარგად არის მოვლილი და დაცული“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იერუსალიმის პატრიარქს დიოდოროს I-ს გასული წლის მიწურულს მიმართა წერილით, სადაც ჯვრის მონასტრის თაობაზე ნათქვამია: „ეს სავანე, რომელიც IV საუკუნეში დააარსა და ააშენა ქართველთა პირველმა ქრისტიანმა მეფემ, წმინდა მირიანმა... XVIII ს-მდე ჩვენ გვეკუთვნოდა. ამას მონაზვნებს როგორც ქართული, ისე ბერძნული ისტორიული და სხვა უცხოური ისტორიული წყაროები და დოკუმენტები. მაგრამ შემდეგ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მძიმე მდგომარეობის გამო, აქ ქართველთა მოღვაწეობა შეწყდა... დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ეს სავანე კვლავ საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს. ჯვრის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის განახლება ხელს შეუწყობს ჩვენი ეკლესიების, სახელმწიფოებისა და ხალხების დაახლოებას... თუ ღვთის შეწევით და თქვენი ლოცვა-კურთხევით ეს სავანე ჩვენ გადმოგვეცემა, საქართველოში მცხოვრებ ბერძნებსაც (ისინი კი მრავლად არიან) საშუალება მიეცემათ ახლო ურთიერთობა დაამყარონ თქვენს ეკლესიასთან“.

ქართული ეკლესიის მეთაურმა ანალოგიური წერილი გაუგზავნა ისრაელის პრემიერ-მინისტრსაც.

V

უკვე ათეული წლებია, საბჭოთა კავშირში ისტორიულ ძეგლთა დაცვასა და მოვლა-პატრონობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენში თვით სახელმწიფომ იკისრა ეს საშვილიშვილო საქმე. მით უფრო ფართო მასშტაბები მიიღო ამ საქმიანობამ ქვეყნის გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის წლებში, როცა საზოგადოება უფრო მეტი ყურადღებით და ენერგიით ამოუდგა მხარში ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებს. მოსახლეობა დღეს გაცილებით მეტი გულითადობით ზრუნავს ადგილებზე ამ ძეგლთა წესრიგში მოყვანისათვის, მათი მოვლა-პატრონობისათვის.

საქართველო ერთი იმ რესპუბლიკათაგანია, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვაგონებს თავისი ერის გმირულ და კულტურულ წარსულს, სადაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და ახლა ამ საქმეში უდიდესი გამოცდილება აქვს. ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობს ამ ძეგლთა რესტავრაცია, მეცნიერული შესწავლა და დაცვა; მოსახლეობაში მთაზე ზრუნვის აგიტაცია და პროპაგანდა; ჩვენს

მთებსა და ხეობებში მტრისგან გასაიდუმლოებულად მიმაღული სალოცავებისა და კულტის მსახურთა თავშესაფრების მიგნება და აღრიცხვა; არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ამ მონაპოვართა მეცნიერული შესწავლა.

განსაკუთრებით გაფართოვდა და გაღრმავდა ეს მუშაობა უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში თუ საზღვარგარეთ არსებული ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიულ ძეგლთა მიმართ.

ამ განსაკუთრებული ზრუნვის დროს ახლებურად აღიმართა ჩვენს წინ ჩვენი ჯვრის მონასტერიც.

1988 წ.



ირაკლი აბაშიძე და როინ მეტრეველი ქართული ენციკლოპედიის თანამშრომლებთან ერთად.

ირაკლი აბაშიძის შესახებ



გრიგოლ რობაქიძე

ძვირფასო ლიდა!

.....

ჩემს დიდ ბარათში ირაკლი აბაშიძისადმი, სხვათა შორის დიდად ვაქე მისი შაირი „ხმა კატამონთან“ (აგრეთვე, შაირი კარლო კალაძისა „ჩემო სიცოცხლე, ჩემო იმედო!“). ახლა წავიკითხე („მნათობი“, 1962) მისი შაირი „ხმა გალავნის ბჭესთან“. ოსტატობით ეს პირველს არ ჩამოუვარდება — ხოლო

გულხმირებით უფრო ღრმაა. იქ მოცემულია ექსტაზი რუსთაველისა ქართული ენის მიმართ, ექსტაზი ფრთაასხმული — აქ გამოვლენილია სულიერი დრამა რუსთაველისა ჯვარცმულთან (ქრისტესთან) დაკავშირებით, დრამა შემარხვეელი.

„შენგან განდგომა

ო, ჯვარცმულო,

მე რად დამბრალდა...”

საუკუნოებითგან ისმიან ეს სიტყვები.

ეს შაირი ირ. აბაშიძისა სრულიად აქარწყლებს ჩვენში გავრცელებულ აზრს: თითქო შოთა განდგომოდეს ქრისტიანობას. შაირში ნათლადაა ცხადებული, თუ რა კავშირით არის იგი გადაბმული ჯვარცმულთან. შაირი ესე უთუოდ დააფიქრებს შალვა ნუცუბიძეს — უეჭვოდ დიდი ნიჭით დაჯილდოვებულს — რომელიც სხვანაირად ხსნის, მცდარად რუსთაველს (ამის შესახებ — ჩემს ალთქმულ წერილში შ-ნ-ს „ქართული ფილოსოფიის ისტორია“-ზე ვრცლად მექნება სიტყვა).

ეს ორი შაირი ირაკლი აბაშიძისა და ის ერთი კარლო კალაძისა — ამშვენებენ ქართულ პოეზიას. გახარებული ვარ როგორც მწერალი და როგორც ქართველი. ევტუშენკოები და ტვარდოვსკები ასეთ შაირებს ვერ შექმნიან. „ღმერთი, რჯული!“ მე რუსები არ მძულს. ძულვა საერთოდ უცხოა ჩემთვის. 1919 წელს მე ერთი წიგნი გამოვაქვეყნე რუსულად: „Портреты“. წიგნი ვუძღვენი რუსეთს. დააკვირდი: ვუძღვენი მხარეს — გაუგონარი მაგალითი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში!

ათი წლის შემდეგ მე დავწერე „ჰაიასტან“. ჯერ ჟურნალში დაიბეჭდა, შემდეგ წიგნაკად გამოვიდა. სომხებს ისე მოხვდათ გულში, რომ ერევანშიც თარგმნეს და პარიზშიც (ემიგრანტებმა). ხედავ, ძულვა ჩემთვის უცხოა, განსაკუთრებით ძულვა (სხვა) ხალხთა. შემეკითხები: ეგებ ფიქრობ, რომ ევტუშენკოები და ტვარდოვსკები არ არიან ისეთი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულნი როგორც ი. ა. და კ. კ.? არ ვფიქრობ ამას. საიდუმლოს ამოსახსნელი აქ აი რაა: ქართველმა ხალხმა ქვე-სკნელურ განიცადა თავისი /თვითება საუკუნეთა მანძილზე — რუსებმა განიცადეს თავიანთი ხალხური თვითება ასე? არ განუცდიათ! ირაკლი აბაშიძის ის ორი შაირი და კარლო კალაძის ეს ერთი — ამოხეთქილნი არიან სწორედ ქართველთა „იმ“ ქვესკნელურ განცდითგან. აქედან — ამ შაირების დიდი ძალა.

კარგი იქნებოდა ნააკითხებდე ამ ბარათს ირაკლი აბაშიძეს. პირველი მდივანია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა.

მისამართი: მაჩაბლის ქ. 13. ტელეფონი: 8-47-10.

ერთი რამ კიდევ. ჟურნალ-გაზეთებში აღარ ვხვდები აბსურდულ თქმას: „ლამარა“ ვაჟასიაო. ერთგან იყო ნათქვამი: „ვაჟას მოტივებზე აგებული პიესა“. არც ესაა მართალი — მაგრამ სანყენი არაა. ალბათ გასჭრა ირ. აბაშიძის სიტყვამ (იმ დიდ ბარათში მასადმი „ლამარას“ ირგვლივ იყო სიტყვა), მაღლობა მას (კარგი იქნებოდა კალათ-ბურთელებზე ბარათსაც ჩემსა აჩვენებდე).


აქვე: 4 ცალი ჩემი ფოტოსურათის.
ხომ ხედავ, ჯერ კიდევ მაგრად ვარ!

გულითადი სალამი ჩვენებს ყველას —
უპირველესად ნინას.
იყავი კარგად!
შენი გრიგოლ.

P. S. ამ დღეებში გამოვა (ერთს ჟურნალში) ჩემი დიდი ნარკვევი „პოეზიის სამთავროთაგან“ (გერმანულად), დიდად ცნობილ პოეტებსაც „მოხვდებათ“.

რა ვქნა: პოეზიაც ჩემებურად მესმის მე!

1962 წ.



კონსტანტინე გამსახურდია

პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

არაერთგზის დამიწერია და ტრიბუნიდან მითქვამს: ჩვენ უნდა ვის-წავლოთ სიყვარული ჩვენს თანამედროვეთა მიმართ, ჩვენი მწერლობისა და ისტორიის მზეგადასული გმირები ბოლოს და ბოლოს ჩვენი წარმოდგენის ფორმებია მხოლოდ.

ქართველი ხალხის აქ მოსვლამდის მილიონ წლების მანძილზე არსებობდნენ ჩვენი მშვენიერი მთები, ჩვენი შმაგი მდინარეები.

ჟამის უსასრულო სრბოლაში ჩვენმა ხალხმა შექმნა თავისი ეროვნული მწერლობა და ისტორია, თავისი ისტორიული პროზა და ფოლკლორი.

ჩვენ ყოველივე ამის მემკვიდრენი ვართ, მაგრამ მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყვეთ, ჩვენ, დღევანდელებმა, შეძლებისამებრ გადავაჭარბოთ კიდევაც ახდომილსა და აღსრულებულს და თავად შევექმნათ ჩვენი დიდი ეპოქის საკადრისი კულტურა სიტყვისა.

ჩვენ ყველანი გაგვახარა ირაკლი აბაშიძის 1963 წელს გამოცემულმა პალესტინურმა ლექსებმა.

მე ვიტყოდი, ეს გახლავთ ჭეშმარიტად მინანქრული პოემები. დიდი ფაქიზი ოსტატობითა და ლექსის იშვიათი ორკესტრირებით შესრულებული.

ირაკლი აბაშიძე მენვია ამ ოცდაათი წლის წინათ ჩემს მარტოხელა, დაღვრემილ ბინაზე, ჯაფარიძის ქუჩაზე.

უნდა ვალიარო ჩემი სისუსტე, მე მუდამ განსაკუთრებულ გულისყურს ვაპყრობდი ადამიანის გარეგნობას.

მაშინაც მომეწონა ეს მშვენიერი, კეთილად აღზრდილი, ბეჭბრტყელი ვაჟკაცი.

მან მოკრძალებულად ამოიღო ჯიბიდან თავისი ლექსები და ჩემი თხოვნისამებრ რეჩიტაციას შეუდგა. ეს ლექსები შეეხებოდა სიყვარულსა და ბუნებისადმი ტრფიალს, მეგობრებს, ამხანაგებს და, რაც უმთავრესია, სამშობლოს.

გამოხდა ჟამი. მე გულმოდგინედ თვალს ვადევნებდი ირაკლი აბაშიძის ზრდასა და პერმანენტულ წარმატებას.

უნდა გამოვტყდე: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნობის პირველ პერიოდში მე არაერთხელ მქონია შეპაექრება; ისიც უნდა აღინიშნოს: იგი წამკიდეს ზოგიერთმა ენატანებმა.

წარმოიდგინეთ ამ ხვანჯერში ლომის წილი დაიდევს ზოგიერთმა უპარტიო მწერლებმა.

ესენი ოდესღაც ჩემი თანამებრძოლები იყვნენ. მე მათთვის სიკეთის გარდა არაფერი გამიკეთებია: ერთი მათგანი გამობრძანდა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ გამო გამართულ დისკუსიაზე და ჩემის თანდასწრებით ასეთი რამ თქვა:

„მე ძლიერ მაოცებს კონსტანტინეს კადნიერება“...

ეს შეეხებოდა ჩემს ერთ ფრაზას ამ რომანის ბოლოსიტყვიდან, სადაც მე ვამბობდი:

„კონდოტიერები მე არ მიმაჩნია-მეთქი ნაციონალურ გმირებად“.

ირაკლი აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, მას სიჭაბუკეშიაც არა სჩვეოდა თავისი შეცდომების ფარვატერში გაჯიქება.

ჩემი ბობოქარი ცხოვრების გადამკიდეს არაერთხელ დამიკარგავს წონასწორობა.

ირაკლი აბაშიძე ბედნიერი ბუნების ადამიანად მყავს მინიშნებული.

ამას მე იმაც ვიხსენებ, რომ მწერლობა მარტო ლექსების, რომანების და დრამების წერას არ ნიშნავს.

თუ მწერლის ქმნილების უკან არა დგას კეთილშობილი ვაჟკაცი, ეს ყოველივე ამაო ჩმახვა აღმოჩნდება.

მე არაერთხელ მძაფრად დავჯახებივარ ჩვენს ირაკლის, მაგრამ იგი მუდამ მიფრთხილდებოდა.

ერთ-ერთი შეტაკების დროს ირაკლი გამოვიდა ჩემი რომანის დისკუსიაზე და პირდაპირ გამაოცა მისმა გულთბილობამ და კაიკაცობამ.

ირაკლი გახდა „მნათობის“ რედაქტორი.

იმ ატმოსფეროს, რომელსაც 1953 წლამდე ხელს უწყობდა ერთი გარემოება და რომელიც დღესაც ალბივით აწევს თავზე ჩვენს მწერალთა ორგანიზაციას.

ეს არის ზენორმული გადიდება მწერალთა კავშირის წევრებისა. ცხადია, 450 მწერალი იაკობ ცურტაველიდან დღემდის არა ჰყოლია საქართველოს.

ცხადია, ნამდვილ მწერლობას ყოველთვის ახლდა ერთგვარი ამაღლა. ისიც უეჭველია, დღეს ლიტერატურას ესაჭიროებიან არა მარტო ლიტერატურისმიერი გენერლები, არამედ საშუალო კალმოსნებიცა.

მეცხრამეტე საუკუნეში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მებინახენი გარს უსხდნენ როგორც ქართულს, ისე სომხურსა და რუსულ ლიტერატურას, მაგრამ ეს მებინახენი მოკრძალებულნი იყვნენ.

ჩვენს საუკუნეში გაჩნდნენ ე. წ. „ხელოვნებისათვის წამებულნი“, რომელნიც ენერგიულად მოისწრაფვიან კავშირში. ამ ადამიანებს ხელი მოსცარვიათ სხვა პროფესიებში, ზოგს არცა სურს პროფესიული შრომა.

ილია ჭავჭავაძე მომრიგებელი მოსამართლე იყო მრავალ წელს, რაფიელ ერისთავი — მაზრის უფროსი, ლევ ტოლსტოი — ოფიცერი, ტეკვერეი — ვაჭარი, ჩვენს მებინახეებს არც სწავლა ესაჭიროებათ, არც მოანგარიშედ და ბუხჰალტრად დადგომას ეგუებიან.

მე ხშირად მისაყვედურნია ი. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანისა და ა. მირცხულავასათვის: თქვენი კაიკაცობისა და გულჩვილობის მეოხებით მწერალთა კავშირის კარები ფართოდ გაუღეთ უნიჭოებს და მათი გაუგონარი მომძლავრების მეოხებით მაკულატურით ნაგვიანდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების პორტფელები და გამომცემლობათა გეგმები.

არსებითად საქმე სხვა რიგად უნდა წაგვემართა. მწერალთა კავშირი ისეთივე შეუვალი ბასტიონი უნდა იყოს, როგორც მეცნიერებათა აკადემია ყოველ კულტუროსან ქვეყანაში.

ამ აკადემიაში მხოლოდ ელიტას უღებენ კარს. რჩეულთაგან რჩეულსა და არა ხელმოცარულ ადამიანებს, რომელთა ნაცოდვილარი მჭლე კატას აეკიდება. არა მოცულობისა, არამედ ესთეტიკური ღირებულებების მიხედვით. ამიტომაც წარყვნეს ეს ჩვენი ლიტერატურა უნიათო ჟურნალისტებმა და ოცობედა ნარკვევების ავტორებმა.

ცხადია, ჟურნალიზმს თავისი სასარგებლო როლი აქვს, მაგრამ მწერლობაში მოძალებული ჟურნალისტი არავის ესაჭიროება.



1938 წლის 15 ოქტომბერი. მთანმინდის პანთეონში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება.

ავიაციის, ატომგულის, აერონავტიკისა და დიდი ქიმიის ეპოქაში ზოგიერთი მწერალი შეაკრთო მეცნიერების, ტექნიკის ფანტასტიკურმა მიღწევებმა.

ერთ-ერთ პლენუმზე ი. აბაშიძის სიტყვაშია ც მოისმა პესიმისტური ტონი.

განა მარტო ატომგული და ვარსკლავეთია საოცრება?

ყოველი არსი ამ ქვეყნად უთუოდ ენიგმაა.

ახლა მოვიგონოთ ის საოცრებანი, რომელნიც ნაციონალურ ენასა და მწერლობას თან ახლავს.

რამდენ რეგვენს უნახავს ვაშლის ნაყოფის ძირს ჩამოვარდნა. მერე რა? ნიუტონმა მიაქცია ამ ამბავს ყურადღება და გრავიტაციის კანონები შექმნა.

ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებას არასოდეს შეუშლია ხელი პოეზიის, მწერლობის აღორძინებისათვის. გოეთე ბრწყინვალედ ეუფლებოდა მრავალ მეცნიერებას. მისი უფაქიზესი ლირიკული შედეგების გვერდით მანვე შექმნა გოეთე-ლამარკისეული განვითარების თეორია, თეორია ფერთა სიუხვისა.



ირაკლი აბაშიძე, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ლადო გუდიაშვილი.

ბუნებისმეტყველურ და ეგზაქტურ მეცნიერებათა აღორძინებამ მეცხრამეტე საუკუნეში პირიქით, ხელი შეუწყო ონორე დე ბალზაკის შემოქმედებას. იგი დაეუფლა მედიცინასა და ბიოლოგიას. მიუხედავად ამისა, იგი სვედენბორგის ფილოსოფიით იყო გატაცებული და ამის მეოხებით დაწერა თავისი შესანიშნავი რომანი „შაგრენის ტყავი“.

ემილ ზოლა, კიპლინგი და ანატოლ ფრანსიცი, თავიანთი დროის უგანათლებლესი ადამიანები, კარგად იცნობდნენ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებებს.

მთელი სამყარო ერთ უზარმაზარ ქარხნად რომ იქცეს, კაცობრიობა ყოველთვის სიამით აღვსილი ყურს დაუგდებს ბულბულის სტვენას, ბეთხოვენის სონატა აპასიონატას და ლირიკოს პოეტის სიმღერას.

მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა იმის მტკიცება, თითქოს უსაშველო მაშინერიის ეპოქაში არავის ეცალოს დიდი რომანების საკითხავად. ქართული დიდი პროზა დაამშვენა რამდენიმე თანამედროვე ოსტატმა და ამგვარად შეიქმნა უახლესი ქართული მწერლობა, რომელიც არც ერთ მრავალრიცხოვან ერის ლიტერატურას არ ჩამოუვარდება თავისი მიღწევებით და დიდი პოტენციალითაც.

კრიტიკა წინა საუკუნეებში ჩვენ არც გაგვაჩნდა. ხუთიოდე შესანიშნავი კრიტიკოსი გვერდით ამოუდგა ჩვენს პირველხარისხოვან მწერლებს.

ეს ყოველივე ჩვენს ეპოქაში შეიქმნა, ჩვენს თვალწინ და ჩვენი გამრჯე, დაუღალავი მარჯვენის წყალობით, საბჭოური ხელისუფლების დახმარებით. ჩვენი მწერლობის კორიფეებმა უკვე გადალახეს კავკასიონის უღელტეხილი და ჩვენ უკვე ჩვენი ქვეყნების მიჯნებს გადაღმა ვერკინებით დიდ მდინარეთა ნაპირებზე დაბადებულ, ისტორიის მიერ განებივრებულ ხალხების მწერლებს.

ირაკლი აბაშიძე კარჩაკეტილი პოეტი არასოდეს ყოფილა. მისი თემატიკის კომპლექსი მრავალმხრივია და მრავალფეროვანი.

ცნობილია უკანასკნელ მოფლიო ომში ქართველმა ხალხმა დიდზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

მრავალი ათასი ქართველი ვაჟკაცი თავგამოდებით ებრძოდა ფაშისტ კანიბალებს კავკასიის მისადგომებთან, უკრაინაში, მოსკოვის ბჭებთან, დნეპრზე, ოდერზე და შპრეზე.

იტალიაში, ჰოლანდიაში, მაზურებზე, ბოლოს მამაცმა ქართველმა მეომარმა ქანთარიაშ რაიხსტაგის რუინებზე აღმართა გამარჯვების დროშა.

დიდზე დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა სამშობლომ. ამ დაღუპულ გმირებს შეეხება ჩვენი პოეტის შესანიშნავი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“. ამ ლექსს დღესაც მღერის ჩვენი ხალხი.

ირაკლი აბაშიძე უმღერის არა მარტო საქართველოს წარსულ დიდებას, იგი დღევანდელობის მეხოტბეა.

ამ მცირე შენიშვნებს პრეტენზია არა აქვთ ი. აბაშიძის მთელი შემოქმედების მიმოხილვისა. ეს ყოველივე მეგობრული გამოძახილია, რაც გამოიწვია ი. აბაშიძის პალესტინურმა ლექსებმა მხოლოდ და მხოლოდ. უნდა ითქვას, ეს ციკლი ლექსებისა დიდი შენაძენია ჩვენი მწერლობის უკანასკნელი ათეული წლებისა.

მე მათ მინანქრული ლექსები ვუნოდე.

ქართველი ხალხის მოუშუშებელი გულისტკივილი იყო და დარჩება თამარისა და შოთას დაკარგული საფლავი.

ამის გამო ტირის მეთარე, ეს ატირებს ყმანვილებს, როცა ისინი ქართლის ცხოვრებაში ამოიკითხავენ თამარის ცხედრის გელათში წასვენებას.

ხოლო შოთას საფლავი?

იგი პალესტინაში ეგულებოდა ჩვენს ხალხს და ნაციონალური ტრადიცია უეჭველად გამართლდება ბოლოს და ბოლოს.

შენ აქ ხარ, აქ ხარ, მონასტრის კარებს,
ათასწლის ლოცვებს, ათასწლის ქარებს
ძაგძაგით, უხმოდ შევახე ხელი.
გალავნის უკან ჯახანი ხმელი,
გალავნის უკან ათასი ზარი,
და ჩვენს წინ მძიმედ გაიღო კარი
მონასტრის არა, კლდეკარის ხვრელი.

შენ აქ ხარ, აქ ხარ, დასრულდა კვალი,
მშობელი მიწის ეს მედო ვალი,
აქ შენი მშვიდი ნაბიჯი შეწყდა,
აქ დანდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა.
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან
წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა.

განა მარტო ეს ორი სტროფი, მთელი ლექსი ზეალმტაცია და უცნაური წუხილის მომგვრელი.

მართლაც, როგორი ტრაგედიით დასრულდა უდიდესი პოეტის ბედი. მისმა ქმნილებამ გაუძლო შვიდი საუკუნის გრიგალებს, ხოლო პოეტის პირადი ცხოვრება დარჩა ამოუშიფრავი ენიგმა.

მე არა მგონია ეს ურიგო იყოს. რამდენი მწერლის ბიოგრაფიაა ჩვენთვის ცნობილი, მერმე რა?

რუსთაველის ცხოვრება დაგვიხატა ქართველი ხალხის მდიდარმა ფანტაზიამ, ამ ლეგენდამ პალესტინამდის მიიყვანა სვეგამწარებული პოეტი.

ლეგენდაო?

ლეგენდა ისტორიის პირველადი დვრიტაა. ლეგენდის წიაღში იბადება ისტორია ყოველი ერისა, ხოლო ლეგენდა უსაზმნოდ როდი იქმნება.



ჯონ სტაინბეკი, ირაკლი აბაშიძე.

როგორი რომანტიული ამბავია!

შვიდნახევარი საუკუნის შემდეგ ქართველი პოეტი საყარიბოდ მიდის პალესტინასა და შესანიშნავ ლექსებს უძღვნის ამ ამბავს.

სამმა ჩვენმა აკადემიკოსმა — ი. აბაშიძემ, ა. შანიძემ და გ. ნერეთელმა პოეტის ნეშტის ნაცვლად ჩამოიტანეს რუსთაველის პორტრეტის ანაბეჭდი და ჩვენმა ხალხმა გაიხარა უკვე მოხუცი პოეტის ნახვით.

მე მიმაჩნია: ქართველი ერი მაინც ბედნიერია ასეთი დიდი და კეთილშობილი ისტორიის, ასეთი ბრწყინვალე რომანტიკული ბიოგრაფიის პატრონი.

ჩვენი მახვილი, როგორც ბიბლიური ხმალი იქცევისი, თავს დასტრიალებდა ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს.

იცავდა არ მარტო ქართველ ხალხს, ჩვენს მოძმე სომხებს, ოსებს, შირვანელებს; სამივე გიორგის, ხუთივე ბაგრატის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალისა და სიმონ მეფის მახვილი პერმანენტულად ელავდნენ ტფილისის, ლორეს, ბირთვისის, ბოჭორმის, ანისის, დვინის ციხეთა დაცვისას და იგივე მამაცურად უტევდა თავრიზის, ბაღდადის და მოსულის ციტადელებს.



კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი.

ამ გაუგონარმა სიმამაცემ დაგვატკბო ჩვენცა და დაგვავაჟცა.

აღმოსავლეთის ფანატიკურმა ურდოებმა შელენეს ტფილისის, ლორეს, ბირთვისის, ხერთვისის, ვარძიის, ტაოს კარის, ალინჯის კარის და არზრუმის ციხეები, სამეფო დროშები ომებში დაფხრინეს. მაგრამ ვერ შემუსრეს ჩვენი ერის უკვდავი სული და ქართველ ხალხს ხელიდან ვერ გამოაცალეს ხმალი იქცევისი. იგი ყოველ ჩვენგანს ხელში ექნება სიკვდილის ჟამამდის.

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია...
 რა დიდ ფიქრშია, რა მწველ დარდზეა;
 როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...
 ვინ იცის, როგორ მელის ვარძია!
 როგორ მელიან თმოგვის კედლები.
 უთქმელ ღალადით, უთქმელ ვედრებით,
 როგორ ამღერდნენ მაღალ ღმერთისთვის...
 როგორ მელიან თმოგვის კედლები.

ბრწყინვალეა „ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან“.

ციტატის მოყვანაც ძნელია, ეს არის ნამდვილი რეკვიემი მზე-გადასულ საუკუნეთა.

საქართველო ამაყობს არა მარტო თავის ტერიტორიაზე მოფენილი ტაძრებით, კოშკებითა და ციტადელებით, არამედ ქართველი ხალხის სახსრებით აშენებული მონასტრებით, იგულისხმება პეტრინონის, ათონის, პალესტინისა და ის ცამეტი ტაძრის რაიონები ანტიოქიის სანახებში, რომელიც ამას წინათ აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა სტივენსონმა.

ეს მონასტრები მარტო კულტის შესასრულებელი პუნქტები როდი ყოფილან, არამედ იმჟამინდელი განათლების კერანი.

არაბებმა, მონღოლებმა და თურქებმა შელენეს ეს ტაძრები, მაგრამ თავდადებულ მოღვაწეთა შრომის ნაყოფი ათასობით ინახება დღეს ჩვენს მუზეუმებში.

— „მე დავიკარგე, დავიკარგე, თუ დღეს აღმოვჩნდი?“

— „მე გარდვისახე?

ძველი ჩემი

გახმა ყვავილი?

კვლავ ახალ ვარდთა,

უფრო კარგთა

დღეს ვარ მფლობელი?“

გვამცნობს პოეტი.

ისტორიის უქცეველი დიალექტიკა ასეთია:

მტარვალების ხმაღსა და წერაქვ-ცუღს არ ძალუძს კულტურის ფენომენთა აბსოლუტური ამოძირკვა, ამიტომაც ამაოდ დაშვრნენ ბნელეთის მოციქულები.

კულტურის შემუსვრა ყოვლად შეუძლებელია. მთელს მსოფლიო ისტორიას თვალი რომ გადავავალოთ, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ ბარბაროსები საბოლოოდ მუდამ დამარცხებულან.

ამან გადაარჩინა ეგვიპტის, პალესტინის, ძველი საბერძნეთის, საქართველოსა და სომხეთის მწერლობა, მხატვრობა და ხუროთ-მოძღვრება.

ცნობილია: როცა ატილას ტკბილი ლექსი მოასმენინეს, მან იტირა თურმე.

დაემხვნენ ღაზნევიდები, სასანიდები, ფეხლევები, თემურ-ლენგი და ჩინგის-ხანი, ჯალალედინი და სულთან ბაიაზეთი, მაგრამ გადარჩნენ მათ მიერ მიმძღვრებული ერები და კულტურანი. ოდითგანვე ხელოვნება ფენიქსის დარად აღორძინდებოდა ხოლმე მრუმე საუკუნეთა რუინებიდან. სწორედ ამან გადაარჩინა ჩვენი დიდი რუსთაველი, ჩვენი იგავმიუწვდენელი ხურთმოძღვრების, მხატვრობისა და პოეზიის ძეგლები.

ხომ ზეაღმტაცია უკვე ღრმა სიბერეში გადამდგარი გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ჩემს სიჭაბუკეში მე არ შემეძლო უცრემლოდ წამეკითხა იგი.

როგორი საშინელი უსასოობა და სევდა დაგვიტოვა მან!

და გრიგოლ ორბელიანი იმიტომაც ჩავიდა საფლავში გაუხარელი, რომ იგი სიცოცხლეშივე დამარცხდა როგორც მამულიშვილი.

ირაკლი აბაშიძის პალესტინურ ლექსებშიაც ალაგ-ალაგ იგრძნობა შეფარული სევდა, მაგრამ საბოლოოდ იგი საქართველოს ფენიქსებრი აღორძინების მედაფეა. მან კარგად იცის, რომ ეს ჩამოლენილი ციხეების და დანგრეული მონასტრების აღმშენებელნი ამაოდ არ დამშვრალან.

ქართველი ერის შეუდრეკელი სული, მისი ენა, მისი მწერლობა შეუმუსვრელი აღმოჩნდა და სწორედ ამან შეგვაძლებინა ჩვენ, მათ მესიტყვეთ, ახალი სიტყვა გვეთქვა ჩვენი დიდი ეპოქისათვის.

პალესტინური ლექსების ციკლში მრავალი მარგალიტია, მაგრამ ჩემს გულს ყველაზე მეტად მოხვდა სავსებით იშვიათი, დიდი ოპტიმიზმის სხივით გამტფარი „ხმა კატამონთან“.

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა...

დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს, შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს.

ასეთი ომახიანი, ვაჟკაცური აპოთეოზი ამშვენებს და აგვირგვინებს ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე ლექსების ამ კრებულს.

1964 წ.

შალვა ნუცუბიძე პოეტური სპეკალი

ირაკლი აბაშიძის შემოქმედების ტრიუმფი და უმაღლესი მწვერვალია პოეზიის ეს სპეკალი, რომელშიაც უბადლო მარგალიტებია თავმოყრილი. მას იმთავითვე ახასიათებდა გულის სიმებზე აჟღერებული საიდუმლოს ამოცნობა, მაგრამ ამ სიღრმეს, ამ ტევადობას, ამ წვდომას და მის თქმას ირაკლი აბაშიძემ ამ პატარა კრებულში მიაღწია.



პალესტინის თემამ, როგორც საკაცობრიო ძიებათა ხან მართალმა და ხან მტყუნამა, მომეტებულად კი არც ერთმა და არც მეორემ, ისეთ სიმებს მიაგნო პოეტის გულში, სადაც თქმა გმირობად იქცა და ნათქვამი — სიბრძნედ. თურმე ეს იყო ირ. აბაშიძის შემოქმედება რომ ეძებდა: სამშობლოში ანთებული ცეცხლის ნაპერწკლებს გაჰყვა უცხოეთში, წინ რუსთაველის სინათლე მიუძღოდა და გზას მისი ნაკვალევით არკვევდა, ქართულ სავანეში მისი „ხმები“ სინამდვილედ მოევლინა, აღსასრულს მოუსწრო და ლექსი საგანგებოდ ააჟღერა.

გასაგებია, ირაკლი აბაშიძის პოეზია კი არ მეტყველებდა, რეკავდა. გასაგებია, რომ მას „ციდან ჩამოესმა რეკვა“. მინაზე დადებული ზარი ჯერ არავის დაურეკავს, საჭირო იყო დიდი სამრეკლო. ეს სამრეკლო მისთვის პალესტინა იყო. აქედან მან დარეკა და მას ვარძია და ხერთვისი და პონტოს კარზე მიდგმული საქართველო, „უსასრულ აღმოსავლეთად“ ქცეული საზეიმო და მჭმუნვარე, აღტყინებული და დაღონებული მთლიანად ეხმაურება.

თითოეული ლექსი დამთავრებული შემოქმედებითი ფენომენია. ფორმა და შინაარსი იშვიათი ხვეულებით არის ერთი მეორესთან გადაკინძული. ტეხილი ლექსის სტროფები იმ დიდი უხილავი ტივის საფეხურებია, ზეცისა და მიწის შუა აღმართულ იერარქიულ სავალზე ამოკვეთილი, რომლითაც რუსთაველის შემოქმედება კოსმოსურ განფენილობას აღწევდა. ამ საფეხურების გასწვრივ რუსთაველი აღსასრულისას „სენაკის თვისის ცას შესცქეროდა“, როცა მას „სწამდა“,




ჯუმბერ პატიაშვილი, ირაკლი აბაშიძე.

რომ ეს საფეხურები მას არ უღალატებდა, და „სჯეროდა“ მათივე ხედვით — ცოდვა არცოდვის ქეშმარიტი სად სძევს საზღვარი.

ირაკლი აბაშიძის თითოეული ლექსი თავის შინაარსით სიბრძნეშია გადასული. ეს კრებული ვეებერთელა მიზანდასახულობაა. იგი ისწრაფვის რუსთაველის მიერ მისი საკუთარი აზრების პოეტურ გადმოცემად. იგი თავიდან ბოლომდე იდეურია, მძიმე ამოცანას ისახავს. იგი პოეტის აღსარებაა, „ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“. ამდენად იგი პოეტური ტრაქტატია, ჩვენება — ასახვა რუსთაველის ზრახვათა და გონებათა, უკან მოხედვა ჟამსა აღსასრულისასა, იგი მართალია, რადგან ეს აღსარებაა თავისთავისა და ღმერთის წინაშე, რაც იგივე თავისთავია, რადგან — შენ ჩამაგონე ზეციური

„ღმერთი შენშია“.



ნოდარ ღუმბაძე

კაპიტან ბუხაიძეზე სიმღერა რომ მოვიდა ჩემს სოფელში, 14-15 წლის ბიჭი ვიყავი. მღეროდა ყველა: რადიო, ბავშვი, ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა, ომში მიმავალი, ომიდან ჩამოსული. მეც ვმღეროდი, ვმღეროდი და ვნატრობდი, მკვდარი ვყოფილიყავი და ჩემზე ყოფილიყო ეს სიმღერა. ვმღეროდი და ვნატრობდი, ჩემი დანერგილი ყოფილიყო ეს ლექსი. ვმღეროდი და ვნატრობდი, ამ ომში დაღუპული და მკერდზე

მკლავდაკრეფილი ვაჟკაცის ან ძმა, ან შვილი, ან მეგობარი, ან ჯარისკაცი ვყოფილიყავი. ვმღეროდი და ვნატრობდი ამის დამწერი მენახა და მერე მომკვდარიყავი. მერე ისიც მინატრია, ნატვრისთვალს მომცა, რომ ვინატრო და ელირსოს საფლავიდან მხრების წამოწევა-მეთქი.

მახსოვს, ერთხელ წისქვილში ღამეს ვათევდი, სამამულო ომის ძალიან მძიმე წელი იყო. წიფნაგვარას წისქვილში მარტო მეწისქვილე ბაგრატ ქერქაძე და მე ვიყავით. გარეთ თოვდა.

— ნატვრისთვალი რომ გქონდეს, რას ინატრებდი, ბიძია ბაგრატ? — ვკითხე კერიასთან მიფიცებულ მეწისქვილეს. იგი დაფიქრდა, დიდხანს ჩიჩქნა ნალვერდალი ჯოხით, მერე რალაცნაირად გაიღიმა. არ ვიცი, მე დამცინოდა, ნატვრისთვალს, თუ თავის თავს.

— ნატვრისთვალი რომ მქონდეს, ნოდარი ბიძია, ჯერ იმას ვინატრებდი, აგი დოლაბი არ გამჩერებოდეს არასდროს, მერე იმას ვინატრებდი, აგი დასაწვავი ომი მალე გათავდებოდეს და მერე იმას ვინატრებდი, ჩემი ბიჭი პეტრე ცოცხალი დამიბრუნებოდეს, — თქვა მან.

— კიდევ რას ინატრებდით ბიძია ბაგრატ—ბაგრატ მეწისქვილე ისევ დაფიქრდა.

— მეტს არაფერს, ბიძია, — თქვა მან და ისევ გამიღიმა.

— რატომ? — ვკითხე გაკვირვებულმა

— იმიტომ, ბიძია, რომ ნატვრისთვალს მარტო სამი ნატვრის შესრულება შეუძლია, მერე ძალას კარგავს, ამიტომ, რასაც ინატრებ, ნატვრად უნდა ღირდეს...

და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს ნატვრას ერთი ნატვრისთვალი არ ეყოფოდა... მერე ერთი ნატვრა „კაპიტან ბუხაიძის“ ავტორმა ამისრულა: გააცოცხლა იგი, წამოაწევიან მხრები, ფრთები მისცა და სიმღერად აქცია მისი უკვდავი სული.

მერე მეორე ნატვრაც ამისრულა: ამ ახოვანი, ლამაზი და სახელოვანი კაცის მეგობარი გავხვდი, კაცისა, რომელმაც 60 წელი იარა რუსთაველის ნაკვალევზე და პალესტინის ცის ქვეშ მიაგნო მის მაღალ სულს.

ახლა, როდესაც ამ ერისკაცს 60 წელი უსრულდება, კიდევ ერთი ნატვრა მაქვს, ღმერთმა უმრავლოს ჩემს მამულს ირაკლი აბაშიძის ბადალი ხალხი და მისცეს მას დღე გრძელი.

ვიცი, ეს ნატვრაც ამისრულდება.

1969 წ.

ანა კალანდაძე „მხოლოდ ახალი, მხოლოდ ახალი...“



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ერთ-ერთ საზეიმო შეკრებაზე ის იყო, დაასრულეს რომელიღაცა ქართული სიმღერა, რომ... პრეზიდენტში ზურგს უკან დაბალი ხმით შესრულებული იგივე სიმღერა შემომესმა — ბ-ნი ირაკლი მღეროდა: ასე უნდა იმღერო ეს სიმღერა და არა ისე, როგორც აგერ ახლა იმღერესო, მითხრა... მაინც ათასი ზემთაგონება მაქვს შენახული, ვით ფასეულიო, უთქვამს მას და... მაინც დიდად გაოცებული დავრჩი მისი წკრიალა ხმითა და შესრულების თავისებური მანერით, — მისი სიმღერაც იმ საღამოს პირველად მოვისმინე. „ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია, ჩვენი სიმღერები მაღალ მთებს გვანან, ჩვენი სიმღერები პირამიდებია — მათ უკან საუკუნეები დგანან...“ მაშინვე მომაგონდა მისი ეს სტრიქონები. მართლაც, თავისებურია ირაკლი აბაშიძის ხმა იმ მაგალობელთა შორის, რომელთა „ხატათ“ და „სახატედ“ მშობლიური ქვეყნის ცა და მიწა დასახულა მხოლოდ. ირაკლი აბაშიძის თვალი და გული „ქართულ სუნთქვაში მხოლოდ რუსთაველურს“ ეძიებს, „მხოლოდ უმაღლესს, მხოლოდ მშვენიერს!“

„ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, მადლობაც, წყრომაც, ვარამიც — სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, სხვას აღარავის...“ მომავალიც საკადრისად მოგაგებთ მოსაგებელს, ბატონო ირაკლი!

გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს, დიდხანს იცოცხლეთ და როგორც შემოქმედი იყავით „მხოლოდ ახალი, მხოლოდ ახალი, როგორც ენგური, როგორც კაშხალი, მუდამ ახალი, მუდამ ახალი, როგორც გელათი, როგორც პარხალი!“.

1979 წ.



შოთა ძიძიგური, მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, ირაკლი აბაშიძე.



ჯანსუღ ჩარკვიანი, ირაკლი აბაშიძე; უკანა პლანზე: გია მარსაგიშვილი, ნელი ჟორდანია, ირინე აბაშიძე.

მუხრან მაჭავარიანი

მადლობა

ერთხელ, სიტყვაში ერთ ახალგაზრდა პოეტზე ვთქვი:
„ძნელია, ძნელზე ძნელია ხალხის გული იპოვოს ლექსმა!
ამისათვის საკმარისი არაა არც საჭირობოროტო თემატიკა და არც
ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძვლა!
ხმაა მთავარი! — სათქმელის შესატყვისი ხმა!
მიაგნებ კია მას?!...“
ახლა იგივე მინდა ვთქვა ერთ უკვე ხანდაზმულ პოეტზე:
ყოველი ლექსი, რომელიც ქართველმა ხალხმა შეისისხლხორცა,
უწინარეს ყოვლისა, ხმისა და სათქმელის ურთიერთდამთხვევის გამოა
შეისხლხორცებული!
დასაბამიდან დღემდე ამგვარ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულია
სულ რამდენიმე ლექსი;
ერთ-ერთი მათგანია „ხმა კატამონთან“.
ეს ლექსი ხმაა სრულიად საქართველოსი ოდითგან აქამომდე და
დღეის ამას იქით უკუნითი უკუნისამდე!
მე ამ ლექსიდან ხმა მესმის ყველასი — ვინც იყო, ვინც არის და ვინც
ჯერ არაა!
განა მარტო კაცთა?! — საქართველოს ყველა მდინარის, ყველა
ციხის, ყველა ტაძრის ხმაა ეს ლექსი!
ესაა ხმა სამარიდან,
ხმა აკვნიდან,
ხმა ციდან და ხმა ხვალიდან!
ამ ლექსის წერისას მარჯვენა მისი ავტორისა, მჯერა, ხელს ეპყრა
თვით პანტოკრატორს, ვითარცა ხელი იმ ბაღლისა, წერას რომელიც
სწავლობს, მოძღვარს უპყრია მისას.
მადლობა, დიდი მადლობა, არაერთგზის სულიწმიდით აღვსილო
უფროსო ძმაო, ჩემო ირაკლი, ლექსისათვის „ხმა კატამონთან“.

1979 წ.



გურამ ასათიანი მისი სტიქია - ახალგაზრდობაა

სიტყვა „მოღვაწე“ ჩვენში ისე გაი-
აფდა, ზოგჯერ გეუხერხულება კი-
დეც მისი წარმოთქმა სერიოზული
პიროვნების მისამართით.

თუ ეს კაცი „მოღვაწეა“, მაშინ იმ
მეორეზე რაღა ითქმის, რომელსაც
ზოგჯერ ერთ კვირაში გაუკეთებია
იმდენი, რისთვისაც პირველს (ჩვენს
მიერ „მოღვაწედ“ წოდებულს) ორი
სიცოცხლე არ ეყოფოდა?

მე პირადად დიდხანს ვიარსებე
ისე, რომ წარმოდგენა არ მქონდა (ან
ძალზე ბუნდოვნად ვხვდებოდი) რას ნიშნავს, ჩვენს დროში, ჩვენს
პირობებში „მოღვაწეობა“. როცა ილიაზე ან გოგებაშვილზე ამბობდნენ
ამას, ყველაფერი ნათელი იყო. თანამედროვეებზე კი, მართალი გით-
ხრათ, გაუგებარი.

ახლა, მგონი, ზოგი რამ მაინც მესმის ამ სიტყვის თანამედროვე
შინაარსისა და მეტად ვაფასებ, კერძოდ, ირაკლი აბაშიძის ღვაწლს.

ძალიან მშვიდი სიტყვა ვიხმარე. „ვაფასებ“ კი არა, ნამდვილად
მანცვიფრებს და აღტაცების გრძნობას მგვრის.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს საუკუნეში, პაოლო იაშვილის შემდეგ,
ქართულ მწერლობას არ ჰყოლია სხვა ასეთი ავთანდილისებური იერის
პიროვნება — ასეთი „თამაშით და მღერით“ ამხელა ტვირთთა
მზიდველი! სამწუხაროდ, პირველს ბევრი არ დასცალდა და მეორემ
თითქოს ბევრი რამ თავისი მშვენიერი წინამორბედის მაგივრადაც
მოიმოქმედა.

ირაკლი აბაშიძე ჩემთვის ყოველთვის სიცოცხლის განსახიერება იყო,
უფრო ზუსტად, სიცოცხლის დიდოსტატი, „ბინდისფერი სოფლიდან“,
ცხოვრების ყოველდღიური უღიმღამობიდან მშვენიერებისა და სიამის
ფერადოვანი წვეთების გამონურვის უბადლო მცოდნე და ვირტუოზი.
ეს უთუოდ ეროვნული თვისებაა მისი ხასიათისა.

პოეტის ახალ ლექსებში არის რამდენიმე სტრიქონი, რომლებიც
უთუოდ შეაშფოთებს ქართველ მკითხველს, ყველას, ვისთვისაც
ძვირფასია მისი სიცოცხლე და შემოქმედება,

ჩამოისვენე,
შენ ხარ დაღლილი.

ასეთი ინტონაცია ბოლო დროს რამდენჯერმე შეეპარა მის ლექსს.

არამც და არამც! ვინ დაიჯერებს?!

მასზე მთელი თაობით უმცროს თანამოკალმეებისთვისაც კი ირაკლი აბაშიძე დღემდე სიცოცხლის ყველაზე ცხოველი, ყველაზე სიცოცხლისმიერი ხანის — ახალგაზრდობის ცოცხალი განსახიერებაა, არა აბსტრაქტული, სავსებით კონკრეტული, ხილული, ხელშესახები.

ჩამოისვენე,
შენ ხარ დაღლილი.

ესეც მომხიზვლელად არის ნათქვამი, კდემით, ამაღლებულად. და მაინც: „დაღლილობა“ მისი ამჟღავნებს არ არის, არც „ჭალარამ“, არც „დავჩაჩანაკდი“ და სხვა ამგვარნი.

მის სტრიქონს და თვალებს სიჭაბუკის ალმური ჯერ არ მოკლებია. ასეთი პოეტები, ასეთი პიროვნებები ღრმა სიბერეშიც დაზღვეულნი არიან მოხუცებულობის სენისაგან, ვინაიდან მათი სტიქია ახალგაზრდობაა, სილაღეა, სიკისკასეა, ვინაიდან ჩვენ ასე შევეჩვიეთ მათ ხილვას, მათ წარმოდგენას, მათთან ახალ შეხვედრათა მოლოდინს, ვინაიდან, რაც უფრო ბევრია განვლილი და გასრულებული, მით უფრო მეტის სურვილს აღძრავს, ვინაიდან, როგორც თვითონაც გვიდასტურებს:

არ მოგწყენია
ჯერ მზის ალმური
შენი თბილისის,
შენი თაბორის,
არ წამოჭრილხარ ჯერ სიხარულით
იმ შედარების, იმ მეტაფორის!

არც ისე ბევრი გვყავს, ძვირფასო ბატონო ირაკლი, თქვენნაირი ახალგაზრდა ტოლებსა და მიმდევართა შორის, არც ვინმეს გამოუჩენია თავი სახვალიოდ თქვენებური ცეცხლის დამთებად, რომ ისე იოლად გაგიმეტოთ თქვენ მიერ უთუოდ დამსახურებული დაცხრომისა და დასვენებისათვის.

1979 წ.



რევაზ ლალიძე, გიორგი წერეთელი, ბაგრატ შინქუბა, გიორგი ლეონიძე, ვერიკო ნჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე; დგანან: ვახტანგ ბერიძე, დოდო ანთაძე, ზურაბ ლეჟავა.

ბაგრატ შინქუბა ცოცხალი სიტყვა

სიყვარულისა და სიამაყის გარეშე არასდროს მომიგონებია და მიხსენებია ჩემი ქართველი მეგობრის, შესანიშნავი პოეტის ირაკლი აბაშიძის სახელი; აი, უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ჩვენს ცხოვრებაში გვერდიგვერდ მივაბიჯებთ და მთელი ამ ხნის მანძილზე სიხარულიც და მწუხარებაც ზიარი გვექონდა. ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ ირაკლის მეგობრულად გამოწვდილ ხელს, რომელიც მუდამ მზადაა დაგეხმაროს, განუგეშოს წუთებში, მოგეხვიოს დიდი ხნის განშორების შემდეგ.

თავიდანვე დამიპყრო ირაკლიმ, როგორც ადამიანმა და როგორც პოეტმა. მე შევიყვარე მისი ლექსები და სწორედ ამ სიყვარულმა აამეტყველა ისინი აფხაზურ ენაზე. არც ირაკლი დარჩენილა ვალში.

ჩვენი ყველა მრავალრიცხოვანი შეხვედრა ჩემს მეხსიერებაში ერთ მთლიან თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ უწყვეტ და ლამაზ სიცოცხლედ გაერთიანდა. ეს სიცოცხლე ჩვენ, როგორც მეგობრებს, კოლეგებს, როგორც ძმებს, საზიარო გვაქვს.

ერთ დროს ჩვენ ორი სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვიყავით. ირაკლის რჩევები, რეკომენდაციები, მისი მოსაზრებები ორი ლიტერატურის განვითარების შესახებ, მისი ზრუნვა აფხაზური ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის, კიდევ უფრო განამტკიცებდნენ ჩემს ისედაც ღრმა სიმპათიას მის მიმართ.

ირაკლი აბაშიძე ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ვერც ახლა წარმომიდგენია ის სხვანაირი, ახლაც კი, როცა პოეტმა ცხოვრების მეშვიდე ათეულს უნდა გადააბიჯოს.

შეუძლებელია წარმოიდგინო პოეტი — აკადემიკოსი ირ. აბაშიძე ქართული ლიტერატურის საჭირობოროტო ამოცანებზე ზრუნვის გარეშე, ქართველი ერის კულტურის, მეცნიერების პრობლემებზე ზრუნვის გარეშე — ამ საკითხების გადაჭრაში ის იღებდა და იღებს უაღრესად აქტიურ მონაწილეობას: ლიტერატურული გამოცდილება, პოეტის დიდი ავტორიტეტი კიდევ უფრო ნათელსა და ნაყოფიერს ხდიან მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას.


ირაკლი აბაშიძე წინა თაობების პოეტების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია. მისმა სახელმა — გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის შემდეგ ისეთი ძალა მოიცა, რომ დღეს უკვე შეუძლებელია წარმოიდგინო ქართული პოეზია ირაკლი აბაშიძის ლექსების გარეშე.

როცა მეგობრის პოეზიაზე ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყველასათვის საყვარელი, ყველასმიერ აღიარებული პოეტი ირაკლი იმიტომ გახდა, რომ:

მშობლიურ ენას მან უპოვა
თვისება სიმის,
მშობლიურ სიტყვას
კვეთდა როგორც მუსიკის ნიშნებს...

ირაკლი აბაშიძეს ერთი მეტად საოცარი თვისება აქვს: რაზეც უნდა წერდეს — შორეულ და მცხუნვარე ინდოეთზე, ირანზე, პალესტინასა თუ ხმაურიან ქაბულზე მის ლექსებში მუდამ მოჩანს მისი სამშობლოს დიდებული სახე. განგის ნებიერი დინება და ავღანეთის დედაქალაქის გარეუბნის ქოხი — კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევაა ირაკლისათვის, რომ კვლავ უფრო დიდი სიყვარულით უმღეროს საქართველოს:

სუნთქვა ხარ, სუნთქვა გულის ფანცქალი
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე
სულ პატარა ხარ გულის ოდენა.



ლეო ქიაჩელი, ირაკლი აბაშიძე,
კონსტანტინე გამსახურდია.

ირაკლი აბაშიძე იმ ბრძენი პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ამაოდ კი არ ფანტავენ სიტყვებს, არამედ იყენებენ ამ უდიდეს განძს წმინდა გრძნობების გამოსახატავად მაშინ, როცა დუმილი შეუძლებელი ხდება, როცა გაქვს სათქმელი ხალხისათვის.

ამიტომაა მისი ლექსები ასეთი ამაღელვებელი, გულწრფელი, შინაარსიანი, ყოველთვის გამთბარი დიდი ადამიანური სიტბოთი.

ირაკლის პოეზიას და თვითონ მას იცნობენ და აფასებენ ჩემს აფხაზეთში. ჩვენი ლიტერატორები დიდად მადლიერნი არიან მისი, რადგან იციან რამდენ გულისხმიერებას, ყურადღებას იჩენდა

ის აფხაზური ლიტერატურის, პოეზიის მიმართ, როგორ სიყვარულით და მონდომებით თარგმნიდა ის აფხაზი პოეტების ლექსებს ქართულ ენაზე.


ირაკლი აბაშიძის პოეზიას ახასიათებს ის სიცოცხლისუნარიანობა, რაც ნიშანდობლივია ნიჭიერი ლექსებისათვის.

ისლა დამრჩენია, ჩემს 70 წლის მეგობარს ვუსურვო ისეთივე პერსპექტივა ჰქონდეს ცხოვრებაში, როგორიც მის ლექსებს აქვთ. მითუმეტეს, რომ ჩვენთან, აფხაზეთში 70 წელი არ გაძლევს უფლებას მოხუცად ჩათვალო თავი. 70-წლიანები ჩვეული წესით აგრძელებენ შრომას, რათა „არაო, არა, ჩემო ფიქრებო, ნურც გაგვეგონოს ეს საოცრება“. ხოლო შრომა ჩემი მეგობრისათვის — ეს ახალი სიმღერებია საქართველოზე, მის მშრომელებზე; ეს ლექსებია, რომლებსაც ელის ირაკლის ნიჭის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი.


1979 წ.



მიხეილ მრევლიშვილი, სერგი ჭილაია, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი.



რეზო თაბუკაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი აბაშიძე.



ირაკლი აბაშიძე, გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი.

ჭაბუა ამირეჯიბი კაცი-მონუმენტი

გარეგნობა, ეშხი, სილამაზე ღმრთივ ბოძებული ღირსებებია. ვინც ხაზგაუსმელად, თავმდაბლად ატარებს ამ მაღლს, იგი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფასდაუდებელი შემწეობა და გამარჯვებათა მონახევრეა.

ირაკლი აბაშიძის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა შთამომავლობას ამ ადამიანის გარეგნობის აღუწერლადაც მისწვდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, იგი მონუმენტური გარეგნობისა იყო და ამაში გადაჭარბებული სრულიად არაფერია — მაღალი, წელწერილი, მხრებგაშლილი, წარმოსადეგი სახით ლამაზი კაცი გახლდათ და

ყოველივე ეს შვილებსაც უნილადა, რა თქმა უნდა, თავის ულამაზესი მეუღლის მონახევრებით.


ირაკლი აბაშიძე უნივერსალური ნიჭის პატრონი იყო. შემოქმედება ხომ, უპირველეს ყოვლისა, ახლის, მანამდე უცნობის ძიება და შექმნაა. სწორედ სიახლის მწყურვალთ და მიმგნებთ განავითარეს კულტურა და ცივილიზაცია, თორემ კაცობრიობა დღესაც პირველყოფილი იქნებოდა. მწერალი ის პიროვნებაა, ვინც მარადჟამ ახლის მიგნებასა და განხორციელებას ცდილობს. ეგ არის, იშვიათია, პოეტს ერთდროულად და ერთნაირად ხელენიფებოდა ბრწყინვალე პოეზიის შექმნა, აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ისეთი საშვილიშვილო საქმის თაოსნობა და ხელმძღვანელობა, როგორიც ენციკლოპედიაა.

ირაკლი აბაშიძის ღირსებათა სრულად აღნუსხვა შეუძლებელია, მაგრამ არ ეგების ორიოდ სიტყვა მის ენამეწევრობასა და სიტყვა-მოსწრებულობაზეც არ ითქვას. ჩინებული ორატორი იყო. მისი ყოველი აწონილ-დაწონილი სიტყვა, სადღეისოდ თუ სამომავლოდ საჭირო და აუცილებელი ეროვნული საქმის გამო ითქმოდა ხოლმე. არავის გაუგონია, საკუთარი პერსონის წარმოსაჩენად სიტყვითა თუ საქმით გარჯილიყო და ქართველი ერის ინტერესებისთვის არც „ძლიერთა ამა ქვეყნისათ“ შეარჩინა რაიმე. მისი ყოველივე ფიქრი და ღვაწლი მხოლოდ ერის ბალავარსა და შენობაში მისატანად განიზრახებოდა.

ირაკლი აბაშიძის თანამედროვეებს დღესაც ახსოვთ მისი ხუმრობები და ნაკვესები. ნუთუ მათ არავინ მოუყარა თავი? ერთხელ ვკითხე: ირაკლი, შეგამჩნიე ენას მხოლოდ ხანდახან უკიდებ-მეთქი. ამის გამო შემახსენა, — საქართველოში მაჭანკლები კოჭლი საპატარძლოს გასაღებაში იშველიებდნენ მოსაზრებას, რომ იმ გოგოს კოჭლობა უხდებოდა კიდევაცო. დავაკვირდი და შევნიშნე, ირაკლი ენას მაშინ უკიდებდა ხოლმე, როცა საჭიროდ მიაჩნდა, უმთავრესად კი ხუმრობის წარმოთქმისას იყენებდა ამ ხერხს და ესეც მისი ხელოვნება იყო.

მონუმენტურობას მრავალი ღირსების ერთ კონად შეკვრა ქმნის და კიდევ ის, რომ ასეთი კაცის წასვლა ვაკუუმს ტოვებს. დაგვიფაროს ღმერთმა, საქართველოში უნიჭიერესი პოეტების ნაკლებობა ყოფილიყოს, მაგრამ პოეტი მოღვაწე, მით უმეტეს ირაკლისთანა, ვაი, რომ ერთობ იშვიათად გვყოლია. ვგულისხმობ პიროვნებებს, ვისაც ერთდროულად, თანაბარი ბრწყინვალეობით შეუძლია „ბუხაიძე“ და „კატამონი“ თქვას, და, ამასთან ერთად, თავის ერს, მამულიშვილური მოღვაწეობით შესძინოს იმდენი, რამდენიც ირაკლი აბაშიძემ, კაცმა-მონუმენტმა შესძინა!

1999 წ.



მერაბ ბერძენიშვილი

„კარგის დაღუპვა რად
გვენატრება,
ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?!“

ბატონი ირაკლი აბაშიძე მთელი არსებით ქართველი კაცი იყო, საქართველოს ყოველი კუთხე საოცარი სიმძაფრით უყვარდა. მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს, ქართველი ხალხის უზომო სიყვარულს შეაღია. იგი ბედნიერი პოეტი იყო, სიცოცხლეშივე აღიარებული. საქართველოს კეთილი მომავლის იმედით მხნედ იდგა, ხანდაზმულობა ვე-

რაფერს აკლებდა. მაგრამ მომავლის კეთილი იმედი სანუთრომ შეურყია: საქართველოში შემოჭრილმა უზნეობამ, უღმერთობამ, სატანური ძალების თარეშმა, მსცოვან პოეტს გული ატკინა. გულნატკენი წავიდა ჩვენგან, სინანულის გრძნობა ახლავს ამ გახსენებას...

ბატონი ირაკლი ის პიროვნება გახლდათ, რომელიც ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქართული საქმე წყდებოდა. იგი მოღვაწედ იყო დაბადებული.

მე მომეცა საშუალება, მოწმე ვყოფილიყავი ბატონი ირაკლის ერთ-ერთი ღირსეული საქმიანობისა. მაშინ, როცა საქართველოს ლაფში ამოსვრა დაიწყეს და შეურაცხყვეს, როდესაც რუსეთში „მზიურ ქვეყნად“ წოდებული საქართველო არად ჩაადგეს და დაამცირეს (ასეთი ბედი გვარგუნეს საბჭოთა ბელადებმა — ეროვნებით ქართველებმა), აი, სწორედ მაშინ ჩაიფიქრა ბატონმა ირაკლიმ რუსეთის და, საერთოდ, მსოფლიოსათვის შეეხსენებინა პატარა ქვეყნის დიდი კულტურა და გრანდიოზული მასშტაბით წამოიწყო რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. იმ დროისათვის საქართველოს კავშირი იუნესკოსთან რთული საქმე იყო, მაგრამ მისმა გამჭრიახობამ და ქმედობამ შეუძლებელი შეძლო. მთელ დუნიაზე აჟღერდა რუსთაველის სიტყვა: „ვეფხისტყაოსანი“ დაისტამბა და გამოიცა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე და, როცა იუბილემ მოსკოვში გადაინაცვლა, დღესასწაული რუსთაველის ძეგლის აღმართვამ დაავიროგვინა. წერტილი დაესვა ქართველთა ლანძღვა-გინებას. ქართული კულტურის მნიშვნელობამ ფრთები შეისხა. მსოფლიოს ყველა დიდმა სახელმწიფომ აღნიშნა ეს

თარიღი. ეს დღეები გამარჯვების, სიდიადის დღეები იყო, საქართველოს შეცნობა სხვა სივრცეში ხდებოდა. ეს დღეები ბედნიერების უზომო განცდა იყო, დაუვინყარი. ჩემ მიერ შექმნილი ძეგლი რუსთაველისა აღიმართა „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“. ამ მშვენიერმა დღეებმა დამაახლოვა ბატონ ირაკლისთან. იგი თანატოლივით მექცეოდა, რაც უფრო გვაახლოებდა. ჩემს ყრმობაში, როცა ბიჭები „მე, ქართველი ბუხაიძეს“ ვმღეროდით, რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ლექსის ავტორის მეგობარი გავხდებოდი!

ბატონი ირაკლი მინაზე მყარად იდგა. მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოს მდინარეები, მთები, ველები, შემოდგომის სურნელით გაჟღენთილი მარანი ქართველი კაცისა და მუდმივი სადღეგრძელო სამშობლოს კეთილი მომავლისა. უყვარდა ქართული სიმღერა, თავადაც კარგად მღეროდა, სანამ ხმას არ წაართმევდა ვერაგი ავადმყოფობა. მერე კი, როცა სხვები მღეროდნენ, აღტაცებული შესცქეროდა მათ.

ხშირად მომილხენია ბატონ ირაკლისთან ერთად, ყოველი შეხვედრა აღსავსე იყო დიდებული ქართული სიტყვითა და განუმეორებელი იუმორით.

ერთხელ მცხეთის მარანში შემოგვალამდა. როცა გარეთ გამოვედით, თოვლს მთელი მიდამო დაეფარა. ძნელი გასარჩევი იყო, თუ სად იყო გზა. წინ ბატონი შოთა ძიძიგური წავიდა და ბატონ ირაკლის შემოსძახა:


— ირაკლი! ჩემს ნაკვალევს გამოჰყევით!

— ვერა, ვერ გამოვყვები, მე მარტო რუსთაველის ნაკვალევზე დავდივარო. — გასძახა ბატონმა ირაკლიმ.

როცა ირაკლი აბაშიძეს ვიხსენებ, აუცილებლად, პირველ ყოვლისა, მისი კეთილი, ხალისიანი შეხვედრა მაგონდება. თვალს რომ გადაავლებ მის დიდ ღვანლსა და ამაგს, გრძნობ მშობელი ქვეყნისა და ხალხის უდიდეს სიყვარულს. მერე უნებურად მაინც იქით მიიწევს ფიქრი, ჩვენმა მწარე ისტორიულმა წარსულმა ვაჟა-ფშაველას რომ საყვედური ათქმევინა:

„ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“.

1999 წ.



ელგუჯა ამაშუკელი

არიან საზოგადოებაში ადამიანები, რომელთა პიროვნულ თუ შემოქმედებითს თავისებურებას ყოფის ბანალური ფორმები ერთმანეთთან აიგივებს და ათანაბრებს. ეს ზოგჯერ აძნელებს რჩეულთა საყოველთაო შეცნობას და ანმყოში დაუჯერებლად მივიჩნევთ იმას, რაც მომავალში უნდა ვირწმუნოთ. ირაკლი აბაშიძე ერის კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ. მართალია, მას სიცოცხლეში არ დაჰკლებია არც საზოგადოების, არც „ამა ქვეყნის ძლიერთა

ყურადღება“, მაგრამ მისი შემოქმედებისა და პიროვნების მნიშვნელობა ერმა უფრო მძაფრად მაინც მისი გარდაცვალების შემდეგ შეიგრძნო. ის იყო თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი, რომლის პიროვნული სახე არასოდეს შებლალულა, ვინაიდან იცოდა, კარგად იცოდა ადამიანის ბუნება და ეს ცოდნა, ინტუიცია, ნათელი იუმორი უადვილებდა ყველა ჯურის ადამიანთან ურთიერთობას.

ფანატიკოსთა ძალისხმევით შექმნილ ბოროტების იმპერიაში ირ. აბაშიძემ ბოლომდე შეინარჩუნა პიროვნული ღირსება და საღაყბო პოლიტიკაზე აშენებულ ქვეყანაში საქმით ემსახურა მშობლიური ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ერის სიყვარულით გარემოსილმა მოაზროვნე პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ადრევე ირწმუნა, რომ იგი არ ყოფილა მითიური ქვეყნის შვილი, სიცოცხლის არსი და მიზანი იმქვეყნიური ცხოვრებით რომ გაემართლებინა და განდგომოდა მიწიერ ბედნიერებას.

ბატონი ირაკლისათვის არ ყოფილა არაფერი უცხო, რაც ადამიანს თან სდევს ერთი სიცოცხლის გზაზე ბედის სახით, არც დიდი სიხარული და არც ტკივილი, არც გოლგოთა და არც იუდეების ამბორი. იგი შესანიშნავად იცნობდა ადამიანის ბუნებას და ყოველთვის ცდილობდა, ალბეგების თუ დაცემის ჟამს, მისთვის თანაეგრძნო, შეემსუბუქებინა მიწიერი სიმძიმე.

დროდადრო ხალხი თავის მზერას მიაპყრობს ხოლმე ადამიანებს, რომელთა ცხოვრების წესი, საქმე, შეესატყვისება ერის სულიერ მოთხოვნილებას. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა ბატონი

ირაკლი აბაშიძე, რომელმაც ოთხმოცდაორი წელი იცოცხლა, მაგრამ თავისი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მოქალაქედ გარდაიცვალა. მისი პიროვნული მომხიბვლელობა არ ყოფილა განპირობებული მხოლოდ მაღალი პოეტური სულით, იუმორის გრძნობით და სიყვარულის გაცემის ნიჭით. იგი განსაზღვრა სამშობლოს წინაშე იმ პასუხის-მგებლობის გრძნობამაც, რაც მას მიწიერ სიმძიმეს უმსუბუქებდა — კაცთმოყვარეობამ და დიდბუნებოვნებამ.

მან ურთულეს ფსიქოლოგიურ პოლიტიკურ ვითარებაში შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა, მაგრამ მაშინ დაეცა, როცა ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებას ერმა ეჭვიანი მზერა მიაპყრო და ძმას ძმის მოსაკლავად უბიძგა.

ირაკლი აბაშიძე საქართველოს კულტურის ისტორიაში ერთი იმათთაგანია, რომელთა ნაღვანის არდაფასება, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ერს“. მის მიერ საქართველოს სასიკეთოდ გადადგმული რამდენი ნაბიჯი შეიძლება გავიხსენოთ, რამდენი ქვეყნის საზღვარი გადაუკვეთავს სამშობლოს სახელის შორს გასატანად, მის სადიდებლად და ასა-მაღლებლად. ნათქვამია, „ერი ყველა ტკივილს გაუძლებს, თუ ამ ტკივილს თან ახლავს სინდისის ქენჯნა“. ირაკლი აბაშიძე გარდაიცვალა მაშინ, როცა თითოეული ჩვენგანი განვიცდიდით სინდისის ქენჯნას ძმათა შორის ატეხილი ომის და ამ ომში დაღვრილი სისხლის გამო, ტრაგიკულად სახეშეცვლილი საქართველოს გამო. ეს დიდი ტკივილი, ალბათ, ერის სულიერი კათარზისის გამოხატულებას, „სოდომისა და გომორის“ ცოდვის უმძიმესი მორალური საზღაური.

მე მქონდა შესაძლებლობა წლების მანძილზე მრავალჯერ შევხვე-დროდი ბატონ ირაკლის ისეთ სიტუაციებში, როცა ყოველივე შეძენილი, მოხერხებულად მორგებული ნილაბი ბევრს სახიდან ჩამოვარდნია და თავისი ნამდვილი ბუნებით დედიშობილად დარჩენილა. მას შეეძლო ურთულეს ფსიქოლოგიურ ვითარებაში შეენარჩუნებინა შინაგანი წონასწორობა და არ გადაედგა გვიან სანანებელი ნაბიჯი. ჩვენ, როგორც რუსთაველის პრემიის ლაურეატებს, ბევრჯერ გვქონია შესაძლებლობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ქალაქში შევხვე-დროდით ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებენ იმ პიროვნებებს, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით ერის სულიერი და ფიზიკური ცხოვრებისათვის კვალი დაუმჩნევიათ. ამი-ტომაც არასოდეს გამკვირვებია ის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ერი ბატონი ირაკლის მიმართ იჩენდა. მე ყოველთვის მეამაყებოდა ბატონ ირაკლისთან ახლო ურთიერთობა და ეს ბევრი ფსიქოლოგიური ფაქტორით იყო განპირობებული. არასოდეს დამავინყდება თბილისის 1500 წლის საზეიმო დღეებში ვახტანგ



შალვა ამირანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, დევიდ ალენი, გელა ჩარკვიანი.

გორგასალის ძეგლის პროექტზე გამოცხადებული კონკურსის ნერვული პერიპეტიები. პირველი, ვინც მე ამ კონკურსში გამარჯვება შემატყობინა, ბატონი ირაკლი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ საკონ-კურსო ჟიურის გადანყვეტილება ინკოგნიტოდ რჩებოდა (ამ გადანყვეტილების ოფიციალურ დამტკიცებამდე), მან ჩემი „ვახტანგ გორგასლის“ ჟესტით, ზეანეული მარჯვენით შორიდან მამცნო გამარჯვება. შემდგომში, ჩვენ კიდევ უფრო მეტად დაგვაახლოვა რუსთაველის პრემიამ და იმ თბილმა წერილმა, რომელიც ბატონმა ირაკლი ჩემი წიგნის („Шестое чувство“) შესავალში ჩემს შემოქმედებას მიუძღვნა.

კიდევ ბევრი რამ შემეძლო მეტევა ბატონი ირაკლის პიროვნებაზე. მე მხოლოდ იმ ფაქტებზე შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რომლებიც ჩემთვის ყველაზე უფრო სასიხარულო დღეებთან ასოცირდება.

როგორ საგანგაშოდაც უნდა აჭრელდეს ჩვენი ვნებები, როგორც უნდა გადაფასდეს სულიერი ღირებულებანი, ბატონი ირაკლი აბაშიძის სახელს, მის მაღალ პოეზიას და მამულიშვილობას ჩრდილი არასოდეს მისწვდება, ვიდრე ქართველი იმ ენაზე ილოცებს, რომელსაც პოეტმა შეუდარებელი ჰიმნი მიუძღვნა. ამ ჰიმნით გამოემშვიდობა ერი თავის ღირსეულ შვილს, რომლის სული უკვე მარადიულობაში აგრძელებს სიცოცხლეს.

1999 წ.



ჯანსუღ კახიძე

ბატონ ირაკლი აბაშიძეზე ლაპარაკი პირადად ჩემთვის ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ იგი თავისი შემოქმედებით ჩვენი პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელია. სიტყვის ძალა, ამ სიტყვის სიღრმე და პოეტური აზროვნება, გრძნობათა საოცარი ამოფრქვევა და მათი გადახლართვა — ყოველივე ეს ირაკლი აბაშიძის ლირიკის დამახასიათებელი ნიშანია და ამიტომაც ითვლება იგი ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლად.

ირაკლი აბაშიძეს მოღვაწეობა მოუხდა ურთულეს პერიოდში, როდესაც საბჭოთა რეჟიმი მძვინვარებდა მთელი თავისი ჩრდილოვანი მხარეებით. მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ინტელიგენციის დევნა და, თუ გნებავთ, მისი განადგურებაც კი. ქველმოქმედების უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული ირაკლი აბაშიძე, ყოველთვის იყო თავისი ხალხის ქომაგი, გაჭირვებული ადამიანის დამხმარე და თანამდგომი. ამასთან, იგი იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან ორგანიზაციას, მათ შორის მწერალთა კავშირს.

ბატონი ირაკლი ყოველთვის საჭირო იყო ყველა მთავრობისათვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ თანამდებობა თავისი კარიერისათვის გამოეყენებინა, პირიქით, ყველა მთავრობას სჭირდებოდა სიბრძნე და დროული რჩევა ისეთი პიროვნებისა, რომელიც მთავრობას მეტ ავტორიტეტს შესძენდა.

ძნელია ლაპარაკი ირაკლი აბაშიძეზე, როგორც პიროვნებაზე, მაგრამ მე, ჯანსუღ კახიძეს, მიადვილდება, რადგან ბატონი ირაკლის ცხოვრების, მისი განვლილი მოღვაწეობის საკმარისად დიდი პერიოდის მონმე გახლდით და, მიუხედავად ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობისა, თავს უფლებას მივცემ, ვითვლებოდე მის უმცროს მეგობრად. მამაჩემი კი — ივანე „ვანიჩკა“ კახიძე მისი უახლოესი მეგობარი იყო და, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ქართული მეგობრობა. ეს ნიშნავს იმ განცდათა და გრძნობათა გულთან ძალიან ახლოს მიტანას, რაც ჭირსა თუ სიხარულს მოაქვს ადამიანისათვის.

ირაკლი აბაშიძე მე მახსოვს როგორც ერთი წარმოსადგევი საოცარი ხიბლის მქონე კაცი.

ბატონმა ირაკლიმ შესანიშნავად იცოდა ყველა ქართული ტრადიცია. განსაკუთრებით სასიამოვნო იგი იყო სუფრასთან. მე ხშირად მიხდებოდა მამაჩემის მეგობრებთან ერთად სუფრასთან ყოფნა და სიმღერა. ბატონ ირაკლის შესანიშნავი სმენა ჰქონდა და ზოგჯერ წამოიწყებდა ხოლმე იმერულ სიმღერებს. ამასთანავე, იგი არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნების მსმენელი იყო. მას შეეძლო გამოეხატა საოცარი აღტკინება და აღფრთოვანება მოსმენილით. და თუ ჩემი სიმღერა მოწონებას დაიმსახურებდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მამაჩემის მეგობრები — ტუპია იაშვილი, კონია ლორთქიფანიძე, ჭუტა ავალიშვილი, დათიკო ჯანელიძე, ჟორჟიკა იაშვილი, სერგი დადივაძე, ვანიჩკა მჭედლიშვილი, კუსა ვასაძე, დები იშხნელები — ხშირად იკრიბებოდნენ და ერთად ინანილებდნენ იმ ტრაპეზს, იმ საოცარ რიტუალს, რასაც ქართული სუფრა ჰქვია. აი, ამ საოცარი რიტუალის ატმოსფეროში ვიზრდებოდი მე და ამ რიტუალის მონაწილე და საპატიო სტუმარი იყო ბატონი ირაკლი.

მისმა ახლობლებმა ვიცოდით ბატონი ირაკლის ერთი ბუნებრივი ნაკლი — მას ენა ებოდა, მაგრამ იგი ისე მოხდენილად იყენებდა ლაპარაკის დროს ამ შეფერხებას, მე ვიტყოდი, პაუზას, რომ მისი მეტყველების განუყოფელ ნაწილად მოჩანდა და ჩემთვის, მუსიკოსისთვის, ჟღერდა როგორც მუსიკა. ბატონი ირაკლი საუბრისას მცირედ შეისვენებდა (ამ დროს კი ალბათ ფიქრობდა), შემდეგ კი აუცილებლად რაიმე მოსწრებულს და ბრძნულს იტყოდა. ამავე დროს, მას ჰქონდა

პირადად ჩემთვის ძალიან დასაფასებელი იუმორი — სხარტი, ლაკონიური, ზოგჯერ მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვით გამოხატული, რაც მის სახოვან აზროვნებაზე მეტყველებდა.

მის იუმორს, ზოგჯერ ირონიასა და სარკაზმში გადასულს, ყოველთვის ზუსტი მისამართი ჰქონდა და მსმენელისათვის ღიმილისა თუ კისკისის მომგვრელი იყო, მაგრამ, ამავე დროს, დამაფიქრებელიც.

მე ყოველთვის ვცდილობდი მასთან შეხვედრას, ვუყვებოდი ჩემსა და ჩემს ახლობლებზე ხან კი

ნამდვილ ხან კი გამოგონილ ისტორიებს, რომლებსაც იგი აუცილებლად დააგვირგვინებდა იუმორისტულ პლანში გადანწყვეტილი აფორიზმით.


ირაკლი აბაშიძე ის კაცი იყო, რომლის შესახებ კიდევ ბევრი ითქმება და დაინერება — ეს ისტორიის საქმეა, მაგრამ თვით პიროვნება, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და ნამოღვაწარი ქართველ ხალხს ძალიან დიდხანს გაჰყვება და არასოდეს წაიშლება მისი კულტურის წიაღში.

დღეს მე თვითონ გახლავართ იმ ასაკისა, რომ კარგად მესმის, თუ რა ძნელი, ურთულესი, არაჩვეულებრივად დაძაბული, მაგრამ ამავე დროს მშვენიერი, ულამაზესი და თავისი ხალხის სიყვარულში გაღებული სიცოცხლის გზა განვლო ირაკლი აბაშიძემ და მე ღრმად ვიხრი ქედს მისი პიროვნების წინაშე.



ირაკლი აბაშიძე, ანდრეი ვოზნესენსკი.

1999 წ.



ბიპინა კვერნაძე სევდანარევი გახსენება

ჩვენი დროის უთვალსაჩინოეს, გამორჩეულ ქართველთა შორის ერთი პირველთაგანი ბატონი ირაკლი აბაშიძეა. მე მას ყოველთვის ცოცხლებში მოვიხსენიებ, ვინაიდან მისი ღვრთაებრივი პოეზია ძლიერ სიცოცხლისუნარიანია და იარსებებს მანამდე, სანამ საქართველო იქნება.

ამ არაჩვეულებრივი ადამიანის დიდბუნებოვნებიდან გამომდინარეობდა ის, რომ თითქმის მთელი ქვეყანა მის მეგობრად თვლიდა თავს. პირდაპირ მე ბატონი ირაკლი მოსკოვში გავიცანი დიდი ხნის წინ და მას შემდეგ მისი თაყვანისცემა არ მომიშლია.

სისადავე, რომლითაც ეს დიდი შემოქმედი გამოირჩეოდა, მართლაც მისაბადი იყო ყველასათვის. ამ განსაკუთრებულ ხიბლს და მიმზიდველობას აგვირგვინებდა მისი პოეზიასავით ორიგინალური, სიახლით აღსავსე იუმორი.

მახსენდება მრავალი შეხვედრა, რომელთა მომსწრე მე ვყოფილვარ, რეზო ლალიძის ოჯახში თუ დავით ჩხიკვიშვილის აგარაკზე, მცხეთაში. ამ შეხვედრებიდან მე ბევრს ვსწავლობდი, ვინაიდან უხვად იფრქვეოდა სამშობლოს სიყვარული, მეგობრობის, ერთგულების, პოეზიის და იუმორის სურნელი.

ერთხელ ბატონი არჩილ ჩხარტიშვილი, რეზო ლალიძე და მე რუსთაველზე ვიდექით. ნადირობაზე ვსაუბრობდით. ამ დროს შეგვაძინია ბატონმა ირაკლიმ, მძღოლს გააჩერებინა მანქანა და შემოგვიერთდა. რას ბჭობთო, შეგვეკითხა, მე ვუთხარი: ბატონო ირაკლი, ნადირობაზე ლაპარაკობენ, თქვენს მოსვლამდე მამებიც კი უმოწყალოდ განირეს, ტყეში რომ შეგხვდნენ, იმათაც კი ვესვრითო! ბატონმა ირაკლიმ შემფოთებულმა შემომხედა და მითხრა: — შენ ისეთი გვარი გაქვს, ბიჭო, რომ ამათ ტყეში არ გაყვე, თორემ უსათუოდ გესვრიანო.

ვწერ ამ პატარა მოგონებას და ბატონი ირაკლის პოეზია ნავარდობს სულში, ამდიდრებს ჩვენს ყოფიერებას.

მჯერა, რომ მისი შემოქმედება ყველა დროის დიდი ქართული პოეზიის განუყოფელ ნაწილად და მშვენებად დარჩება მომავალ თაობებს.

1999 წ.



ანზორ ერქომაიშვილი

ბატონი ირაკლი ჩემი უსაყვარლესი პოეტი იყო, მის ლექსებს სკოლაში გვასწავლიდნენ, ჩვენ მას ვაღმერთებდით და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ როდესმე მასთან ახლო ურთიერთობა მექნებოდა.

ბედმა ინება და ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად ოფიციალურ შეხვედრებზე თუ სუფრასთან, ხშირად მიხდებოდა ბატონ ირაკლისთან ყოფნა. იგი სიმღერის დიდი მოყვარული იყო, ადრე თვითონაც მშვენივრად მღეროდა. ბატონი ირაკლი ხშირად მოდიოდა ჩვენს კონცერტებზე, განსაკუთრებით უყვარდა ჰამლეტ გონაშვილის სიმღერა, — ხალხურ სიმღერაში ჩემი ერის წარსულს ვხედავო, — იტყოდა იგი.

„რუსთავი“ მონაწილეობას იღებდა ყველა მის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში, როგორც საქართველოში, ისე სხვაგანაც, სუფრასთან იგი ჩადგებოდა ჩვენს შორის და, თუმცა უკვე სასიმღერო ხმა აღარ ჰქონდა, შეძლებისდაგვარად, მაინც მიაყოლებდა ბანების ხმას, ამით საოცრად ხარობდა და მხიარულობდა.

ბატონი ირაკლი ჩვენს ოჯახშიაც იყო რამდენჯერმე სტუმრად. მისი სტუმრობა ზეიმი იყო ჩვენთვის. მახსოვს, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილის მეგრული სიმღერების პრემიერაზე ზურაბ სოტკილავა მღეროდა ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად. პრემიერის შემდეგ სტუმრები ჩვენს ოჯახში მივიწვევით. მღეროდა „რუსთავი“, მღეროდა ზურაბ სოტკილავა. სუფრას ბატონი ირაკლი თამალობდა მისთვის ჩვეული

მჭერმეტყველებითა და იუმორით, იყო საოცარი ლხინი და მხიარულება. ის დღე არასოდეს დაავიწყდებათ იქ მყოფთ.

ბატონი ირაკლი არაჩვეულებრივად გულთბილი და მოსიყვარულე იყო პირადად ჩემს მიმართ. მეხუმრებოდა, მეფერებოდა, მანებვირებდა, მისი სიტბო და სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე თან გამყვება. მას განსაკუთრებით უყვარდა ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“. 1978 წლის 9 მაისს, როცა ტელევიზიაში შედგა ამ ანსამბლის საკონცერტო ნათლობა, გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ბატონმა ირაკლიმ. მან ტელე-ეკრანიდან ვრცლად და დამაჯერებლად ილაპარაკა ხალხური სიმღერის მნიშვნელობაზე, აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ახალ-გაზრდა თაობას ამ სიმღერების შესწავლისა და შენახვის საქმეში. ეს პრაქტიკულად სიმღერის უკვდავებააო, თქვა მან. ბატონმა ირაკლიმ პირველმა დალოცა „მართვე“, დიდი წარმატება უსურვა და მასთან სამახსოვრო სურათიც გადაიღო. მას შემდეგ ერთი წუთითაც არ მოჰკლებია „მართვეს“ მისი ყურადრება, ბატონი ირაკლი ხშირად დადიოდა ამ ანსამბლის კონცერტებზე, იყო მისი ხელოვნების დიდი დამფასებელი. კონცერტის შემდეგ ავიდოდა სცენაზე, ჩადგებოდა „მართვეს“ ბიჭებში, შეაქებდა, დაჰკოცნიდა და ისე იქცეოდა, თითქოს მათი თანატოლი იყო. „მართვეს“ პირველი თაობა დღემდე ამაყობს ამით.

„მართვეს“ დაარსებიდან 10 წლის საიუბილეო საღამოზე ბატონმა ირაკლიმ ასეთი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ტელევიზიით.

„ამ ათი წლის წინათ ანზორ ერქომაიშვილმა მთხოვა პირველს მე დამელოცა ეს ანსამბლი. მთხოვა, ალბათ, როგორც მელომანს, მე მელომანი ვარ და ძალიან მიყვარს მუსიკა. მთხოვა და მივედი, დავლოცე და მონაწილეობა მივიღე „მართვეს“ პირველ ტელეგადაცემაში. 10 წელი გავიდა მას შემდეგ და რამოდენები გახდნენ ეს ბავშვები, ამას წინათ ვუყურებდი ესტრადაზე. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა.

არ შეიძლება, რომ არ ითქვას ანზორ ერქომაიშვილზე, იგი დიდ საქმეს აკეთებს, ძალიან დიდ საქმეს: მუსიკალური ფოლკლორი, მისი შენახვა, მისი აღდგენა — ეს ერთგვარი მუსიკალური არქეოლოგიაა, ეძებ, მოგაქვს და მოგაქვს ძირიდან, ფესვებიდან, შესანიშნავი ქართული სიმღერები და ამას აკეთებს დღეს, პირველ ყოვლისა, ანზორ ერქომაიშვილი. რასაკვირველია, ჩვენი კომპოზიტორები სარგებლობენ ჩვენი მუსიკალური ფოლკლორით, მაგრამ ისინი თავიანთ შემოქმედებაში იყენებენ, როგორც ჩვენ, მწერლები და პოეტები, ვიყენებთ ჩვენს ფოლკლორს.

მუსიკალური ფოლკლორის აღდგენა, იმის გამოტანა, იმის ამოწევა ზევით და მისი შენახვა, საშვილიშვილო საქმეა და ანზორმა სწორედ

ბავშვებს მიმართა. ეს ბავშვები მერე შემდგომ თაობებს გადასცემენ და ასე გადაეცემა საუკუნეებს ანზორის მიერ დაწყებული ეს საქმე.

მშვენიერი საბავშვო ანსამბლი შეიქმნა — „მართვე“. ჩვენ ამ ანსამბლით დღეს ყველანი ვამაყობთ. როცა ჩამოდიან უცხოელი სტუმრები, საპატივცემულო ხალხი, ჩვენ სანიმუშოდ ვაჩვენებთ „მართვეს“ კონცერტს და ისინიც აღტაცებულნი უსმენენ ქართულ სიმღერებს ბავშვთა ანსამბლის შესრულებით. ძალიან კარგი საქმეა.


დიდად მადლობელი ვართ ჩვენ ყველანი ამ საქმეებისთვის და ამ საბავშვო ანსამბლ — „მართვეს“ ვუსურვებ დიდ წარმატებებს და დავლოცავ ისე, როგორც პირველ დღეს დავლოცე ეს ბიჭუნები, ეს ბავშვები, ეს ანსამბლი. ახლაც სულით და გულით ვულოცავ ამ 10 წლისთავზე და მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომეცა დალოცვის საშუალება. მაშინ არ მეგონა 10 წლისთავზე კიდევ დავლოცავდი, თუმცა შეიძლება ისე მოხდეს, რომ 10 წლის შემდეგ კიდევ დავლოცო.

მე ერთი ლექსი მაქვს დაწერილი, რომელიც მიესადაგება ამ ანსამბლს და ქართულ სიმღერას:

„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,
ჩვენი სიმღერები მაღალ მთებს გვანან,
ჩვენი სიმღერები პირამიდებია,
მათ უკან საუკუნეები დგანან.“

1999 წ.

ვანო ჩხიკვაძე



მოსკოვში ჩატარებული ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოს მეორე დღეს სასტუმრო „მოსკოვთან“, ვხედავ, ხალხი ვილაცებს უყურებს, მოწონების მზერით მიაცილებს.

მიმავლები რომ მოახლოვდნენ, შევხედე-ბატონი ირაკლი აბაშიძე მობრძანდება მეუღლესთან ერთად, ხელკავით. მოდიან დინჯი, დარბაისლური იერით. თითქოს ვერც ამჩნევენ მოქალაქეების დაინტერესებას. მოდიან

და ტრადიციულად მხრებით „მოჯიკავე“ მოსკოველები განზე იწევენ, გზას უთმობენ, როგორც ჯოგში შემთხვევით მოხვედრილ გარეულ, უცხო, უნიკალური ჯიშის წყვილს.

წლები გავიდა, მაშინდელი „საპარადო“, „საჩვენებელი“ მსვლელობა კი არ მავინწყდება-იქ, მილეთისა ხალხში უფრო მაღლები და უფრო შეხედულები ირეოდნენ, მაგრამ განუმეორებელი ქართული ხასიათი, რომელსაც ასხივებდა მოსეირნე წყვილი, ყველას ყურადღებას იქცევდა და მოწინებით განაწყობდა...

მაშინ.მოსკოვში, ბატონ ირაკლის, ჯიბიდან „ტარან“ ამოწრილს, მეუღლის მხარზე ჩამოკიდებულს რომ ჩამოევლო, ვინ შეამჩნევდა?

განა დანარჩენი, ცივილიზებული სამყაროსათვის, იმ განსაკუთრებულობით არ უნდა ვიყოთ საინტერესო, რომელიც ჩვენს ჯიშ-ჯილაგს მოდგამს?...

.....

ბოყლაყი

ორმოციანი წლები. ჩარგალში ტრადიციული“ვაჟაობის“ შემდეგ, ტყის სიმყუდროვეში რამდენიმე კაცისათვის ცალკე განწყობილ სუფრასთან მიგვიწვიეს. მე და იმიტატორი გურამ გეგეჭკორი ირაკლი აბაშიძისა და მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის-ვარლამ შადურის პირისპირ ვსხედვართ. ბატონი ვარლამი გურამს ენათესავებოდა, ბევრჯერ მოესმინა მისთვის. გურამის ნახვით ძალიან გაიხარა, მიუბრუნდა და უქებს ბატონ ირაკლის, დიდად ნიჭიერი იმიტატორი და პაროდიების ავტორიაო. ქებას ნახვა სჯობიაო, თავისებურად, ბორძიკით ბრძანა პოეტმა. რა ბევრი ხვეწნა გურამს დასჭირდებოდა, სულ სიცილით მოგვრილი ცრემლი გვანწმენდინა. მერე პოეტსაც „გააჯავრა“. მგონი შენ ირაკლი აბაშიძე ხარ და მე-გურამ გეგეჭკორიო. შენ გაგახარა ღმერთმაო, გამხიარულა ბატონი ირაკლი. ბოლოს, გურამმა ვახუშტი კოტეტიშვილს მიბაძა.

ხალხური შემოქმედების საღამოზე გამოდის ვითომ ბატონი ვახუშტი და აცხადებს (გურამი ბაძავს ვახუშტის ხმას): - სოფელი ბოყლაყი. ახმახა ხანგიაშვილი, ოთხმოცდაშვიდი წლისა, ნაგიკითხავთ საარშეყოლექს...


- რაო, კაცო, სოფელი ბოყლაყიო? - იცინის ბატონი ირაკლი,- არსებობს ასეთი სოფელი? - მიუბრუნდა მაშინდელი დუშეთის რაიკომის მდივანს და აღმასკომის თავმჯდომარეს.

- არა, ჩემი მოგონილია! - მორცხვად დაასწრო მასპინძლებს გურამმა.

- ბოყლაყი, ბოყლაყი... თუ არ არის, მაშინ უნდა დავაარსოთ, ჰო, კაცო, ჰო, რა მშვენიერი სახელია, - გულიანად გაიცინა პოეტმა, უეჭველად... ვახუშტის ხმით ხომ კიდევ უფრო შთამბეჭდავია... ბოყლაყი, ბოყლაყი...

თამაზ ნატროშვილი ბრძნული სიკვდილი

*„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას“
ლადო სათიანი*



ბედმა ბარნოვის ქუჩაზე გადმობარგება მაშინ მარგუნა, ირაკლი აბაშიძე რომ აღარ იყო უკვე ამქვეყნად. გამიგონია, ძალზე უყვარდა საღამოობით სეირნობა ამ ქუჩაზე. წინათ თავისი სინყნარით რომ გამოირჩეოდა, დღეს კი ქართველი ავტოჯიგიტების საჯირითო ასპარეზად ქცეულა...

ირაკლი აბაშიძე აღარ დასეირნობს იმ ქუჩაზე, მისი სახელი რომ უწოდეს. აჩრდილთა სამყაროში წასულა სამარადისოდ.

უკანასკნელად 1991 წლის შემოდგომაზე შევხვდი. აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტიდან გამოვედი და ენციკლოპედიის შენობას რომ ჩავუარე, უეცრად სტვენა მომესმა. მარცხვნივ ავიხედე. მეორე სართულის ღია სარკმლიდან ბატონი ირაკლი გადმოწყურებდა და სტვენით მიხმოვდა. მისი დასწეულელებული ყელი, ეტყობა, ხმამაღლა შეძახილს ვეღარ გაუძლებდა. ხელით მანიშნა, ამოდიო და, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ ვენვლე კაბინეტში. აქეთურ-იქეთურზე ბაასის შემდეგ, მისთვის ჩვეული ხუმრობა რომ ახლდა, საკმაოდ მოზრდილი ხელნაწერი გამომიწოდა და მითხრა: ორ-სამ დღეში წაიკითხე და შენი აზრი მომახსენეო. ამგვარი პატივი ჩემს სიცოცხლეში პირველად მხვდა წილად და მადლობის მეტი რა მეტქმოდა! სულმოუთქმელად წავიკითხე „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ და მეორე დღესვე შინ ვესტუმრე.

ჯერ ჩემი გულწრფელი აღტაცება გავუზიარე და მერე, ერთგვარად ვალის მოსახდელად (არ იფიქროს, თითქოს მხოლოდ თვალი გადაავლოო), ორიოდ უწვრილმანესი შენიშვნა გამოვთქვი და, ბოლოს, მთავარი და მნიშვნელოვანიც გავუბედე. მომკალით და რა ვქნა, გაჩუმება არ შემეძლო. ყური მომჭრა ერთმა ფრაზამ, სადაც ირაკლი აბაშიძე ცნობილ მოდისიდენტო პიროვნებას მოიხსენიებდა, როგორც „ნიჭიერ და სერიოზულ ლიტერატორს“.

ირაკლი აბაშიძეს პასუხად არაფერი უთქვამს, მაგრამ როდესაც „ზარები“ გამოქვეყნდა (უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ), მივხვდი, რომ მისი დუმილი თანხმობის ნიშანი როდი ყოფილა.

ექვცი არ მეპარება, რომ ჩემი სიმართლე ჩემზე მშვენივრად მოეხსენებოდა, მაშ რატომ არ ნაშალა წასაშლელი? გული უნდა მოეღბო აბოპოქრებულ ლიანგში უზომოდ პოპულარული პიროვნებისათვის? („ლიანგი“ მისი საყვარელი გამოთქმა გახლავთ) თუ ზრდილი მოძღვრის მამაშვილურ მოფერებად უნდა აღვიქვათ ის ეპითეტი, რომლითაც გაკრიტიკებული პიროვნება დააჯილდოვა? კაცს ყურს რომ აუწევ, ალბათ, აჯობებს ტკბილი სიტყვით გაუწელო ტკივილი.

იქნებ ასეც იყო საჭირო იმ მშფოთვარე დღეებში, მაგრამ, ვაი რომ, ნაძალადევ კომპლიმენტს ღმერთიც ვერ შემოსავდა მაგიური ძალით, რათა ლიანგი დაეშოშმინებინა. მით უმეტეს, რომ ღმერთი აღარ ერეოდა საქართველოს საქმეებში (ან კი როდის ჩარეულა?!), ღმერთს არაფერი ესაქმებოდა უღმერთო ქვეყანასთან. ეშმა დაჰფოფინებდა ჩვენს ბედკრულ სამშობლოს და, ჯერჯერობით, დედაქალაქის მშვენებას აპარტახებდა.

...ეს იყო და ეს. ამჟამად ირაკლი აბაშიძე აჩრდილთა სამყაროშია და, ვინ იცის, როგორ ენატრება გასეირნება საღამოობით... ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე! თუმცა, ვგონებ, მე უფრო მენატრება შევხვდე ხოლმე მოსეირნე პოეტს და ახლა მაინც ვუთხრა ყველაფერი, რაც მის სიცოცხლეში არასოდეს მითქვამს და არც დამინერია.

მე მაინც ვხვდები ლამის ყოველდღე, როდესაც იმ სახლს ჩავუვლი, სადაც დიდებული ქართველი პოეტი ცხოვრობდა.

ყოველი კარგი ლექსი თუ სიმღერა, არც თუ იშვიათად, შენი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდს უკავშირდება და წარსულს თვალწინ გიცოცხლებს. ირაკლი აბაშიძის ლექსები ზოგჯერ შორეულ ბავშვობაში გადამისვრიან ხოლმე და თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში გამართული ლიტერატურული დილა მაგონდება. დეკლამატორთა მარაქაში გარეული სცენაზე გამოვედი და ჩავაბულბულე „კაპიტანი ბუხაიძე“ — ქართველი მეომრის უკვდავი ეპიტაფია, რომელსაც ჩვენი წარსულის სახელოვანი გმირებიც არ დაინუნებდნენ თავიანთი საფლავის ქვებზე წარწერად. ბალყარეთის მთებში დაკრძალული ქართველი კაპიტნის სიტყვები განსაკუთრებით იმათ მოხვდებოდათ გულზე, ოდესღაც ბაღდადისა და თუ ყანდაარის მიდამოებში რომ გაეთხარათ სამარე.

ახლა კი, უკვე ხანში შესული, როდესაც აღარ მეხალისება პასუხის გაცემა შეკითხვაზე — რამდენი წლის ხარო, ირაკლი აბაშიძის ლექსის პარაფრაზით ვისტუმრებ ცნობისმოყვარეს: მე დავიბადე იმ წელს, როცა საქართველოზე კანის სულის აღზევებამ გადისრიალა. ერთი მხრივ, პასუხი ზუსტია და, მეორე მხრივ იმასაც ვარკვევ, შემკითხველს უვლია თუ არა ქართული პოეზიის ბილიკებზე.

„საბრალოა უმცროსი ძმა“ ხშირად ესაუბრებოდა იმათ აჩრდილებს, ვისაც უკვე მშვიდად ეძინა სამარადისო ძილით. ირაკლი აბაშიძის წარმოსახვაში ისინი ისევ იქ ცხოვრობდნენ — ვერის ხიდთან თუ სოლოლაკში, მაჩაბლის ქუჩაზე თუ ასბინიანში, გმირთა მოედანზე, როგორც ცოცხლებს ესაუბრებოდა.

ხან მიუსაფარი და სვეგამწარებული პოეტი აგონდებოდა და მის ჯადოქრულ ვნებებს შენატროდა: „ნეტავ მის სმენას, ნეტავ იმ ხმებს, ნეტავ იმ ღელვას, ის იყო ღვიძლი დღეთა მისთა აზრის და ფერის... არის დრო ქვეყნად, როცა მღერის საგანი ყველა — ყვავილი მღერის, ცრემლი მღერის, ბილიკი მღერის“.

ხან მწერალთა კავშირში დაღვრილი სისხლი აუმღვრევდა გუნებას: „და მაჩაბელზე ისმის სროლა ორლულიანის.“

ხან აეკვიატებოდა ფიქრი უდროოდ დაღუპულ პოეტზე, რომელმაც ჯერ კიდევ 1926 წელს განჭვრიტა წყეული 37 — ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძაღლებენო... „სიზმარში წუხელ კვლავ ტიცციანი — ის ზამთრის კეპკა, პალტო რეგლანი!“.

ხანაც თვალწინ წარმოუდგებოდა აბუხუნებული მესიტყვე ქართული ლექსისა და სინანულით მიმართავდა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულს: „როგორ ატყვია უშენობა ამ შემოდგომას, ამ ზეცის შეცვლას, დღის მოკლებას, მზის შემოკვდომას“.

და ამიტომაც, ირაკლი აბაშიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის მისამართით ნათქვამი თვით ავტორის მისამართითაც მინდა გავიმეორო: „ნეტავ მის სმენას, ნეტავ იმ ხმებს, ნეტავ იმ ღელვას...“


აჩრდილებს ესაუბრებოდა და, ალბათ, დროდადრო სულეთიც ეზმანებოდა. მიახლოება გარდუვალობასთან ახლოვდებოდა. არ ვიცი, რომელ წელს დაწერა ეს სტრიქონები: „ო, არა გაზაფხულზე, ამ მზეში, ამ დარში; ო, არა გაზაფხულზე, ზამთარში, ზამთარში“.

ნატრობდა ზამთარში სიკვდილს. განგებამ ნატვრა აუხდინა და კიდევ უფრო დიდი წყალობა გაიმეტა — აღარ შეასწრო იმ მწარე და უნუგეშო წლებს. მხოლოდ სისხლიანი პროლოგის ხილვა აკმარა.

რა იყო ეს — უღმობელი განაჩენი თუ სანუკვარი ჯილდო? (უნებურად გაგახსენდება ბულგაკოვის ვოლანდისათვის ნაკარნახევი ჯავრი: ოსტატმა განსვენება დაიმსახურაო).

ირაკლი აბაშიძემ თვითონ როდი იხმო თავისი სიკვდილი (სული ტკბილიაო, უთქვამთ ჩვენს ძველებს), მაგრამ იქ, სადაც მისი აღსასრული გადაწყდა, ჩანს, გულმონყალება გამოიჩინეს და ბრძნული სიკვდილი მიუსაჯეს ბრძენკაცს. სოფლის უკუღმა ტრიალს ხანდაზმული პოეტის გული, ადრე თუ გვიან ველარ გაუძლებდა.

1999 წ.



მინდია უგრეხელიძე ამაღლება

დღეს, როდესაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის პირობითმა ზღვარმა დროებით დაგვაშორა ერთმანეთს, უწინდელზე მეტად გახდა საცნაური, რომ ირაკლი აბაშიძესთან მიმართებაში ჩემთვის ემოციური განწყობის განმსაზღვრელი ყოველთვის იყო ერთ ძირზე აღმოცენებული სამი სიტყვა: სიმაღლე, ამაღლება, ამაღლებულობა.

პოეტ-მოქალაქის სიმაღლეს განსაკუთრებით მძაფრად მაშინ შეიგრძნობს და შეიცნობს ერი, თუ

მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ეროვნული ღირსების ამაღლებას მატებს რაიმეს, თვისებრივად ახალს და ფასეულს. ამ მხრივ ირაკლი აბაშიძის უცილობელ დამსახურებათაგან საკმარისია დავასახელოთ სულ რამდენიმე: რუსთაველის 800 წლის საიუბილეო ღონისძიებათა თაოსნობა და ჩინებული ორგანიზაცია; შესანიშნავი ციკლი პატრიოტული მუხტით გაჯერებული ფილოსოფიური ლექსებისა — „რუსთაველის ნაკვალევზე“, პირველი ქართული ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოცემა.

თითოეული მათგანი საეტაპო მოვლენად დარჩება ქართული სულიერების ისტორიაში. განა ეს არ კმარა გამბედაობისათვის, შემოქმედებითი უკვდავების უძნელეს აღმართს რომ შეუყვეს ქართველი კაცი? თუ, რა თქმა უნდა, ისტორიის პირუთვნელი სამსჯავროც კეთილსინებებს...

მიკერძოებასა ან გადაჭარბებაში რომ არ ჩაგვეთვალოს, მცირედი განმარტებაც დავუთოთ: რუსთაველის იუბილეს საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნამ და აღიარებამ ამცნო ქვეყნიერებას, რომ საქართველო არა მარტო მშობელია დიდი პოეტური გენიისა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, აღმსარებელი ყველაზე ამაღლებული საკაცობრიო ჰუმანისტური იდეალებისა (ვაი თუ ამ რწმენას დღეს უკვე ბზარი გაუჩნდა); ირაკლი აბაშიძის მრავალ ენაზე თარგმნილმა პატრიოტულ-ფილოსოფიურმა პოეზიამ დასტურჰყო, რომ ინტელექტუალური საქართველო მარად ერთგულია ავთანდილის ანდერძისა (პოეტის

ბრწყინვალე სიტყვაც გავიხსენოთ იუბილეს დღეებში); ქართული ენციკლოპედიის დაფუძნება კი უტყუარი საბუთია ჩვენი ერის ამოუწურავი სულიერი ენერგიისა და თავისთავადი წვლილისა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

მაგრამ ყველაზე დიდი და საამაყო, რაც ქართველ ერს შეუქმნია საკუთარ უკვდავებად მაინც ქართული ენაა და, რა გასაკვირია, რომ ირაკლი აბაშიძის პოეტური ამაღლებაც აღმატებით ხარისხს სწორედ მასთან დამოკიდებულებაში ავლენს და აღწევს. ჩემს პირად არქივში კრძალვით ვინახავ მის მომცრო ხელნაწერს, რომელიც, ადვილად მისახვედრი მიზეზით, 14 აპრილითაა დათარიღებული.

„მამული, ენა, სარწმუნოება“...
მაგრამ მათ შორის რომ ენა არა,
ვინ იტყვის,
ვინ იცის, რა მოუვიდოდა მამულსაც და სარწმუნოებასაც
საუკუნეების უკიდვანო ოკეანეში.
ენა, დამწერლობა, მწერლობა — აი, პირველი
უკვდავების წამალი, რამაც დღეს ჩვენი ერი აცოცხლა
და აცოცხლა იმ სახით, როგორიც გაჩნდა იგი ამ
ქვეყანაზე ათეული წლების წინ.
დიდება ჩვენს ერს!
ამიტომაც ჩემს ხანში სულ უფრო და უფრო ხშირად
მესმის ოდესღაც პალესტინაში კატამონთან გაგონილი
შორეული ხმა:
„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენო სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა და ქვათა და კირთა
შენ ერთს, შენ ვერ გთმოზ სამარის პირთან“.

ირაკლი აბაშიძე, 14 აპრილი 1990.

არ ვიცი, ვის რა გრძნობა ან ფიქრი უჩნდება ამ დიდებული ლექსის ნაკითხვისას. მე კი, მას შემდეგ, რაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა დავათის სტელა აღმოაჩინა, რომელზედაც მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა მიერ ქართული ანბანის ამაღლების სცენაა გამოსახული, სულ ის განცდა მეუფლება, რომ ირაკლი აბაშიძის ეს

შედეგრი ამაღლების საკრალურ სურათს წარმოადგენს ქართული ენის ამაღლებისა. გვეგულება კი ხელოვნებისა თუ ლიტერატურის ისტორიაში ამის ბადალი, სადაც ტრადიციულ „მაცხოვრის ამაღლებასთან“ ანბანის ან ენის ამაღლების სცენა იყოს ესოდენ „კადნიერად“ შენაცვლებული?

დასასრულ, გალაკტიონის ერთი ცნობილი ლექსის რამდენიმე ტაეპი მინდა გავიხსენო, რომელთა აქ მოტანის ადგილიანობის განსჯა თავად მკითხველისათვის მიმინდვია:

დუმილი გახდა ვინრო
გალია,
დაუძინარი და უჩინარი,
მხოლოდ იმიტომ, რომ
მაღალია,
მარად და მარად ტყდება
ჩინარი.
როგორც ჩინარი - ისე
პოეტი:
მისთვის სიმაღლე არის წამება,
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარავს მტერთა ცილისწამება.
ის - მაღალია, დიდია
მაინც!
მისთვის მოისმის ზარების
ზარი:
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.

დიახ, მაღალია...
ირაკლი აბაშიძე — ქართული სიმაღლეა!
ირაკლი აბაშიძე — ადამიანური ამაღლებაა!
ირაკლი აბაშიძე — პოეტური ამაღლებულობაა!

ირაკლი აბაშიძეს გარეგნულად ასაკი არასდროს დასტყობია. შეიძლება ითქვას, რომ მასთან მიმართებაში ასაკმა დაკარგა თავისი პირველქმნილი, კალენდარული მნიშვნელობა და იგი პოეტის შემოქმედებითი სრულყოფილების საზომად მოგვევლინა უპირატესად,

თუმცა, მოდარაჯე თვალი უთუოდ შეამჩნევდა ერთ არც თუ შენიღბულ ტენდენციას. რაც უფრო ემატებოდა წლები, მით უფრო მძლავრობდა მასში გარდასულ დღეთა მონატრება; უფრო ზუსტად — ცხოვრების ადრეული ხანიდან სათუთად შემორჩენილი მოგონებანი და ღირებულებანი. ღირებულებათა შორის კი — განსაკუთრებით ადამიანები. ეს გამოსჭვიოდა როგორც მის შემოქმედებაში, ისე ყოფით საუბარში.

ირაკლი აბაშიძესთან ურთიერთობა ძალიან დიდი პატივი და, იმავდროულად, უაღრესად სასიამოვნო იყო ყველასათვის. ამიტომ მოხარბეც ბევრი ჰყავდა. არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. ყოველთვის ვესწრაფოდი მასთან შეხვედრას, რისთვისაც მარჯვედ ვიყენებდი ორ გარემოებას: პირველი ის გახლდათ, რომ ბატონი ირაკლი კეთილდამოკიდებულებას ამჟღავნებდა მამაჩემის — გურამ უგრეხელიძისადმი, რომელიც მისი თაობის კაცი იყო და ბევრი საერთო ჰქონდათ თანაგანცდილი თუ მოსაგონარი; მეორე ის, რომ იგი თვითონვე უადვილებდა თავისზე უმცროსებს მასთან კონტაქტებს და თავადვე უქმნიდა მათ შეამხანაგების განცდას. ეს უზარმაზარი ნყალობა იყო, მეტადრე ჩემი ასაკის ხალხისთვის, მისი შვილების თაობას რომ განუეკუთვნებოდი.

გარდაცვალებამდე ორიოდ თვით ადრე სამსახურში ვეახლე ამბის მოსაკითხად და „შავად მლელვარე ფიქრთა“ გასაქარვებლად. უჩვეულოდ გაღიზიანებული მეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, ეს არ იყო ის ირაკლი აბაშიძე, თვით უმძიმეს ვითარებაშიც კი რომ ახერხებდა ოლიმპიური სიმშვიდის შენარჩუნებას და რაღაც „ეპიკური“ სიღარბაისლით განასახიერებდა დიდგვაროვან ფეოდალს.

მისალმებაც კი არ დამაცალა და საქმიანად მომმართა: „როგორც კი გამოიმდისე, ქუთაისს ვენვიოთ. პაოლო რომ ცხოვრობდა, იმ სახლში მინდა ჩამოვდომა ხუთიოდე კაცთან ერთად; რამდენი მოგონება შემომრჩა პაოლოზე, დღემდე რომ არავისთვის გამინდვია. მინდა მისი ნათელი სული იყოს ჩემი ნაამბობის მოწმე.“

იმ ხუთ კაცში ავთანდილ საყვარელიძე და მამაჩემი დამისახელა. დანარჩენებს ჯერ არ ვეტყვი, მე თვითონ „ნამოვიძღვანიებო“.

იანვარში ბატონი ირაკლი აღესრულა. ის დანარჩენი ორი კაციც საიდუმლოდ დარჩა ჩემთვის (თუმცა, გუმანით თუ ვხვდები რომ ერთი მათგან მისი უახლოესი მეგობარი, სახელოვანი ექიმი ბატონი ირაკლი ჭუმბურიძე იქნებოდა) და, რაც კიდევ უფრო მთანგავს, შინაარსი იმ მოგონებისა, რომელიც ვინ იცის, მისი მშფოთვარე ცხოვრებისა, რაოდენ საინტერესო ეპიზოდს წარმოაჩენდა.

ბევრი პირქუში დღე მახსოვს ცხოვრებაში. ერთი მათგანი უმძიმესი განსაცდელი აღმოჩნდა ჩემთვის. ეს იყო ბატონი ირაკლის გარდაცვალების დღე. სუსხიანი, მღვრიე ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. უჩვეულოდ აჭრილი, მაგრამ იმავდროულად არც თუ უიმედო ვითარება სუფევდა საქართველოში. იმდენად მძიმე, რომ ხშირად მიცვალებულთათვისაც ძვირად იცლიდა საზოგადოება. ვაი თუ ირაკლი აბაშიძეზეც გავრცელდეს... უნებურად გამიელვა ფიქრმა.

ზღვა ხალხი გლოვობდა სამძიმარზე მოსული. შევიტყვე, რომ ქეთევან ბაგრატიონი ჩამობრძანებული იყო იტალიიდან, აუცილებლად უნდა მომენახულებინა, თვითონვე მთხოვა. პატარა სასტუმროს ნომერში დამხვდა იგი, კალმითა და ქაღალდით ხელში (ეს იყო თეთრი გიორგის ბლანკიანი ფურცელი). საკუთარ თავში დაეჭვებულმა, ქართულში დახმარება მთხოვა. იგი ბატონი ირაკლის გამოსათხოვარს წერდა. ერთი სიტყვაც არ გამხდარა შესასწორებელი. გთავაზობთ მის ხელნაწერს:

მწუხარე საქართველოს კიდევ ერთი დიდი სევდა-ნალღელი შეემატა.

მე ბატონი ირაკლის, მეგონა, პირადად ვიცნობდი, ისე ხშირად ვესაუბრებოდით ერთმანეთს ჟურნალ „ბედი ქართლისა-ს“ გვერდებზე. მე შორს, საფრანგეთში, ქართლის ბედსა და სილამაზეს მოშორებული ვიყავი, ბატონი ირაკლი კი აქ იყო თავის სამშობლოში, ეალერსებოდა თავის საქართველოს, ჩვენს ხალხს და ამ გრძნობას მეც მიგზავნიდა შორს, მეც მიზიარებდა ხოლმე ერის დიდ სიყვარულს.

ღრმაა ჩემი მწუხარება ერის ნამდვილი ქომაგისა და დიდი პოეტის გარდაცვალების გამო.

*ქეთევან ბაგრატიონი
თბილისი, 19 იანვარი, 1992 წ.*


„დიდი პოეტი“, „ერის ნამდვილი ქომაგი“...

რაოდენი თავმიძღვნით უნდა იღვანოს „საბჭოთა პოეტმა“, უცხოეთში იძულებით გადახვენილი უნარჩინებულესი დიდგვაროვანის ესოდენ აღმატებული შეფასება რომ მოიხვეჭოს. ამ სიტყვებით დიახაც მთელი ქართველი ერის მაღლიერება და თავყვანისცემაა გამოხატული.

ღროთა განმავლობაში კიდევ თუ დაემატება რაიმე, თორემ მივინყება ან გაფერმკრთალება ამ სიტყვებს არასდროს უნერია.

ეს ხომ უკვდავებაა...

1999 წ.



ნუგზარ ფოფხაძე დიდი კაცი იყო ირაკლი აბაშიძე!

23 ნოემბერი ერთი ღირსშესანიშნაობით გამოირჩევა. იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ბუმბერაზი პიროვნების – დიდი პოეტის, გამოჩენილი სახელმწიფო და უდიდესი საზოგადო მოღვაწის ირაკლი აბაშიძის დღეობაა.

•

ამ მოგონებით, თუ არ დამძრახავთ, კიდევ ერთხელ გავისხენებ და თქვენთან ერთად შევეცდები, მოვეფერო ადამიანს, რომელმაც ღრმა

კვალი დატოვა თანამედროვე ქართულ ისტორიაში, განსაკუთრებით მისი კულტურისა და ლიტერატურის სფეროში.

მისი სახელი დაკავშირებულია შოთა რუსთაველის 800-წლოვან საერთაშორისო მასშტაბის იუბილესთან, დიდი პოეტის ნაკვალევზე, იერუსალიმში შემდგარ ექსპედიციასთან, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა მისი პორტრეტი...

ჩემს მოგონებას დავიწყებ პოეტის პატრიოტული ლირიკის ერთი შედეგის შეთავაზებით. „კაპიტანი ბუხაიძე“ – ასეა დასათაურებული ეს ლექსი – მონოდება. თუ გნებავთ – ანდერძია მომავალი თაობებისთვის.

დაე, „ვილაცებმა“ იქილიკონ იმ დროზე, როცა შეიქმნა ეს ლექსი, ანუ, როცა ფაშისტური გერმანია უტევდა კავკასიას...

და, თუ ამ ლექსს დაკვირვებით ჩაიკითხავენ, გაიაზრებენ და ობიექტურად აღიქვამენ, მაშინ... თავად შექმნან უკეთესი პატრიოტული (!!!) ანდერძი(!!!) ქართველთა მომავალი თაობებისთვის...

•

ძალიან ბევრი მოგონება მაკავშირებს ბატონ ირაკლი აბაშიძესთან.

ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ ახალგაზრდული წლებიდან ვგრძნობდი მის კეთილ დამოკიდებულებას და რა გასაკვირია, გაათმაგებული სიტბოთი ვცდილობდი გადამეხადა მისი ყურადღება-მოფერებისთვის.

მიუხედავად დროის სიმცირისა, ჩვენ – მისი ახალგაზრდა მეგობრები და ისინი – ე.წ. „ბებერი მეზურნეები“, ანუ როგორც თავის უახლოეს სამეგობროს უწოდებდა ბატონი ირაკლი, ხშირად ვახერხებდით ერთად ყოფნას, ქალაქგარეთ გასვლას...

მისი მეგობრები კი არანაკლებ საინტერესო და დიდებული ადამიანები გახლდნენ: აკადემიკოსი შოთა ძიძიგური, პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი, აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანიას, ახალგაზრდა როინ მეტრეველი და არაერთი სხვა ნიჭიერებით და კეთილშობილებით გამორჩეული, დამსახურებული პიროვნება...

ამ ფანტასტიურ ადამიანებთან ჩვენი ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ კიდევ ერთ „უნივერსიტეტს“ ვამთავრებდით, თავისი „ასპირანტურით“ და „დოქტორანტურა-დისერტაციით“ დამთავრებული... რამდენ სიახლეს ვისმენდით, ვიგებდით... რა ინტელექტუალური პაექრობის მოწმეები ვხდებოდით...

და ყველაფერ ამას ახლდა საოცარი იუმორი, სიხალისე... მოგონებები ისეთი, ვერსად რომ წაიკითხავდი და გაიგონებდი...

•
ჩემს თავს უფლებას მივცემ, ერთი შემთხვევა გავიხსენო. მთლად „ინტელიგენტური“ არა, მაგრამ... უბრალოდ, ამ წრის იუმორის დონეზე მეტყველებს.

– ზესტაფონში ვართ, „ვარინკობას“ (ანუ, „სულიკოს“ დღესასწაულს) ატარებს საქტელერადიოს ხალხური შემოქმედების რედაქცია, ანუ „ქართული ხმები“ (გოგი დოლიძე, ზურა ლოლაძე...).

ბატონი ირაკლი და მისი „ბებერი მეზურნეები“ ოჯახებიანად (ცოლები, შვილები...), რა თქმა უნდა, ჩვენთან არიან...

ბოლოს სუფრაა. წარმოიდგინეთ ატმოსფერო, ვინც კარგად მღერის, ყველა ამ სუფრასთან ხალისობს. არის სიცილი, ანეკდოტები, ერთმანეთის მოფერება...

აკადემიკოს შოთა ძიძიგურის მეორე ნახევარი – მომხიბლავი და უთბილესი ქალბატონი რუსუდან ბოკერია თავს ევლება მეუღლეს და, როგორც წესი, მოფერებით მიმართავს არა სრული სახელით, არამედ შემოკლებულით: „შ“-უ... „შ“-უ... „შ“-უ... ეს იმდენად ხშირად ხდება, რომ ყველას ყურადღება მიიქცია და... უცებ, ბატონმა ირაკლიმ ძიძიგურს თანაგრძნობით მიმართა: შოთა!..

უცებ ყველა დადუმდა, მეტრს ყურს უგდეს:

– ჰო, შოთა, იცი, რა ბედნიერი ხარ, რომ არ გქვია... ყარამანი!

წარმოიდგინეთ, სუფრაზე რა მოხდებოდა.

•
ბატონი ირაკლის საჯარო შეხვედრები მაგნიტით იზიდავდა ხალხს. საინტერესო, გულწრფელი, სიბრძნითა და იუმორით აღსავსე. არა მარტო ჩვენში.

•
...მოსკოვში, ოსტანკინოს დიდ დარბაზში საკავშირო ტელევიზია მკითხველთა გრანდიოზულ შეხვედრას უწყობს გამოჩენილ პოეტს ირაკლი აბაშიძეს. წარმოგიდგენიათ, რა ტელეაუდიტორია ჰყავს ამ დროს ბატონ ირაკლის – მთელი საბჭოთა კავშირი და არა მარტო! ეს დარბაზი ხომ ისეა გაჭედილი, ნემსიც არ ჩავარდება... ყველა ლექსს დამსწრენი დიდი ტაშით ხვდებიან... ასევე, შეკითხვებზე პასუხებს...

აი, ერთი შეკითხვა: „Как вы относитесь к славе“

პასუხი: „Как к женщине – не следует надоедать!“

ტაში, მაგრამ რა ტაში... ნამდვილი ფოიერვერკია და ისევე შეკითხვა:

„Вы настоящий метр...“

ბატონმა ირაკლიმ არ დაამთავრებინა მის თაყვანისმცემელს,

რომელსაც უნდოდა ხაზგასმა იმ ჭეშმარიტებისა, რომ სცენაზე პოეზიის მეტრი იდგა, და ღიმილით „მიახალა“: „не метр, а метр девяносто!“
დარბაზი მართლა დაინგრა სიცილით და ოვაციით...

•

კიდევ ერთი „ისტორია“... უბრალოდ, განწყობისათვის...

კომპოზიტორმა ეთერ ჭელიძემ შექმნა სიმღერა ირაკლი აბაშიძის ლექსზე: „ჭალარა თბილისი“. ვიდრე ჩემთან მოიტანდა, როგორც ჩანს, ბატონ ირაკლის მოასმენინა და, ყოველ შემთხვევაში, მისი მხარდაჭერა დაიბევა. მით უმეტეს, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა პოეტის მამა-შვილური დამოკიდებულება ჩემთან. ბატონმა ირაკლიმ დამირეკა და სიმღერის გულწრფელი მონონება მომახარა...

არცერთ კომპოზიტორს, ასაკის და ცნობადობის მიუხედავად, ასეთი „ჩანყობა“ იმდროინდელ ტელერადიოში ნამდვილად არ სჭირდებოდა, ოღონდ რამე კარგი დაწერილიყო და... მაგრამ ინერცია ინერციად რჩებოდა, ერთადერთ სახელმწიფო ტელევიზიასა და რადიოში კონკურენცია მაინც დიდი იყო. ამას ემატებოდა რადიო-ტელევიზიის სამხატვრო საბჭოს მკაცრი ფილტრი.

არ ის იყო ჩემთვის დამალული, რომ „ძველი ავტორიტეტები“ მაინცდამაინც არ წყალობდნენ „ახალბედებს“ ან „ნაკლებად ცნობადებს“, ამიტომ, ყოველ პარასკევ-დილით უშუალოდ ვხვდებოდი კომპოზიტორებს, უწინარესად, ახალგაზრდებს, ჯერ კიდევ და ვახალისებდი მათ ჩვენთან თანამშრომლობისკენ. ვცდილობდი პირადად ჩემთვის ჩაებარებიათ „პროდუქტი“. ეს „ხერხი“ აადვილებდა კონტროლს სამხატვრო საბჭოს ე.წ. „კონიუნქტურაზე“ და მეტ-ნაკლებად აადვილებდა ახალთაობისათვის „გზის გაკვალვას“.

ამ მიდგომაში გვერდში მედგნენ მუსიკალური რედაქციების ხელმძღვანელები – ევგენი მაჭავარიანი და ლალი ვარდანაშვილი, მაგრამ სამხატვრო საბჭოში ისეთი ავტორიტეტები (ბიძინა კვერნაძე, გოგი ცაბაძე, ჯანსუღ კახიძე, ანზორ ერქომაიშვილი, ვაჟა აზარაშვილი და სხვ.) შედიოდნენ, რომ არ იყო ადვილი მათი „დათრგუნვა“, მით უმეტეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

...მოულოდნელად შემოდის ჩემთან შეწუხებული ლალი ვარდანაშვილი, რომელმაც უკვე იცოდა ბატონი ირაკლის ზარის შესახებ, სამწუხარო ამბით: სამხატვრო საბჭომ ე. წელიძის ეს სიმღერა დაიწუნა და მის ეთერში გაშვებას გზა გადაუკეტა. არადა, პრემიერა უკვე დაგეგმილია იმდღევანდელ „მოამბეში“, რომელიც ორ საათში უნდა დაიწყოს.

მიზეზი? აბსურდული!

„ეგო, პროფესიონალი არ არის და...“ როგორც ჩანს, ზოგიერთი „მეტრი“ ვერ მოერია პირადულ „მოტივებს“, უღალატა ობიექტურობის გრძნობას.

ამ „გარკვევაში“ ვარ და ისევ მირეკავს ბატონი ირაკლი, შენუხებული. უკვე „მოასწრეს“ მისი „გახარება“ სამნუხარო ამბით. აქეთ მამშვიდებს, იმაზე დარდობს, რომ თავი არ ვიგრძნო უხერხულ დღეში, რომ მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. არადა, სიმღერა მეც აშკარად მომწონს.

ჩემთან ვიხმე „საკუთარი გუნდი“ – მომავალი „ქართული ხმები“ – გოგი დოლიძე, თემურ ჭკუასელი, გია ჭირაქაძე, თამაზ ელიავა... სასწრაფოდ მომიძებნეს თემურ ქევხიშვილი... ჩემი „გაჭირვება“ გავანდე და მოვთხოვე მაქსიმალური ობიექტურობით სიმღერის შეფასება.

გოგი „კივის“ – სუპერია, მამა! მოგვეცი ერთი საათი და „ივიკოს, მერაბს და სუხარას“ (სიმღერის შემსრულებელ ტრიოს) შევე-ჯიბრებითო.

იმდროინდელი სისტემა ისეთი იყო, რომ მე, როგორც ხელმძღვანელს შემეძლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რამეთუ სამხატვრო საბჭო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული სათათბირო ორგანო გახლდათ.

ჰოდა...

მიუხედავად დიდი პატივისცემისა მათი ავტორიტეტისადმი, რეგალიებისადმი და პირადი მეგობრობისადმი, მათი „თათბირი“...

არ მივიღე და სიმღერას გზა დავულოცე.

ვურეკავ ბატონ ირაკლის და სტუმრობის ნებართვას ვთხოვ. საუბარი ისე წარვმართე, რომ ვითომ ბოდიშის მოსახდელად მინდა ვენვიო.

„მამობილი“ ჩვეული კეთილშობილებით დამთანხმდა და, მერე გამომიტყდა, ვიცოდი, განიცდიდი და შენი დამშვიდება მოვინდომეო... „ქართული ხმების“ ბიჭებთან ერთად თავზე რომ დავადექით ცხელი ხაჭაპურებით ხელდამშვენებულნი. მასპინძელმა „საბოლოოდ“ ჩათვალა, რომ „დანუნებული“ სიმღერის გამო „შესარიგებლად“ მივედი... ბიჭებმა ოპერატულად შესწავლილი „ჭალარა თბილისიც“ უმღერეს და... ამასობაში „მოამბე“ ჩაირთო, რომელიც ბატონი ირაკლისთვის სრულიად მოულოდნელად გაიხსნა... ეთერ ჭელიძის ამ სიმღერის პრემიერით... თვალცრემლიანი ირაკლი გახარებულია. ჩვენც, მასზე მეტად...

გავა 20 წელი. და შედგება სია „საუკუნის 10 საუკეთესო სიმღერა“ და... მავანთა მიერ „დანუნებული“ ეთერ ჭელიძისა და ირაკლი აბაშიძის ეს შედეგრი ამ სიაში დაიკავეს მეშვიდე ადგილს!



მიხაილ შოლოხოვი, ირაკლი და ვახტანგ აბაშიძეები.

ბატონი ირაკლის ცხოვრება და მოღვაწეობა რთულ დროსა და რეალობაში უხდებოდა და სწორედ იმ დროს იყო საჭირო ირაკლისეული სიბრძნე, რომლითაც კეთდებოდა დიდი საქმეები.

ეს სიბრძნე ითხოვდა პოეტი-აკადემიკოსის აქტიურ როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. და ამ სფეროშიც ის გახლდათ ერთობ ანგარიშგასაწიფი ფიგურა.

კაცი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თავკაცობდა მწერალთა კავშირს, იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, „ქართული ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი, რუსთაველის საზოგადოების პირველი თავკაცი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს (მაშინდელი პარლამენტის) თავმჯდომარე, ბუნებრივია, სერიოზული გავლენით სარგებლობდა. მით უმეტეს, ძლიერნი ამა ქვეყნისა თავადაც ილტვოდნენ მისკენ, ამაყობდნენ მასთან მეგობრობით.

ვასილ მჟავანაძე, მაშინდელი პრემიერი გივი ჯავახიშვილი, ფორმალური პრეზიდენტი გიორგი ძონენიძე ბატონ ირაკლის უახლოეს მეგობრად თვლიდნენ. ეს გარემოება პოეტს აძლევდა იმის საშუალებას, რომ თავისი კოლეგებისთვის ბევრი სიკეთე გაეკეთებინა, ისევე,

როგორც მწერალთა კავშირისთვის, მისი სტრუქტურებისთვის...

ბუნებრივია, სასიკეთო ლეგენდაც ბევრი დადიოდა და ირაკლი აბაშიძისადმი დამოკიდებულებას საზოგადოების დიდი ნაწილი სიყვარულით, მოწინებით და პატივისცემით გამოხატავდა.

მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა!

სიკეთის და საქმის მკეთებელ კაცს ჩვენში არც მოშურნე და მოქილიკე დაელება...


ჰოდა, ამ მხრივ გამონაკლისი არც ირაკლი აბაშიძე გახლდათ...

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთი პერიოდი ეს ცოცხალი ლეგენდა – კაცი საქართველოსაც კი განერიდა.

და მოხდა სასწაული: ირაკლი ისეთი პატივით მიიღო საბჭოთა კავშირის მწერლურმა ოჯახმა, ისეთი თანამდებობა და რეგალიები უბოძეს, რომ...

საქართველოში ბევრს, მათ შორის, უმაღლეს ელიტაში, ძილი გაუტყდა. და ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მაშინდელ ხელმძღვანელებს, რომ ირაკლი აბაშიძე ისევ თბილისს დაბრუნებოდა...

ამ პერიოდს ეკუთვნის ლექსი „სალიერები“ და ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებ...



ირაკლი აბაშიძე, მერი გომართელი - რადიანი.

მიძღვნა ქართველ სალიერებს

„სალიერებო! ხომ ცნობილია
თქვენი ნიჭი და
თქვენი ხელობა –
თვენ დააბრალეთ
მოხუც ილიას
საგურამოში
გლეხის მკვლელობა.
თქვენ ჩვენს მიწაზე
შხამს აცემენტებთ,

ფიქრობთ – სიმართლეს
ჭორი დაჯაბნის;
თქვენ დააბრალეთ
ლმერთ-კაც წერეთელს
განადგურება
ვანო მაჩაბლის.
ბედი ბოროტი
თქვენი ბედია,
ყოველ წყაროში
ისვრით ანკესებს;

თქვენ მიგაჩნიათ
 თქვენს ტრაგედიად,
 ქვეყნად თუ ვინმე
 საქმეს აკეთებს.
 ყოვლის აღრევა,
 ყოვლის ადღევა
 თქვენი საქმეა,
 ათას ფერებში;
 თქვენი „ალერსი“
 და ყურადღება

თუ მეც მომელის
 ამ სიბერეში, –
 მაშინ მე გეტყვით,
 რა გზაც მივლია,
 უნიჭოებო,
 ცარიელებო!
 გეტყვით –
 მე მოვკალ დიდი ილია –
 მეტი რა გინდათ,
 სალიერებო! ...



ნოდარ დუმბაძე, ირაკლი აბაშიძე, ანატოლი კარპოვი, გიორგი ბედინეიშვილი,
 ლია ლომიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ჟიული შარტავა, თენგიზ გოირგაძე.

•

აღბათ, უპრიანი იქნება იმის გახსენებაც, რომ მიუხედავად ურთიერთკეთილგანწყობისა, ირაკლი აბაშიძის ავტორიტეტული ფიგურა – სამართავად ძნელი, მუდამ სიმართლის მთქმელი (და ამისთვის ყოველთვის ნახულობდა ზუსტ ფორმას და ტონს), პრინციპული, ამასთან დიდი ღირსების მატარებელი პოეტი ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად იყო პრობლემა. და ამ „პრობლემა-კაცის მოთვინიერებას“ მავანი და მავანი ზოგჯერ „აკრძალული ილეთით“ ცდილობდა.

სამწუხაროდ, ამ „ილეთებს“ ზოგიერთი კოლეგა-მწერალი საკუთარი ინიციატივით იყენებდა, ზოგჯერ კი „დავალებას“ ნამეტნავად ენთუზიაზმით ასრულებდა...

ბატონი ირაკლი ასეთ „გამოხდომებს“ ფილოსოფიურად უცქერდა და ცდილობდა, კეთილშობილური განწყობით განემუხტა. ზოგჯერ სარკაზმს, ირონიას, იუმორსაც იშველიებდა.

ერთმა საკმაოდ ცნობადმა, მაგრამ ნიჭიერებით საშუალო დონის მწერალმა რომ მეტისმეტად გაუტია, ბატონმა ირაკლიმ „უსაყვედურა“: კაცო, მართლა რომ გავბრაზდე, თავი გადავდო, დრო დავკარგო და შენი ნაწერები ბოლომდე ჩავიკითხო, მერე სადღა მიდიხარო... ამ რეპლიკის შემდეგ ოპონენტი დაშოშმინდა.

•

...ერთ ლიტერატურულ ჟურნალში გამოქვეყნდა საკმაოდ უსიამოწერილი ირაკლი აბაშიძის შესახებ. ქალაქი ალაპარაკდა.

...სალამო ხანია. ზარია ჩემთან. „ეგებ, ყველაფერი გადადო და სასწრაფოდ მნახო“, – ბრძანა ბატონმა ირაკლიმ.

...სახლის წინ დამხვდა. ეს დინჯი, ყოველთვის განწონასწორებული კაცი შესამჩნევად იყო აღელვებული. გულისტკენა არ დამალა. თანაც უკვე იცოდა, რომ ამ უმსგავსოებაში მაშინდელი ხელმძღვანელობის ხელი ერია.

ქუჩის ლამპიონის ქვეშ ლექსი წამიკითხა და მთხოვა, გააკეთე ისე, რომ ეს ლექსი ხვალინდელ გაზეთში დაიბეჭდოსო.

მომეჩვენა, რომ ამის გაკეთება ამ ფორმით და ამ დღეს ირაკლის ავტორიტეტს არაფერს შემატებდა. ვნება კი შეეძლო მოეტანა.

და არა მარტო მისთვის.

მთელი ჩემი მჭევრმეტყველება, ემოციები, ფიცი დამჭირდა, რომ ერთი დღით გადამედო ამ „საზღაურის“ გამოქვეყნება. დავითანხმე.

მეორე დღით მისი უახლოესი მეგობრების, უკვე ამ საჩოთირო საქმეში ჩემს მოკავშირეებად დაგულებულ აკადემიკოს შოთა ძიძიგურთან და პროფესორ დავით ჩხიკვიშვილთან ერთად, „შეთქმულება“ დავგეგმეთ, რათა ირაკლის ამ ლექსის გამოქვეყნება გადაეფიქრებინა.



ირაკლი აბაშიძე, ირაკლი ანდრონიკოვი და სხვ. ილია ჭავჭავაძის საფლავთან.

მანქანით მივდივართ „შეთქმულები“ და ის ის არის, ამ თემაზე საუბარი უნდა დავიწყო და...

ბატონი ირაკლი კონვერტს მანვდის და მეუბნება: შე, „ჟულიკო“, ძალიან კარგად მესმის ეგ შენი ოინები და, აჰა, ეს შენ გქონდეს, და როცა საჭიროდ ჩათვალო, მაშინ გამოაქვეყნეო...

მას შემდეგ 33 წელზე მეტი გავიდა.

ამ უსიამო „ისტორიის“ არცერთი მონაწილე (ზემდგომი თუ ქვემდგომი,) და „შეთქმული“ (ჩემს გარდა) ამქვეყნად აღარ არის და ვიტყვი:


ირაკლის განქიქების დავალების გამცემები შემდგომ ნანობდნენ თავიანთ საქციელს.

ხოლო, იმ ბრიყვული დავალების შემსრულებელმა, ქუთაისში, უნივერსიტეტში პოეტთან შეხვედრის დროს, ირაკლის უფროსი ვაჟიშვილის – ზურაბისა და ჩემი თანდასწრებით, პატიება სთხოვა ბატონ ირაკლის.

ის აშკარად ნესიერი კაცი იყო და საოცარი გულწრფელობით განიცდიდა თავის შეცდომას...



აკაკი ძიძიგური, მიხეილ ინაური, ირაკლი აბაშიძე, ელდარ შენგელაია,
ვახტანგ ბერიძე, ჯემალ ჩხიკვაძე.



ირაკლი აბაშიძე,
ედუარდას მეფელიატიანი.



შოთა ძიძიგური, აკაკი სურგულაძე,
ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე.



საბა მეტრეველი

მშვენიერისა და ამაღლების მაღალი სტანდარტი

ირაკლი აბაშიძის თაობა საბჭოთა ტოტალიტალური სახელმწიფოს ბნელი იდეოლოგიის მსხვერპლი იყო. მწერლობა ბენვის ხიდზე გადიოდა, ზოგს ჩაუტყდა ეს ხიდი, ბევრმა ნაპირს ვერ მიაღწია და, ვინც გადარჩა (ტრაგიკული შეკითხვა:

„თუ ხარ კაცი, რატომ გადარჩი?!“), ღვთის ნებით გადარჩა, თუმცა პოეტმა ეს ეპოქა ცეცხლთან თამაშს შეადარა: „მუდამ მზად ყოფნა, / განუწყვეტელად ცეცხლთან თამაში... / იყო, დრო იყო, იყო ლენვა, უსამართლობა – / პასუხს ვინ აგებს, პასუხს ვის სთხოვ ცივ აკლდამაში“.

თანამედროვე რაციონალიზმისა და პრაგმატიზმის პირობებში, როცა, უმთავრესად, პროკურორის როლშია ადამიანი, შეუძლებელია ორი ტიპის ნარატივი: დიალოგი ღმერთთან და დიალოგი საკუთარ თავთან – გააზრებული იყოს განკითხვის გარეშე. ისტორიის ქერქში შესვლა, როგორც იტყოდა ილია ჭავჭავაძე, გულისხმობს თანაგანცდას, თანაარსებობას, თანამონანილეობას, რათა არ დავრჩეთ სასტიკი და დაუნდობელი დროის სუბიექტურ შემფასებლად. თავადაც დაუდგა ირაკლი აბაშიძეს (თანაც არაერთხელ) ღირებულებათა გადაფასების, ყოფიერების კრიზისი („ო, წლები, წლები გადაფასების, / ახლა რომ ყველა სიზმრის წელია“). ბოლო პერიოდში წერდა: გახსენება არ მინდა ზოგიერთის ვისამე და რისამეო, მაგრამ ეს იყო საკუთარ თავთან დარჩენილი (ბამბუკის ჯოხით, ჩალისფერ ჩოხით) ინტელექტუალის მწვავე განცდებად დაღვრილი ფიქრები, რომლებმაც ათქმევინა: იქნება ჯობდა... გეარა შენთვის, / შენი ქუდით, შენი ნაბიჯით, / გეფურცლა შენი სევდის ბალის / ვარდის ფურცელი... გეარა შენთვის, შენი ღმერთით, / შენი წინამძღვრით“. დასკვნა კატეგორიული იყო: „ჯობდა, ჯობდა ნამდვილად / უფრო საკუთრად, უფრო ლალად, უფრო ადვილად“...

ასეთი დიალოგიზებული მონოლოგი საკუთარ თავთან გულწრფელი ადამიანის აღსარებაა, განვლილი ცხოვრების კორექტივია. ირაკლი აბაშიძის ჯერ შეკითხვა, „იქნება ჯობდა?!“ და შემდეგ დასკვნა – „ჯობდა ნამდვილად!“ – არ არის მის ცნობიერში არსებული ან გაჩენილი

უფსკრულის გამოხატულება – ეს არის თვითგვემამდე მისული თვითკრიტიკა, დროის დისტანციიდან რალაციის გადანწყობის, ვექტორების შეცვლის სურვილი, რომელიც არამც და არამც არ გულისხმობს განვლილი გზის უარყოფას, ყველაფრის გადაფასებას. „საკუთარი ცნობადისგან ჩავარდების კაცი ჭირსა“ – ბრძანა რუსთაველმა. ირაკლი აბაშიძეს აზროვნება და მედიტაცია ტვირთად აწვა. თავადაც ასე ათქმევინა რუსთაველს: „მე მხოლოდ განსჯის, / მხოლოდ განსჯის ვიყავ მლოცველი“. პოეზიაშიც და პირადაც ცხოვრებაშიც „ცდილობდა, პასუხი გაეცა ყოფნა-არყოფნის ჯერაც ამოუხსნელი დილემისათვის“ (ე. მაღრაძე). ალბათ, ამიტომაც უწოდა თავისი სიცოცხლის 80 წელს „სულ ეკალივით ვარდი, / სულ სიზმარივით ცხადი“.

უბრალოების გასაოცარი ეფექტი, სიმარტივის უნივერსალიზმი, ენაში ხატებად გარდაქმნილი წარსულის (და, თანაც, როგორი წარსულის!) მთელი გამოცდილება, ერთდროულად ტრაგიკული და ლირიკული ისტორია რუსთაველისა მთრთოლვარედ მოგვითხრო პოეტმა ლექსების ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“. აკი თავად იქცა იდუმალ ხმათა მეტყველად!

გაქანებული კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში იქმნება და იწერება იმ რანგის პოეზია, რომელიც სათქმელის სიღრმით, პოეტური სახეების ფერადოვნებითა და სისადავით არა მხოლოდ ხიბლავს, არამედ შეძრავს მკითხველს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რომელიც განაპირობებდა ირაკლი აბაშიძის ახალი პოეზიის დაბადებას. თავად პოეტი ცხოვრების ბოლოს ასე წერდა: „მე-20 ყრილობაზე, პიროვნების კულტის გამჟღავნების შემდეგ, პირადად ჩემთვის ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა და მეც იქვე განვსაზღვრე ჩემი შემდგომი სიცოცხლის და შემოქმედების აზრი. დიახ, სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი პერიოდი, ახლებურად გააზრებული გზა, რომელსაც მე „რუსთაველის ნაკვალევზე“ დავარქვე და საითკენაც მე ჩემი პოეტური კალმით მოვუწოდე ჩემს მკითხველს და მთელ ჩემს ქვეყანასაც. ეს გახდა ჩემი ერთადერთი იდეური მრწამსი, ჩემი პოლიტიკური პარტია“ პოეტის მიერ ამ ახლებურად გააზრებულ გზაზე კიდევ ერთი ბიძგი გაჩნდა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ დათრგუნა ქართველი ადამიანი, ჩაუკლა სული და ეროვნული თავმოყვარეობა. სწორედ ასეთ ფონზე ირაკლი აბაშიძე იწყებს რუსთაველის სახელის უკვდავყოფას დასტურად იმისა, კაციჭამიები ვართ თუ, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით, ჯერ კიდევ ტყეში დარბოდნენ ისინი, ვინც ქართველთა ველურობით აპელირებდა.

გარდა ამისა, გზა რუსთაველის ნაკვალევზე, ანუ, ზოგადად, სვლა რუსთაველისკენ, ღმერთთან დაბრუნების გზაც იყო. მეოცე საუკუნის საქართველოში ირაკლი აბაშიძის თაოსნობით მოწყობილმა ყველაზე გრანდიოზულმა დღესასწაულმა - რუსთაველის 800 წლის იუბილემ „ნერტილი დაუსვა ქართველთა ლანძღვა-გინებას“ (მ. ბერძენიშვილი) და მაშინ, როცა მთელ საბჭოეთში (და მის გარეთაც) ამსხვრევდნენ ქართველი ბელადის (წარმომავლობაზე აქცენტებით) ძეგლებს, უპირველესი ქართველის - რუსთაველის ძეგლი აღიმართა სწორედ საბჭოეთის დედაქალაქში, მოსკოვში. ქართველმა ადამიანმა დაიბრუნა რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობისა. იუბილეს საზეიმო გახსნაზე, ალბათ, შემთხვევით არ დაასრულა თავისი გამოსვლა ირაკლი აბაშიძემ სიტყვებით: „დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად, ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად... მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი, დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!“

„პალესტინა, პალესტინა“ პოეტური გარდასახვის, ფანტაზიის, ცნობიერების, გემოვნების, ცხოვრებისეული სტილისა და ეპოქის ენის, სიტყვასთან და სიცოცხლესთან ჭიდილის ძეგლია, „ჭეშმარიტად მინანქრული პოემები, დიდი ფაქიზი ოსტატობითა და ლექსის იშვიათი ორკესტრირებით შესრულებული“ (კ. გამსახურდია). შინაგანი დინამიკა და სულის რიტმი, ამაღლებულობა და ტრაგიზმი გასდევს ამ ციკლს. პოეტის რაინდულ-რომანტიკული ხატება გვაგრძნობინებს, რომ, როცა სიტყვა რუსთაველს ეთმობა, მაშინ სამყაროში სხვა სიტყვის ადგილი აღარ რჩება.

ჯვრის მონასტრის სამრეკლოსთან სულით შეძრული ლოცულობს რუსთაველი („ხმა სამრეკლოსთან“) – და მისი ლოცვითი მდგომარეობა ირაკლი აბაშიძეს აძლევს შესაძლებლობას, ყველაფერი დიდ პოეტს „დააბრალოს“, იმ ეპოქით შენიღბოს სატკივარი. ეს ლექსი რუსთაველის გახშიანებული ლოცვაა სამშობლოს მომავალსა და ერის ბედზე. მისი პირველივე სურვილი და ვედრება უზენაესის მიმართ: „არ დაუკეტო საქართველოს პონტის კარები“ (ამავე სიტყვებით მთავრდება ლექსიც) ჩრდილოეთისკენ მიმართულ მზერას კი არა, ჩვენს დასავლურ კულტურასთან ორგანულ თანაზიარობას შეგვახსენებს, იმის მწვავე სურვილია, რომ არ მოვწყდეთ მსოფლიო ცივილიზაციას. „არ მომიკვეთო მინა შენს ჯვარს, შენით ნათელი“ – ეს რუსთაველის სიტყვებია, მაგრამ რისი გაცხადებაა ავტორის ამგვარი სულისკვეთება?

აქ ხომ პირდაპირაა ნათქვამი ის, რაზეც საუბარი ტოტალიტარულ ეპოქისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი იყო. ქართული მინა, ქრისტეს ნათლითა და მადლით მოსილი და დაცული, არ უნდა მოწყვეტილიყო ჯვარს – ქრისტეს სიკვდილზე გამარჯვების, აღდგომისა და ამალლების სიმბოლოს, ანუ თავად ჯვარცმულ იესოს, მის გზას, ჭეშმარიტებასა და ცხოვრებას. იქნებ, ეს საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობისა და, შესაბამისად, ამ მადლის განსაკუთრებულობის ან აუცილებლობის, სიცოცხლის ცხოველ-მყოფელ ნაკადებში ჩართვის, ერის სასიცოცხლო პოტენციალის გაძლიერების ერთადერთი საშუალებაც იყო. არა მგონია, სადავო იყოს, რომ აქ ქრისტიანობის ფარული ქადაგებასთან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, ცენზორი ვერ ჩანვდა ქვეტექსტს, ყველაფერი რუსთაველის შემდგომ ეპოქას (ანუ დაცემის ხანას) მიაწერა და ამ კონტექსტში წაიკითხა ეს სიტყვებიც: „რად მეჩვენება / ჟამი ჭირთა მოახლოების, / რისხვა განგების, / შემოწყრომა მაღალ სამართლის“. განგების რისხვა და შემოწყრომა, ისტორიულად, ერის გადაგვარებას მოჰყვება. თანდათან მძაფრდება რუსთაველის ლოცვის პათოსიც და ეროვნულ ტკივილამდე ადის: ბედშავი, ბედნამხდარი, ქრისტეს ჯვარს მოწყვეტილი (გაურჯულებული, გაათეისტებული, ქრისტესგან განდგომილი) და დამწყვდეული (!) საქართველო – არ დაგვაგინყდეს, როდის იწერება ეს სიტყვები – ცივილიზებული სამყაროსგან რკინის ფარდით გამოყოფილი, საბჭოთა კავშირის მარწმუნებში მომწყვდეული ჩვენი ქვეყანა „მაღული ცრემლით“ გლოვობდა დაკარგულ სახელმწიფოებრიობასაც და თავისუფლებასაც.

ცხოვრებამ ურთულეს გზებზე ატარა ირაკლი აბაშიძე, ჰქონდა მაღალი პარტიული თანამდებობები, პოლიტიკური რეჟიმი ითხოვდა კომპრომისებს, მაგრამ არ გაუცვლია და არ გაუყიდა არც სამშობლო და არც — პირადი ღირსება.

სინანული თან სდევდა მის ცხოვრებას. არ ასვენებდა „უკვდავი სევდები“, „ეს ხმა გაბმული, ხმა გამკითხავი“, „უკმარისობის უკურნავი სენი“, „კაცური მარცხები“. მწვავედ განიცდიდა პოეტი რაღაცას, ძილსა და შვებას რომ უკრთობდა... იქნებ არც არსებობდა რამე კონკრეტული, სერიოზული მიზეზი, მაგრამ მისი მშფოთვარე სული მაინც შეურევბული იყო: „ასჯერ ნატყვიარ გულს არ ნდომია ეს ზღვარ-სამანი, / მე ეს მშვიდობა არც მინატრია, / მე სხვა რამ დამრჩა დღეს დასანანი“.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნუგემისცემის კარია – პირადი ნების დამარცხებითა და უარყოფით (ღირსი იოანე სინელი). არ მეგულება ამ დროის ქართულ პოეზიაში მეორე შემოქმედი, რომელსაც ასე აფიქრებდეს და აწუხებდეს განვლილი გზა, ასე შეეძლოს „განცდაი

თვისთა ცოდვათა" (თავის მართლების რიტორიკის გარეშე). თუ ქრისტეს მთელი ეკლესია არის ეკლესია მონანულთა, იმათი, ვინც დაღუპვას სინანულის გზით გაუბრუნდა, – როგორც წმინდა ეფრემ ასური იტყოდა, – მაშინ ირაკლი აბაშიძის ქრისტიანობა, უპირველესად, სწორედ ამ იშვიათ სათნოებას უნდა დავუკავშიროთ. ეს უკიდევანო სინანული – უპირველესი ნიშანი ქრისტიანობისა, დასაბამი სულიერი ამაღლებისა და ფერისცვალებისა – აქცევს მის პოეზიას „გალობანი სინანულისანის" დარ შემოქმედებად.

ერთია მარტოობის უნივერსალურ კანონთან შერკინება, მისი დაძლევა თუ გაძლება. ამას გარდა, უამრავი სევდანარევი ხმა მოისმის ირაკლი აბაშიძის პოეზიიდან, მაგრამ მაინც, სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებულ პოეტად დარჩა. მისი პოეზია პასუხია იმაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს და დაფასდეს მწერალი, რა უნდა იყოს მისი პოპულარობისა თუ სიდიდის დამადასტურებელი? – მხოლოდ დრო, დრო, რომელმაც გვიჩვენა, ვინ სჭირდება ქვეყანას. ირაკლი აბაშიძეც „ციფერბლატის ღერძს მიბმული ერთი წამნამი", თავისი ეპოქის სევდიანი რაინდი იყო.

ერთ ლექსში გასაგებად გვითხრა პოეტმა: „ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, წყრომაც, ვარამიც, / სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, – სხვას აღარავის".

რა დარჩა მომავალ თაობას მისი გარდაცვალების შემდეგ? – ამასაც თავად უპასუხა, უპასუხა ისე, როგორც შეჰფეროდა: დენდიზმით, აკადემიზმით, დახვეწილი ესთეტიკით: „შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს, / ყველაზე ძვირფასს, რაც გამაჩნია - / ჩემს განძს: ჩემს ათას უძილო ღამეს, / წყეულმა ეჭვმა რომ დამაჩვია".

დაგვიტოვა თავისი დაღლილი ღიმილი, მთიდან მთებზე დაფლეთილი მზერა, გულში ჩამწყდარი ათასი ბგერა, უხმარი ცრემლები, უთქმელი სიზმრები, დარდი თუ წყენა...

შთამომავლობას დარჩა მისი პოეზია და ქართული საქმე!



როინ პეტრეველი
ის კაცი იყო
(მოგონებები ირაკლი აბაშიძეზე)

*„გერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა, წამელო ყველა სიამე...
წაგყვება რამე?!...”*

დიდი კაცი იყო ირაკლი აბაშიძე... რაც უფრო მეტი დრო გადის მისი აღსრულებიდან, მით უფრო ნათელი ხდება ეს. სიდიდე ირაკლი აბაშიძისა მის უბრალოებაში იყო, უბრალოება კი — ღვთისგან ჭარბად ნაბოძებ დიდბუნებოვნებაში. ყველა ეს თვისება ცხოვრების მთელმა გზამ, დიდმა სულიერმა წინაპრებმა და საკუთარ თავში ღრმა რწმენამ მისცა.



თენგიზ სულხანიშვილი, ირაკლი აბაშიძე, როინ მეტრეველი, გოგი ხარაბაძე.

დედა-სამშობლო იყო მგოსნის საფიცარი მთელი მისი დიდი ცხოვრების მანძილზე („ქვეყანა, ჩვენი დედა ქვეყანა, ვინაც გაგვიბა გულში სიმები“) და ირაკლი აბაშიძე უსაზღვროდ ერთგულებდა, ბოლომდე უშურველად ემსახურებოდა მას. უკვდავ განძად დაგვრჩა ირაკლი აბაშიძის სულიერი და შემოქმედებითი (ნეტავ რამ გაყო სულიერი და შემოქმედებითი?) წვის ბრწყინვალე ნაყოფი — „რუსთაველის ნაკვალევზე“; და განა მართო ეს? მაგრამ საგანგებოდ ვახსენე დიდი რუსთაველი: რუსთაველი, რომელიც პოეტის სიჭაბუკიდან, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში რუსთაველის სახის გამოცხადებიდან მოკიდებული, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი პოეტური და საზოგადოებრივ-მეცნიერული შემოქმედების უზღვავე, ამოუწურავ წყაროდ იქცა.

პოეტის ფართო მხრებზე გადადებული მეტად ლამაზი შემოქმედებითი ხურჯინის ორივე თვალი არ ყოფილა ლექსებით სავსე; საბედნიეროდ! სწორედ საბედნიეროდ, რადგან, თუკი ერთი თვალი

დღითა და ღამით დამაშვრალი პოეტური შრომის ნაყოფი იყო, ხურჯინის მეორე თვალი არანაკლებ მნიშვნელოვანსა და ქვეყნისა თუ ხალხისთვის არანაკლებ საჭირო საგზალს შეიცავდა. ეს დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა იყო. საყმაწვილო თუ დიდ ლიტერატურულ ჟურნალებს რედაქტორი სჭირდებოდა, ქართველ მწერლებს — თავკაცი, ქვეყანას და ხალხს — დეპუტატი, უმაღლეს საბჭოს — თავმჯდომარე, ქართულ ენციკლოპედიას — მთავარი რედაქტორი, იერუსალიმის ექსპედიციასა და რუსთაველის რვაასწლოვან იუბილეს — თაოსანი. ამიტომ იყო ხურჯინის ორივე თვალი ერთნაირად მძიმე... მაგრამ ირაკლი აბაშიძეს მისი ტარება არ გასჭირვებია. წელში გამართულმა, სახელოვანმა კაცმა ღიმილით, გახსნილი შუბლითა და გაბრწყინებული თვალებით ზიდა იგი ცხოვრების ბოლომდე. ირაკლი აბაშიძეს თავისი ცხოვრებით ჰქონდა უფლება დიდი რუსთაველის პირით ხმამაღლა ეთქვა:

„მე აზრი ვიყავ...
ბედი კაცთა
მე არ მებარა...
მე კაციც ვიყავ,
მეც ამ მიწის
მედო ბეგარა...“

ირაკლი აბაშიძემ ღირსეულად მოიხადა ქვეყნისა და ხალხის ბეგარა...

თითქმის თოთხმეტი წლის (1972—1985 წწ.) მანძილზე მომიხდა ირაკლი აბაშიძესთან მუშაობა; გამოვეცით პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედია — თორმეტტომეული (თერთმეტი ძირითადი, ერთი დამატებითი — ორ წიგნად). ეს პერიოდი აღსავსე იყო საინტერესო საქმიანობით. ენციკლოპედიის რედაქციაში შემოკრებილი იყვნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: გიორგი წერეთელი, ნიკო კეცხოველი, შოთა ძიძიგური, კონა და ვანო გიგინეიშვილები, მიხეილ ჭაბაშვილი, ვახტანგ ბერიძე, სერგი ჯიქია, ევგენი ხარაძე, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, ნიკო ჭავჭავაძე, ბაჩანა ბრეგვაძე და მრავალი სხვა.

ქართული ენციკლოპედია მეტად რთულ ვითარებაში იზადებოდა. ჯერ იყო და მის გამოცემაზე ნებართვას იმდროინდელი ხელისუფლების უდიდესი მცდელობა დასჭირდა. 1965 წელს გადაწყდა ფორმალურად (ზემდგომი ორგანოების დადგენილებით) ქართული ენციკლოპედიის


გამოცემა. 1966 წლიდან დაკომპლექტდა რედაქცია და დაიწყო მუშაობა. მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. მეთოდური მითითებების შემუშავება, გამოცემის პრინციპების განსაზღვრა და სიტყვანის შედგენა რთული იყო. მით უმეტეს, რომ ამგვარი გამოცემა (ასე მასშტაბური და უნივერსალური) უცხო იყო საქართველოსათვის. რედაქციის მუშაკები სწავლობდნენ კიდეც და თან საქმიანობდნენ. საბოლოოდ ძლიერი და კვალიფიციური კოლექტივი ჩამოყალიბდა: ლევან ბოლქვაძე, იაგო ვარდოსანიძე, ნოდარ გიოშვილი, ზურაბ ჭელიძე, ნოდარ ებრალიძე, მილიცა აბაშიძე, თინა ლეჟავა, ირაკლი ყიფიანი, შოთა ვადაჭკორია, გურამ მეტრეველი, შოთა ნიორაძე, ბეჟან ასათიანი, მელიტა ბაქრაძე, ციალა ცერცვაძე, ლილი ფარცხალაძე... კიდეც ბევრი სხვა თავდადებულად იღვწოდა.

ენციკლოპედიის გამოცემის პერიოდი ჩემთვის უძვირფასესი წლებია. ეს ცალკე აღწერას იმსახურებს. ახლა კი ზოგიერთი რამ ბატონი ირაკლი აბაშიძის შესახებ.

ენციკლოპედიის რედაქცია უყვარდა ბატონ ირაკლის. აქ იგი მშვიდად გრძნობდა თავს. სიმშვიდეს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ 70-იანი წლების შუა ხანებში ირაკლი აბაშიძეს სხვადასხვა გართულებები ჰქონდა მწერალთა კავშირში, სხვაგანაც. ენციკლოპედია ოაზისი იყო პოეტისათვის.

1972 წლის დეკემბრიდან უკვე დაიწყო ქსე-ის პირველი ტომის მასალების დასაბეჭდად მომზადება. 1973 წლის 30 აპრილს ხელი მოეწერა ტომს. ეს რიტუალი ბატონმა ირაკლიმ და მე შევასრულეთ, შემდეგ ყველა იქ მყოფნი (ირაკლი აბაშიძისა და ჩემ გარდა ამ ცერემონიალში მონაწილეობდნენ: თ. ხოშტარია, ი. ვარდოსანიძე, ლ. ბოლქვაძე, მ. აბაშიძე, ნ. ებრალიძე, ო. პირველი) ვეამბორეთ სასტამბოდ გამზადებულ ნაბეჭდ ხელნაწერს და გზა დავულოცეთ...


ბევრი ჩვენი კოლეგა, გამოჩენილი მოღვაწეები ეჭვით უყურებდნენ ენციკლოპედიის გამოცემას, არ სჯეროდათ, რომ სათანადო სიმაღლეზე, ეპოქის მოთხოვნათა დონეზე გამოვიდოდა იგი. ეს დაეჭვება ხშირად ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაშიც იყო გამოხატული. ქილიკ-ქირქილი არ ცხრებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1974 წლის მარტში ენციკლოპედიის რედაქციის შემოწმება დაიწყო. ამ დროისათვის უკვე ხელთ გვქონდა პირველი ანაწყობები, მაგრამ ეს არავინ იღო ყურად. შემოწმების მასალებში, სხვათა შორის, ერთი ასეთი



1980 წ. თბილისის საპატიო მოქალაქეები -
ვალერიან ქელიძე, ნიკო კეცხოველი, ვერიკო ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე.

„ბრალდებაც იყო“ — ენციკლოპედიაში ძალიან ბევრი მენშევიკის შესახებ მზადდება მასალებიო. როგორც ჩანს, ეს თვალში მოხვდა იმდროინდელ ერთ-ერთ არაქართველ ხელმძღვანელს და მანაც მაღალი პათოსით განაცხადა, ენციკლოპედიაში 400-მდე მენშევიკია შესულიო. ირაკლი აბაშიძემ ჩვეული იუმორით (და არა მხოლოდ იუმორით) უპასუხა: მაგდენი მენშევიკი რომ საქართველოს ჰყოლოდა, თქვენ აქ არავინ მოგიშვებდათო.

ენციკლოპედიის პირველი ტომი 1975 წლის ოქტომბერში გამოვიდა. იმხანად ერევანში ტარდებოდა ენციკლოპედისტთა სიმპოზიუმი, რაზეც მე და ჩემი რამდენიმე კოლეგაც ვიყავით მიწვეული. მე ქსე-ის I ტომის სასიგნალო ეგზემპლარები წავიღე ერევანში. ჩემი მოხსენების შემდეგ ერთი ცალი სომხეთის ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს, აკადემიკოს ვიქტორ ამბარცუმიანს ვუძღვენი. ქართული ენციკლოპედიის გამოჩენას დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მეორე დღეს ბატონი ვიქტორი სხდომაზე არ მოსულა. იგი მხოლოდ მესამე დღეს, დასკვნით სხდომაზე გამოჩნდა, თანაც დაგვიანებით. სხდომა დიდი საბჭოთა



ნუგზარ ქავთარაძე, ზურაბ ლომიძე, ჯონი ბახტაძე, ირაკლი აბაშიძე და სხვ.

ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის პირველ მოადგილეს პროფესორ ს. კოვალიოვს მიჰყავდა. ვიქტორ ამბარცუმიანმა ისარგებლა მასპინძლის უფლებით, სხდომა შეაჩერა, პორტფელიდან ჩვენი ენციკლოპედიის პირველი ტომი ამოიღო დინჯად, შემდეგ გაშალა იგი და მიმართა ყველას: აი, ასეთი ენციკლოპედია უნდა გამოსცეთო. საქმე ისაა, რომ ვ. ამბარცუმიანი შესანიშნავად ფლობდა ქართულს. მას ორი დღის მანძილზე საფუძვლიანად შეუსწავლია ჩვენი ენციკლოპედია და აღტაცებას ვერ მალავდა... ეს ჩვენთვის გამარჯვება იყო. დიდი მეცნიერის მაღალი შეფასება ფრიად სასიხარულო იყო ყველა ქართველი ენციკლოპედისტისათვის. ბატონმა ვიქტორმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოხატა (ცხადია, იუმორით) იმის გამო, რომ სტატია „ამბარცუმიანი“ სწორედ ამ პირველ ტომში იყო. სომხურში ეს გვარი ჰაე-ზე მიდის (ჰამბარცუმიანი) და შესაბამისად ბოლო ტომში იყო დაგეგმილი.

ბატონი ირაკლი ხშირად შემოდის ჩემს კაბინეტში. მე, როცა ამის საშუალება იყო, მაღალი ხარისხის თეთრ ქაღალდზე ვწერდი. ბევრჯერ იტყოდა თავისთვის: ამ თეთრ ქაღალდს რომ ვუყურებ, წერა მინდებაო.

მქონდა პატივი, რომ ყველა ახლად დანერილი ლექსი, ჯერ კიდევ მელანშეუმშრალ ქაღალდზე, პირველს მე წამეკითხა. ძალიან უყვარდა სხვისი აზრის დაფასება-გათვალისწინება. დიდი რიდი ჰქონდა ირინასი — თავისი ქალიშვილისა.

ერთხელ ახლად დანერილი ლექსი შემომიტანა და წამეკითხა. მშვენიერი ლექსი იყო. იქ ასეთი სტრიქონები იყო:

„ჩემთან მთავრდება პოეტური თაობა ერთი,
როგორც მთავრდება ქსნის ნაპირთან მცხეთის საზღვარი“

მე ვუთხარი, რომ ძალიან კარგი ლექსია, მაგრამ მგონი ქსნის ნაპირთან არ მთავრდება მცხეთის საზღვარი-მეთქი. სიცილით მოკვდა: რომელი ვახუშტი ბაგრატიონი მე ვარ, გეოგრაფიას რომ ყურადღება მივაქციოო.

ერთხელ „ცისფერ დუქანში“ ვვახშმობდით, 1980 წლის დეკემბრის მიწურული იყო. ბატონი ირაკლი დარდიანი ჩანდა. უგუნებობის მიზეზი ვკითხე. შეწუხებულმა მიაძმო: წუხელ სიზმარში ორდე დგებუაძე ვნახე, ასე მითხრა: 12-ში გამოგივლი და წაგიყვანო. საერთოდ, ირაკლი აბაშიძე მორწმუნე იყო. ძალიან ხშირად აეროპორტის გზიდან მობრუნებულა; მიზეზი გაურკვეველი ან სრულიად უბრალო იყო. სიზმრისა განსაკუთრებით სჯეროდა. მაგრამ იმ საღამოს ვახშამი ისე გაიმართა, რომ ყველას დაავინყდა მისი მონაყოლი, თვითონ ბატონი ირაკლისაც კი. შემდეგ ახალი წლის პრველი დღეები მოვიდა... ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა.

ერთ დღეს, საათის ოთხზე ენციკლოპედიაში დაირეკა ზარი. ყურმილი ავიღე... ბატონი ირაკლი იყო. მისაყვედურა, აქამდე რატომ არ შემომეხმიანეო. ძალზე დათრგუნული, ყრუ ხმა ჰქონდა, შევწუხდი. მართლაც აქამდე არ მომისაკლისებია. ახალი წლის დღეები იყო და მაინც და მაინც სავალდებულოდ არ მიმიჩნევია ბატონი ირაკლის მოსვლა ენციკლოპედიაში. ადრეც ყოფილა ასეთი შემთხვევა, მაგრამ ბატონი ირაკლი არ განაწყენებულა ჩემგან მოუკითხაობის გამო. მორიდებით ვკითხე, რატომ არ მოხვედით-მეთქი. რატომ და



გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია.

ველოდებო. დაუფიქრებლად ვკითხე: ვის ელოდებით-მეთქი. ვისა და ორდეს ველოდები, დგებუაძესო. დღეს 12 იანვარია და ასე დამიბარა, უნდა გამომიაროს წასაყვანადო.

მე გამეცინა და ვუთხარი: ბატონო ირაკლი, რაღა ორდეს მიჰყვებით, ილია ჭავჭავაძეს და გალაკტიონს დაელოდეთ-მეთქი.

ბატონი ირაკლი უცებ გამხიარულდა. იმავე დღეს შევხვდით ერთმანეთს და ეს სიზმარიც დავინწყებას მიეცა.

P. S. ადრე არ მიმიქცევია ყურადღება...

ირაკლი აბაშიძე 12 იანვარს წაიყვანეს საავადმყოფოში, 1992 წელს, ზემოხსენებული სიზმრის ნახვიდან 12 წლის შემდეგ. მაინც საოცარია. ბატონი ირაკლი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ენციკლოპედიას გამოსვლა შეაგვიანდა. ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. სხვადასხვა სახის ღონისძიებები გავატარეთ. გავამკაცრეთ დისციპლინაზე მოთხოვნა... ენციკლოპედია დაიდრა... ამუშავდა. თანამშრომლებს უჭირდათ ზოგჯერ სამსახურში

დროზე მოსვლა. ერთხელ, როცა ბატონი ირაკლი მოდიოდა ენციკლოპედიაში, საკმაოდ დაგვიანებული თანამშრომელი აემგზავრა. ენციკლოპედიის კიბესთან ბატონ ირაკლის მიუმართავს: ფრთხილად, როინმა არ გაგვიგოს, რომ დავაგვიანეთო.

ირაკლი აბაშიძე გამჭრიახი გონების კაცი იყო და კონკრეტულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნარი ჰქონდა. ერთხელ მოსკოვის ტელევიზიაში — „ოსტანკინოში“ მიიწვიეს. მაშინ ამგვარი შეხვედრები მიღებული იყო. სცენაზე, სავარძელში ბატონი ირაკლი იჯდა... დარბაზი ხალხით იყო სავსე. გადაცემა პირველი არხით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად ნახევარი მსოფლიო უყურებდა. უამრავი შეკითხვა მიიღო პოეტმა და იგი სიამოვნებით, ზოგჯერ იუმორით პასუხობდა.

უცებ ერთი შეკითხვა წაიკითხა:

„Как вы относитесь к славе“

ირაკლი აბაშიძემ სწრაფად მიუგო:

„Как к женщине, не надо надоедать“.

დარბაზში ტაშმა იგრიალა...

ბატონი ირაკლი შესანიშნავად მღეროდა. ხმაც კარგი ჰქონდა და სმენაც. კარგად იყო შეწყობილი აკაკი ძიძიგურთან, შოთა ძიძიგურთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, დიდად აფასებდა ტუპია იაშვილის ბანს. მას შემდეგ, რაც ყელის ოპერაცია გაიკეთა, იგი ვეღარ მღეროდა, სიმღერის მოსმენა კი ძალიან უყვარდა. ერთხელ საინტერესო მოვლენის მოწმე გავხდი. სტუმრად იყო ჩამოსული ცნობილი მოღვაწე ირაკლი ანდრონიკოვი. ბატონმა ირაკლიმ სახლში ვახშამი გაუმართა და აი აქ, ორთავემ საოცარი ოსტატობით, სტვენით, შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერა „მოხევის ქალო“.


ბატონი ირაკლი ნოველასავით ყვებოდა ერთ ამბავს: ყმანვილ-კაცობაში ხონში, თურმე, ერთი გოგო მოსწონდა — მარუსია საღარაძე. მეტად ლამაზი და ამასთან შეძლებული ოჯახისშვილი ყოფილა. მოწონება სიყვარულში გადაზრდილა, მაგრამ სიყვარული ცალმხრივი გამომდგარა. ქალს უარი უთქვამს (ამას იუმორით ამბობდა ბატონი

ირაკლი). 1926 წელს ირაკლი აბაშიძე თბილისში წამოვიდა და აქ დასახლდა. მარუსია სალარაძე აღარ შეხვედრია. ერთ დღეს — ეს 1942 იყო, ბატონი ირაკლი უჩა ჯაფარიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, ალიო მირცხულავასთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად ბრუნდებოდა ფრონტის ხაზიდან — ჩრდილოეთ კავკასიიდან. „პოლტარატონკა“, რომლის ძარაზეც ბატონი ირაკლი და სხვები ისხდნენ, რუსთაველის პროსპექტზე შემოვიდა. აქ ცოტა შეფერხებული მანქანა... მიცვალელებულს მოასვენებდნენ. პროცესია ნელა მიემართებოდა. საოცარი ამბავი მოხდა... მანქანის ძარიდან უნებლიედ მიცვალელებისათვის შეუხედავს ბატონ ირაკლის და გაშეშებული... მიცვალელებული მარუსია სალარაძე იყო.

ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომის გამოსვლის შემდეგ, რაკილა დარწმუნდნენ, რომ ეს გამოცემა განხორციელდებოდა და საკმაოდ მაღალ დონეზეც, გახშირდა მწერლების მხრივ (სხვა კატეგორიის პერსონალიაზე მტკიცე კრიტერიუმი ჰქონდა დაწესებული) მოწოლა. აშკარად ითხოვდნენ, ენციკლოპედიაში შეგვიყვანეთო. ჩვენ საკმაოდ შორს ვიყავით წასული: პრაქტიკულად 1976 წელს 5 ტომის მასალა მზად გვქონდა და მასზე მუშაობა მიდიოდა. კორექტურაში ცვლილებების შეტანა, ცხადია, რთული საქმე იყო. ერთხელაც, როცა ბატონი ირაკლი აბაშიძე (მწერლების შეტანა-არ შეტანის საქმეს კომისიასთან ერთად ბატონი ირაკლი განაგებდა) უხასიათოდ იყო, მასთან მივიდა ენციკლოპედიაში მოხვედრის მოსურნე ერთი მწერალი. ბატონმა ირაკლიმ მოუსმინა და შემდეგ ნერვიულად უთხრა: ბატონო, ეს ენციკლოპედიაა და არა ხონის დილიჟანსი — ხელს რომ აუწევ, სადაც გინდა გააჩერებ და ჩაჯდებო.

ბატონი ირაკლი 1992 წლის იანვრის დასაწყისში შეუძლოდ შეიქნა. თითქოს ისეთი არაფერი იყო, მაგრამ მისმა მეგობარმა პროფესორმა ირაკლი ჭუმბურიძემ ურჩია, საავადმყოფოში დანოლილიყო. ირაკლი ჭოჭმანის შემდეგ დათამხდა. ულიმლამოდ დაიწყო ჩაცმა, თან იუმორით დაამატა: უკვე ოთხმოცს გადავცილდი, ამ ცხოვრებაში ყველაფერი მოლეული მაქვს, სიკვდილის გარდაო...

ბატონი ირაკლი ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა...



1966 წელი. წყნეთი. გიორგი ლეონიძის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ირაკლი აბაშიძე ახლო ურთიერთობაში იყო პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან. ესენი პატივს სცემდნენ მას, აფასებდნენ მის ნიჭს და ახალისებდნენ. ერთხელ სამივე დაუპატიჟია ვახშმად ცნობილ მშენებელს — ვლადიმერ ჯიქიას. კარგად მოუღებინათ. პაოლო და ტიციანი გატაცებით კითხულობდნენ თავიანთ ლირიკულ ლექსებს. ირაკლისთვისაც უთხოვიათ ლექსის წაკითხვა. შემდგომში ირაკლი აბაშიძე სიცილით იგონებდა ამ ამბავს: იმხანად ახლად დაწერილი ლექსი ჰქონია ობლიგაციისადმი მიძღვნილი და სწორედ ეს ლექსი წაუკითხავს დიდი რიხით. ვლადიმერ ჯიქიას შეუქია, მერე პაოლო და ტიციანს მიბრუნებია და უთქვამს: აი, ლექსი ეს არის, აბა თქვენ სიყვარულზე რომ წერთ, ის რა ლექსებიაო. მომიახლოვდიო, უთქვამს ირაკლისათვის, ირაკლი ცოტა დაბნეული მისულა ბატონ ვლადიმერთან. ამ უკანასკნელს ხელი ჩამოურთმევია, ახლო მიუზიდავს და ყურში უთქვამს: ბიჭო, ობლიგაცია რამ შეგაყვარაო...



ირაკლი აბაშიძე, მერაბ დონაძე, ნუგზარ გელაშვილი, ირაკლი შუშანიძე.

ქალაქში რაიმე ამბავი თუ გავრცელდებოდა, ამ ამბის ავტორად ირაკლი აბაშიძეს ასახელებდნენ. ბატონი ირაკლი მოისმენდა, თუ მოეწონებოდა, დასძენდა: კი, მე ვიტყვოდიო, თუ არა და: მაგას ნოდარია შავი ან ჯანსულია შავი იტყოდაო (ნოდარ დუმბაძე და ჯანსულ ჩარკვიანი ჰყავდა მხედველობაში). ორივე მათგანი გულწრფელად უყვარდა და მათ ნიჭსაც (განსაკუთრებით იუმორს) სათანადოდ აფასებდა.

ერთ დღეს ირაკლი აბაშიძე ძალიან კარგ გუნებაზე შემოვიდა ენციკლოპედიაში. იცინოდა: ბაზარში ვიყავი ვაშლის საყიდლად, გამყიდველმა ვაშლი ამიწონა და ფული არ გამომართვაო, ბატონ ირაკლის კეთილი გამყიდველისთვის მორიდებით უკითხავს: მიცანიო? გამყიდველს ამაყად უპასუხია: კარგად გიცნობთ, თქვენს ხმას რადამავინყებს, ვახუშტი ხართ, კოტეტიშვილიო. ირაკლი აბაშიძე ხუმრობდა: ასევე წარმატებით ჭაბუა ამირეჯიბი შეიძლება ვყოფილიყავიო.

ირაკლი აბაშიძე ბოლო წლებში ბევრს ფიქრობდა ცხოვრებაზე, ადამიანურ სისუსტეებზე; ყოველ ნაბიჯს წონიდა, ყოველ სიტყვას ზომავდა. ეს დიდი გზაგამოვლილი კაცის სიფრთხილე იყო. თავისებურად რეაგირებდა პოლიტიკურ ცვლილებებზე. დავიღალეო — წამოსცდა ერთხელ, თუმცა სრულიად მხნედ გამოიყურებოდა. რატომღაც შიშობდა, ამ „არეულ დროში“ ისეთი არაფერი გავაკეთო, რომ შემდეგ სანანებელი გამიხდესო. ერთ დღეს ცინცხალი, მელანშეუმშრალი ლექსი შემომიტანა, სადაც ზემოთქმული პოეტურ რეზიუმედ ჰქონდა გადმოცემული. ლექსი ასე მთავრდებოდა:

„ჩემი ცხოვრების ან დარჩენილ ორ თუ სამ სვლაში
თვითვე არ ვუთხრა უნებურად ჩემს თავს შამათი“.

რამდენი ტომია ქართული ენციკლოპედია? ოფიციალურად 12. აქედან თერთმეტი ძირითადი ტომია, ერთი (ორ წიგნად) — დამატებითი.

ახლა ჩავიხედოთ უფრო ღრმად. ქსე-ში სულ 65 ათასამდე ტერმინია. არცერთი სხვა ქვეყნის (მხედველობაშია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები) ენციკლოპედიის 11 ტომში არ მოთავსებულა ამდენი ტერმინი. თვით დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ტომეულებში თითოეულში შეტანილია 3700—3900 ტერმინი: ქსე-ის ერთ ტომში საშუალოდ 5800 — 6000 ტერმინია, რომელიც დაახლოებით 6 მლნ. სასტამბო ნიშანს შეადგენს. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის I ტომში სასტამბო ნიშანთა რაოდენობა — 3 მლნ 600 ათასი — 4 მილიონი, ქართულ ენციკლოპედიაში — 5—6 მილიონი.


ქართული ენციკლოპედიის რაციონალურმა და ეკონომიურმა მაკეტმა, საერთო მხატვრობამ (ლადო გრიგოლია, შოთა ნიორაძე) და ასევე ორიგინალურმა და ეკონომიურმა შრიფტმა (ავტორი ანტონ დუმბაძე) საშუალება მოგვცა ენციკლოპედიის თითოეული გვერდი ტევადი გაგვეხადა.

ოფიციალურად, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ქსე-ის ერთი ტომის მოცულობა 40 ფიზიკური თაბახი უნდა ყოფილიყო. არ იყო განსაზღვრული, თუ ერთ ფიზიკურ თაბახში რამდენიმე სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა (თაბახი) უნდა ჩატეულიყო. ამან საშუალება მოგვცა, რომ მაქსიმალურად დაგვეტვირთა თითოეული თაბახი და ზოგჯერ ოთხი ან მეტი სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა ჩაგვეტია. ეს გადაჭარბება დიდი დარღვევა იყო და ბევრს ვყოყმანობდით ბატონ

ირაკლისთან ერთად, — გადაგვედგა თუ არა ამგვარი ნაბიჯი. არა და ენციკლოპედიას ის ნამდვილად სჭირდებოდა. საბედნიეროდ, არავინ ჩაჰკვირვებია ამ საქმეს და ყურადღება არავის მიუქცევია.

ასე რომ, მიუხედავად საკმაოდ მტკიცე ჩარჩოებისა, ქართული ენციკლოპედია თავისი ინფორმაციის შემცველობით, ილუსტრაციებითა თუ სხვა მასალით რეალურად 20—ტომიანი გამოცემის ბადალია. აქამდე ეს საიდუმლოდ გვექონდა შენახული. ბატონმა ირაკლიმ ეს საიდუმლო საფლავში წაიღო. ახლა შეიძლება ამის თქმა.

ენციკლოპედიის რედაქციაში ერთი თანამშრომელი იყო. საკმაოდ კარგი რედაქტორი. ძალიან პუნქტუალური და საქმის ზედმინევნით დროულად შემსრულებელი. იგი ამავე დროს მოჭადრაკეც იყო. აქტიური საჭადრაკო საქმიანობისათვის თავი დაენებებინა და მწვრთნელობისათვის მოეკიდა ხელი. გოგონებს წვრთნიდა, წარმატებითაც.



ირაკლი აბაშიძე, ამირან მექვაბიშვილი.

ერთხელ, როცა თავის აღსაზრდელებთან ერთად მოსამზადებელ შეკრებაზე უნდა გამგზავრებულიყო, ეს თანამშრომელი სამივლინებო საქმეების მოგვარებას შეუდგა. სამივლინებო ბარათზე ხელს მეც ვანერდი და, ცხადია, ბატონი ირაკლიც. როცა შემოსულა მისაღებში (როგორც ვთქვი, ჩემი და ბატონი ირაკლის ოთახები ერთმანეთის პირდაპირ იყო), უფრო პრესტიჟულად ჩაუთვლია ბატონი ირაკლის ხელმოწერა და მასთან შესულა. მიუწოდებია სამივლინებო ბარათი. ბატონი ირაკლი რაღაც თავისი პრობლემით ყოფილა დაკავებული, მაინც და მაინც ყურადღება ვერ გამოუჩენია. თანაც, როგორც ჩანს, კარგად არ იცნობდა ამ თანამშრომელს და არც მისი საჭადრაკო საქმიანობის შესახებ იცოდა რამე. შემსვლელმა აცნობა, რომ სპორტულ შეკრებაზე მიდის ლვოვში და მას მივლინების გაფორმება ესაჭიროებოდა. ბატონმა ირაკლიმ სასხვათაშორისოდ აიღო კალამი და სამივლინებო ბარათზე ხელის მოწერა დააპირა... შემდეგ პაუზა გააკეთა. ახედ-დახედა თანამშრომელს და გაიფიქრა — ეს ალბათ მოჭიდავე იქნებაო და ყოველი შემთხვევისათვის ჰკითხა: შენ რომელ ნონაში გამოდიხარო... თანამშრომელმა უხერხულად იგრძნო თავი, შეწუხდა — მთავარი რედაქტორი არ იყო ინფორმირებული მისი სპორტული საქმიანობის შესახებ. ლვოვში სამი თვე უნდა დარჩენილიყო. სამ კვირაში დაბრუნდა. მიზანი ერთი ჰქონდა: ბატონი ირაკლისათვის გაეცნო და კარგად დაემახსოვრებინა თავი. საგანგებო წვეულება გამართა, სადაც ირაკლი აბაშიძესთან ერთად სხვა ბევრი გამოჩენილი მოღვაწეც მიიწვია. ბატონი ირაკლის სადღეგრძელო თავშივე წარმოითქვა. მასპინძელმა მხურვალე სიტყვებით მიმართა ბატონ ირაკლის და ასეთი ამბავიც დაამატა: დღეს დილით ტაქსით მოვედი ენციკლოპედიის რედაქციაში. ტაქსისტმა მკითხა: შენ აქ მუშაობ? ირაკლი აბაშიძესთანო? როცა დადებითად ვუპასუხე, ფული აღარ გამომართვა.

ბატონმა ირაკლიმ ვერ ირწმუნა ტაქსისტის ასეთი „გმირობა“ და იუმორით წარმოთქვა: კი, ეგრე იქნებოდა, ენციკლოპედიის თანამშრომლების მიყვანისათვის ფული ტაქსისტებს წინასწარ გადავუხადეო...

ირაკლი აბაშიძე მატერიალურად, შეიძლება ითქვას, ნორმალურად ცხოვრობდა. ხელფასი კარგი ჰქონდა, ჰონორარსაც იღებდა... მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა და თანაც ხშირ სტუმრიანობასაც თავისი მიჰქონდა... ამიტომ ზოგჯერ ვალსაც იღებდა ენციკლოპედიის მოლარის — ალიოშა კვაჭაძისგან, რასაც ხელფასზე ასწორებდა —



ჰამლეტ ჭიპაშვილი, ედვარდ კენედი, ირაკლი აბაშიძე.

იხდიდა... იმხანად ბრძოლა მიმდინარეობდა მექრთამეობის წინა-
აღმდეგ... ინერებოდა პრესაში, გადაცემები ენცობოდა ტელევიზიაში...
ერთ დღეს ბატონი ირაკლი შემოვიდა ჩემთან გაბრაზებული — ალიოშა
კვაჭაძე ვერ ვიპოვე, სად დადისო — მკითხა. მივხდი, რაშიც იყო საქმე,
მოვიკითხე, რამ შეგანუხათ-მეთქი. კითხვაზე კითხვით მომიგო:

— თუ კაცი ხარ, ამიხსენი: მე ქრთამს არ მაძლევენ თუ არ ვიღებო...
ამ დროს ალიოშა კვაჭაძეც გამოჩნდა...

ირაკლი აბაშიძეს ჰქონდა ინდოეთისადმი მიძღვნილი ლექსების
ციკლი, რომელმაც იმთავითვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება. ეს
ლექსები ინდურადაც ითარგმნა. შედეგი ის იყო, რომ ირაკლი აბაშიძე
ჯავაჰარლალ ნერუს პრემიით დააჯილდოვეს. პრემიის გადაცემა
დელიში მოხდა. თვით ინდირა განდიმ, ჯავაჰარლალ ნერუს
ქალიშვილმა, შეასრულა ეს მისია. ბატონი ირაკლი ძალიან კმაყოფილი
დაბრუნდა დელიდან. ქართველ მწერალთაგან მას ერთადერთს ჰქონდა
ეს პრემია და მოშურნენიც გამოჩნდნენ. ვილაცამ თქვა კიდეც: ერთი-
ორი ლექსი მეც მაქვს დაწერილიო და... ბატონი ირაკლი გულიანად
იცინოდა ამაზე, თან ხუმრობდა. პრემიის ყველა მსურველს მე ვასწავლი,
რა უნდა გააკეთოსო... ჯერ ინდოეთის გზა უნდა ისწავლოს, მერე

დელიში ჩავიდეს, ცენტრალურ ქუჩაზე გავიდეს და იქ კუთხეში („უგლოში“) არის ინდირა განდის რეზიდენცია, მაგრამ მთავარი ერთია: კარგი ლექსები უნდა გქონდესო.

ენციკლოპედიის ყოფილი თანამშრომელი ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა. ბატონ ირაკლის დავურეკე, ამბავი შევატყობინე. შემდეგ პანაშვიდზე მივედი. მეორე დღესაც წავედი პანაშვიდზე. გასვენებაში წასასვლელადაც გავუარე. ბატონმა ირაკლიმ ღიმილით მითხრა: ნამეტანი მოგვივიდა სიარული. ამ კაცის მოკვლა ჩვენ არავინ დაგვაბრალოსო.

სამოცდაათიანი წლების მიწურულს ამერიკელი სენატორი ედუარდ კენედი (ჯონ და რობერტ კენედის ძმა) ჩამოვიდა სტუმრად საქართველოში. ირაკლი აბაშიძე იმხანად საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ იყო არჩეული და ამიტომ მას მოუხდა მაღალი სტუმრის მასპინძლობა. ედუარდ კენედი ამერიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად ითვლებოდა და ესეც ზრდიდა მისდამი ინტერესს. ბატონმა ირაკლიმ მოხიბლა ამერიკელი სტუმარი. ეს უკანასკნელი ვერ ფარავდა უდიდეს კმაყოფილებას საქართველოთი და მისი მასპინძლობით.

გამოსათხოვარ სუფრასთან ედუარდ კენედიმ დიდი მადლობა უთხრა მასპინძლებს... ბატონმა ირაკლიმ შეაჩერა და ერთი ამბავი მოუთხრო — 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სამხედრო გზით საბჭოთა კავშირის მაშინდელი ცაკის თავმჯდომარეს — მიხეილ კალინინს უმოგზაურია, მოსკოვს მიდიოდა. გზის დიდი მონაკვეთი ეტლით უნდა გაეგლო. სტუმარი ფასანაურში შეჩერებულა და გზის პირას მდგარ დუქანში უსადილია. სასწაულად გემრიელი კერძებით გამასპინძლებიან. მიხეილ კალინინი იმდენად კმაყოფილი ყოფილა, რომ მედუქნე უხმია და თავისი სამსახური შეუთავაზებია — ხომ არაფერი გჭირდება, რომ დაგეხმარო. მედუქნე ჭკვიანი და შორს მჭრეტელი აღმოჩნდა: დახმარებით არაფერი მინდა, ერთი რამ მანუხებს — ცუდი გზებია და როგორ გაივლით, იმაზე ვფიქრობო, თუ არ შენუხდებით, როცა დედაქალაქში ჩახვალთ, მაცნობეთ, როგორ იმგზავრეთო. მიხეილ კალინინმა გულწრფელად დაიჯერა მედუქნის „ნუხილი“ და მოსკოვში ჩასვლის უმაღლესი დეპუტატი გამოგზავნა ფასანაურში: „Дорогой Захарий Захарьевич, доехал благополучно, твой Михаил Калинин“. ჭკვიანმა

მედუქნემ ეს დეპეშა ჩარჩოში ჩასვა და ჩამოკიდა. მისი საქმეც კარგად მიდიოდა... 1946 წლამდე — მ. კალინინის გარდაცვალებამდე.

ედუარდ კენედიმ ბევრი იცინა ამ ამბავზე და ელოდა, თუ რას ეტყოდა ირაკლი აბაშიძე. ბატონმა ირაკლიმაც არ დააყოვნა: აი, ბატონო კენედი, თქვენ შესანიშნავი ბოინგი გყავთ, იმედი მაქვს ფრენითაც კარგად იფრენთ და მშვიდობიანად ჩაფრინდებით, ხოლო როცა თქვენ აგირჩევენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად, მაშინ გთხოვთ გამომიგზავნოთ დეპეშა „*доехал благополучно*“ და ჩემთვის გასაგები იქნება ყველაფერიო.

საქართველოთი აღფრთოვანებულმა ედუარდ კენედიმ ცოტა სხვაგვარად შეასრულა ეს თხოვნა და სამშობლოში დაბრუნების უმაღლ გამოუგზავნა ირაკლი აბაშიძეს მადლობის წერილი. ძალიან თბილად იგონებდა სენატორი საქართველოს და მისი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გულწრფელ მადლობას უთვლიდა. კეთილი სურვილისათვის მადლიერი იყო, თუმცა ეჭვობდა, რომ ბატონი ირაკლის ეს სურვილი — ედუარდ კენედის პრეზიდენტობა, გამართლდებოდა.

სენატორი სწორი გამოდგა...

ირაკლი აბაშიძე ენციკლოპედიის შენობისთვის ადგილს ეძებდა. ეს ძნელი საქმე იყო. თბილისში, განსაკუთრებით მის ცენტრში, ცოტა მიწები იყო აუთვისებელი. ერთი უმაღლესი სასწავლებლის ეზოს დაადგა თვალი. ეახლა ამ სასწავლებლის რექტორს და სთხოვა, იქნება ეზოს ნაწილი დათმო ენციკლოპედიის შენობისთვის. რექტორმა, ეს ბუნებრივიც იყო, ქვა ააგდო და შეუშვირა: ეს როგორ გაბედეთ, განა არ მოგეხსენებათ, ეზო როგორ გვჭირდებაო? უსმინა ბატონმა ირაკლიმ რექტორის ბუზლუნს, შემდეგ ღიმილიანმა წარმოთქვა: კარგი, ჩემო ძვირფასო, შენ არ მოგვცემ, სხვა რექტორი მოგვცემს!

იმხანად ირაკლი აბაშიძეს დიდი ავტორიტეტი და მთავრობაში გავლენა ჰქონდა. ამ რექტორმა იფიქრა, გლახადაა ჩემი საქმე, თუ ირაკლიმ ცუდი რამ ჩაიდო გულშიო და...

მობრძანდით ბატონო, მე თქვენ სწორად ვერ გამიგეთო.

ამ ეზოში აშენდა ენციკლოპედიის რედაქციის მშვენიერი შენობა.

ერთი ფართოდ გავრცელებული ამბავი... ირაკლი აბაშიძის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ მუშაობისას საჭირო გახდა

დელეგაციის გაგზავნა სანქტ-პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში). ამგვარი რამ ხშირად ხდებოდა და არც ახლა იყო უჩვეულო. გადაუწყვეტიათ ორი მწერლის გაგზავნა, შეურჩევიათ და თავმჯდომარესთანაც შეუთანხმებიათ. ორივე ღირსეული და კარგი პოეტი იყო. საკითხი დადგა, თუ რომელი მათგანი იქნებოდა ამ ორკაციანი დელეგაციის ხელმძღვანელი. ერთ-ერთ მათგანს ამ კითხვით მიუმართავს კიდეც ბატონი ირაკლისათვის: რომელი იქნება დელეგაციის ხელმძღვანელიო. ირაკლი აბაშიძეს (იგი ორივეს პატივსა სცემდა და მათი ხათრი ჰქონდა) ღიმილით უპასუხია: ლენინგრადში რომ ჩახვალთ, დაგხვდებიან ადგილობრივი ხელმძღვანელები და კორესპონდენტები. ისინი როცა იკითხავენ, თუ რომელი ხართ დელეგაციის ხელმძღვანელიო, უთხარი — ის არის-თქო (მეორე მიუნიშნებია)... ისე შენ იყავიო.

ასე გაურკვევლად წავიდა და წამოვიდა ეს ორი პოეტი, ბოლომდე ვერ გაარკვიეს — ვინ იყო დელეგაციის ხელმძღვანელი.

ირაკლი აბაშიძის დაბადების 70 წლისთავი ფართოდ აღინიშნა მთელ საბჭოთა კავშირში (1979 ნოემბერი). ცხადია, თბილისში დიდი ღონისძიება ჩატარდა. შეხვედრები მოუწყვეს საქართველოს ყველა კუთხეში, მოსკოვში, ლენინგრადში. ბატონი ირაკლი სოციალისტური შრომის გმირი გახდა. 24 ნოემბერს თბილისში ჩატარებული საიუბილეო საღამოს მეორე დღეს, რესტორან „არაგვში“ ბანკეტზე დიდძალმა სტუმარმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ჩვენი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები, მთავრობის წევრები. ზოგი (რასაკვირველია, ირაკლის სიყვარულით) დაუპატიჟებელიც მოვიდა. ბატონი ირაკლი ყველას ღიმილით ხვდებოდა. როცა ერთმა მისთვის უცნობმა ახალგაზრდამ მოინდომა მილოცვა, ბატონმა ირაკლიმ ღიმილით გაუწოდა ხელი და მიმართა:

„თქვენც შეგანუხეს, ბატონო?“...

ქუთაისმა გელათის აკადემიაში ქართული ენციკლოპედიის ტომეულების განხილვა მოაწყო. საინტერესო საუბარი გაიმართა. მეორე დღეს თბილისისკენ გამოვემართეთ. გზად ირაკლი აბაშიძის მეგობართან სოსო მხეიძესთან შევეჩერდით თერჯოლაში. ეს დაგეგმილი შეჩერება იყო. აქ უნდა გვესადილა. ბატონმა ირაკლიმ ორი ქუთაისელი



გოგი ცაბაძე, ირაკლი აბაშიძე, ავლიზ ზურაბაშვილი.

მეგობარი იახლა თან. ერთი პოეტი იყო, მეორე — ცნობილი ქუთაისელი თამადა სოსო ხარაბაძე. ნატიფი იმერული სუფრა გაიშალა. თამადად ბატონმა ირაკლიმ სოსო ხარაბაძე დანიშნა. მეორე ქუთაისელს ცოტა წყენა შეეტყო. ალბათ, არც ის იტყოდა უარს სუფრის თავკაცობაზე. დაიწყო ჩვენი სუფრული ცხოვრება. სოსო ენამზეობდა. ორიგინალურ და საინტერესო სადღეგრძელოებს ამბობდა, რითაც თანამესუფრენიც კმაყოფილი იყვნენ და თავადაც წახალისდა. განსაკუთრებით კარგად გრძნობდა თავს ირაკლი აბაშიძე. ერთ-ერთი სადღეგრძელოს შემდეგ ქუთაისელმა პოეტმა საკმაოდ უკმეხად მიმართა თამადას: მაგი ძველიაო, დაუნუნა სადღეგრძელო. შეწუხდა სოსო ხარაბაძე, ირაკლი წაეშველა: არა უშავს, სოსო, „ვეფხისტყაოსანიც“ ძველია, მაგრამ ბევრის ახალ ლექსებს სჯობიაო...

ერთ ზაფხულს ბიჭვინთაში ვისვენებდით ოჯახებით. საღამოობით ხანდახან იქაურ მეგობრებთან სტუმრობაც გვიხდებოდა. სტუმარს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან აფხაზეთში. ინკითის ტბის ნაპირას მოგვინია ერთხელ აფხაზი მეგობრების თავაზიანი სუფრის „მიღება“. აფხაზი ბიჭები შესანიშნავად მღეროდნენ, ძირითადად ხალხურ სიმღერებს. გარკვეული მიზეზის გამო ადრიაანად მოვინდომე სუფრის დატოვება. ბატონ ირაკლის უჩემოდ დარჩენა ეძნელებოდა და წამოსვლაც არ უნდოდა. როცა დარწმუნდა, რომ მე აუცილებლად უნდა წავსულიყავი, მომღერლებს მიმართა: ბიჭებო, რაიმე გრძელი სიმღერა შეასრულეთო. დაიწყეს აფხაზებმა სიმღერა. მართლაც საოცრად გრძელი იყო ეს სიმღერა. მეც მის დამთავრებას დაველოდე. სიმღერის დროს ჩემი წასვლა შეიძლება გაეგოთ და ამას მოვერიდე. ბატონი ირაკლი საოცრად კმაყოფილი იყო, რომ სუფრასთან ყოფნა გაიხანგრძლივა.

ირაკლი აბაშიძის 70 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. გასხივოსნებული იყო ირგვლივ ყველაფერი. საოცრად ლამაზი იყო სცენა, სადაც შემადღებულ კვარცხლბეკზე ცოცხალი ყვავილებით შემკულ სავარძელში იჯდა ბატონი ირაკლი. სამი, ანგელოზის მსგავსი გოგონა გაუნძრევლად იდგა იუბილარის ირგვლივ ისე, რომ საოცრად ამშვენებდნენ იუბილარს. საღამო არაჩვეულებრივად ამაღლებული გამოდგა, ეროვნულ ზეიმად გადაიქცა.

მაღლე ქუთათურებმაც გაუმართეს საღამო ბატონ ირაკლის. აქაც ზარ-ზეიმი იყო. დიდი სიყვარული და სითბო აგრძნობინეს პოეტს. იუბილეს ქუთაისური ციკლი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ერთ დილას, როცა ირაკლი აბაშიძე სასტუმროდან გამოვიდა, მასპინძლებმა ყვავილებით შემკული თეთრი ცხენებზემული ეტლი დაახვედრეს და ქალაქში გასეირნება შესთავაზეს. ბატონი ირაკლი ცოტა შეცბა და სასტიკად იუარა — ამ ეტლით დიდმა აკაკიმ ისეირნა ქუთაისის ქუჩებში, ეს პატივი მე არ მეკუთვნისო.

ირაკლი აბაშიძე მრავალი დიდი და საინტერესო ღონისძიებების მონაწილე იყო, ზოგჯერ — აქტიურიც. ორმოცდაათიანი წლების მიწურული და სამოციანის დასაწყისი მწერლის ცხოვრებაში სხვა მრავალ მოვლენასთან ერთად ნიკიტა ხრუშჩოვის გახმაურებული შეხვედრებით აღინიშნა. ეს იყო შეხვედრები შემოქმედებით ინტელიგენციასთან თავისი ზოგჯერ კურიოზული შემთხვევებით (ასე მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ნ. ხრუშჩოვი მოქანდაკე ერნსტ ნეიზვესტნის წვერებში წვდა და მოქაჩა. ეს ის მოქანდაკეა, რომელმაც, ნ. ხრუშჩოვის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძეგლი შექმნა და დადგა ნოვოდევჩიის სასაფლაოზე). ირაკლი აბაშიძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო იმ დროს, და, ბუნებრივია, ყველა შეხვედრაში მონაწილეობდა...

ერთ დღეს ბატონი ირაკლი ღიმილიანი შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში ენციკლოპედიის რედაქციაში და მაგიდაზე დამიდო სურათი: კრემლის ყრილობათა სასახლეში სხდომაა, პრეზიდიუმში ზის ბატონი ირაკლი (ცხადია, სხვებთან ერთად), ტრიბუნაზე კი ნ. ხრუშჩოვი დგას და წარმოთქვამს სიტყვას. ბატონი ირაკლი გულმოდგინედ უსმენს. ღიმილითვე მითხრა: დახედე, რამდენი სისულელე მაქვს მოსმენილი ჩემს ცხოვრებაშიო.


სურათზე მოძღვნის წარწერა გააკეთა: „ძვირფას როინს! ჩემი გრძელი და რთული ბიოგრაფიის ერთი ფურცელი. ირაკლი აბაშიძე, 1980 წ.“.

ირაკლი აბაშიძე მოხდენილად, ლაზათიანად იცვამდა. კოსტუმებს ცნობილი მკერავი საიათა უკერავდა. ერთ დღეს მთხოვა: საიათასთან წამყევი, ზურიკომ ესპანეთიდან კარგი საკოსტუმე გამომიგზავნა და უნდა შევიკერო, მერე დაამატა: ეს ალბათ ბოლო კოსტუმი იქნება... ჩემი ხნის კაცს მეტი არ დასჭირდებაო. ამ ნათქვამზე ორივემ გავიცინეთ.

გავიდა ცოტა ხანი, და ისევ მეუბნება ბატონი ირაკლი, საიათასთან წავიდეთ, ტვიდის პიჯაკი უნდა შევიკეროო. იმხანად „ტვიდი“ მოდაში იყო. ეს კი ნამდვილად ბოლო პიჯაკი იქნება ჩემთვისო. გავიდა გარკვეული დრო და ბატონი ირაკლი ისევ სიცილით მეუბნება: საიათამ დამირეკა, კარგი მასალა მიუღია და კოსტუმის შესაკერად მეპატიჟებაო და მოჰყვა



ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე.



ირაკლი აბაშიძე, ედუარდ შევარდნაძე.

ამბავს: დედაჩემი ყოველი კაბის შეკერვაზე ამბობდა, ეს, ეს კაბა ჩემთვის ალბათ ბოლოაო... და ერთ-ერთი ასეთი „განცხადების“ შემდეგ ჩემმა დამ ანგარიშმიუცემლად უთხრა: შენ სულ ასე ამბობ და არ კვდებიო.

მეც პირობას გაძლევ, მეტს აღარ დავინუნუნებო. მის შემდეგ ბატონმა ირაკლიმ ბევრი კოსტუმი გამოიცვალა.

ირაკლი აბაშიძეს ძალზე უყვარდა კარგი მომღერლები, განსაკუთრებით სუფრასთან. თავად შესანიშნავი ხმისა და სმენის მქონეს არ გამოეპარებოდა ნამდვილი სიმღერა, იცოდა მისი ფასი. ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი პურობის საღამოს, ცნობილი მომღერალი ცინუკი დადიანი

ესწრებოდა. ქალბატონმა ცინუკიმ რამდენიმე სიმღერა შეასრულა და შემდეგ ბატონ ირაკლის ყურადღება მიაქცევინა ერთ სიმღერაზე, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით შეასრულა. ეს იყო „სიონში შევალ“. სიმღერის დასასრულს ყველა იქ მყოფი თვალცრემლიანი იყო. სევდიანი სიმღერის ბრწყინვალე შესრულებით ყველა კმაყოფილი დარჩა.

— გახსოვს, ირაკლი? — მიმართა ცინუკი დადიანმა და გვიამბო, თუ შორეულ 1942 წელს ერთ დღეს, როგორ შევიდნენ სიონში, სანთლები დაანთეს და მან სთხოვა ირაკლი აბაშიძეს, სამამულო ომში დაღუპულთა მოსაგონარი ლექსი დაენერა. ლექსი იქვე ზეპირად დაწერილა, ცინუკი დადიანს კი თავად შეუქმნია მუსიკა და თავადვე შეუსრულებია. ასე იყო შემდგომშიც. „სიონში შევალ“ მთელ საქართველოში გახდა პოპულარული.

ბატონ ირაკლის აქამდე, ცინუკი დადიანის შეხსენებამდე, არც მოუყოლია ეს ამბავი.

ვითომ არ ახსოვდა?!

ირაკლი აბაშიძე ლირიკოსი პოეტი იყო. ამასთან ძალზე მწირი ოდენობის მიძღვნილი ლექსები ჰქონდა. თითქმის არ ჰქონდა ლექსები მიძღვნილი თავისი მეუღლის — ქალბატონი ნელისადმი. ეს ნაბიჯიც გადაიდგა... ბატონმა ირაკლიმ მშვენიერი ლექსი — „შენ დაგიტოვებ“ უძღვნა მეუღლეს. როცა ლექსი ქალბატონმა ნელიმ მოისმინა, მოუწონა იგი. ბატონმა ირაკლიმ განსაკუთრებული ხაზგასმით წაიკითხა ერთი სტრიქონი:

„შენ დაგიტოვებ ჩემს დაღლილ ღიმილს“.

ქალბატონმა ნელიმ ჩვეული იუმორნარევი სიმშვიდით მიმართა მეუღლეს: ირაკლი, ცოტა ფულიც დამიტოვეო.

P. S. ირაკლი აბაშიძის მეუღლე — ქალბატონი ნელი, შვილები: ირინა, ზურაბი, ვახტანგი დედისა და მამისგან იუმორ ნაზიარევენი არიან.

1999 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ირაკლი აბაშიძე 90 წლის გახდებოდა. ის კაცი იყო... კაცურად იცხოვრა და კაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან. ნათელში იყოს მისი სული.

1990 წ.



რეზო ამაშკელი, ირაკლი აბაშიძე.

რეზო ამაშუკელი

იქ, კაიროში

რაკლი აბაშიძისადმი

იქ,
კაიროში,
სადაც ლუდიც ძვირად გვიღირდა,
შენს სადღეგრძელოს ვსვამდით სამნი
იმგვარ რიხითა,
თითქოს ჭიქებში
გვიღუოდა ქინძმარაული,
გახსენეთ ლექსით,
მონაგარით და სახლეულით.

იქ,
კაიროში,
ფეხზე იდგა სამი ქართველი
და მშობელ მინას ახსენებდა
შენი სახელით!

ახლა აქა ვარ,
ჩემს თბილისში,
ჩემი ფანჯრიდან
თვალმა მრავალი მოგონება
უხმოდ განჭვრიტა
და მახსენდება,
ყოველივე რარიგ ვიდოდა
არვინ უწყოდა,
საიდან რა გამოვიდოდა,
ხან იყო თვლელმა,
ხანაც სრბოლა თავანწყვეტილი,
მაგრამ სვე შენი
ცაში იყო გადანყვეტილი!
მე მედიმება და ვაი რომ ასე დავრჩები,
სანამ შერგავენ
სოროებში თავებს მაჩვები,
სანამ მიმოდის

დასტა ჭორი, დასტა ამბავი
და ღვთით ნაკურთხი
ასოც არა აქვს დასასტამბავი.
მხოლოდ ხალხია განმკითხავი,
ბეჭდის დამსმელი,
ვინ კაცი იყო,
ვინა მსმელი და არამსმელი!
მხოლოდ ის,
როცა დამთავრდება დღეთა მარულა,
ზოგს შხამ-სამსალად გარდევება,
ზოგს — სიყვარულად.

შენდა ხსენებად
ტუჩს მოადგა სიტყვა სადარი:
- კაი ქართველი,
კაი კაცი,
კაი საყდარი,
და, როგორც ხატი სახიერი
ნასამუშარი,
ხარ მასპინძელი,
მოზიარე,
ძმა და სტუმარი.
სხვათა ეკვდერი
მავანივით არ გილანძღია,
შენ სხვანაირი მირონი და
მადლი გაცხია!
შენ მეგობრობის ღარზე გქონდა
პეშვი შედგმული,
იმ მეგობრობის
სამუდამოდ დარჩი ერთგული!
არა, არ იყო იმ უღელში დგომა იოლი,
საკუთრად არც რა გდომებია ერთი ფიორი
და მსახურებდი ერის საქმეს
საქმეს მამულის,
დედამ აკვანში რომ გირწია,
იმ სიყვარულით!

იქ,
კაიროში,

სადაც ლუდიც ძვირად გვიღირდა,
შენს სადღეგრძელოს ვსვამდით სამნი
იმგვარ რიხითა,
თითქოს ჭიქებში გვიღუოდა
ქინძმარაული,
გახსენეთ ლექსით,
მონაგარით და სახლეულით.
იქ,
კაიროში,
წამოვდექით სამი ქართველი
და საქართველო მოვიგონეთ
შენი სახელით!..


1969 წ. 28 ნოემბერი.

ჯანსუღ ჩარკვიანი მღუპარება

დიახ, ასეა,
წავიდა ყველა,
როგორ დავმშვიდდე,
ყველა წავიდა.
ზამბახებივით გაზრდილი წყენა
მოიპარება ლურჯი ყანიდან.

...

შენ დგახარ მარტო,
შენ დგახარ ობლად,
მოკრძალებული და სევდიანი,
შურისძიება, ისე ვით დომბა,
დაშლივინობს და დახეტილობს.
წყალს წაუღია ხიბლი და ნდობა,



ჯანსუღ ჩარკვიანი, ირაკლი აბაშიძე.

დგას მდუმარება ოხერტიალი.
 მზისა და მთვარის ნელინელ ქრობას
 ვუმზერ და სულის თონე რიალებს,
 ერთი ყოფილა გლოვა და თრობა,
 თუკი უდაბნო პოვე ტრიალი,
 ნადიმი? ძმობა?
 მოყვრობა? მტრობა?
 სუყველაფერი დათვლილი არი.

...

კიდევ მაცალე, ცოტაც მაცალე,
 დავკრიფო შენი მსგავსი ვარდები...
 ხელს ნუ ჩაიქნევ, შენ გენაცვალე,
 თორემ წაგალ და გავსიზმარდები.

1976 წ.



ენვერ ნიჟარაძე
დაგვიანებული მილოცვა მსცოვან პოეტს
ირაკლი აბაშიძეს

მე ვინ მაცლიდა,
ვინ მაცლიდა
სიტყვის თქმას თქვენთვის,
ქართველი ერი
ფეხზე იდგა
სრულიად როცა
და თქვენს კაცობას,
პოეზიას
და გულის ფეთქვას
მადლიერებით
ალუვლენდა
მხურვალე ლოცვას.
ძველ საკარცხულში
თქვენ იჯექით
ვითარცა მახვში,
სიმღერის ხმაზე
მალდებოდა
დარბაზის ჭერი,
ვიდექი ჩუმად
აღელვებულ
მკითხველთა ზღვაში
და არ ეუნყოდი

ჩემი რიგი
და ჩემი ჯერი.
ვიცი მრავალი
არ გამთელდა
თქვენს სულში ბზარი,
მაგრამ თქვენ მაინც
გაიმარჯვეთ
ჭიდილში დროსთან,
როცა გულწრფელი
აღტაცების
ჩადგება ქარი,
შეგირდი მრწემი
გეახლებით
თავდახრით ოსტატს.
და წიგნს მოგართმევთ,
თქვენს წინაშე
ბიჯს კრძალვით წარვსდგამ,
თუ წაიკითხავთ,
სიხარულით
ზეცას ვეწევი,
მეც ლექსის ხსენი
ჩამდგომია
ძარღვებში რადგან
და, ალბათ, სადმე
უგზო-უკვლოდ
დავიღუნები.
მაგრამ არასდროს
არ ჩაქრება
ჩემს სულში ცეცხლი,
რომელიც უხვად
უწილადეთ
ვინ იცის, რამდენს,
ქვეყნად ბევრი რამ
შეიცვლება,
თქვენ –ვერვინ შეგცვლით,
ჩვენი მწერლობის
თქვენ ეკუთვნით
ჭეშმარიტ გრანდებს.
ამიტომ ერი

კიდევ ბევრჯერ
ჩაგიკრავთ მკერდში,
მერე რა, თუკი
ყვავილები
დამჭკნარან სიყრმის,
სამაგიეროდ
თმაჭალარა
თქვენა ხართ ელჩი
ჟამთა ქარცეცხლში
გადარჩენილ
ქართული სიტყვის.
არა, თქვენი გზა
არ ყოფილა
ფენილი ვარდით,
მწერლობის ტვირთი
უმძიმესი —
მართლაცდა ჯვარი —
კვლავ მიგაქვთ ისე,
ვით შეჰფერის
რუსთველით გაზრდილ
პოეტს, —
პაოლოს,
ტიციანის
სამშობლო მხარის.
წინაპრის თქვენსას
ანთებულით
მიუხვალთ სანთლით,
ჯერ კი კვლავ ბურღავს
ცხელი სისხლი
ნატკივარ ვენებს,
მაშ, იდღეგრძელეთ
კვლავ დიდხანს და
ლექსით და საქმით
გვასწავლეთ,
როგორ ვემსახუროთ
ქვეყანას თქვენებრ!

1979 წ.



მიკოლა ბაჟანი
ზედაზენზე ასვლა
ჩაკლი აბაშიძეს

წინ მიგვიძღოდი აკვნესებდი ტკბილად
სალამურს.

ზედაზნის გზაზე შემოდგომა ზეიმს მართავდა.
ტაძრის ზღურბლამდე მიგვიყვანა მალე აღმართმა
და მოწინებით მივეახლეთ კედლებს დაბზარულს.

უკან ჭრიალით მოიხურა ძველი ჭიშკარი
და სიჩუმეში სალამური ატირდა მწარედ,
თითქოს შროშანის ყვავილებმა დაფარეს არე
და საგურამოს მბრძანებელთა კერა მიმქრალი.

ძველი ტაძრიდან, სარკმლებში რომ შერჩა
ლაჟვარდი,
გურამიშვილის წინაპართა აკლდამებიდან
აიჭრა ჰანგი, სიმაღლეებს არ დაერიდა,
აფრინდა ცაში, თეთრ მიმინოდ გაინავარდა.

ზედაზნის ტაძრის წახნაგებმა გვირგვინი
დანწეს,

თეთრი გუმბათი შეებრძოლა მედგრად უკუნეთს.
სალამურის ხმამ, ტყის შრიალმა, ქარის გუგუნმა
მხნე წინაპართა სიჩაუქის ამბები გვამცნეს.

შენი სიმღერა ციურ ჰანგთა დარად ისმოდა —
მარადი ხოტბა გმირობის და ბედნიერების —
და უძველესი ხალხის ენის მჟღერი ბგერები
მდინარის ტალღად მიერთვოდა მარადისობას.
ხოროლის პირას მდგარ ხატაშიც ამგვარად ჟღერდა
ქართული სიტყვა — ერის სიბრძნის თავი და თავი,
როს ეწვეოდა შორეული სამშობლოს სევდა
აღსასრულის წინ სარეცელზე მიჯაჭვულ დავითს.

გურამიშვილი მირგოროდში სულს ლევდა, ალბათ,
ავგისტოს თვეში, სწორედ ასეთ ცვალებად დარში
და ჭირ-ვარამზე, ქართველ მგოსანს რაც ერგო
მაშინ,
ახლა ირაკლის სალამური ყვებოდა ამბავს.

არაგვის პირას ქარი ხეებს მიწამდე ზნექდა,
ბანს მოგდახოდნენ შორეული ქუხილის ხმები...
შენ მიაწვდინე სულთათანა ზედაზნის ზეგანს,
დავითის დარდი ძველ ტაძრამდე აზიდე მხრებით.

ეს იყო ცხრაას ოცდაცხრამეტს...
მაღე, სულ მაღე
სალამურის ხმა შენ შეცვალე მგზნებარე ლექსით,
სადაც გრიგალი მძვინვარებდა, ელავდა ალი
და გაისმოდა ომის მსხვერპლთა დრტვინვა და
კვნესა.

ახლაც გმირობას განადიდებ უხვი მელექსე —
თავად ვაჟკაცი, ხან მომლხენი, ხან სევდით
მთრთოლი...

შენ საქართველოს მეხოტბე ხარ უპირველესი
და ხალხთა ძმობის სიმღერაშიც არა გყავს ტოლი.

თარგმნა ნია აბესაძემ

1979 წ.



ფრიდონ ხალვაში ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით

შენი ხმა – ბზაში ჩუქურთმის ხვეწა,
კალმახის ტანი -
ზეცა იმ ღამის.
აღმართს მივყავდით შენცა და მეცა,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

გზა იყო ლურჯი, —
ჭოროხის სევდა,
იქ ზეგნით ზესვლა ჰგავდა სიყვარულს.
გალმიდან გვიცნეს კირნათის სერთან,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

შევატყვე ნანგრევს თამარის ხიდთან
დუმილი – სიტყვა ტუჩზე მიმხმარი.
ძველისძველ ქვევრთან გლეხი რახს ხდიდა,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

არც მაჭახელა გავარდა არსად,
არც ჩადრი ჩანდა სულის მბინდავი.
ერთი ტკივილით ვეტრფოდით წარსულს,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.

ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით,
შვენოდი ღამეს, ლოცვებით სავსე,
აღწევა ფრთებით იმ შენ სიტყვამდი
ენადათ სოფლის დიდებს თუ ბავშვებს.

გახსოვს ჭოროხი რომ შეგეხვეწა:
მეწვიეთ კვლავაც, რამე მითხარით...
შენი ხმა გავდა ჩუქურთმის ხვენას,
ჩვენ მაჭახელში ერთად ვიყავით.



ირაკლი აბაშიძე, ევგენი ევტუშენკო, რეზო ამაშუკელი და სხვ.



რასულ გამზათოვი, ბელა ახმადულინა, ირაკლი აბაშიძე.

რასულ გამზათოვი ირაკლი აბაშიძეს

ყოველ ცისმარე როგორც ინათებს,
ძმაო,
გულითად სამ სურვილს გითვლი:
ირმისთვალეზა ვაჟუკაცო ჩემო,
ღმერთმა გაშოროს მწუხარე ფიქრი.

ავადმყოფობა თუ შეგეჩვია,
გულს ნუ გაიტეხ, ნუ ხარ ფიცხელი,
ჯანმრთელობასაც არ დავიშურებთ
შენი მთიელი ძმადნაფიცები.

თითქოს სანთლები უნთია ფრესკას,
შენი სიკეთე ისე აშუქებს,

სულ იჭაბუკე სიბერისათვის
არა გვცალთვია ნამდვილ აშულებს!

თუ წლები მაინც არ დაიშლიან.
თუ შუბლი შენი ჯავრმა დალარა,
ისევ ლეკები მოიჭრებიან,
რომ გაიტაცონ შენი ჭაღარა!..

ახლა მესამე სურვილს გაგიმხელ:
მუდამ მაღალი გქონოდეს ჭერი,
და საქართველოს კვლავაც უმღერდეს
ირმისთვალეზა პოეტი ჩემი!

თარგმნა ნანა ღვინეფაძემ.

1981 წ.



ირაკლი აბაშიძე, გიორგი კურტანიძე, მინდია უგრეხელიძე.



ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ჩვენ დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ვიხსენებთ მეოცე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწეს, შესანიშნავ მწერალსა და ღრმად მოაზროვნე პიროვნებას, ბატონ ირაკლი აბაშიძეს, რომელთანაც არაერთი შეხვედრა მქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ მას მეტად რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, მისი მდიდარი სულიერი სამყარო მაინც ნათლად გამოვლინდა.

მრავალფეროვანია ბატონ ირაკლის შემოქმედება, მაგრამ ფიქრობ, მისი მრწამსი და შინაგანი მე ყველაზე მეტად „პალესტინის დღიურსა“ და ქართული ენციკლოპედიის მრავალტომეულში წარმოჩინდა. სინატიფე, სიყვარული და აკადემიურობა, — აი ბატონ ირაკლის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

ღმერთმა დალოცოს მისი უკვდავი სული და სავანესა მართალთასა დააწესოს იგი.

14.01.1999.

380005, თბილისი-5, სიმონი 4, ტელ. 99-69-30 * 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR, 380005, TEL. 99-69-30

[illegible]

Կոմիտե - Լ,
Լայպուս Լիֆոնցյան
խորհրդակցական-օրենսդիր.

14/1. 1999.

რესპუბლიკის
 დიპლომატიის
 დეპარტამენტი
 საქართველოს
 პრეზიდენტის
 მოსახლეობის
 მსახურისათვის

თბილისი
 1986. 31. VIII

საქართველოს სსრ მინისტრთა კავშირი
 შიდა საქმეების სამინისტროს ადმინისტრაციის დეპარტამენტი

გვ. 100



„ქუთაისის რაიონის“
 ინგლისურ ენაზე



„მედიკალიზაცია“
 თბილისი 1984

გვ. 100
 ნომერი 111 (111)

შინაგარეო ურთიერთობების
 დეპარტამენტი
 კანონიერების დაცვის
 განყოფილება

აქტიური
 ქვეყნის

ჭიკვამლი წიქრ და იხივლი!

ქოთიანვე ზღვნიც სხვა წესს.
 უმცირესი ვახშო-მშენ სიხსოვრის.
 წინაშე იქნება, ზღვნიც ამოღეს
 შემოქმედისა და მოქმედისა ატარის
 მკვიდრისა უმცირესი.

ჩემი იხივლი, დღით სიგრილე-ქოთი
 უმცირესი ქვეყნისა მოსოფელსა
 და მოსოფელსა უმცირესი შემოქმედისა,
 დავალებული უმცირესი და მოსოფელსა
 წინაშე იქნება, ზღვნიც სიხსოვრის
 დავალებული უმცირესი დავალებული
 უმცირესი უმცირესი.

მეტი უმცირესი უმცირესი

დავით უმცირესი.

აქნა უმცირესი უმცირესი წინაშე იქნება

2.6.1964
 1964
 ა. ბ. ბ. ბ.



დავით უმცირესი

საქართველოს
 იხივლი უმცირესი
 და მოსოფელსა
 უმცირესი.

უმცირესი
 1964

606336330

1964

1964

1964

BEDI KARTLISA
 REVUE DE KARTVELOLOGIE
 (ÉTUDES ARMÉNIENNES
 ET CAUCASIENNES)
 PUBLIÉE PAR LE COMITÉ DU SÉMINAIRE NATIONAL
 DE LA RECHERCHE SCIENTIFIQUE

8, RUE BERLIOZ
 PARIS-VII*
 Tél. PARIS 19 25

17-III-1965

ჭიკვამლი წიქრ და იხივლი!

თქვენმა, ზღვნიც, მოსოფელსა
 ზღვნიც. იგი მოსოფელსა უმცირესი
 უმცირესი მოსოფელსა
 და მოსოფელსა უმცირესი
 მოსოფელსა და მოსოფელსა

ზღვნიც და მოსოფელსა
 მოსოფელსა
 მოსოფელსა



20. X. 1960

Հայկոր - ԿԻՍՏ
Երևանում

Երևանում առաջին օր ուղիւ
բժքի մի շարքի վրա քան
տուր, Երևանի քաղաքի Երևան
Երևանի քաղաքի Երևան

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Օգոստոս, 1958, 24, V

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Օգոստոս, 1958, 14, II

Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ
Հայկոր - ԿԻՍՏ

გამოყენებულია
მიხეილ კვირიკაშვილისა და დემიკო ლოლაძის მიერ
გადაღებული ფოტოები,
აგრეთვე ფოტოსურათები;
ირაკლი აბაშიძის, ვახტანგ ბერიძის, შალვა რადიანის,
ვასილ მჭავანაძის, ჯუმბერ პატიაშვილის,
ვალერი ასათიანის, ზაალ ბოტკოველის,
რუსუდან მექვაბიშვილის, კახა ბახტაძის,
დემიკო ლოლაძის
საოჯახო ალბომებიდან.
ფოტოების ნაწილი მოგვანოდა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ციფრულმა ბიბლიოთეკა „ივერიელმა“.

გამომცემლობა პოლარის პრინტი
თბილისი 2022